ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

5

1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგ არის და გორის ციხე!

ყოველ ახალ გამარჯვების
შემდგომ წესად შემოვიღე,
აღტაცებით შემოვძახო:
ეგ არის და გორის ციხე!

ამბობდნენ, რომ აქ ბჭეები
ინგრეოდა, როგორც რიყე,
დღეს რომ სახლი აგვიგია —
ეგ არის და გორის ციხე!

ამბობდნენ თუ: რის სინათლე,
ყურთა სმენა ნუ წაიღე.
მაგრამ აქ რომ სინათლეა —
ეგ არის და გორის ციხე!

ომში ვიყავ, მტერს ბერლინი
მივუგრიხე, მოვუგრიხე,
ცხრა მაისით შემოვძახე:
ეგ არის და გორის ციხე!

ომს აქეთაც დიდი შრომის
დღე დღეებზე ვათარიღე.
გადახედეთ ქართლის ბაღებს —
ეგ არის და გორის ციხე!

მაშ, წინ გასწი, მშენებელო,
გზას მიჰხედე, მამულს მიჰყე.
ეგ არის და ჩვენი ძმობა,
ეგ არის და გორის ციხე!

გალაკტიონ ტაბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



... მომავალისკენ მზირალი მარქსი...
წინ მომავალი სახებრწყინვალე...
თითქოს გაახლდა ხმელეთის გარსი
და ცეცხლმა ჩეხა უწყო მყინვარებს...

მან მისცა გრიგალს ახალი გეზი,
ღამეს ახალა მეხი ჯიქური...
ეს ის დრო იყო... მიტრალიეზით
როცა დაცხრილეს კომუნის გული...

მაგრამ დაჭრილი თუ გამთელდება,
ხდება საკუთარ სისხლთა მზღვევარი;
კომუნის დროშას ძირს არ დაუშვებს
ხალხი დაბმული და ნატყვევარი...

არა ყოფილა ხალხის ძალღონე
წყალში ტყუილად გადასაყარი
და მარქსის შუბლში იგეგმებოდა
ისტორიული გზაგასაყარი...

გიორგი ლეონიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

132

გამოცემის მეთორმეტე წელი

5

მაისი

1968

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პოეზია

3. **ტარიელ ჭანტურია.** იური გაგარინი უკვდავების სტარტზე.

4. **შოთა ნიშნიანიძე.** მატარებლები და კოტეტები. რაც წავა უკვალოდ... მთებში მელოდება ქოხი მოყავრული... ფუტკარი. რად შემიყვარე...

15. **ფრიდონ ხალვაში.** პრეზიდენტის ღიმილი და ნაღველი. ვიეტნამელი ქალები. კოტეტების სახლი ჭანოიში.

41. **გოგი ჩარკვიანი.** ოგი. ხმაური. მორჩა, გათავდა...

43. **თედო გეკიშვილი.** კოცონი. მაღალ გალაზში სრიალებს ცელი... უცხო ქალაქი. ჯიხვები.

პროზა

7. **დავით ჯაფარიშვილი.** ქოხი ჭალაში, მდინარის პირას.

17. **გურამ შანჯიკიძე.** ტალახისფერი ზღვა. აგვისტოს ცხელი დღე. მოთხრობები.

45. **გეფან ლეფაია.** თამამი ნაგიჯით.

75. **ნოდარ ხუნდაძე.** ილიკო.

უცხოური ნოველა

78. **მიგელ დე უნამუნო.** სტიკენდია. *თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ.*

ჩვენი ადამიანები

82. **ვალერიან სულაკაური.** ბილიკი პირიქითის ხეობაში. *ნარკვევი.*

1818 — 1968

86. **ალექსანდრე ბაბაძე.** კარლ მარქსი სტუდენტობის წლებში.

კრიტიკა და აკადემიცისტიკა

94. **გურამ გვერდწითელი.** მეტი პრინციპულობა.

103. **ვლადიმერ ჯიბუტი.** „სასწაულს მხოლოდ დიდი ტრფიალი ბადებს“.

107. **ზურაბ კიკნაძე.** „ესე ამბავი საარსული...“

1918 — 1968

113. **როინ მეტრეველი.** ქართული უნივერსიტეტის კარიბჭესთან.

119. **ვასილ ჩანტლაძე.** „ისტორიანი და აზიანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის გაგებისათვის.

ხელოვნება

128. **ალექსანდრე კუკარკინი.** ჩამავალი მზის გულვარი. *თარგმნა ელზა აბელიდანმა.*

სპორტი

140. **ანდრო ბორდანია.** ფიქრები ქართულ ფეხბურთზე.

იუმორი

145. **რევაზ მიშველაძე.** უთო. *მოთხრობა*

154. **გრიგოლ გორინი.** არის ერთი ანეგდოტი.

„ცისკრის“ ფოსტიდან

156. **დავით გოგოფური.** „ადვილ ნუ იტყვით“...

158. **ყოველი მხრიდან**

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი ბაძაღაძე,
გიგი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე ლოგთენეფანიძე,
ოტია კაპანორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფეიერეთელი,
ნოდარ ფულეისერი,
ტარიელ ჭანტურია,
ნერგი ჭილაია,
თამაზ ჭილაძე,
ლაშა ჯანაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარიელ ჭანგურია

იური გაგარინი უკვდავების სტარტზე

გაოცებული ვუმზერთ ყველანი
მაღალი ზეცის ჩალეწილ ფანჯრებს...
ირმის ნახტომზე მიჰქრის მერანი.
გეძახი,
ვწუხვარ,
გაღვიძებ,
განჯღრევ...

სდუმან ბავშვები, ჩემი ბავშვები —
როგორ მოგტაცა თვალები რულმა.
ყოჩაღად, ძმაო: მიწის გარშემო
მარადიული იწყება ბრუნვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთა ნიშნიანიძე

მატარებლები და პოეტები

მატარებლები და პოეტები?
სიიდან სადო, იტყვით, ღმერთმანი.
ბედის და გზების მაძიებლები
მაინც რაღაცით გვანან ერთმანეთს.
მათ ერთნაირად უყვართ ბუნება,
ღამეთა ტეხა და ხეტიალი.
ერთადერთია მათი ცთუნება
გზები და გზები ოხერტიალი.
უყვართ მგზავრების აყოლიება
და ოცნებები მზით დამქარგავი.
უყვართ მგზავრების აყოლიება,
მაგრამ ნახევარს გზაში ჰკარგავენ.
იგვიანებენ მატარებლები,
უნიავებენ მგზავრებს ზმანებებს.
იგვიანებენ მატარებლები
და პოეტებიც იგვიანებენ.
იგვიანებენ რიგიანები,
იგვიანებენ... (კარგი როდია...)
იგვიანებენ,
იგვიანებენ
ანდა საოცრად ადრე მოდიან.
იმეორებენ დიდი ვნებებით
ძველ გზებს,
შეხვედრებს
და განშორებებს,
იმეორებენ მატარებლები
და პოეტებიც იმეორებენ.
აქვთ მოლოდინი და იმედები
და მოლოდინში არ ესვენებათ.
მატარებლები და პოეტები
თავს როცა უნდათ შეგახსენებენ.
მათ სიმყუდროვე ფეხქვეშ ეცლებათ
და სივრცეებთან უყვართ ჭიდილი,
და უვარდებათ ფეხქვეშ რელსებად
მომავალი და ზოგჯერ სიკვდილიც.
მაგრამ დიდების მოსასვეჭელად
არც ნიჭი კმარა,
არც თავდადება.
დიდება არის მატარებელი,
რომელსაც მუდამ აგვიანდება.
მატარებლები და პოეტები?!
ეს შედარება რით გავამართლოთ?
არის თავ-თავის შემოქმედებით
ზოგი სახალხო,
ზოგიც საბარგო.
ზოგი დიდ გზებზე გადის გრიალით,
ზოგი ჩიხშია და ბუქსირს ელის.
ზოგმა მსოფლიო შემოიარა,
არც ავის არის,
არც კარგის მთქმელი.
ზოგი სინდისის წინაშე სცოდავს —
ბევრი უბია
და მიაქვს ცოტა.

. . . . . .

გზა რომ გაიგო,
დასძლიო სივრცე
და რომ ეწიო გულის ხვაშიადს, —
უნდა მიიღო ცოდნა და სიბრძნე
და სითბო გასცე (თუ გაგაჩნია!).
ენერგიის და სითბოს გარეშე
არაფრად ვარგა მატარებელი.
რკინა არ ვარგა...
იანგარიშე,
სიტყვა ივარგებს მსჯავრისმდებელი?
გზებზე ანთია სემაფორები,
ბალახისფერი ცეცხლი ირხევა,
ცეცხლი შეხვედრის და განშორების —
თავისუფალი გზების სიმღერა.
წითელი ფერიც ანთია უხვად
და გულკეთილი სიფხიზლით გვხიბლავს,
რომ სწორი გზიდან არ გადეუხვიოთ,
ავცდეთ ათასგვარ საფრთხეს და ხიფათს.
მოსდევს დიდების მატარებელი
ლიანდაგებად დაგებულ ბწკარებს,
ბორბლებს ზედ სულზე გადაგატარებს
და შენს ოცნებებს ქვიშაში გარევს.
ტყდება ბწკარები, როგორც წკირები,
ტყდება,
წკრიალებს
და ტკივილს ამხელს.
უმცირესობა ლექსს ეწირება,
უმრავლესობა — ხმაურს და სახელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიშველეთ!
სენი უკურნებელი
არის დიდების აკვიატება.
დიდება არი მატარებელი,
რომელსაც მუდამ აგვიანდება.
ო, მკითხველებო — ჩემო მგზავრებო,
მოგზაურობა ნუ გეზარებათ.
დღეს სიყვარულით რაც დაიწყება,
ხვალ სიძულვილით არ დამთავრდება,
პოეზიაა ამის თავდები
და სილამაზით თავდავიწყება!
მატარებელი მიდის ზღაპარში,
მატარებელი — სულის ფარეში,
მიდის წარსულში და მომავალში
და ოცნებების ცისფერ მხარეში.
მგზავრები მიგვყავს სიხარულისკენ,
მგზავრები მიგვყავს სილამაზისკენ.
ჩვენ ვერ წავიყვანთ მხოლოდ უღირსებს,
წავიყვანთ მხოლოდ სულით ფაქიზებს.
დღეს პოეზიით რაც დაიწყება,
ხვალ უაზრობით არ დამთავრდება!
სილამაზეა ამის თავდები
და სიყვარულით თავდავიწყება.
მიყვარს გზები და მატარებლები
და პოეტებიც მიყვარს, ღმერთმანი.
ბედის და გზების მაძიებლები
თურმე რაოდენ გვანან ერთმანეთს!
მაგრამ დიდებას,
როგორც შეფერის,
გვიან მოელის აკიანთება.
დიდება არი მატარებელი,
რომელსაც მუდამ აგვიანდება...

●

რაც წავა უკვალოდ, რაც აღარ იქნება,
რაც ერთ დროს გაქრება ცრემლიან
ფიფქებად,

ეგ შენი სიცელქე, სიცილი, ჩურჩული,
ბავშვური სიმორცხვე და ხვეწნა მუნჯური,

შენი სათნოება, სიწმინდე, სიკეთე,
ჩემს სულში ფრთხიალებს და ბუდეს
იკეთებს

და იმას მისტირის და იმას უგალობს,
რაც აღარ იქნება, რაც წავა უკვალოდ...

●

მთებში მელოდება ქოხი მოყავრული,
ქოხი სიმღერის და სტუმრის მოყვარული.

ჩემი მეგობარი ოთარ ქვარიანი —
კარგი მონადირე, ბიჭი გვარიანი.

— დალის ნანდაურო,
მგლების ნათესავო,
წამო სანადიროდ!
წამო სათევზაოდ!

მთებში მელოდება ოთარ ქვარიანი —
კარგი მონადირე, ბიჭი გვარიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ უ ტ კ ა რ ი

შენ ღვთის ფიქრი ხარ,
ფუსფუსა ფიქრი,
მაძიებელი ფიქრი კირკიტა.
გაბრუებული სკისაკენ მიჰქრი,
რომ დაიბადოს აზრი ფიქრიდან.

თუ ჩემი სიტყვა
შენს ხვედრს გაიყოფს,
მართლაც მქონია ქვეყნად სათქმელი:
იმაზე დიდი რა უნდა იყოს
კაცს თაფლი მისცე,
ღმერთს კი — სანთელი.

●

რად შემიყვარე ძეხორციელი,
რატომ იტვირთე ცოდვა მარადი.
ო, ანგელოსო — სულო ციერო,
რა უყავ ფრთები და შარავანდი?

შენი ფრესკული სახე მეცნობა,
შენი ღიმილი, სულო ციერო,
რად უარყავი ანგელოსობა,
რა უნდა მოგცე სამაგიეროდ?

დავით ჯავახიშვილი

ქოსი ჯაფაული, ელინაურის პირას

ასეთი ცივი ზამთარი დიდი ხანია არ ყოფილა ამ მხარეში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გიორგი იძულებული გახდა რკინის სალტეებიანი ძველებური სკივრი ძირამდე ამოეშალა და მთელი ბინა ნაფთალინის სუნით აეყროლებინა. თითქმის ერთ საათს მოუნდა ძველმანებში ქექვას, ვიდრე მიაგნებდა იმას, რასაც ეძებდა. ცოტა ხნის შემდეგ კი, ჭრელა, მისი სანაქებო, შავ-თეთრლაქებიანი მეძებარი, შალის ნაქსოვ ყილტში გამოწყობილი, უკვე თავმომწონედ დაძრწოდა ხმელი ფოთლებით მოფენილი ბაღის ბნელ კუნჭულებში. როგორც იქნა, შეწყდა მისი გაბმული ყეფა-წკმუტუნი და ბოლო მოეღო ამის გამო მეზობლების გაუთავებელ საჩივრებსა და საყვედურებსაც.

კმაყოფილი იმით, რომ ერთი დარდი მაინც შედარებით ასე იოლად მოიშორა, გიორგი წელზევით შიშველი იდგა სარკის წინ თბილ საბაზანო ოთახში და აუჩქარებლად იპარსავდა წვერს. კარგად ალესილი სამართებელი ამჯერად რბილად და უმტკივნეულოდ იღებდა გიორგის ჯაგარივით წვერს, და ამ კიდევ ერთმა წვრილმანმა წარმატებამ საგრძნობლად აამაღლა მისი ტონუსის ჩვეულებრივ არც თუ ისე მაღალი დონე.

ერთ-ერთი ოთახიდან, დროდადრო, რაღაც გაურკვეველი ხმები მოისმოდა, რაც უცხო ყურს ალბათ უცნაურადაც მოეჩვენებოდა; გიორგისათვის კი თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ეს მისი ცოლი, ნინო, ბავშვის სარეცხის დასაუთოებლად ემზადებოდა და ახლა, პირში დაგუბებული წყლით პატარა პერანგებისა და ზეწრების ნამვას შესდგომოდა. ზაზას ხმა არ ისმოდა, რაც, თვის მხრივ, უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ ცელქობით მოქანცული ბიჭი ტკბილი სიზმრების ტყვეობაში ჩავარდნილიყო (ძაღლის სიჩუმეს ამ შემთხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეგაშიც გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა).

„რა ცოტა ყოფნის ადამიანს იმისათვის, რომ ბედნიერად იგრძნოს თავი“, — გაიფიქრა გიორგიმ და თვალი უნებურად ბაღში გამავალი ფანჯრისაკენ გაეპარა.

ზორბა ყინვა უნდა ყოფილიყო ღამით, რომ მინები ყინულის ასეთი საოცარი ჩუქურთმებით მოხატულიყო. რა ზღაპრული პეიზაჟები შეექმნა ყინვას ამ ფანჯარაზე! უთუოდ ასეთი იქნებოდა იმ გოლიათი გვიმრების უღრანი ტყეები, ადამიანის გაჩენამდე რომ მეფობდა დედამიწაზე. ხშირფოთლიანი, გრძელი ტოტები ისე უიმედოდ ჩახლართულიყვნენ ერთიმეორეში, კაცი მხოლოდ იმის წარმოდგენითია თუ დაკმაყოფილდებოდა, რაც იყო სინამდვილეში იქ, ყინულის ლამაზი ფარდის მიღმა. ღიდად სახარბიელო იმ ხედში გიორგის ნაინც არაფერი ეგულებოდა და ამიტომაც დაუნანებლად მიენდო თავისი წარმოდგენის შესაძლებლობებს. მოციისფრო ბურუსმა თანდათანობით შთანთქა და წაშალა ნამდვილი სურათის უშნო და ზედმეტი დეტალები: სადღაც გაქრა აგურის მაღალი კედლები, რომლებითაც მთ შუა მომწყვდეული პატარა ბალი თავს იცავდა ქალაქის ჭუჭყისა და ხმაურისაგან; გაქრა ნაპირებდაბზარული მრგვალი აუზიცა და რკინისფეხებიანი დანჯღრეული სკამიც ბზის გაქუცული ბუჩქები რომ ჰქონდა შემორიგებული აქეთ-იქიდან... თავის ადგილას დარჩა მხოლოდ კრამიტით გადახურული ბაწია და კოხტა ბუდრუგანა, რომელშიაც ცხოვრობდა ჭრელა — გიორგის სიამაყე, ოშვიათი სილამაზისა და ნიჭის მქონე სუფთა პოინტერი. ძაღლის საცხოვრებელი ახლა უკვე ნამდვილ, ფანჯრებიან ქოხად ქცეულიყო, მის გარშემო კი ათას იდუმალ ხმაზე შრიალებდა შემოდგომის მსუყე ფერადებით ხოხბის ყელივით ელვარებული ზღაპრული ბალა...

ქოხის კარი გარედან ხის დიდი ურდულით იყო გადაკეტილი; ნაცრისფრად ბოლავდა ფანჯრიდან გამოჩენილი თუნუქის დაკანგებული საკამური.

სადღაც ახლოს გაგარდა თოფი...

გიორგის გულისცემა აუჩქარდა, ნაბიჯს უმატა, ბილიკიდან გადაუხვია და. მაშინვე მაყვლის გაუვალ ბარდებში გაიხლართა...

ფიქრში მეც ფეხდაფეხ მივყვები გიორგის, მასავით მაკრთობს უეცარი სროლის ასე ახლო ხმა, მასთან ერთად ეუმატებ ნაბიჯს და ვუსმენ ხის აჩქარებულ გულისცემას, ყვითელი ფოთლების შრიალში არეულს, მერე ვიხლართები ეკლიანი მაყვლის ბარდებში და თანდათანობით მე თვითონაც მაჯადოებს ეს პატარა ქოხი თავისი თვალწარმტაცი მიდამოებით, პატარა ქოხი, ჩადგმული ბალაში, მდინარის პირას...

ეს ადგილი გიორგიმ ორიოდე წლის წინათ აღმოაჩინა. მისთვის დღემდეც გაუგებარია მიზეზი, რამაც აიძულა ქოხის პატრონი, მიეტოვებინა აქაურობა, თუმცა უგზოობას ხომ ხშირად მთელი სოფლები გაუპარტახებია?! ეს ვარაუდი, სხვებთან შედარებით, სარწმუნოსა ჰგავს. მიუდგომლობა საამდო ფარია ბუნებისა ადამიანთან ბრძოლაში, მაგრამ ვერც ის შველის მას ბოლომდე. მოგზაურობისა და ფათერაკების მოყვარული კაცისათვის არაფერია დიდ მდინარეში ოცოიდე კილომეტრის გავლა რეზინის ნავით და აი, გიორგიც მეგობრებთან ერთად მიტოვებულ ქოხს უკვე მერამდენედ დაეპატრონა ამ ორ წელიწადში.

ბუნებას, ამ შემთხვევაში, სახიფათო არა ელის რა: კაცთა შორის ცოტა როდია, ვინც გულმოდგინედ იცავს ბუნებისავე მიერ ნაკარნახევ ყველა წესსა და კანონს. გიორგიც ერთი იმათგანია.

ზამთრობითაც კი წყალუხვია ეს დალოცვილი მდინარე, შემოდგომაზე ხომ ამაში საკვირველიც არაფერია: მთაში ხშირად წვიმს და მაძღარი მდინარეც ნება-ნება მოაგელვებს ღონიერ ტალღებს ბარის თვალუწვდენელ სივრცეებზე, თან მოაქვს მთის ნისლი და მაცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხლებელი სიგრილე ხრიოკი ველებისათვის. მის მადლიან, დაბურულ ჭალებს ეტანება ნადირიცა და ფრთოსანიც: ბევრია კურდღელი; არის ღორი, მელა თუ კატა; აქაური მზის სითბოს ხანგრძლივად ეხიზნება ჩრდილოეთის ყინვებს მორიდებული იხვი და ბატი, ტყის ქათამი და სხვა გადამფრენი ფრინველი, ვიდრე მოიკრებდეს ძალას ვარსკვლავებს შორის გამავალი და მხოლოდ მისთვის ცნობილი უდიდესი საქარავნო გზის გასაგრძელებლად; აქვე მუდმივად ბინადრობს ხოხობი და, წარმოიდგინეთ, დურაჯიც კი, ეს ზღაპრული „სამეფო ჩიტი“, ამ ადგილების იშვიათი და ძვირფასი მშვენება; ჭალს მომდგარი ხრიოკი ბორცვების ქვიან ფერდობზე, ზოგჯერ — შიგ ჭალაშიც, კაკბის თითო-ოროლა გუნდსაც აუცილებლად გადაეყრება მოხეტიალე კაცი; ღალღა და მწყერიც ხშირად იზამთრებს ახლომახლო მინდერებში.

...ვისაც ძაღლითა და თოფით ერთხელ მინც გაუვლია თუნდაც მხოლოდ პურის ყანაში, მისთვის ფაუნის ეს მშრალი აღწერაც კი მაგიური ზემოქმედების წყარო იქნება. ვისაც არა და, მისთვის არც ერთი მონადირე თავის მკვეცმეტყველებას არ დაიშურებს, რასაც ზოგი ფანტაზიასთან (უფრო კი—ტყუილთან) რატომღაც ღვარძლიანი სიამოვნებით აიგივებს. მონადირე არც ამას უშინდება და თავის პოზიციებს, ბუნებისა და ნადირობის სიყვარულის გულცხელი მჭადაგებლისას, იოლად არასდროს სომობს.

ურწმუნოებისა და უნდობლობის დაძლევა მუდამ უფრო ძნელი ყოფილა, ვიდრე რეზინის გასაბერი ნავით მგზავრობა და... გიორგისა და მისი მეგობრების სახეს, მთელი გზა ერთი წამითაც არ მოცილებია მშვიდი ღიმილი. ასევე ვიღიმები ახლა მეც, მათი მეოთხე, უხლავი და ერთგული თანამგზავრი.

ნაჯახით გაჯორკნილი ქოხის ფიცრები ეამთა სვლისაგან მთლად გამურულა. მინების ნაცვლად ფანჯრის ჩარჩოებზე თხელი ტყავები გადაუჭიმავთ და შიგნით თითქმის მუდმივი სინესლეა ჩამოწოლილი. მხოლოდ მზიან დღეს და ისიც კრამიტებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანებიდან, იპრება აქ სინათლის დაშნებებივით ბასრი სხივები. კოჭების მაგივრობას კოჟრიანი, დაგრეხილი მორები სწევენ: უკეთესს ვერც მონახავს კაცი ამ ჭალაში. იატაკი მიწისაა. შუაში პატარა კოჭლი მაგიდა დგას და კიდევ — ერთი გრძელი, უზურგო სკამი. ყველაზე ბნელ კუთხეში თუნუქის დაჟანგულტალი ღუმელი მიყუჟულა. ერთერთ უფანჯრო კედელთან, მის მთელ სიგრძეზე, მაღალი და ფართო ტახტია მიდგმული და მიჭედებული. ზედ, ერთი მეორის გვერდით, სამი საძილე ტომარაა გაშლილი, ბალიშების მაგიერ დაჩუტული ზურგჩანთები გამწკრივებულა.

ღუმელში მხიარულად ტკაცუნობს შეშა, გიზგიზებს ცეცხლი; გარეთ გვიანი შემოდგომის ბნელი და ცივი საღამოა. მაგიდაზე სტეარინის სანთელი იღვენთება და ცისფრად ციმციმებს მისი ალის მაღალი ენა. ტახტის ქვეშ, ღუმელთან ახლოს, ორი დაღლილი მეძებარი წევს, თავები თათებზე დაუდევთ და სითბოში ძილის ტკბილ განცხრომას მისცემიან. ერთი შავ-თეთრლაქებიანი პოინტერია, მეორე — მუქი ყავისფერი გრძელბეწვიანი დრათხარი. კედელზე სამი თოფი და სამი სანადირო ჩანთა ჰკიდია, მათ გვერდით კი სამი შავი ლანდი ატუზულა და სანთლის ალთან ერთად სამივე, თითქოს რომელიღაც ნელი ცეკვის რიტმს აყოლილი, ოდნავ ცახცახებს. სანთლის გარდა მაგიდაზე დგას კიდევ ღიპიანი მათარა, გდია ირმისრქისტარიანი ლაპლაპა დანა და პატარა ყანწი, ალუმინის გამურულ და დაბეჟილ ჯამში კი შემწვარი ხორცის მოზრდილი ნაჭრები და თხლად დაჭრილი ხაჩვის დიდ-პატარა რგოლები მოჩანს.

დავით ჯაფარიშვილი

ქოხი ჭალაში, მდინარის პირას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონადირეთაგან ორნი სკამზე სხედან, მესამე კი, ხელში ყანწით, ფეხმორთხმული, ტახტზე ხონთქრივით წამოჭიმული და, როგორც ჩანს, გაჭიანურებულ სადღეგრძელოს ამთავრებს უკვე:

— ... მაშ, მოდით, ძმებო, ამ წუთს გაუმარჯოს, ამ ბედნიერ წუთს! — ეს გიორგის ხმაა; მის თვალებში უცნაური ცეცხლი ანთია. — წინ თუმცა დიდი ღამე გვიდგეს, — განაგრძობს იგი, — მაგრამ როცა იქნება, ხომ გათენდება, ხომ ირიყრაყებს?! უჰ! რა გემრიელი სიტყვაა „რიყრაყი“! გაუმარჯოს რიყრაყს! — გიორგი მთვრალია, ლაპარაკის დროს მუშტსაც კი იქნევს, მაგრამ გამომეტყველება მისი სახისა, მისი სადღეგრძელოს უშაბლონო შინაარსიც აშკარად მოწმობს, რომ ეს მხოლოდ არყის ბრალი არ უნდა იყოს. — როგორ მეცოდება ყველა ის კაცი, — რატომღაც ღელავს გიორგი და ხმაც უთრთოლდება, — ვინც ახლა თბილ ოთახში, რბილ საკრძალში მოკალთებულა და საღამოს გაზეთის კითხვით ცდილობს თავის შექცევას! რა საბრალოა ის, ვისთვისაც ბუნების ცნება მხოლოდ მწვანეზე გაწყობილი სუფრის წინ გადაშლილი ხედი ამოწურება! საბრალოა ისიც, ვისაც ხვალინდელისნაირი დილის მოლოდინში, მოუთმენლობისაგან ძილგატეხილს, ერთხელ მაინც გრძელი ღამე თეთრად არ გაუთენებია! მაშ, მოდით, ძმებო, ჩვენ გავიმარჯოს! ჩვენს ხვალინდელ ნადირობას გაუმარჯოს! გაუმარჯოს იმ ხოხბებს, ხვალ თავიანთი ფრთების ფართხუნით გულებს სიხარულით რომ დაგვიხეთქავენ!..

— გაუმარჯოს! — მთქნარებით ამბობს ერთი სკამზე მჯდომთაგანი, დგება და იზმორება, — ჰე! გვეყოფა ახლა, დავიძინოთ, თორემ ეს „რიყრაყიცა“ და „ფრთების ფართხუნიც“ ხვალ ისევ მხოლოდ სანატრელად დაგვრჩება ალბათ.

— თქვენი არ ვიცი და, ამ სიშორეზე მე ერთი საწყალი კურდღლისათვის არ წამოვსულვარ! — ამთქნარებს მეორეც და საათს დასცქერის, — ეს კაი დრო გასულა!

— ძილი ნებისა, ბატონებო! — ნაღვლიანად იღიმება გიორგი და უკვე დაცლილ, გადმოპირქვავებულ ყანწს ცერის ფრჩხილზე დიდხანს იბერტყავს; — კი მაგრამ... — აგონდება მერე, — ოჩოპინტრე არ ვადღეგრძელოთ?

— გვეყოფა, გვეყოფა! დავიძინოთ!— არავინ უშერს მხარს და ისიც, სახედაღვრემილი, დგება ზეზე.

— ეს რა ხალხში მოვხვდი! — ბუზღუნებს, — შევარცხვინე თქვენისთანა მონადირენი!

— აღდგომა და ხვალეო! — ისმის პასუხად და სანთელი ქრება.

სულ მალე ერთ-ერთი საძილე ტომრიდან უკვე ხმამაღალი ხვრინვა მოსმის, მეორიდან — რაღაც გაუგებარი, ჩუმი ბუტბუტი; გიორგი გატკივნილი წევს შუაში, ხელები თავქვეშ ამოუდვია, თვალებს მოუსვენრად აცეცებს იქით-აქეთ და ძლივს იკერუნა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეა.

საიდანღაც შორიდან, უეცრად, ტურის გამყივანი კივილი ისმის. გიორგი გაღიზიანებული იშმუშნება. „ხოხბებს ახლა ხეებზე სძინავთ, — თავს იმშვიდებს იგი,—ცბიერი მტაცებლის მყრალ ხახაში მოხვედრას ვინ არ ამჯობინებს ჰაერში მოულოდნელ სიკვდილს, ფრენის დროს მასთან უეცარ შეხვედრას?!. საკვირველია, მაგრამ სიკვდილთა შორისაც ნამდვილად არის დიდი განსხვავება“.

კრამიტების ღრიჭოებიდან ქოხში სტვენითა და სისინით იჭრება ერთბაშად ამოვარდნილი ქარი, იქიდანვე აღწევს ოთახში ცაზე ახლად ამოსული მთვარის უცნაური ცივი და უსიამოვნო შუქიც. მთელი თავისი დაუნდობელი სიმძიმით დასწოლია ჭალასა და მდინარეს შემოდგომის გულცივი ღამე და თითქოს მხოლოდ იმედიღა უნარჩუნებს ქოხს— ადამიანის ამ პატარა თავშესაფარს, — ძალასა და შეუპოვრობას ბუნებასთან უთანასწორო ორთაბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს.

სინამდვილეში კი ისევ ბუნებაა ოვით ამ იმედის წყაროც: მთვარის სინათლე მაცნე არის ხვალინდელი მზიანი დღისა.

დაღლილობას მაინც თავისი გაეტანა: დილის პირას შეუმჩნევლად ჩასძინებოდა გიორგის. ელდანაკრავივით წამოხტა ზეზე, მღელვარებისაგან კიდევ დიდხანს ვერ მოვიდა გონს. მაშინდა დამშვიდდა ოდნავ, როცა მიხვდა, რასაც ნიშნავდა სიბნელეში მის გარშემო ატეხილი ფუსფუსი და ტანსაცმლის შრიალი: სხვებსაც გაღვიძებოდათ.

გიორგიმ ასანთი გაჰკრა და სანთელს მოუკიდა. მერე ტანზე სვიტერი გადაიცვა, ფეხები ჩექმებში ჩაჰყო და ჩაცმაც ამით მოთავდა. საჩქარო მაინც არაფერიაო, გაიფიქრა და საბოლოოდ დამშვიდდა: ჯერ კიდევ ბნელოდა, სანადირო ადგილი კი აგერ იწყებოდა, ქოხის კარს იქით, — უკეთესს რაღას ინატრებდა კაცი?!

გიორგიმ ღუმელთან ჩაიჩოქა. ნაცარი ნაფოტით გაქექა, წუხანდელი ნაღვერდალი გააღვივა, ღამით გამომშრალი შეშა შეაწყო, ერთი შებერვა და — ცეცხლიც აბრიალდა. სხვებსაც უკვე ჩაეცვათ. ტახტის ქვეშ ძაღლები ზანტად იზმორებოდნენ, მერე გამოძვრნენ და დაკეტილ კარზე თავიანთი ბლავვი ბრუჟაელები აიფხაკუნეს.

საუზმისა და დანარჩენ სამზადისსაც, რამაც მშვიდად და სრულიად უხმაუროდ ჩაიარა, სულ ხუთიოდე წუთიც არ დასჭირებია; ამასობაში კიდეც ინათა, თუმცა — ოდნავ, მაგრამ გასვლა უკვე შეიძლებოდა. ხანმოკლე და ტრადიციული თათბირიც ქოხშივე ჩატარდა, საკამათო არაფერი იყო.

— მაშ ასე! — თქვა ბოლოს გიორგიმ,—შევთანხმდით! ვნადირობთ ფრინველზე. თითო-ოროლა ეკანი, ყოველ შემთხვევისათვის, ყველას თანა გვაქვს. თქვენ მაინც ერთად იცლით — ერთი ძაღლი გყავთ, ისე კი მაინცდამაინც ნუ დავიფანტებით, თუმცა არც ერთმანეთის ძებნა და კუდში დევნა არა გვჭირდება; დაკარგვა აქ თითქმის შეუძლებელია: მდინარის დინება მშვენიერი საშუალებაა გზის გასაგნებად. გარდა ამისა, კიდევ დიდხანს იბოლებს ჩვენი ღუმელი, კვამლი კი შორიდან ჩანს. დღეს გალმა არ გავალთ და მაშ, ნავიც არ დაგვჭირდება. საათის ოთხისათვის ვბრუნდებით უკან, ადრე ღამდება. საგზალი ყველას თავისი გვაქვს, ისე რომ ამ მხრივაც შებოჭილი არავინა ვართ. აბა, წავიდეთ! გისურვებთ კარგ ნადირობას!

სოსანი ბინდი ჯერ კიდევ მჭიდროდ შემოჰკვროდა ქოხს გარშემო, მაგრამ უკვე გაფითრებული, მიმქრალი მთვარე მზის სიახლოვეს მოასწავებდა. დილის ნისლით გაყღენთილ ჰაერში კარსმომდგარი ზამთრის სუსხიანი სუნთქვაც აშკარად იგრძნობოდა. გაღვიძებას იწყებდა მძინარე ჭალა: აქა-იქ წამოიღეღუტულეს ჩიტებმა და ისევ მიჩუმდნენ; სადღაც ბუჩქებში დაიჭახჭახა შაშვმა; უხმოდ გადაფრინდა კაჭაჭი ტოტიდან ტოტზე...

— ჩემთან! — შეუყვირა გიორგიმ წინ წასულ ძაღლს და ისიც მორჩილად დაუბრუნდა პატრონს.

ჯერჯერობით სამივენი მწკრივში მიდიოდნენ, სხვა გზა არც იყო: ჭალაში ერთ დროს გაკაფული ბილიკები ისევ ეკალბარდებსა და ხშირტოტა ბუჩქებს შეეკრათ და ეს გაუვალი ტევრი კედლებივით მიუყვებოდა ვიწრო გზას.

გიორგიმ განგებ უკლო ნაბიჯს, სხვებს ჩამორჩა და გადასახვევს დაუწყო ძებნა. კარგა ხანს იარა იმავე გზით, მცირედი გასაძრომიც ვერსად იპოვა. წინ კი, ამასობაში, უკვე ორჯერ ზედიზედ გავარდა თოფი. ჭრელა ძლივსღა იკავებდა თავს, ცქმუტავდა და საწყლად წკმუტუნებდა. გიორგიმ სწრაფად მოიხსნა მხრიდან თოფი, აკანკალებული ხელით გადახსნა და დატენა ლულები, მერე გაირინდა. მისკენ არაფერი წამოსულა. „უთუოდ ჩამოაგდეს, ან იქნებ სხვა

დავით ჯაფარიძეული
ქოხი ჭალაში, მდინარის პირას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეს გაფრინდა ის, რაღაცა იყო. ალბათ — ხოხობი. აფსუს!“ — გაიფიქრა მან. ერთ ხანს კიდევ იდგა გაუნძრევლად. სრულ სიჩუმეში გარკვევით ესმოდა თავისივე გულის ხმამაღალი ცემა, ესმოდა გახურებული სისხლის კაკუნიც საფეთქლის ძარღვებში. ძაღლი ფერხითით ეჯდა, მოუთმენლობისაგან კანკალებდა და მის ჭკვიან თვალებში ნადირობის ენი ანთებულიყო.

გიორგიმ გზა განაგრძო. ასიოდე ნაბიჯის შემდეგ ჭალა ოდნავ შეთხელდა. აქ უკვე შეიძლებოდა საითკენმე გადახვევა, მანაც არ დააყოვნა, ეძებეო, მოკლედ უბრძანა ძაღლს და მდინარისაკენ გაეშართა.

მონადირე მხოლოდ ფოთლების შრიალითღა ხვდება, სად არის ძაღლი, სხვა აღარაფერი ესმის, აღარაფერი არსებობს მისთვის ახლა ამ ქვეყანაზე. ძაღლი ხან მარცხნივაა მისგან, ხან — მარჯვნივ, მერე — ისევ მარცხნივ.. რა კარგად ეძებს ეგ ეშმაკის ფეხი! აი, იგი ოდნავ უნელებს სირბილს, ნაბიჯზე გადადის, მცირე ხნით ჩერდება, ნაბუღს თუ აკეთებს, მერე ისევ ფრთხილად მიიწევს წინ, თითქოს ეპარებაო რაღაცას... გიორგი მზად არის, თოფიც შეეცნებულია; ცხადია: საცაა უნდა წამოფრინდეს ხოხობი, ან ტყის ქათამი...

რა შეედრება ამ მოლოდინს?! რა ავსებს ადამიანს ასე სრულად?! რა იპყრობს მის სულსა და სხეულს ასე მთლიანად?! ძნელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, სწორი პასუხის, რა თქმა უნდა.

...ცარგა ხანია, რაც ხოხბის კვალს მიჰყვება ჭრელა. ჰო, ნამდვილად ხოხობია, თორემ ტყის ქათამი აქამდე ბარემ ათჯერ აფრინდებოდა. ხოხობი ფრთხილია, მაგრადა ზის, ფეხით გაქცევას ამჯობინებს, და აწვალებს, დიდხანს აწვალებს მეძებარს, იცის, ძაღლი ყველგან ვერ შეყვება. მაგრამ არ იცის საბრალომ, ვისთან აქვს ახლა საქმე, არ იცის, რომ ეს ჭრელაა, საოცრად ჯიუტი და შეუპოვარი არსებ, მონადირის იმედი და სიხარული.

საკვირველია, რამდენს უძლებს გიორგის გული: ალბათ ორ წუთზე მეტია, თითქმის არც სუნთქავს, ელის, ან ახლა გაისმება ის ნანატრი ხმაო, რატომ იგვიანებს?! ნუთუ ჭრელამ რამე შეცდომა დაუშვა? შეუძლებელია! მაშ რატომაა, რომ... და გიორგი ვეღარ ამთავრებს ფიქრს, ყველაფერი უეცრად ხდება: ბრررررრ!!! — ისმის ბარდებში აფრენილი ხოხბის ფრთების ძლიერი ხმა, თუმც თვითონ ჯერ არ ჩანს, მაგრამ ცხადია. რომ ის არის, ის, და არაფერი სხვა; ცხადია ისიც, რომ იგი პირდაპირ გიორგისკენ მოდის, საცაა ფერადი ქარივით გადმოვევლება თავს მაყვლის მაღალ ბუჩქს და.. აი, გამოჩნდება კიდეც.

...გიორგი მარტო ახლაღა ამჩნევს: თურმე უკვე ურიყარაენია, კარგა მაღლაც ამოსულა მზე; სწორედ მისი სხივებია, ასე თვალისმომჭრელად რომ თამაშობს მამლის გაშლილ ფრთებზე, მის ლურჯწითელა ქოჩორა თავზე, საოცრად ელვარე ყელსა და გრძელ, ვიწრო კუდზე. დანარჩენი მოხდება ისე, როგორც ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის ასეთ დროს: გაისმება სროლა; კონდახი მსუბუქად უბიძგებს გიორგის მხარზე და მაშინვე, უეცრად, შეწყდება ფრთების ხმა; ხოხობი ტრიალით დაეშვება ბარდებში, საიდანაც ცოტა ხნის შემდეგ გამოძვრება ჭრელა ძვირფასი ნადავლით, მოლად დაკაწრული, გასისხლიანებული, ბოინც კმაყოფილი და მხიარული. გიორგი შეუგნებლად გადაესნინა თოფს, ამოიღებს და გადაადგებს გასროლილ ვაზნას. ჩაბერავს ლულაში. თოფის წამლის მძაფრი და მთრობელი სუნი ოდნავ გააბრუებს. სადღაც კი, გულში, ღრმად, მის ფსკერზე აფართხალდება და წამოტივტივებასა სცდის სიბრალულის უსიამოვნო გრძნობა, რომელსაც იმწამსვე ჩაახშობს ძლიერი, და იმ დროს ყველაფრის შთანმთქმელი განცდა, განცდა რაღაც ცხოველური, პირველყოფილი სიხარულისა..

ხოხობი ჩანთაშია, თოფში ვაზნა დევს, ნადირობა გრძელდება.

შუადღე დამდგარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე უკვე აღარ ხუმრობს და, ზაფხულისებურად აღვირახსნილი, ისე მწარედ იკბინება, თითქოს დრო შეჩერდა და უკან დაბრუნდაო;

გიორგი გადის მდინარის ნაპირზე, მღვრიე და ცივი წყლით იგრილებს გახურებულ შუბლს, მერე გულღმა წვება გამხმარ ბალახში და ფართოდ გახვილი თვალებით შესცქერის ცის საოცრად ლურჯ გუმბათს, მზის გაჩახჩახებულ ჭიღს.

ასეთ ცას ხომ ვერასოდეს ნახავ ქალაქში.

...გიორგის უხარია, რომ მარტოა და რომ კიდევ დიდხანს ვერავინ დაურღვევს მას ამ სიმარტოვეს: ბოლო სროლის ხმა ძალიან შორიდან მოესმა, ახლა ისინიც უთუოდ სადღაც წვანან, ან სხედან და ისვენებენ. კარგია მარტობა ზოგჯერ და ისიც უკაცრიელ მდინარის პირას.

გიორგი კმაყოფილი ათვალიერებს თავის სანადირო ჩანთას, რომელიც თოფთან ერთად ჰკიდია იქვე ახლომდგარი ფშატის ერთ-ერთ ტოტზე. ორი ხოხობი და ხუთი ტყის ქათამი ხარბი კაცისთვისაც კი საკმაო ნადავლია, და მისთვის ხომ მით უმეტეს. დღევანდელი ნადირობა დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. არსად გადაუხვევს, თუ რამე მაინც შეხვდა, არც იმას ესვრის; წავიდეს. გაიხაროს.

— ასე! გადაწყდა! — ხმამაღლა ამბობს გიორგი და ძაღლს ეკითხება: — გასაგებია?

კუდის ქიცინი და უდროო ზმორება თანხმობის ნიშანია.

გიორგი ზანტად დგება ზეზე, იღებს მიწიდან ხის ხმელ და მოკლე ტოტს და ისვრის შორს, მდინარეში. ჭრელა უყოყმანოდ ხტება წყალში, გამოაქვს ტოტი, სასაცილოდ იბერტყავს ტანს და ჩქარობს პატრონისაკენ, რომელსაც ამასობაში უკვე თოფი და ჩანთა მხარზე მოუდია და ქოხისაკენ ჭალა-ჭალა მომავალ ბილიკს დასდგომია.

მალე მკაფიოდ გამოჩნდა ცაში ასული ნაცრისფერი კვამლის სიფრიფანა არშია: ქოხი ახლოსაა. შორსაც [illegible] იყოს, ამ ლამაზი გზით სიარულს ვინ დაზარდება?! ყველაფერი სასიამოვნოა ახლა, ის ტკივილიც კი, რომელსაც აყენება გიორგის ბრეზენტის შარვლის ხახუნი მაყვლის ეკლებისაგან უწყალოდ დაკაწრულ ფეხებზე. სასიამოვნოა სანადირო ჩანთისა და თოფის სიმძიმეც, მიუხედავად იმისა, რომ დაღლილობა სხეულის ერთ კუნთსაც კი არ აცდენია. ნეტავ არასდროს გათავდებოდეს ეს დაბურული ჭალა თავისი დიდი ხნის უვალი და, ამიტომაც ძლივს შესამჩნევი, თითქოს გახუნებული ბილიკებით!

თითქოს ძაღლსაც გადასდებია პატრონის ჩუმი ბედნიერება: ლაღად მიაბიჯებს მის წინ, დროდადრო ჩერდება, იხედება უკან, მერე თავაწეული ყნოსავს თბილ ჰაერს და მშვიდად განაგრძობს გზას. უეცრად ფეთდება, კვლავ ჰაერს ყნოსავს, მერე — მიწას და, ფრთხილი, ქურდული ნაბიჯით ბილიკიდან მარცხნივ უხვევს.

გიორგის ყველაფერი ავიწყდება ისევ, ავიწყდება თავისი ადრინდელი განზრახვაც ნადირობის დამთავრებისა. კვლავ ძველებურად უჩქარდება გულისცემა, სახესაც ძველებურად ეღება სიცხის მწველი ალმური. თვალისდახამ-ხამებაში თოფი ხელთაა, ჩხაკუნით დგება ფეხზე ორივ ჩახმახი და:

— ეცი! ეცი, ჭრელა! — თითქოს შორიდან ესმის თავისივე უცნაურად შეცვლილი, ხრიწიანი ხმა.

ძაღლი ტყუპად ურტყამს წინა თათებს მაყვლის ძირს განთხმულ ბუჩქს. რაღაც ვეებერთელა, ცისარტყელასავით ელვარე და საოცარი, წარმოუდგენელი ხმაურით ადის მაღლა, მზით სავსე, გამჭვირვალე, კამკამა ჰაერში. „ხოხობი! ღმერთო! ისევ მამალი ხოხობი!« — ძლივს ასწრებს გაოცებას გიორგი, მისი თოფის ოსპლაპა ცხვირი კი უკვე თავისთავად მიჰყვება, მისდევს ცაში უხილავ კვალს, აი, ეწევა კიდეც

დავით ჯავახიშვილი

ქოხი ჭალაში, მდინარის პირას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრდღვიალა ფრინველს, მერე წინაც უსწრებს, უკვე შეიძლება სროლა, შეიძლება კი არა, უკვე დრო არის, მაგრამ...

სროლა არ ისმის. მის ნაცვლად, სადღაც, სულ ახლოს გიორგისაგან, ხმაური ამოდის რაღაც კარი. ისმის ვიღაცის ძალიან ნაცნობი და, რა თქმა უნდა, მოულოდნელი ხმა:

— სადა ხარ, კაცო, აქამდე? რა ამბავია მაგდენ ხანს პარსავ?

გიორგის ვერაფერი გაუგია, დაბნეული იყურება იქით-აქეთ: კარში მოჩანს ნინო, გიორგის ცოლი. ხელში უთო უჭირავს, გაკვირვებული და უკმაყოფილო სახე აქვს.

— ჰა? — ამბობს გიორგი და ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა. წელზევით შიშველი დგას სარკის წინ, თბილ საბანაზანო ოთახში; ხელში საპნიანი სამართებელი უჭირავს, ცალი ლოყაც საპნის მოვარდისფერო ქაფით აქვს მოთხვრილი. სარკეში, მის ზურგს უკან, მოჩანს ბაღში გამავალი ფანჯრის გაყინული, თეთრი მინები.

— მალე მორჩი, შენი ჭირიმე, — ეუბნება ნინო, — უთო გადამეწვა და დროზე თუ არ გამიკეთე, საცაა ბიჭი გაიღვიძებს, სარეცხი დაუუთოვებელი დამრჩება, — და საბაზანოდან გადის.

„რა უთო? რა დროს უთოა, ხოხობი მიდის!.. — მაყვლის ბარდებივით იხლართება ერთმანეთში გიორგის ფიქრები და თანდათან გონს მოდის. ისევე ნელ-ნელა, როგორც გაჩნდა, იფანტება მოცისფრო ბურუსი მის გარშემო, მორჩა. გათავდა.

წავიდა, წავიდა ხოხობი. ახლა ის ფრთებსაც აღარ იქნევს, ისე, პლანერივით მიჰქრის ინერციით, სადაცაა ჩაჯდება კიდეც ბარდებში, სადღაც არც ისე შორს, იქვე, ქოხის მიდამოებში. ახ, რა ცუდია, როცა ასეთ დროს შეგიშლიან ხელს!..

გიორგი ფრთხილად განაგრძობს პარსვას. და მაინც, ორჯერ მტკივნეულად ეჭრება ლოყა. „რა ცოტა რამ ყოფნის ადამიანს იმისათვის, რომ ბედნიერად იგრძნოს თავი, — ფიქრობს იგი გაღიზიანებული, — და ეს ცოტაც კი ხშირად თურმე სანატრელია! რას იზამ? — იმშვიდებს თავს, — ასეთი ყოფილა ცხოვრება!“

იგი მალე ათავებს პარსვას; იბანს და იმშრალებს პირს; მერე რეცხავს სამართებელს; რეცხავს საპნიან ფუნჯს... ყოველივე ამას აკეთებს სრულიად შეუგნებლად, ავტომატურად, ჩვეული და სწრაფი მოძრაობით. მის გულში ნელ-ნელა იღვრება მოსაწყენი ყოველდღიურობისა და ჩვეულებრივობის უსიამოვნო შეგრძნება. ნაღვლიანად შეჰყურებს გიორგი ყინვის ნახატებს ფანჯრის მინებზე: ყინულს უკვე დაუწყია დნობა და მალე ალბათ ცრემლებივით ჩამოიღვრება რაფაზე... ცოტაც და, უკვე სხეულსაც გადაეცემა გიორგის განწყობის ეს მოდუნება და დამფუპველი განურჩევლობა. მაგრამ სწორედ ამ დროს, ამ გადამწყვეტ წამში, გონებაში საიდანღაც ჩნდება სულ პატარა, თეთრი წერტილი. თანდათან იგი უფრო და უფრო დიდდება, დიდდება და უფრო ნათდება...

ჰო, მართალია. ასეთი ყოფილა ცხოვრება: აფრინდება ხოხობი, ნატვრასავით ლამაზი და მოხიბლავი, როგორც ოცნება, ესვრი და... შენია. მეორე აფრინდება და, დაიცილებ, ან სულაც ვერ ესვრი, რაღაც წვრილმანი შეგიშლის ხელს, და წაგივა. მერე რა? სადღაც ხომ ჩაჯდება, სადმე, არც ისე შორს, იქვე, ქოხის მახლობლად.

და თუკი გეგულება ასეთი ქოხი, ქოხი ჭალაში, მდინარის პირას, შენ არც ამ პატარა მარცხს შეურიგდები ავრე იოლად, კვლავ განაგრძობ ძებნას, ძნელად, მაგრამ მაინც მიაგნებ, და ვიდრე ხელმეორედ წამოაფრენდე, კიდევ ერთხელ, თუნდაც სულ რაღაც ნახევარი წამით, სამაგიეროდ კი — მთლიანად აივსები მიზნის მიღწევის მოლოდინით, სურვილით, იმედით, რწმენით, ყველაფრით, რითაც ცხოვრობს ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდენტის ღიმილი და ნაღველი

პრეზიდენტის ღიმილი და ნაღველი
არის ხალხის ღიმილი და ნაღველი.
ის რომ ვნახე, ყველა ვიეტნამელის
გავხდი თითქოს ნაცნობი და მნახველი.

შემოდგომის მოხმაურე ხეებში
შეგვხვდა იგი და მოგვხვია ხელები.
სანთელივით ანთებული თმა-წვერით
წაგვიძღვა და სასახლეში შევედით.

გაიხსენა გზები ტანჯვით რბენილი,
დევნა, ციხე...
  მოსკოვი და ლენინი...

მუხლზე რუკა ჰქონდა გადაფენილი, —
ვიეტნამი წელში გადაკვეთილი.
პრეზიდენტი მრისხანე და მწუხარე
იყო მაინც მშვიდი, ბრძენი, კეთილი.

— ვიეტნამი გლეხისა და მუშისა,
ვიეტნამი მიწას მოხნავს უშიშრად,
შეეროდება ძმობა ძმობას ნატრული,
წაიქცევა ღობე შავი და მტრული.

ასე, რწმენით და სევდიან დიდებით,
პრეზიდენტი ამბობს ქვეყნის სახელით.
პრეზიდენტ ხოს ღიმილი და ნაღველი
არის ხალხის ღიმილი და ნაღველი.

ვიეტნამელი ქალები

თავზე შედგმული მძიმე კალათებით,
შავი შარვლებით,
  გახუნებული მოკლე ხალათებით,
ზურგზე ვეება ჭიალობის ქუდებით,
შიშველი ფეხებით
  ტალახში ვეფლობით.

დაღლილნი, დაჭრილნი,
  დაცლილი თოფებით,
ბრძოლის ჯუნგლებიდან
  ქოხებში ვბრუნდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლიური ქოხი ახლა სანგარია, —
ღამისფერი ფრთებით
ამერიკა მოგვსდევს.
და რადგან სამშობლო გვიყვარს ძალიან,
მტერს უნდა
საკუთარ კერაზე მოგვდეთ.

ის ვერ ეღირსება
ჩვენს სიკვდილ-დავსებას, —
სვალინდელ გამარჯვებას
ვაწოვებთ ძუძუს.
მას თვითონ ერგება ზიზღი, სიკვდილი,
ჩვენი სიყვარული თუ სძულს.

პოეტების სახლი პანოიში

ეზო უმწვანეს-უმყუდროესი,
სახლი, როგორსაც პოეტი უმღერს,
ხეებში იდგა განმარტოებით
და სიყვარულის ღვრიდა სიუხვეს.

შემომეგება ღიმილი ბევრი
ნდობით, ხალისით და იმედებით.
ლამაზი იყო ცასავით ჭერი,
მთებივით ჭრელი იყო კედლები.

იქ პოეტების მართალ გულებში
სამშობლოს რწმენა ფერს არ შეიცვლის.
იქ პოეტების მართალ გულებში
ქვეყნის სამხრეთი ცოცხლობს და იწვის.

სინებზე ყვითლად ეწყო ბანანი
და ფინჯნებიდან ორთქლავდა ჩაი.
არ შეხებია ბანანს არავინ,
ეწყოს, სამხრეთის მიწისა არი!

„სამხრეთი მაინც სხვაგვარ უხვია“, —
ნაღველით ამბობს პოეტი ქალი.
და კვესავს ლექსი, თითქოს უხილავ
ჯუნგლების ცეცხლის გვედება ალი.

ის შორს დარჩენილ ქოხს იგონებდა,
დანგრეულ კედელს, ობოლ პატარებს...
ო, პოეტებო, რა ტკივილები,
რა იმედები გამომატანეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

— თუ შეიძლება, 207-ე ნომერი მომეცით! — უთხრა სასტუმროს ადმინისტრატორს რეზომ.

— 207-ე დაკავებულია! — მიუგო ადმინისტრატორმა ისე, რომ დავთრიდან თავი არც აუღია.

— იქნებ ვთხოვოთ მობინადრეს, გადავიდეს სხვა ნომერში?

გაოცებულმა ადმინისტრატორმა დავთარს თავი მიანება და რეზოს ჯიქურ შეხედა, უნდოდა, რაღაც უხეში ეთქვა, მაგრამ ახალგაზრდა კაცის მკაცრი სახე და ანთებული თვალები რომ დაინახა, ერთბაშად დაცხრა, სათქმელი პირზე შეახმა.

— დი-ახ, იქნებ ვთხოვოთ! — გაიმეორა ხმადაბლა და ხაზგასმით რეზომ. მის ხმაში ერთდროულად თხოვნაც იყო, ბრძანებაც, დაპირებაც და კიდევ ერთი, ისეთი საიდუმლოებით გაჟღენთილი ტონიც, ასე რომ აბნევს ადამიანს.

— ძალიან ძნელ საქმეს მთხოვთ! — თქვა კარგა ხნის დუმილის შემდეგ ადმინისტრატორმა და ისევ დავთარს ჩახედა, — არა მგონია, რამე გამოვიდეს.

— თქვენ მაინც სცადეთ!

ადმინისტრატორმა ყურმილი აიღო.

— მე იქით დაგელოდებით! — კიდევ უფრო დინჯად და ხმადაბლა თქვა რეზომ. მერე სასტუმროს ვესტიბიულში მოთავსებულ კიოსკთან მივიდა, ადგილობრივი გაზეთი იყიდა და დინჯად გადაშალა. თან თვალი ადმინისტრატორისაკენ ეჭირა, მისი სახის გამომეტყველებას აკვირდებოდა. ადმინისტრატორმა ლაპარაკი დაამთავრა, ყურმილი დადო და რეზოს გამოხედა. რეზო ისევ გაზეთს ჩასჩერებოდა, თუმცა კარგად დაინახა, რომ ადმინისტრატორმა ლაპარაკი დაამთავრა. ადმინისტრატორს ვერ გადაეწყვიტა, დაეცადა თუ მოეხმო საიდუმლოებით აღსავსე უცნობი.

ბოლოს რეზომ გაზეთი დაკეცა და ადმინისტრატორს გახედა. ვითომ ახლა

შეამჩნია, რომ ტელეფონზე ლაპარაკი დამთავრებული ჰქონდა და მისკენ გაეგზავნა.

— ნომერი ორი საათის შემდეგ იქნება თავისუფალი.

— ძალიან კარგი, მანამდე ჩანთას თქვენთან დავტოვებ, ქალაქში საქმე მაქვს, — რეზომ ტყავის ჩანთა ბარიერის იქით, ადმინისტრატორის მაგიდასთან გადადო.

ადმინისტრატორმა ჩანთას ხელი მოჰკიდა და კარადის უკან მიმალა.

— ეს საბუთები და ფული, ბარემ გაფორმეთ კიდეც! — რეზომ საბუთები და ფული მაგიდაზე დააგდო და გარეთ გავიდა. მაშინვე ინანა, რატომ პალტოც იქ არ დავტოვეო, მაგრამ მობრუნება შეეზარა და სანაპიროს გაუყვა.

იანვრის თბილი დღე იდგა. ცაზე ღრუბლის ნასახიც არ ჩანდა. პალმებს იქით ზღვა ტორტმანებდა, ზამთრისათვის დამახასიათებელი მკვეთრი ლურჯი ფერი გადაჰკრავდა. ქუჩაში მოსვირინენი უმთავრესად უპალტოდ იყვნენ.

ოლეანდრების ხეივანში პატარა ბიჭი შეეჭეხა. რეზო ალბათ ყურადღებასაც არ მიაქცევდა, ბიჭი რომ არ შემკრთალიყო. იგი თორმეტ-ცამეტი წლისა იქნებოდა, მაღალი, მხრებში მოხრილი. მისი ჩამუქებული, სევდიანი, დიდრონი თვალები საოცრად ნაცნობი ეჩვენა რეზოს.

ბიჭი შეჩერდა და რეზოს მიაშტერდა. უნებურად რეზოც შეჩერდა.

„სად მინახავს ეს ბავშვი? — გაიფიქრა და ინსტინქტურად ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. დინჯად მოუკიდა, თან თვალი ბიჭისკენ გააპარა.

— „სად მინახავს“, — დაატანა თავს ძალა.

ბიჭი თითქოს გამოერკვაო, თავი დაღუნა, რეზოს სწრაფად ჩაუარა გვერდით და მერე თითქმის სირბილით წავიდა. რეზო შემობრუნდა და ბიჭს თვალი გააყოლა. თხელი სვიტერის ქვეშ თითქოს მისი გამხდარი ზურგის ძვლებიც კი დაინახა.

„სად მინახავს ეს ბიჭი?“

უცებ ბიჭმა მოიხედა. რეზომ თავი დაღუნა, თითქოს მას არც უყურებდა, როცა მაღლა აიხედა, ბიჭი აღარ ჩანდა. ვერაფრით ვერ გაიხსენა, სად ენახა ეს დიდრონი, ნაღვლიანი თვალები. ბოლოს მხრები აიჩეჩა, სიგარეტი ურნისკენ მოისროლა, შემობრუნდა და გზა განაგრძო. ოლეანდრების ხეივნიდან ისევ სანაპიროზე გავიდა. უცებ ზურგში ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო. შებრუნდა. ქუჩის კუთხეში ისევ ის ბიჭი იდგა. თითქოს რეზოსი შეეშინდაო, ბიჭი სასწრაფოდ კუთხეს მოეფარა და გაუჩინარდა.

„მაინც ვინ უნდა იყოს ეს ბიჭი? ჩემს დანახვაზე რატომ შეკრთა, ან აბლა რატომ მითვალთვალებს? სად მყავს ნანახი? — აფორიაქდა რეზო. ორი წელი აქ არ ვყოფილვარ, მაინც სად უნდა მენახა?“ — მთელი საათ-ნახევარი იხეტიალა ქალაქში, ბიჭზე ფიქრი თავიდან ვერ ამოიგდო. თან მოუსვენრობამ შეიპყრო. ეგონა, ვიღაც უჩინარი ადამიანი დაყვებოდა და უთვალთვალებდა. თითქოს ისევ იმ ბიჭის მზერა სწვავდა ზურგს. ხანდახან შეჩერდებოდა და უცაბედად უკან შემობრუნდებოდა, ეგონა, ყოველი მაგნოლიისა და ოლეანდრის ბუჩქის უკან ისევ იმ დიდრონ, ნაღვლიან თვალებს წააწყდებოდა, მაგრამ ბიჭი არსად ჩანდა.

„მაინც სად მინახავს ეს ბიჭი, არა, ნამდვილად მინახავს სადღაც“.

რეზო გარინდული იდგა კარგა ხანს და ჰორიზონტს ვასცქეროდა. იქ ზღვა და მკრთალი ნისლი შეუმჩნევლად გადადიოდა ერთმანეთში. საათს დახედა. სასტუმროში დაბრუნების დრო იყო.

უცნაურმა გრძნობამ შეიპყრო, როცა 207-ე ნომერში შევიდა. კარი იმწამსვე მიეტა, ჩანთა ძირს დაადგა, ხოლო პალტო იქვე, სკამზე გადაფინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე იდგა ერთხანს. ხან საწოლს დასცქეროდა, ხან კედლებს ათვალიერებდა. აქ ყველაფერი ისევ ისე იყო, როგორც ორი წლის წინ. ისევ ის ძველებური სარკიანი კარადა, ისევ ის საწოლი და ფინური მაგიდა. ვრაფინიც კი მაშინდელი იდგა, შავი, კერამიკული გრაფინი. ფანჯრიდან, თუ ახლოს არ მიხვიდოდი, მხოლოდ ზღვა მოჩანდა. კაცს ეგონებოდა, სასტუმრო პირდაპირ ზღვაშია აშენებულიო.

რეზო ერთ ხანს იდგა გარინდული. ბოლოს საწოლზე გაუხდელად წამოწვა და თვალები ჭერს მიაშტერა.

არაფერი არ არის უფრო მოსაწყენი, ვიდრე ზღვა ზამთარში. აქ ყველაფერი ისევ ისეა, როგორც ზაფხულში. მარად მწვანე მცენარეები, პალმები, მაგნოლიები, მოწეწილი ცა და კაშკაშა მზე. ადამიანის განწყობილებაც საზაფხულოა, მაგრამ ცივი ზღვა და დაცარიელებული ქუჩები ყოველ წუთს გახსენებენ, რომ ზამთარია.

●

ყველაფერი ასე იყო მაშინაც, ორი წლის წინ. თითქოს ამინდიც კი ზუსტად ასეთი იყო — ულრუბლო ცა და კაშკაშა მზე.

რეზოს შვიდი დღე შვიდ საუკუნედ ეჩვენა. რესტორნის ოფიციანტებთან უხეირო ქათინაურების ფრქვევა მოსწყინდა და ერთ საღამოს თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა. თითქოს უზარმაზარი ტვირთი მოიხსნა, თავისუფლად ამოისუნთქა და მზადებას შეუდგა. უცებ გაახსენდა, საღამოს ამხანაგთან რომ იყო დაპატიჟებული. ყურმილს დასწვდა. ტელეფონი ისევ არ მუშაობდა. ყურმილი გულმოსულმა დაადგა და სართულის მორიგესთან წავიდა.

ოდნავ ჩაბნელებულ ტალანში ახალგაზრდა ქალის მოქნილი ტანი მოხვდა თვალში. რეზომ ნაბიჯი შეანელა და შეეცადა, ქალის სახე დაენახა. ქალმა კარი გააღო. ოთახიდან გამოსულმა სინთლემ მოულოდნელად და მთელი ელვარებით გამოაჩინა მისი სილამაზე. ქალმა იგრძნო რეზოს დაკვირებული მზერა, ვაჟს მრავალმნიშვნელოვნად შეხედა და კარი გამოხურა. ყოველ შემთხვევაში, რეზოს ასე მოეჩვენა, თითქოს ქალის სახეზე რაღაც დაპირებისმაგვარიც კი ამოიკითხა. როცა საკეტის ჩხაკუნის ხმა გაისმა, რეზო ისევ ნახევრად ჩაბნელებულ ტალანში დარჩა. ვული გამალებით უცემდა. ქალის შემოხედვამ მისი არსება რაღაც შეუცნობელი იმედით ალავსო და ტანში საოცარმა ჟრუანტელმა დაუარა.

სართულის მორიგესთან წეღანდელი ინერციით მივიდა.

— რა გნებავთ! — ჰკითხა მორიგემ.

რეზო გამოფრკვა და დაიბნა, არ იცოდა, რა ეთქვა.

— ჩემს ტელეფონს აღარ შეაკეთებთ, ბოლოსდაბოლოს?! — იპოვა უცებ გამოსავალი და თან გაიღიმა, არ უნდოდა გაბრაზებული კაცის შთაბეჭდილება დაეტოვებინა.

— რა სჭირს ტელეფონს? — საკმაოდ უგულოდ ჰკითხა მორიგე ქალმა.

— არ ვიცი, მე ვერაფერი გავუგეიქნებ თქვენ უშველოთ რამე.

მორიგე ქალმა აპარატს დაუწყო ჩხიკინი. რეზოს ერთი სული ჰქონდა ეკითხა, ვინ არის 207-ე ნომერში რომ ქალი ცხოვრობსო, მაგრამ არ უნდოდა, მორიგეს მისი ატაცება შეემჩნია.

მორიგე ქალმა დიდხანს უტრიალა ტელეფონს, მერე მხრები აიჩეჩა და რეზოს მიუბრუნდა:

— ოსტატი ხვალ დილამდე აღარ მოვა, დღეს როგორმე უნდა გაიჭირვოთ, — თან ხარბად შეათვალიერა მაგიდაზე დაყრილი ფორთოხლები.

— ქალბატონო, — უდარდელად უთხრა რეზომ, — ამ ფორთოხლებს ვერ მომაცილებთ? ჭირის დღესავით მეზარება, არადა, ყოველდღე მოაქვთ ჩემს ნაცნობებს.

— აუ, ამდენი ჯიბეებში არ ჩამეტე-

ბუბამ ფანჯიკიძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა! — თვალები გაუბრწყინდა ქალს, — წავალ, ხელჩანთას მოვიტან.

რეზო მაგიდას მიუჯდა, საქმიანი იერი მიიღო და ხელი კალმისტარს წაავლო.

მორიგე შემოვიდა და ფორთოხლები ჩანთაში ჩაწყო.

— სადღაც კონიაკიც უნდა მქონდეს ერთი ბოთლი, მე აქ სამუშაოდ ვარ ჩამოსული და არ მჭირდება. — რეზო წამოდგა, კალმისტარი დაუდევრად მიაგდო და კარადიდან კონიაკი გამოიღო.

— დიდი მადლობა, შვილო!—სულ ჩაშაქრდა მორიგე.

— ჰო, ვინ არის ის ქალი, 207-ე ნომერში რომ ცხოვრობს? — სხვათაშორის ჰკითხა რეზომ.

— მოსკოველია, მაგდა ჰქვია!

— რუსია? — გაოცდა რეზო.

— არა, ქართველია, ოღონდ მოსკოვში ცხოვრობს, ქმარი ავარიაში დაღუპვია ოთხი წლის წინათ და მერე გადასახლებულა მოსკოვში მშობლებთან,— თვალი ჩაუკრა მორიგემ.

— ბარემ ეს შოკოლადიც წაიღეთ, აქ ტყუილად ფუჭდება! — თქვა ისე რეზომ, თითქოს მორიგე ქალის სიტყვები არც მოესმინოს.

— გმადლობთ, შვილო! — შოკოლადი თეთრი ხალათის ჯიბეში ჩაიდო ქალმა.

— ძალიან გთხოვთ, კომუტატორი გააფრთხილოთ, თუ ვინმემ დამირეკოს, თქვენთან შეაერთონ.

რეზომ მორიგე გააცილა, კარი მიხურა, სკამზე ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— აი, ქალი! — თქვა ხმამაღლა, ფეხზე წამოდგა, საფრფოლ დივანთან იატაკზე დადო, თვითონ დივანზე წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და ჭერს მიაშტერდა.

„ოცდარვა წლისაც არ იქნება, არა, დღეს თუ შემთხვევით არ შევხვდი, არ ღირს საგანგებოდ შეხვედრა. შეიძლება სულ დავიფრთხო“. — რეზო ახლა თავდაღმა შებრუნდა, სიგარეტი საფრფოლზე მოსრისა და ერთმანეთზე შემოდებულ მუშტებს ნიკაპით დაეყრდნო.

მეორე დილით უთენია ჩაუსაფრდა ფოიეში. კაფეში მიმთავალს უცაბედად შეეჩეხა და სალამიც უცაბედად უთხრა. ქალმა მექანიკურად უპასუხა და გონს მჯრე მოეგო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— ახლა ეს კმარაო, — გაიფიქრა რეზომ და ქალაქში გავიდა. შუადღისას სასტუმროს ვესტიბიულში, კიოსკთან შეეჩეხნენ ერთმანეთს. რეზომ გაუღიმა, ქალმა ოდნავ გახსნა ბაგე და ღიმილისმაგვარ გამომეტყველებასთან ერთად შეშფოთებაც გამოესახა სახეზე. ალბათ შეეშინდა, ვაითუ გამომელაპარაკოსო და წასვლა დააპირა. მაგრამ რეზომ დაასწრო და პირველი თვითონ გავიდა ქუჩაში.

საღამოს ისევ კაფეში შეხვდნენ ერთმანეთს. მაგდა უკვე იჯდა და ვახშმობდა. რეზომ მაგიდები მოათვალიერა, მაგდა ვითომ შემთხვევით დაინახა, კვლავ გაუღიმა და მაგიდა განგებ მოშორებით შეარჩია. მაგდა ჩაის სვამდა, მაგრამ ცდილობდა, დარბაზში არ გაეხედა. ალბათ ეშინოდა, რეზოს დაჟინებულ მზერას არ წასწყდომოდა.

ქალს შავი სვიტერი ეცვა და მის ფონზე გრძელი თითები საოცრად თეთრი და ნატიფი მოუჩანდა.

მეორე დილით რეზო სასაუზმოდ ქალაქში გავიდა და საღამამდე აღარ დაბრუნებულა. ასე სჯობია, არ იფიქროს ჩემს ნაფეხურებს დაჰყვებაო, — გადაწყვიტა მან. როცა ვახშმობის დრო მოვიდა, იფიქრა, კმარა ამოდენა პროლოგიო და ისევ ვესტიბიულში ჩასაფრდა. მაგდა კაფეში შევიდა. ხუთი წუთის შემდეგ რეზომაც შეაღო პატარა, კოხტა დარბაზის მინის კარი და მაგიდები მოათვალიერა, როცა მაგდა დაინახა, ისე გაიღიმა, თითქოს კაი ხნის ნაცნობს მოჰკრა თვალიო, თავი დაუკრა და ჯიქურ მასთან მივიდა.

— შეიძლება თქვენთან ერთად ვივახშმო? — ჰკითხა და თან სკამი გამოსწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ აღარც კი ელოდებით ჩემს თანხმობას! — დამცინავი ღიმილით თქვა მაგდამ.

— რეზო შეცბა.

— მე შემიძლია სკამი ისევ დავდგა თავის ადგილზე! — ძლივს ამოღერღა ბოლოს.

— რატომ? არ ღირს წვალებად, ვიკამათოთ ერთად, თუ თქვენ არ ჩათვლით, რომ ეს რაიმე უფლებას მოგანიჭებთ, — თქვა ქალმა ისევ ცივად და თან თვალებში შეხედა რეზოს.

რამდენი რამ იყო ამ თვალებში — სევდა, მკაცრი ირონია, იმედის გაცრუება, გამოცდილება.

რეზო დაჯდა, მაგრამ ხასიათი გაუფუჭდა. ქალმა ერთი ფრაზით დაუნგარია წინასწარ შედგენილი და ათასჯერ აწონ-დაწონილი გეგმა.

— არ მეგონა თუ ასეთ რამეს მეტყოდით, თორემ ნამდვილად ვერც გავბედავდი თქვენთან მოსვლას, — თქვა კარგა ხნის დუმილის შემდეგ. მერე სიგარეტი დინჯად ამოიღო, მოუკიდა და კოლოფი მაგიდაზე დაადგა.

— არ მინდა სცენაზე ნათქვამ ტრაგიკულ ფრაზასავით გამომივიდეს, მაგრამ ცხოვრებამ შემაჩვია ასეთ ლაპარაკს.

— მოწევა შეიძლება, არა? — გვიან გაახსენდა რეზოს.

— კი ბატონო, — გაეცინა მაგდას.

მისმა სიცილმა, საკმაოდ ირონიულმა, მაგრამ მაინც სიცილმა, ცოტა წაათამამა რეზო.

— პარიზში, ალბათ, ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა! — შემოუარა ფრთხილად რეზომ.

— მე არ ვიცი, რა იქნებოდა პარიზში... — დაიწყო მაგდამ და თან რეზოს სიგარეტის კოლოფს მისწვდა.

— ბოდიშს ვიხდი, ვერც კი მოვიფიქრე, რომ შემომთავაზებინა! — შეწუხდა რეზო და ქალს ასანთი შეაგება.

მაგდამ ბოლს თვალი გააყოლა და ისევ გაგრძელა დაწყებული ფრაზა.

— მე არ ვიცი, რა იქნებოდა პარიზში, მაგრამ ერთი რამ კი კარგად ვიცი, ქალის სრულიად უბრალო გაღიმებაც კი რატომღაც აფიქრებინებს კაცს, რომ მას რადაცის უფლება მიეცი.

რეზოს ისევ მოეწყალა გუნება. მანძილი მათ შორის წეღანდელმა სიცილმა რომ შეამოკლა, თითქოს ისევ გაიზარდა.

დუმილს ოფიციანტის მოსვლამ მოუღო ბოლო.

— მგონი გაგიფუჭეთ ხასიათი, არა? — ღიმილით ჰკითხა მაგდამ, როცა ოფიციანტი წავიდა.

— არა, პირიქით! — დაიბნა რეზო და თავის თავზე გული მოუვიდა, რა ენა ჩამივარდაო.

— თქვენ აქ რატომ ხართ? — ჰკითხა მაგდამ. და რეზო ერთბაშად აღმოჩნდა სხვა სიბრტყეზე.

— შვებულებაში ვარ, რაღაცას ვწერ.

— აჰ, თქვენ მწერალიც ხართ? — თქვა მაგდამ და სიგარეტი თეფშზე მოსრესა.

— დიახ! — გაწითლდა რეზო, თან ცდილობდა გამოეცნო, მაგდას ხმაში ირონია ხომ არ ყოფილა.

— რა გვარი ბრძანდებით?

რეზომ უთხრა თავისი სახელი და გვარი, თან დასძინა:

— ალბათ ჩემი გვარი ბევრს არაფერს გეუბნებათ, არა?

— ეგ სულ არაფერს არ ნიშნავს. მე მოსკოვში ვცხოვრობ და ძალიან ცუდად ვიცნობ ახალგაზრდა ქართველ მწერლებს.

— მე არც თუ ისე ახალგაზრდა გახლავართ, ყოველ შემთხვევაში, ის პერიოდი უკვე გავიარე, როცა კრიტიკოსებისაგან უბრალო მოხსენიება ან ლანძღვაც გსიამოვნებს ხოლმე.

მაგდამ გაუცინა და რეზო მიხვდა, რომ მათ შორის მანძილი ისევ შემოკლდა.

— მაგდა! — თქვა რეზომ.

გურამ ფანჯიკიძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰო, თქვენ ჩემი სახელიც იცით?!

—დი-ახ! — დაიბნა რეზო. იგი მეორედ მოექცა ჩიხში.

— ალბათ ისიც გეცოდინებათ, რომ ქვრივი ვარ.

— დიახ!

— კარგია, რომ გულახდილი ყოფილხართ! — მაგდა მეორედ მისწვდა სიგარეტს.

ოფიციანტმა ყავა, ნამცხვარი და ფორთოხლები მოიტანა.

რეზო გრძნობდა, თავს ვეღარ იმორჩილებდა. რაღაც უხილავი ძალა ებიძგებდა, ყველაფერი გულწრფელად ეთქვა. ცდილობდა, თავს შებრძოლებოდა, მაგრამ სათქმელი უკვე ენაზე ჰქონდა მომდგარი და მისი შეჩერება აღარ შეეძლო.

— მაგდა, შენ ძალიან ლამაზი ხარ, მაგდა! — თქვა მოულოდნელად.

მაგდამ არაფერი უპასუხა, ოღონდ რაღაცას გაუშტერა თვალი და ნამცხვრიანი ხელი ჰაერში დარჩა გაშეშებული.

— „შენ ძალიან ლამაზი ხარ“,—გაიმეორა ჩუმად რეზოს სიტყვები, მერე თითქოს გამოეკვეთა, ყავა მოსვა და დაუმატა, — ლამაზი შენ ხარ, რეზო, ძალიან ლამაზი, გულწრფელი და კარგი ბიჭი. მე ეს ვიგრძენი. მაგრამ გაცილებით კარგი ბიჭი იქნები, თუ ამაზე აღარ გააგრძელებ საუბარს. მე ამას მტკიცედ მოვითხოვ...

— მე შენ მიყვარხარ, მაგდა!

მაგდამ გაიცინა.

●

რეზომ გვიან გაიღვიძა. საათს დახედა, გაოცდა. თორმეტი საათი ეძინა გადაბმულად. საშინელი შიმშილი იგრძნო, ფეხზე წამოიჭრა. ოთახი მზის სხივებით იყო სავსე. გუშინდელივით ულრუბლო ამინდი იდგა. აივანზე გამავალი კარი გამოაღო. ეგონა ოთახში სითბო შემოიჭრებოდა, მაგრამ ცივი ჰაერი დაეტაკა და კარი მაშინვე მიხურა.

სწრაფად ჩაიცვა და ისევ გაიხედა კარი. მერე მოპირდაპირე რესტორანს მიაშურა სასაუზმოდ.

უზარმაზარი დარბაზი ცარიელი იყო. ფანჯარასთან მიუჯდა მაგიდას. შუახნის ოფიციანტმა ქალმა რეზო იცნო და ღიმილით გამოემართა მისკენ.

— შენ ყოველთვის ზამთარში უნდა გვეწვიო? — შორიდანვე დაიწყო მან.

—დიახ, აქ სამუშაოდ ჩამოვდივარ ხოლმე, — უთხრა რეზომ და თან ცდილობდა მისი სახელი გაეხსენებინა.

ოფიციანტი რეზოს მოპირდაპირე სკამის საზურგეს იდაყვებით დაეყდნო და მოღლეტილი მკერდი დაბლა დახარა. რეზომ ვერაფრით ვერ გაიხსენა მისი სახელი. ის კი კარგად ახსოვდა, როგორ ეარშიყებოდა. ქალი ყოველთვის კისკისით პასუხობდა და დანახარჯს ორმაგად ანგარიშობდა. რეზოს შერცხვა, ახლა ეს ქალი საოცრად ხნიერი მოეჩვენა. ქალი ამაოდ ცდილობდა, სახეზე ნაოჭები კანის გადაჭიმვითა და კოსმეტიკის უკანასკნელი მიღწევებით დაემალა. ჯიშიანი მკერდი ძველებურზე უფრო მოეშიშვლებინა.

— ამ მაგიდას ალა ემსახურება, ახლავე მოვა.

რეზომ მაინც ვერ გაიხსენა მისი სახელი.

— თქვენი მეუღლე არ ჩამოსულა? რა შესანიშნავი მეუღლე გყავთ! — მისი ლამაზი მეუღლის ხათრით მრავლობითზე გადავიდა ოფიციანტი ქალი და თან მოწონების ნიშნად ტუჩები მოწრუპა.

— ის ჩემი მეუღლე არ იყო!—თქვა რეზომ ნაღვლიანად.

— მეუღლე არ იყო?! მე კი მეუღლე მეგონა! — გაოცებული ოფიციანტი ჯერ წელში გასწორდა, მერე სკამი გამოსწია და ჩამოჯდა.

— მე ვერ წარმოვიდგენდი თუ თქვენი მეუღლე არ იყო, აჰ, რა შესანიშნავი ქალი იყო, რა თვალები ჰქონდა, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხები! მართლა არ იყო თქვენი მეუღლე?

რეზომ გაიცინა.

ალა მოვიდა. მანაც იცნო ერზო და ღიმილით მიესალმა. რეზომ საუზმე შეუკვეთა.

— მე კი თქვენი მეუღლე მეგონა. ღმერთო, რა თვალები ჰქონდა!—თქვა ოფიციანტმა ისევ, როცა ალა წავიდა.

— მაგდა ჩემი ნათესავია! — რეზოს ხმას აშკარად აკლდა დამაჯერებლობა. მაინც ვერ გაიხსენა, რა ერქვა ამ ოფიციანტ ქალს.

— ჰო, მაგდა ერქვა. ღმერთო, რა თვალები ჰქონდა. მე კი შენი მეუღლე მეგონა. როგორ უხდებოდით ერთმანეთს. მე მგონი, თქვენზე უფროსია, არა?

— პირიქით, ერთი წლით უმცროსია ჩემზე.

— ალბათ, ღმერთო, რა თვალები ჰქონდა!

უცებ რეზო გაშტერდა. დარბაზში მაღალი, გამხდარი, მხრებში მოხრილი ბიჭი იდგა და ჩამუქებულ, დიდრონ ნაღვლიან თვალებს აცეცებდა, ვიღაცას ეძებდა.

ოფიციანტმა შეატყო, რომ რეზოს გამოხედვაში რაღაც ცვლილება მოხდა და უნებურად თვალი რეზოს მზერას გააყოლა.

— ეს ხომ ჩემი ბიჭია, გივი. იცანი, არა? — გაეხარდა ქალს.

— კი, ვიცანიო, — დაუქნია თავი რეზომ და გულზე მოეშვა, რაღაც შვება იგრძნო, თავისუფლად ამოისუნთქა.

„ღმერთო, რა შტერი ვარ“, — გაიფიქრა უკვე სავსებით დამშვიდებულმა და ისევ ბიჭს გახედა.

ბიჭმაც შეამჩნია რეზო და დედამისი. ოფიციანტი წამოდგა და შვილთან მივიდა.

ალამ საუზმე მოიტანა, რეზო ჭამდა, თან დედა-შვილს შორიდან აკვირდებოდა. ბიჭი რაღაცით უკმაყოფილო იყო და თავს ჯიუტად იქნევდა. დედამ მაგიდა დაანახა, იქ დაჯექიო. ბიჭმა თავი ისევ ჯიუტად გააქნია და წავიდა.

— ჯანდაბამდის გზა წქონია!

ეს უკვე კარგად გაიგონა რეზომ. ლუკმა ყელზე დაადგა და ყავა მოსვა.

„ნინა“, — გაახსენდა უცებ ოფიციანტი ქალის სახელი.

●

რეზო სიხარულით ცაში ფრინავდა. მაგდა დასთანხმდა, კონცერტზე წასულიყო. შავი, ზურგში საკმაოდ ამოჭრილი ძვირფასი კაბა ჩაიცვა. რეზოს არც გაუგია, რა კონცერტი იყო. ნეტარების ბურანში გახვეული მაგდას მისჩერებოდა. მაგდა გრძნობდა ვაჟის დაკვირებულ მზერას და ხანდახან ტუჩებზე ოდნავ შესამჩნევი, კმაყოფილი ღიმილი გადაურბენდა ხოლმე. მერე სახეს შეეშუხნიდა და დატუქსვის ნიშნად მარჯვენა ხელის თითს გააქნევდა, ნუ მიყურებო. რეზო მაინც უყურებდა, გრძნობდა, ეს ახლა მაგდასაც ანიჭებდა სიამოვნებას.

კონცერტის დამთავრების შემდეგ, როცა მაგდას პალტოს აცმევდა, თითები უნებურად გაჰკრა მოშიშვლებულ ზურგზე. მაგდას გაკრეჭილა და შეკრთა. ამას რეზოც მიხვდა და თითქოს გაშეშდა. მაგდა სწრაფად გამოერკვა, პალტოს ღილები შეიკრა და გასასვლელისაკენ გაემართა. რეზო უკან გაედევნა მორჩილად. გზაში ჩუმად მიდიოდნენ, არც ერთი არ არღვევდა დუმილს.

სასტუმროამდე სულ ათი წუთის სავალი იყო. რეზო იშმუშნებოდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა. მაგდა თითქოს ელოდა ვაჟის სიტყვებს. გზა კი უღმერთოდ მოკლე იყო და თითქმის მივიდნენ კიდეც.

სასტუმროს რესტორნიდან ზამთრისათვის უჩვეულო ღრიანცელი ისმოდა. დილით გერმანელი ტურისტები ჩამოვიდნენ გემით.

ბუბა ფანჯიკიძე
ბოთბრეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რესტორანში ხომ არ შევიდეთ? — გაბედა ბოლოს რეზომ.

— შევიდეთ! — ხალისით დაეთანხმა მაგდა.

სასტუმროდან კარი დაკეტილი აღმოჩნდა, ისევ ქუჩაში გავიდნენ და მთავარ შესასვლელს მიაშურეს.

— უკვე გვიანაა, შესვლა არ შეიძლება! — გადაუდგათ წინ შვეიცარი.

— ჩვენ ტურისტები ვართ! — გერმანულად უთხრა მაგდამ.

— პარდონ, მადამ! — რატომღაც ფრანგულად მოუხადა ბოდიში შვეიცარმა და ორთავეს პალტოები ჩამოართვა.

— შენ თუ გერმანული იცოდი, არ მეგონა! — უთხრა რეზომ მაგდას, როცა დარბაზში შევიდნენ.

— მართლაც რომ ვიცოდი, ჩემო კარგო! — თქვა მაგდამ, თან დარბაზი მოათვალიერა. — თავისუფალ მაგიდას რომ ვერა ვხედავ?

— აი იქ, ორკესტრის პირდაპირ მარტო ერთი კაცი უზის მაგიდას.

ორთავენი იქით გაემართნენ.

— შეიძლება? — გერმანულად ჰკითხა მაგდამ ქერა, სიმპათიური ახალგაზრდა კაცს.

— სიამოვნებით! — გაიღიმა მან.

ორივენი დასხდნენ. დუმილი ჩამოვარდა. ოფიციანტი მოსვლას აგვიანებდა. გერმანელი ყავას სვამდა. სახეზე ეტყობოდა, მათთან გამოლაპარაკება უნდოდა.

— შესანიშნავი ყავაა!—თქვა ბოლოს, როცა ყავას მორჩა და ფინჯანი მაგიდის შუაგულისაკენ მისწია.

— მართალი ბრძანდებით, აქაურები ძალიან კარგ ყავას ხარშავენ.

— როგორ, თქვენ აქაური არ ბრძანდებით?

— არა, თბილისელი ვარ.

— რაო? — ჰკითხა რეზომ.

— კარგი ყავააო.

— აბა თბილისი რატომ ახსენე? მაგდას გაეცინა.

— თქვენ სადაური ბრძანდებით? — მიუბრუნდა გერმანელს.

— მე მიუნჰენელი ვარ.

ოფიციანტი მოვიდა.

— მაგდა, სთხოვე, ამაღამ ჩვენი სტუმარი იყოს.

გერმანელმა მადლობა გადაუხადა.

— კონიაკს დალევს თუ შამპანურს?

— შამპან, შამპან! — მიხვდა გერმანელი.

რეზომ ორი ბოთლი შამპანური, ყავა და შოკოლადი შეუკვეთა, მერე სიგარეტი ამოიღო და გერმანელს გაუწოდა.

გერმანელმა მადლობა გადაუხადა და სიგარეტი თვითონ ამოიღო ჯიბიდან, ჯერ მაგდას შესთავაზა, მერე რეზოს და რაღაც თქვა.

— რაო? — ჰკითხა რეზომ მაგდას.

— სიგარეტზე მე დამეწვეთეო.

ოფიციანტმა შამპანური, ყავა და შოკოლადი მოიტანა. რეზომ ბოთლს ოსტატურად მოხადა საცობი და დაასხა.

— უთხარი, გაგვიმარჯოს-თქო, — მიუბრუნდა მაგდას რეზო და თან გერმანელს ჭიქა მიუჭახუნა.

— ამ საღამოს ცუდ ხასიათზე ვიყავი, ამხანაგთან სანაძლეო წავაგე ტირში. საერთოდ კარგად ვისვრი, მაგრამ დღეს არ გამიმართლა. ძალიან გამეხარდა, რომ თქვენ შეგხვდით,—თქვა გერმანელმა.

რეზომ ისევ დაასხა.

— აუფ ირე, ფრაუ! — თქვა გერმანელმა და რეზოს ჭიქა მიუჭახუნა.

მაგდა შეკრთა, სახეზე ალმურმა დაუარა. მიხვდა, გერმანელს იგი რეზოს ცოლი ეგონა. რეზოს არ გამოჰპარვია რაგდას შეკრთომა.

— რა თქვა? — ჰკითხა ჯიქურ.

— არაფერი, ჩემი საღღეგრძელო დალია.

გერმანელი თითქოს მიხვდა რეზოს უკმაყოფილებას და ღიმილით ჭიქა ჭიქაზე ისევ მიუჭახუნა.

— გაგიმარჯოს, მაგდა! — რეზომ ჭიქა დაცალა.

ორკესტრმა რაღაც მექსიკური მელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია დაუკრა და სქელმა მომღერალმა ქალმა ესპანურ ენაზე დაიწყო სიმღერა.

— თუ ახლა ჩვენმა სტუმარმა ესპანური იცის, მოგვეპრა თავი! — წაიბუტუტუნა რეზომ. მერე მაგდას მიუბრუნდა: — უთხარი, საქართველოს კულტურა ამ ორკესტრით არ შეაფასოთქო.

მაგდამ გადაუთარგმნა. გერმანელმა გაიცინა.

— რესტორნებში არც ჩვენში უკრავენ უკეთესი ორკესტრები.

რეზომ ისევ დაასხა შამპანური.

— ეს ჩვენს სტუმარს გაუმარჯოს.

— გმადლობთ, გმადლობთ! — მიხვდა გერმანელი.

— თქვენ ალბათ, როგორც ყველა გერმანელი, უკრავთ, არა? — ჰკითხა მაგდამ.

— ოო, არა. როცა მუსიკის სწავლის დრო მქონდა, მაშინ მთელი გერმანია ავტომატებზე უკრავდა.

მექსიკელ სიმღერას ტვისტი მოჰყვა.

— ბათუმში ერთ ოჯახში ვიყავი, — დაიწყო სიცილით გერმანელმა, — დიდი გასავალი მქონდა, როგორც უცხოელს. განსაკუთრებით ახალგაზრდებში. მაგრამ როცა გაიგეს, ტვისტს არ ვცეკვავდი, ჩემი ფასი იმათ თვალში კაპიკი გახდა. უცხოელი და ტვისტს არ ცეკვავს, ეს მართლაც წარმოუდგენელი იყო მათთვის.

მაგდამ გაიცინა.

რეზომაც გაიცინა და მეორე ბოთლიც ოსტატურად გახსნა. გერმანელმა მოწონების ნიშნად მარჯვენა ხელის ცერი ასწია მაღლა.

— ამ ჭიქით გერმანელ კომპოზიტორებს გაუმარჯოს: ბეთჰოვენს, მოცარტს, ვაგნერს, შუბერტს, შტრაუსს...

— ავსტრიელებიც ზედ მიაყოლე? — გაეღიმა მაგდას.

— ავსტრიელებიც გერმანელები არ არიან?

გერმანელი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა ხან რეზოს და ხან მაგდას.

მაგდამ გადაუთარგმნა და კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო.

— არა, ავსტრიელები არ არიან გერმანელები! — თქვა გერმანელმა, ასანთი გაჰკრა და მაგდას გაუწოდა.

— გმადლობთ, — უთხრა მაგდამ.

გერმანელმა ასანთი ჩააქრო და საფერფლეზე დაადგო.

— მაინც რა განსხვავებაა თქვენს შორის? — ჰკითხა რეზომ.

— ავსტრიელები ყოველთვის იგებდნენ ომს, გერმანელები კი აგებდნენ.

რეზომ გაიცინა და დალია. გერმანელმაც დალია. მაგდამ ოდნავ მოსვა.

— რატომ არ სვამ? — ჰკითხა რეზომ.

—მეტი აღარ შემიძლია.

— ჩემი ხათრით დალიე.

მაგდამ გაიცინა და კიდევ მოსვა.

ტურისტები მალე დაიშალნენ. გერმანელმა ერთი ჭიქა კიდევ დალია და მასპინძლებს თავაზიანად გამოემშვიდობა.

რესტორანი ერთბაშად დაცარიელდა და მაგდა შეკრთა.

— რეზო, წავიდეთ!

პასუხად რეზომ შამპანური დალია და ისევ დაისხა.

— რეზო, მეტი აღარ დალიო, წავიდეთ.

— მაგდა!

— რეზო, ვიცი რაც უნდა მითხრა და ნუ იტყვი.

— მაგდა, მიყვარხარ.

— რეზო, სისულელეებს ნუ ლაპარაკობ. წავიდეთ!

— მაგდა, მე სისულელეებს არ ვლაპარაკობ, მე შენ მიყვარხარ, მაგდა!

— თუ არ ადგები, მე წავალ! — წამოდგა მაგდა ფეხზე.

რეზო თითქოს გამოფხიზლდა.

— უკაცრავად, მაგდა, წავიდეთ.

შვეიცარს მანეთიანი ჩაუტანა რეზომ.

— გინდა ცოტა გავისეირნოთ? — ჰკითხა მაგდამ.

რეზომ თავი დაუქნია.

სანაპიროს გაუყვნენ. არც ერთი ხმას არ იღებდა. წყნარი, მთვარიანი ღამე იყო. პორტში უზარმაზარი, გაჩახჩახე-

ბული გემი იდგა. მყუდროებას მხოლოდ გემის უზარმაზარი რეპროდუქტორების ხმა არღვევდა. მერე გემზე ერთბაშად შეწყდა მუსიკის ხმა. მხოლოდ ახლა გაიგონეს სანაპიროზე პატარა ტალღების ტყლაშუნის ხმა და კენჭების ჩხრიალი.

— რეზო! — მიუბრუნდა უცებ მაგდა, — მე ახლა წავალ. არ მინდა სასტუმროში დაგვინახონ, რომ ერთად ვიყავით. შენ ცოტა მოგვიანებით შემოდი. ხვალ მთელი დღე არ მეცლება. ალბათ არც ზეგ, რეზო!

— მაგდა!

— რეზო, ნურაფერს იტყვი, გემუდარები. ვიცი, რასაც მეტყვი. არ მინდა, ლაფში ამოსვარო ყველაფერი.

მაგდა წავიდა.

რეზო დიდხანს იდგა გაშეშებული. მერე გადაწყვიტა, ისევ რესტორანში შესულიყო. დაკეტილი დახვდა. ხელი ჩაქნია და სასტუმროსაკენ გაემართა.

მაგდამ ხმაზე იცნო რეზოს ნაბიჯები და კარს აეკრა.

„ვაითუ დამიკაკუნოს, ვაითუ დამიკაკუნოს“, — მაგდას გული გახეთქვაზე ჰქონდა, დარწმუნებული არ იყო, რომ თუ რეზო დაკაკუნებდა, კარს არ გაუღებდა.

რეზომ ნაბიჯი შეაწელა და ბოლოს სულ გაჩერდა. დაღონებული კარს მიეყრდნო. მაგდას კარგად ესმოდა თავისი გული ბგაბუგი. ერთბაშად შეშინდა კიდეც, რეზომაც არ გაიგონოსო. მთ შორის მხოლოდ ექვსი სანტიმეტრის სისქის ხის კარი იყო. მხოლოდ ექვსი სანტიმეტრი აშორებდათ ერთმანეთს.

მაგდას არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო ასე. ბოლოს შეებით ამოისუნთქა — რეზო წავიდა.

მაგდა ლოგინში ჩაწვა, — თითქმის დამშვიდდა, მაგრამ რული არ ეკარებოდა. ოთახს პორტიდან წამოსული ელექტრონის შუქი ანათებდა. მაგდა პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა და ერთთავად ჭერს მისჩერებოდა.

„მაინც რა მემართება?“ — ფიქრობდა მაგდა.

იგი მიხვდა, ის მკაცრი ტონი და ირონია, რაც მეუღლის სიკვდილის შემდეგ გამოუმუშავდა, ყალბი და უნიადაგო იყო. ახალგაზრდა სხეულმა იგრძნო, რომ სითბო სწყუროდა. რეზომ ერთბაშად გატეხა მისი სიმტკიცეც. იგი ვაჟის სილამაზემ, სიკეთით აღსავსე თვალებმა და გულწრფელობამ დაიმორჩილა. მაგდას არ სჯეროდა, რომ რეზოს უყვარდა. სასაცილოდაც კი ეჩვენებოდა ასეთი რამის გაფიქრება. ერთი კი სწამდა, რეზოს ამ წუთში ნამდვილად სჯეროდა თავისი სიყვარულისა.

სკამზე დადგმული საფერფლე სიგარეტის ნამწვით აივსო. კოლოფში აღარ აღმოჩნდა მეტი სიგარეტი. მაგდამ საათს დახედა. ღამის სამი საათი იყო.

„ნუთუ ასე სწრაფად გავიდა დრო?!“ — გაიფიქრა მაგდამ და კედლისკენ გადაბრუნდა, იქნება ჩამეძინოსო.

უცებ ტელეფონმა დარეკა. მაგდა სწრაფად წამოჯდა, ყურმილს ხელი წაავლო და იმწუთში მიხვდა, რომ თავი გასცა.

— მაგდა! — მოისმა ყურმილში.

მაგდამ არაფერი უპასუხა.

— მაგდა, ხმა გამეცი, ვიცი, არ გძინავს. გესმის, ძალიან კარგად ვიცი, რომ არ გძინავს. ხმა გამეცი, ხმა გამეცი, თორემ გავგიჟდები!

მაგდა მონუსხულივით იჯდა. ტელეფონის ყურმილი დაბლა დაუშვა, მაგრამ ხმა მაინც გარკვევით ესმოდა.

— მაგდა, მე ხომ ვიცი, არ გძინავს. მითხარი და მოვალ. გესმის, მითხარი და მოვალ. მე ხომ ვიცი, რომ გინდა შენთან ვიყო. მითხარი და მოვალ!..

მაგდამ ყურმილი დაკიდა.

ტელეფონმა ისევ დარეკა. მაგდამ აპარატს ბალიში გადააფარა. დიდხანს ისმოდა ზარის ყრუ, მოგუდული ხმა. ბოლოს შეწყდა. მაგდა ისევ მარტო დარჩა.

დილით ადრე გაეღვიძა რეზოს. სწრაფად ჩაიცვა და მაგდასთან წავიდა. ნომერში დამლაგებელი ქალი დახვდა. მაგდა არსად ჩანდა.

— მაგდა სად არის? — იკითხა აკანკალებულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორი საათია ნომერი ჩაბარა. მგონი აეროდრომზე წავიდა.

ქუჩაში გიჟივით გაიჭრა და პირველივე ტაქსით აეროდრომისაკენ გაემართა. ოცი წუთის სავალი გზა საუკუნედ იქცა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა აეროპორტის შენობა. რეზომ მანქანას ხეირიანად გაჩერებაც არ აცალა, გადმოხტა და მგზავრების მოსაცდელ დარბაზში გიჟივით შეავრდა. სავარძელში მაგდას მოჰკრა თვალი. ერთბაშად დამშვიდდა. კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

გაფითრებული მაგდა ფეხზე წამოიჭრა, გადაწყვიტა თავი მაგრად დაეჭირა და რეზო უხეშად მოეშორებინა, მაგრამ, როცა მის აფორიაქებულ სახესა და აკანკალებულ ყბას შეხედა, თვალები ისევ აევსო მუდარით.

— რეზო, რა გინდა ჩემგან: რეზო, თავი დამანებე, გემუდარები, თავი დამანებე!

— შენ არსად არ წახვალ, მაგდა, შენ აქ დარჩები.

— რეზო, ვერ დავრჩები, გაიგე, ჩემი დარჩენა არ შეიძლება. მე შვიდი წლის ბიჭი მყავს, რეზო, ვერ ვუღალატებ. თუ მართლა გიყვარვარ, თავი დამანებე. ვერ დავრჩები, რეზო, ვერა!..

მაგდა დარჩა.

●

რეზო ახლა დარდობდა, იმავე ქალაქში რომ ჩამოვიდა შვებულების გასატარებლად. რეტვენოდა კიდევ თავისი ბავშვური საქციელისა, ძველებური რომანის გმირივით მაინცდამაინც იმ ოთახში რომ მოინდომა გაჩერება, სადაც მაგდა ცხოვრობდა. ახლა ოთახი რაღაც ჯიჭრო და სასაცილო ეჩვენებოდა. დამსცდარი ჭერიც უსიამოდ დაჰყურებდა ზემოდან.

საფოსტოზე წამოწვა და სიგარეტი გააბოლა. საშუშაოზე გული არ მიუდიოდა. გარეთ უკვე ბნელოდა. მოდი, გავისეირნებო, გაიფიქრა, მაგრამ შეეზარა. გაზეთი გადაშალა, ვერც გაზეთს დაუდო გული. გვერდზე მოისროლა და თავდალმა დაწვა.

ტელეფონმა დარეკა. რეზომ მაგიდა ხელით მოაჩოჩა და ყურმილს დასწვდა. დუდე იყო, მისი აქაური მეგობარი. ერთ საათში გამოგივლი და მზად დამზადდი.

— ერთ საათში, — გაიმეორა თავისთვის რეზომ, როცა ყურმილი დადო და საბანი წაიფარა.

დუდე რომ მოვიდა, რეზოს ეძინა. დუდემ დრიჭოდ დარჩენილი კარი ბრახუნით შემოაღო და სინათლე ანთო.

— რა არის, ბიჭო, გძინავს?

რეზომ თვალები დაკაჭყიტა და ზლაზვნით წამოიმართა.

— ადე, ჩქარა, ხალხი გველოდება! — ლაპარაკზე ეტყობოდა, გვარიანი ნაყლაპი იყო.

რეზოს წამოდგომა ძალზე შეეზარა, მაგრამ მიხვდა, უარი არ გაუვიდოდა და ჩაცმა დაიწყო.

— სწრაფად, სწრაფად! — უთხრა დუდემ და თვითონ ტელეფონთან მივიდა. ერთხანს სადღაც რეკა. მერე ყურმილი გაბრაზებულმა დაადგდო. — ეს თუ ტელეფონია და იმასაც ვიკითხავ!

რეზომ სარკეში ჩაიხედა და ლოყაზე ხელი აისვა.

— ახლა წვერის გაპარსვა არ დამიწყო! — შეიცხადა დუდემ.

სუფრას მთვრალი ხალხი უსხდა. რეზომ ინანა, რატომ წამოვედიო.

— გაიცანით, ჩემი მეგობარი, თბილისელი მწერალი რეზო დიასამიძე! — წარადგინა დუდემ.

რეზო მიხვდა, მისმა მწერლობამ დიდი ვერაფერი ეფექტი მოახდინა.

სუფრაზე ქათამი, მწვადი, თევზი, ყველი, წნილი და მწვანილი ერთმანეთში იყო არეული. მეინახენი შუახნის ხალხი იყო. სიმთვრალისაგან თვალები ამღვრეოდათ და ჩასისხლიანებოდათ. ზოგს ჰალსტუხები მოეშვა და მკერდი გაეღია. მაგიდის გვერდით უამრავი ცარიელი ბოთლი იდგა. სუფრა დაჩეცული ღვინითა და საწებელით იყო დასვეტილი და დასვრილი.

— ერთი მაგ მწერალს ოთხი ჭიქა და-

ბუბა ფანჯიკიძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდგიან! — ბრძანა თამადამ და კოტიტა თითებით ქათამი გახლიჩა.

რეზომ იცნო თამადა, — ამავე რესტორნის დირექტორი.

რესტორანში მათ მეტი აღარავინ დარჩა და კარი საგანგებოდ ჩაკეტნინეს.

რეზოს ოთხი ჭიქა შეუვსეს. მაინც არავინ უსმენდა, ორი სიტყვით თქვა, თქვენს წარმოთქმულ სადღეგრძელოებს გაუმარჯოსო და ოთხივე ჭიქა დაცარიელდა. უნდოდა, ღვინო მალე მოჰკიდებოდა, მეინახეთა ქონიანი და გამაძღარი სახეების დანახვაზე გული ერეოდა.

— იცოდეთ, ამ სუფრის ამბავს მე ვიხდი! — წამოიმართა ერთი დაბალ-დაბალი, ღიპიანი კაცი, თან მუცელზე მარცხენა ხელი მიიტყაპუნა. მარჯვენათი კი პიჯაკის ჯიბიდან ფული ამოიღო.

— შეინახე, თუ ძმა ხარ, ეგ ფული! — უთხრა დამცინავად ვიღაცამ. ღიპიანმა კაცმა რამდენიმე თუმნიანი მოკუბა და მუსიკოსს ესროლა. რეზომ ახლა დაინახა, რომ სუფრას გიტარაგადაკიდებული ბიჭი უჯდა.

— აბა, დაუკარი, ყვავი-ლების ქვეყანა... — დაიწყო საშინელი ხმით ღიპიანმა კაცმა, მაგრამ თამადამ შეაწყვეტინა.

— აბა შემოსწრებულს გაუმარჯოს. მწერალი კაცი ყოფილა. მწერალ კაცს რა სჯობია, შემოვა და შემოჰყვება განთლება და კულტურა.

— ვინ არის მწერალი? — იკითხა დაბალმა, ღიპიანმა კაცმა. მან ახლაღა შენიშნა რეზო და ხელი გაუწოდა. — გამარჯობა, ახალგაზრდავ, ჯორა მინდიაშვილი, — ჯერ ხელი ჩამოართვა, მერე გადაეხვია და დორბლიანი ტუჩებით ისე ჩაადონინება, რეზომ ძლიან მოიშორა.

— გაუმარჯოს შემოსწრებულს, — დაიძახა ბოლოს, ჭიქას ხელი მოჰკიდა და ღვინო შარავალზე გადაიქცია.

ვიღაცამ მარილი დააყარა.

— დამისხით! — გაიქაჩა ისევ მინდიაშვილი.

— ჯორა, მაცალე ორი სიტყვის თქმა! — გაბრაზდა თამადა.

— დამისხით, შემოსწრებულ ყაცს უნდა ვადღეგრძელო.

— გაგიმარჯოს, ბიძიკო, მაცლიან რაბეს? — ასწია წარბები თამადამ და ღვინო კინაღამ ჭიქიანად გადაყლაპა.

— სად მომიყვანო, ბიჭო! — წასჩურჩულა რეზომ დუდეს.

— აბა აქაური მწერლებთან რომ წამეყვანე, მოგალანდნენ ცარიელი ყავის სმით. ნინა, ნინა! — გასძახა უცებ ოფიციანტს.

ნინა მოვიდა და რეზოს მიესალმა.

— აჰა, შენ უკვე იცნობ ნინას?! თუმცა ნინას ვინ არ იცნობს, ეს ხომ მთელი ჩვენი თაობის კეთილი ფერიაა. ჩახედე, რა ჯიშიანი მკერდი აქვს. მაგრამ ცოც, ფეხი არ ჩაგივა. ეგ ამ რესტორნის დირექტორის გულის მესაიდუმლეა. არა, ნინოჩკა! — მიუბრუნდა ოფიციანტს და უჩქმიტა. — ვაი, რა დროს ბერდები, შე უბედურო!

ნინამ გადაიკისკისა.

ჯორა მინდიაშვილს ზეზეურად ეძინა, მაგრამ ნინას კისკისზე თვალი გაახილა და ოფიციანტს მსუქან მაჯაზე ჩაეფრინდა.

— ჯორა, გვაცალე პურის ჭამა! — გაბრაზდა თამადა და ნინას ანშნა, აქედან მოუსვიო.

ნინამ წასვლა დაპირა, მაგრამ ჯორამ არ გაუშვა.

— მე ახლა მინდა დავლიო ნინას სადღეგრძელო!

ჯორამ ცალი ხელით ჯიბიდან ხუთთუმნიანი ამოიღო, წვრილად დაგრიხა და ნინას მოღეღილ მკერდში ჩაუცურა.

— ვაი შენს პატრონს, უბედურს! — ჩაილაპარაკა თამადამ. იგი აშკარად ეშვიანობდა.

ამ დროს საშინელი ზრიალი გაისმა. შემდეგ მეორედ, მესამედ. კაცს ეგონებოდა, ყველა ფანჯრის მინა ერთად ჩაიმსხვრაო.

ერთ ხანს მაგიდაზე სიჩუმე ჩამოვარდა. მერე დირექტორი პირველი წამოხტა და გარეთ გავარდა. მას დანარჩენებიც მიყვნენ. ყველაზე ბოლოს რეზო გავიდა. სიცივემ თითქოს გამოაფხიზლა და კანკალი დააწყებინა. პირველი, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალში მოხვდა, ეს იყო ფანჯრებჩამსხვრეული და კარებჩატეხილი „ვოლგა“. დირექტორი გაშეშებული მისჩერებოდა თავის მანქანას.

— ვერ დავიჯერე, ბატონო! — მოვიდა აქოშინებული დარაჯი.

— ვინ იყო! — კბილებშუა გაცრა დირექტორმა.

— ნინას ბიჭი იყო. ცარიელი ბოთლები ამოუღია ყუთიდან და იმით დალეწა მანქანა.

ნინამ ლოყაზე იტაცა ხელი.

დირექტორმა ხმამაღლა შეიგინა, მერე ვასაღეი ერთ თანამშრომელს მისცა, მანქანა პროფილაქტორიაში წაიყვანეო და დანარჩენებს მიუბრუნდა:

— არაფერია, შევიდეთ. რა მოხდა მერე, ნუ ავიშლებით.

რეზომ შენიშნა, დირექტორს ბრაზისაგან ყბა უკანკალებდა. ნინა კუთხეში იდგა და ტიროდა.

რეზომ პალტო მონახა, უკან აღარ შებრუნებულა.

●

ხეირიანად არც კი იყო გაღვიძებული, ხელი იატაკზე მოაფთურა და ბორჯომის ბოთლი აპოვა. ბოთლი წუხელვე გაეხსნა და ბორჯომს გაზი სულ გაპარულიყო. რეზომ მოსვა და ზიზღით გადააფურთხა.

„კაპიკია ბორჯომის ფასი, თუ გაზი არა აქვს“, — დაასკვნა უცებ და ლოგინზე წამოჯდა.

თავი უხურდა. წუხანდელი ამბები ბუნდოვნად ახსოვდა. მხოლოდ დალეწილი „ვოლგა“ ედგა თვალწინ და პატარა ბიჭის შეშინებული ლანდი, სანაპიროზე რომ გარბოდა.

პირი დაიბანა, სწრაფად ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა. უსიამო ამინდი იყო. ცივი ნიავი უბერავდა. მზე ისევ ჩახჩახებდა, მაგრამ ცაზე დასალიერისაკენ უკვე დიდრონი ღრუბლები მიისწრაფოდნენ, მძიმე ღრუბლებს ტყვიისფერი გადაჰკრავდა.

რეზო სანაპიროს გაუყვა. რესტორანში შესვლა აღარ უნდოდა, სადმე კაფეს წავაწყდები და იქ ვისაუზმებო, — გადაწყვიტა.

უცებ იმ საშინელმა გრძნობამ შეიპყრო, პირველ დღეს რომ დაემართა. მოეჩვენა, ვიღაც უჩინრად დასდევდა და უთვალთვალებდა. უკან მოიხედა, რატომღაც ეგონა, გამხდარი, მხრებში მოხრილი ბიჭის ჩამოქცეულ, ნაღვლიან თვალებს წავაწყდებიო. არავინ იყო. გრძელ მერხზე ჩამოჯდა.

კოშმარივით აგონდებოდა, ხრინწიანმა, ჩასუქებულმა კაცებმა როგორ მიაყენეს შეურაცხყოფა პატარა ბიჭის ფაქიზ თავმოყვარეობას. არა, მარტო იმ ქონიანმა პიროტყვებმა კი არა, თვითონაც, თვითონ რეზო დიასამიძემაც.

რეზო ცდილობდა ფიქრი თავიდან ამოეგდო. გრძნობდა, გონებაში რაღაც საშინელი აზრი მწიფდებოდა. არ უნდოდა ამ აზრს დასრულებული სახე მიეღო. მაგრამ ტალღასავით მომდგარი აზრის გაჩერება მას აღარ შეეძლო. რატომღაც ცდილობდა, წარმოედგინა მაგდას პატარა ბიჭუნას სახე, რომელსაც ამ ორი წლის წინათ უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა, ბიჭუნას, რომელსაც, ალბათ, ვერასოდეს ვერ ნახავდა.

ცივმა ნიავმა დაუბერა, თითქოს ელექტროქსელში ძაბვა დავარდაო, ისე ერთბაშად იკლო სინათლემ. რეზომ მაღლა აიხედა. უზარმაზარი ღრუბელი მზეს უახლოვდებოდა.

●

ზაფხულის ცხელი საღამო იყო.

რეზო და მისი ძმა ზღვაში შეცურდნენ. დიდხანს იცურეს. წინ რეზო მიდიოდა, ძმა უკან მისდევდა. კარგა ხანს იცურეს. პირველად ძმამ მიიხედა უკან. სანაპირო თითქმის აღარ ჩანდა. მერე რეზოს გახედა. იგი ისევ უკანმოუხედავად მიცურავდა. თვითონაც ჩაყვინთა და რეზოს „კროლიით“ წამოეწია.

— რეზო, გეყოფა! — მიაძახა.

რეზოს არ გაუგონია ძმის ძახილი. იგი ისევ წინ მიიწევდა. ძმა ერთხანს კიდევ მიჰყვა, უჭირდა სწრაფად ცურვა. მერე უკან მიიხედა, შიში მოერია.

გურამ ფანჯიკიძე
მოთხრობები

— რეზო, გეყოფა! — დაიძახა მთელი ხმით.

რეზოს წყლის დგაფუნში ჩაესმა ძმის ყვირილი.

— რა გინდა! — შეჩერდა იგი.

— უკვე შორსა ვართ, დაბრუნდეთ.

რეზომ ნაპირს გახედა.

— ცოტაც წავიდეთ.

ძმა ისევ მიჰყვა, მაგრამ გული შიშით ეკუმშებოდა. უცებ თითქოს ერთბაშად ჩამობნელდა, მზეს შავი ღრუბელი გადაეფარა. ზღვა გაშავდა. კი არ გაშავდა, ტალახისფერი გახდა. სადღაც გაქრა მისი კრიალი, გამქვირვალე ლურჯი ფერი. ძმამ შიში ვეღარ დაიოკა.

— რეზოო! — დაიყვირა მთელი ხმით.

რეზომ გაიგონა და უცებ ეშმაკური აზრი დაებადა: მოდი, ვითომ კრუნჩხვა დამემართა და ვიხრჩობი, აბა რა ეშმაკი ჩემი ძმაო.

უმალვე უარყო — შეეშინდა, ძმა არ დაეკარგა.

●

რეზომ მოულოდნელად გადაწყვიტა თბილისში წასულიყო. ფეხზე წამოდგა. თბილისში წასვლის სურვილი ერთბაშად დაეუფლა და თითქოს შვება იგრძნო. საუზმეს აეროპორტში მოვასწრებო, გაიფიქრა და სასტუმროსაკენ გაემართა. თითქოს ვიღაცას გაურბოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის გაასწრებდა. თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა, აეროპორტში მალე მისულიყო და თბილისისაკენ მიმავალ პირველივე თვითმფრინავს გაჰყოლოდა.

აგვისტოს ცხელი დღე

ოთარ სირაძემ დამოწმებული მივლინების ბარათი ჯიბეში ჩაიდო და ავტობუსების სადგურს მიაშურა. სადგურზე ხალხი ირეოდა. ავტობუსები კი არსად ჩანდა. მარტო ერთი პატარა ავტობუსი იდგა ამბროლაურისაკენ მიმავალი. ავტობუსი ხალხით იყო გაჭედილი. ოთარმა რატომღაც ერთბაშად გადაწყვიტა, მოდი, რაც იქნება იქნება, წავალ ამბროლაურში და იქიდან სოფელში ავიბარგნო. ჩვიდმეტი წელი იყო, იქით პირი არ ექნა. ავტობუსი დაძვრას აპირებდა. ოთარსაც ბევრი ალარ უფიქრია, კარი გამოაღო და თავის ვეება ტყავის ჩანთიანად ძლივს შევიდა. ავტობუსი დაიძრა. ოთარმა იმავე წუთში ინანა, ამბროლაურამდე ასე სული გამძვრება, მაინც რა ეშმაკი შემოჯდა თავშიო.

— ცოტაც გაუძელით, ერწოს გადასასვლელთან ბევრნი ჩავლენ, — ანუგეშებდა ფეხზე მდგომთ შოფერი.

კვაისა უკან დარჩა. ოთარი ერთთავად ოფლში ცურავდა. ერწოში მართლაც ჩავიდა ხალხი და ოთარმა უკანასკნელ რიგში ძლივს იშოვა დასაჯდომი ადგილი.

— ნელა, შვილო, ქათმები არ დამიჭყლიტო, — წაავლო მუხლებზე ხელი მოხუცმა ქალმა.

ოთარმა ძირს დაიხედა და ფეხებშეკრული ინკუბატორის თეთრი ქათმები დაინახა. დასიცხულ ქათმებს პირი დაეღოთ და ძლივს სუნთქავდნენ. როგორც იქნა, ფეხები ფრთხილად შეაცურა ქათმებს ქვემოთ, გაჭირვებით ჩამოჯდა, ჩანთა მუხლებზე დაიდო და კისერი წაიგრძელა, რადგან უკანიდან ვიღაცის უზარმაზარი ხის ჩემოდანი ებჯინებოდა.

— ჯერ ისევ დილაა და როგორ ცხელა ეს უპატრონო! — თქვა ვიღაცამ.

— დასწვავს და დახრაკავს ყველაფერს! — შეაშველა მაღალმა, ჩიყვანმა კაცმა.

„ახია ჩემზე, ვერ წავედი თბილისში!“ — ბრაზობდა ოფლში გაწურწული ოთარი.

პირველი საათი იქნებოდა, როცა ავტობუსმა რიონის ხიდი უკან მოიტოვა და ამბროლაურში შევიდა. ოთარი ფანჯრიდან ხალხს თვალიერებდა, ამა ვინმე ნაცნობს თუ დავინახავო. ვერავინ შე-

ამჩნია. მალე სასტუმროც გამოჩნდა. იგი ზუსტად ისეთივე იყო, როგორც ამ ჩვიდმეტი წლის წინათ, მერცხლის სკორეთი დასვრილი წარწერა და ქვემოთ, სასადილოს შესასვლელთან, მომწვანო ქაღალდზე წითელი ფანქრით თუ საღებავით დაწერილი კინო-აფიშა.

ავტობუსმა პატარა მოედანს ქაქანით შემოუარა და გაჩერდა. შოფერი პირველი გადახტა და ძრავს ხუფი ახადა. ამოვარდნილმა ორთქლმა კინაღამ სახე დასწვა.

— რამ აგადუღა, შე უპატრონო! — დაიღრინა შოფერმა. რადიატორს საცობი ფრთხილად მოხსნა, მაგრამ მაინც დაეწვა ხელი და გულმოსულმა ჰაერში გასასვლავა.

აგვისტო იდგა. სიცხისაგან ფოთლები დახრუკულიყო.

ოთარი ავტობუსიდან ყველაზე გვიან ჩამოვიდა; სკამიდან ვერ წამოდგა, სანამ ჩემოდანი და ქათმები არ მოაცილეს. როცა წამოიმართა, სიმწრისაგან კინაღამ შეჰყვირა, ფეხი დაბუეებოდა. იქვე ჩაჯდა და ფეხი გამართა. მერე ბარძაყზე ხელისგულები მოიტყაპუნა, რომ სისხლი აემძრავებინა.

ავტობუსიდან კოჟლობით გადმოვიდა, მიმოიხედა. ავტობუსების მომლოდინე ხალხი პატარა ხის ქვეშ იყო შეყუჟული. ისმოდა ქათმების კრიახი და გოჭების ჭყვიტინი. კიდევ კარგი, ნაცნობი არავინ შემხვდაო, დამშვიდდა ოთარი და მტვერში ამოგანგლული შარვალი დაიბერტყა. მერე ცხვირსახოცი ამოიღო, გაოფლილი სახე და კისერი შეიმშრალა. თეთრი ცხვირსახოცი ერთბაშად გაშავდა. ოთარი გულმოსული დაეჩერდა ცხვირსახოცს.

„ვერ წავეთრიე თბილისში!“ — კინაღამ ხმამაღლა იყვირა და ჩანთას ხელი წამოავლო.

„კიდევ კარგი, ნაცნობი არავინ შემხვდა! — გაიფიქრა ისევ და წასვლა დაუპირა, — კი მაგრამ სად წავიდე?“ — თითქოს ერთბაშად გაახსენდა ოთარს.

ბებია დიდი ხნის წინ მოუკვდა, სოფელში ბიცოლას მეტი არავინ ეგულებოდა. სხვას ხომ არავის მიადგებოდა სახლში. ბიცოლასთან მისვლას კი **სიკვდილი** ერჩია. იმავე წუთში გაახსენდა, ომის დროს ძირს ჩამოცვენილი **ვაშლის** ჭამას როგორ უშლიდა. ისიც **გაახსენდა**, ვენახის სარით ბებიამისს ძროხა როგორ გაულახა.

ამ ფიქრში იყო, როცა ვიღაცის ხმა ჩაესმა ყურში:

— უფროსო, წამოგიღებ ჩემოდანს!

მოიხედა, მთელს რაიონში ცნობილი გადარეული ანგია შერჩა ხელში.

„რაღა ეს გიჟი შემხვდა პირველი“.— გაიფიქრა ოთარმა. მერე ერთბაშად შეშინდა, ვაითუ მიცნოსო და მჭკახედ უთხრა...

— აბა, მოუსვი აქედან!

— ბოდიში, უფროსო! — გველნაკბენივით მოშორდა ანგია.

ოთარმა იმავე წუთში ინანა თავისი საქციელი. გაახსენდა, ომის დროს როგორ ახარა ანგიამ მამის ფრონტიდან ჩამოსვლის ამბავი. ორმოცდასამი წელი იყო, ზამთარი. ოთარი სახლს უკან, პატარა ფერდობზე ცოგით ცურაობდა. ჰოულოდნელად ყვირილი შემოესმა: ოლლა, ოლლა, ლადიმერა ჩამოვიდაო. გულგახეთქილმა ბებიამ კალოშების ტყაპატყუპით ჩაირბინა კიბე და ჭიშკრისკენ გაიქცა. ჭიშკრამდე მისულიც არ იყო, რომ ეზოში მთლად გაოფლილი, დაღლილობისაგან სუნთქვაშეკრული ანგია შემოვარდა.

— ოლლა, სამახარობლო, შვილი ჩამოგვიდა, შვილი!

ბებიამ წითელი სამთუმნიანი მისცა სამახარობლოდ. უხადიც დაალევინა.

ოთარს ხასიათი სულ გაეფუჭდა. დაიბნა, აღარ იცოდა, სად წასულიყო. უნებურად სასტუმროსკენ გაემართა. უცებ ხალხის სიცილი და ღორის ჭყვირილი მოესმა. მოიხედა, დაინახა ტომარა მორბოდა. ტომარაში ღორი იყო გამომწყვდეული. ანგია ტომარას გამოეკიდა, დაეწია და ზემოდან დააცხრა. ღორმა სამნენელი ჭყვირილი მორთო.

— რა ქენი, ბოშო, ფეხი ხომ არ

გურამ ფანჯიკიძე
ეოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსტეხე! — მივარდა შუბლზე თავსაფარშემოკრული ქალი.

ოთარმა ფეხს აუჭქარა. სასტუმროსთან ოცი ტაქსი მაინც იდგა. შოფრებს თავი ერთად მოეყარათ და ლაპარაკობდნენ. ზოგს მანქანის კარი გამოეღო და ზედ იდაყვით იყო დაყრდნობილი. ოთარი დაინახეს თუ არა, გაჩუმდნენ. უცნობს მიაჩერდნენ. ოთარი შეშინდა, ვაითუ შოფრებს შორის რომელიმე ჩემი ამხანაგია და მიცნოსო; ისეთი ხასიათზე იყო, კაცი შვილთან ლაპარაკი არ უნდოდა. ასე მტვერში ამოგანგლული რომ ვინმემ მნახოს, თავი მომეჭრებაო და უნებურად ხაკისფერი პაგონებიანი ხალათი შეინაწორა. სასტუმროსთან კი მივიდა, მაგრამ ახლა აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა. არადა, ოცი შოფრის ოცი წყვილი თვალი დაყინებით მისჩერებოდა უცხო ადამიანს. ოცი ადამიანის მოწყურებული ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებას ელოდა.

ოთარმა ჩანთა ძირს დადო და, ვითომც აქ არაფერიაო, ჯიბიდან სიგარეტი დინჯად ამოიღო, მერე კვეესით მოუკიდა და ღრმა ნაფასი დაარტყა. კვეესი ასევე დინჯად ჩაიგდო ჯიბეში და ჩანთას ნელა დასწვდა. გზა დინჯად გააგრძელა. ცაცხვის ძირას კოსტუმებში გამოწყობილი და ჰალსტუხებით გამოყრონჭილი ბიჭები დაინახა. მათ მაგივრად ოთარს დასცხა.

ახლა უკვე აღარ ამცდება ნაცნობიო, — უსაამოდ გააჟრჟოლა ტანში, მაგრამ უკან დაბრუნება აღარ შეეძლებოდა. ბედად, მოშორებით გაზეთების კიოსკი დაინახა. შვება იგრძნო და კიოსკთან მივიდა, თითქოს მართლა იქითკენ აპირებდა წასვლას.

ბიჭებმაც შეწყვიტეს ლაპარაკი და ოთარს მიაჩერდნენ.

„მადლობა ღმერთს, გადავრჩი, ვერავინ მიცნო“, — შვებით ამოისუნთქა და კიოსკთან მივიდა.

— ახალი გაზეთები მომეცით! — თქვა უდარდელი ხმით და ჭრელხალათიან ქალს მანეთიანი გაუწოდა.

— გაზეთები, ბატონო, არც ახალი გვაქვს და არც ძველი. სამი დღეა, ფოსტა არ ყოფილა.

— აბა ჟურნალი მომეცი რამე!

ადამისდროინდელი „ოგონიოკი“ იყიდა. შემობრუნდა, ცოტა მოშორებით დადგა და ჟურნალი გადაფურცლა. ვითომ კითხულობდა, სინამდვილეში კი ფიქრი ტვინს უბურღავდა, ახლა რა გავაკეთოო. სოფელში ასკლა გადაიფიქრა, რა აზრი აქვს, ვისთან უნდა მივიდეო. გავალ სხარტულას ხიდზე და გავიხედავ, იქიდანაც კარგად მოჩანს ჩემი სოფელი, მერე იქნებ რამეს ჩავუჯდე და წავალ თბილისშიო.

საშინელი შიშილი იგრძნო. შიმშილი და წყურვილი.

უცვნ სიმდერა შემოესმა.

„რერო, გოგნა კოკროშვინაო, რერო...“

გაიხედა. ანგია მოდიოდა სიმღერით. ვიღაც შოფერმა პანღური ამოსცხო. ბიჭები სიცილით ჩაბერეულნენ.

— ამ უთენია სად გასცდი, შე უპატრონო! — დაუძახა ვიღაცამ.

ბიჭებმა ისევ გაიცინეს და თან ოთარისკენ გამოიხედეს, უნდოდათ, უცხო კაცის ყურადღება მიეპყრთო.

—არ გამითენდეს ხვალინდელი დილა, თუ წვეთი მქონდეს დალეული. — გაიღრიჭა ანგია.

— აბა ამ სიცხეში რა გამღერებს, შე უპატრონო! — უთხრა ერთმა, — მოდი აქ!

ანგიამ იგრძნო, ბიჭებს ალაში ჰყავდათ და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

— ენაზე შემცივდა, თუთუნი დამალევინე! — უთხრა ერთ მაღალ, მხრებში მოხრილ ბიჭს და შავი კოსტუმის ჯიბეზე ხელი მოუთათუნა.

— გასწი ეგ მწვირიანი ხელი იქით! — იყვირა ბიჭმა და ზიზღით უკან დაიხია, თან პიჯაკის ის მხარე ჩაფერთხა, სადაც ანგიამ მოუთათუნა ხელი.

ამ დროს ერთი ჩასუქებული ბიჭი უკანიდან წამოეპარა, ცალი ხელი კისერში ჩაავლო, მეორე — შარვალში და ასე არბენინა წინ და უკან საცოდავი, სანამ თვითონ არ გასძვრა სიჭა. მერე წიხლი მიაყოლა, ხელისგულები ერთმანეთს შემოჰკრა, თითქოს მტვერს იშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებსო და სიცილით ბიჭებთან მივიდა.

ანგია ოფლში ცურავდა და მძიმედ სუნთქავდა. იცოდა, სანამ ბიჭები სიცილით გულს არ იჯერებდნენ, ვერსად გაიქცეოდა.

— დამალეკინეთ ახლა თუთუნი! — გაიმეორა საცოდავი ხმით ანგიამ. თითქოს ამბობდა, ხომ იცინეთ, გეყოფათ ახლაო.

მხრებში მოხრილმა ბიჭმა პიჯაკის ჯიბიდან „ყაზბეგი“ ამოიღო და ერთი ცალი პაპიროსი ისე გადაუგდო, რომ ანგიას ვერ დაეჭირა. ანგია სასაცილოდ გაიწელა, მაგრამ პაპიროსი ვერ დაიჭირა. მტვერში გაგორებულ პაპიროსს თვალი გააყოლა, მერე ასადებად დაიხარა. ამ დროს ერთი ბიჭი ფეხის წვერებზე წამოეპარა და წიხლი ამოჰკრა. წელში მოკეცილმა ანგიამ თავი ველარ შეიკავა, ქუჩა გადაჭრა და გაზონებში თავით გაერჭო.

ბიჭები ისევ ჩაბეჭერდნენ.

ოთარი მიხვდა, სანამ არ წავიდოდა, ბიჭები არ მოეშვებოდნენ ანგიას. ჟურნალი გაკეცა, ტყავის ჩანთას დასწვდა და სასადილოსკენ გაემართა. ბიჭები გაჩუმდნენ და თვალი გააყოლეს.

სასადილო სასტუმროს ქვეშ იყო მოთავსებული. მაგიდების თავზე ბუზის საკერი წებოიანი ქაღალდები ეკიდა.

ოთარმა ბუზებს ჟურნალი აუქნია. ბუზები აფრინდნენ, მაგრამ ისევ მაგიდაზე დასხდნენ. ოთარმა ისევ აუქნია ჟურნალი.

— ტყუილა იღლები, ბატონო, არაფერი გამოგივა! — დაამშვიდა ოფიციანტმა.

ოთარმა სადილი შეუკვეთა. მერე სკამი ისე შეაბრუნა, რომ ფანჯრიდან თავისი სოფელი დაენახა. ფერდზე შეფენილი კოხტა ოდები მართლაც კარგად მოჩანდა ფანჯრიდან.

ჩვიდმეტი წლის შემდეგ ისევ ხედავდა იმ სოფელს, სადაც ბავშვობა და ომის საშინელი-წლები გაატარა. ყურადღებით გასცქეროდა, თუმცა არაფერს კი არ ფიქრობდა. მის გონებაში მხოლოდ ერთი აზრი ბრუნავდა ელექტრომრიცხველის სანახევროდ წითლად შეღებული რგოლიანთ: — „რომ მოვდიოდი, მაინც ვისთან მოვდიოდი! ვჭამ ახლა საჭმელს და რამეს გავყვები თბილისისკენ მიმავალს. ვისთან მივიდე, მელოდება ვინმე? შეიძლება ვერც კი მიცნონ. ბიცოლაჩემი ომის დროს არ მაჭმევდა დამპალ ვაშლს და ახლა გაუხარდება ჩემი სტუმრობა?“ — ისევ სიგარეტი ამოიღო.

ოფიციანტმა საჭმელი მოუტანა.

— თბილისში წავა რამე, თუ იცი? — ჰკითხა ოთარმა.

— ავტობუსი გავა სალამოს.

— ფრენა არ იქნება?

ოფიციანტმა ფანჯრიდან ცას გახედა.

— წესით უნდა მოფრინდეს თვითმფრინავი, მაგრამ მაგის იმედზე ჩემი მტერი იქნა. ტაქსებიც მიდიან, ბატონო.

— ტაქსები ვიცი რომ მიდიან.

ოფიციანტს აღარაფერი უთქვამს, ისე წავიდა. ოთარი მიხვდა, ოფიციანტის თვალში ფასი დაკარგა. თბილისელს, რომელსაც თბილისამდე ტაქსი ვერ აუყვანია, აქ მაინცდამაინც როდი სცემენ დიდ პატივს.

ოთარი ჭამდა და თან ფანჯრიდან თავისი სოფლისაკენ იცქირებოდა. სოფელი სულ ახლოს იყო, კილომეტრ-ნახევარზე.

„მაინც რამოდენა თოვლი მოდიოდა ომის დროს ზამთარში, ახლა ნამდვილად შეიცვალა ჰავა“.—მოაგონდა რატომღაც ოთარს და გაეღიმა. გაახსენდა, ჩზიკვებს როგორ უგებდა ცხენის ძუის მახეს.

კარის ხმამ გამოაფხიზლა. დარბაზში ანგია შემოვიდა.

— გამარჯობა, ამბაკო შენი! — მივიდა მეზუფეტესთან.

ამბაკო კიტრსა ჭრიდა. ანგიას პასუხი არ გასცა. თავიც კი არ აუწევია მაღლა.

— გამარჯობა, ამბაკო შენი! — გაუმეორა ანგიამ.

ბურაბ ფანჯიკიძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ მარტო მაგის სათქმელად არ მოხვედოდი!

— ა, შენ ფული და დამისხი ღვინო! — ანგამ დახლზე რკინის ორი ათკაპიკიანი დაადგო.

— ოცკაპიკიანი ღვინო ჯერ არ ჩამოუსხია ჩვენს ქარხანას! — უთხრა ამბაკომ, დახლს დანა მოუსვა და ათკაპიკიანები იატაკზე გადაყარა, თვითონ დინჯად შებერუნდა და კიტრით სავსე ჯამი მაცივარში შედგა.

ანგამ ჯერ იატაკზე გაგორებულ ორ ათკაპიკიანს გააყოლა თვალი. როცა შეიგულა, სადაც გაჩერდნენ, ერთბაშად გაფიცხდა.

— რა მიუსაჯეს შენს მყრალ დირექტორს, თუ იცი! — იყვირა ხმამაღლა.

— მომწყდი თავიდან!

— რა მიუსაჯეს შენს დირექტორს, თუ იცი? — ჩაეკითხა დამცინავად ანგია.

— გაეთრიე აქედან, სანამ ცოცხალი ხარ!

— ნუ გეშინია, თქვი, რა მიუსაჯეს შენს დირექტორს!

— რა მიუსაჯეს და სამი წელი იძულებითი, ფეხები ვერ მოჭამეს ძირზე.

— მართალი ხარ, ერთი წელი ნაღდი რომ მიეცათ, ისა სჯობდა! — სინანულით თქვა ანგამ, ათკაპიკიანები აკრიფა და კარისკენ გაემართა.

— ანგია! — დაუძახა მოულოდნელად ოთარმა. თვითონაც გაუკვირდა, რატომ დაეუძახეო.

ანგია შეჩერდა, არ იცოდა, რა ექნა.

გაკვირვებული ამბაკოც უცნობ ჭაბუკს მიაჩერდა.

— მოდი აქ! — იხტიბარი აღარ კაიტეხა ოთარმა.

ანგია მივიდა, ოთარმა სკამი შესთავაზა და ოფიციანტი მოიხმო.

— რას შეჭამ?

ანგიამ არაფერი უპასუხა, ჯერ ოთარს შეხედა, მერე ოფიციანტს, მერე ისევ ოთარს!

— ხარჩოს შეჭამ? — გაუმეორა კითხვა ოთარმა.

— ხარჩოს კი არა, ყანგიან ბოქლომებს შევჭამ, უფროსო! — გაიღიმა ანგიამ.

— მოუტანე ერთი ხარჩო და ერთი ბოთლი ღვინო, მწკადიც შეუწვით.

ანგია ოთარს დააკვირდა, უცად თვალები გაუბრწყინდა და სკამიდან წამოიჭრა.

— ლადიმერას ბიჭი არა ხარ შენ?

— ვინაა ლადიმერა? — განგებ გაიცინა ოთარმა, თან გულს შემოეყარა, მიცნო ამ დამთხვეულმაო.

— ლადიმერა სირაძის ბიჭი არ ხარ შენ, ოთარი? — დაეზუტცა ანგიამ.

— არ მეტყვი მაინც, ვინ არის ლადიმერა სირაძე? — ისევ იკითხა ოთარმა, ოღონდ ხმაში ძველებური დამაჯერებლობა აკლდა.

— ბოდიში, უფროსო, შეკცდი.

ოფიციანტმა ღვინო და ხარჩო მოიტანა. ანგიამ ბოთლს ხელი წაავლო და ოთარის ჭიქისკენ აქნევინა პირი. ოთარმა ჭიქას ხელი დაადაფარა, არ დამისხაო. ანგიას სახეზე გოცება გამოეხატა და თავისი ჭიქა პირამდე გაავსო. ოთარმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, კოლოფს ქვემოდან **ცერი ამოარტყა და სიგარეტს** პირით დასწვდა. ის იყო, კოლოფი ჯიბისაკენ უნდა წაეღო, რომ გაახსენდა, ანგია წელან პაპიროსს თხოულობდაო და სიგარეტი გაუწოდა. ანგიამ კოლოფი გამოართვა და ხარბად დახედა.

— სადაურია, უფროსო!

— გქონდეს სულ შენ. — უთხრა პასუხად ოთარმა.

ანგიამ სიგარეტი ჯიბისკენ გააქანა. ოთარი აბოლებდა და თან ანგიას მისჩერებოდა. ანგია ხარბად ჭამდა. ორმოცდახუთი წლისა მაინც იქნებოდა, თუმცა გაცილებით მეტის შეხედულება ჰქონდა. სანახევროდ გაცვეთილი წითური თმა გაბურძგვნოდა, მოუპარსავ წვერსა და კისერში მწვირი ღრმად ჰქონდა ჩამჯდარი. ტანზე ოფლისა და ჭუჭყის სუნი ასდიოდა.

ოთარს მისი ცქერა შეზიზღდა და საჭმელზე პირი აღარ დაუკარებია.

ანგიამ ხარჩო რომ დიხვრიპა, ღვინო მერე გაახსენდა. გაგვიმარჯოსო, თქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორი ჭიქა ზედიზედ დალია. თვალები ერთბაშად აუწყლიანდა, ღვინო მოეკიდა. ჭიქა ისევ გაიცალა და მწვადის ძოლოდინში გაინაბა. ოფიციანტმა მწვადი მოიტანა, ანგიამ მაგიდაზე ხეირიანად დადება არ აცალა, მწვადს ხელი წაატანა ხარბად და ყვითელი, ჩამტვრეული კბილებით დაუწყო ღეჭვა.

ოთარს მისი ცქერა აღარ შეეძლო, ფეხზე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ისევე თავის სოფელს გახედა. ერთხანს ასე იდგა. როცა შემობრუნდა, ანგიას ანთებულ თვალებს წააწყდა.

— ლადმერას ბიჭი ხარ შენ! — უთხრა მტკიცედ ანგიამ.

ოთარმა უარის ნიშნად თავი გააქნია, მაგრამ იმავე წუთში გაიფიქრა, ვიცოდე, მაინც რატომ ვიტყუებიო.

— კი, ნამდვილად ლადმერა სირაძის ბიჭი ხარ, ოთარი. გაფიცებ დედას, ხომ ვარ მართალი.

— მართალი ხარო, — თავი დაუქნია ოთარმა.

— იმ წუთში მივხვდი. — გაუბრწყინდა თვალები ანგიას, — რავარც დაგინახე, იმ წუთში მივხვდი. გაფიცებ დედას, ხომ მიგხვდი იმ წუთში! ა, თუ კაცი ვარ, მივხვდი თუ არა, რავარც დაგინახე!

ოთარმა თანხმობის ნიშნად ისევ დაუქნია თავი.

— რამდენი წელი იქნება, არ მინახიხარ, ასე ოცდახუთი წელი ხომ იქნება, — ცოტა გადაამტა ანგიამ, — დაგინახე თუ არა, გიცანი. გულში ვთქვი. ეს თუ ლადმერა სირაძის ბიჭი არ იყოს, კისერს მოვიჭრი-მეთქი.

ანგია სიხარულით ცმუტავდა, იდგილზე ვეღარ ისვენებდა.

„რა უხარია, ამ უპატრონოს, — ფიქრობდა ოთარი, — დავიჯერო, ასე გაუხარდა ჩემი ნახვა? მე მგონი, რომ მიცნო ის უხარია, ერთ ბოთლ ღვინოს კიდევ ვუყიდი და ვეწევი ახლა ჩემს გზას“.

მაგრამ ოთარმა უცებ შეცვალა გადაწყვეტილება.

— ბებიაჩემის საფლავი იცი სადაა?

— როგორ არ ვიცი. საწყალი, კარგი ქალი იყო ოლღა.

ოთარმა ოფიციანტს ხელით ანიშნა, ანგარიშიო.

— რვა მანეთი, ბატონო.

ოთარმა ფული მაგიდაზე დაადო, ჩანთას ხელი დაავლო და ანგიას უთხრა:

— ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, წამომყევი, ბებიაჩემის საფლავი მაჩვენე!

სასადილოდან რომ გამოვიდნენ, ოცი შოფრის ოცი წყვილი თვალი ისევ მიაჩერდა ოთარს. ანგია ჩანთაზე ეპოტინებოდა, წამოგიღებო, მაგრამ ოთარი არ ანებებდა.

— მოეშვი, ბიჭო, მაგ პატიოსან კაცს! — გადმოუტრიალა ჩასისხლიანებული თვალები ვიღაც ჩასუქებულმა კაცმა.

ოთარმა თვალით ანიშნა, ჯანდაბას ამის თავიო და ტაქსტთან მივიდა. ჩანთა წინ დადო, შოფრის გვერდით. მერე უკანა კარი დინჯად გამოაღო და ჯერ ანგია შეუშვა. შოფრებმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ ანგიას უცნობის ხათრით ვერაფერი გაუბედეს.

— ერუბანში წავიდეთ, — მოკლედ მოუთა ოთარმა.

მანქანა დაიძრა. ანგიას ფანჯრიდან ჭქონდა თავი გადაყოფილი და სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა. უნდოდა, ყველას დაენახა, რომ ტაქსში იჯდა. ხიდზე ქალიშვილებს მოჰკრა თვალი.

— რერო, გოგონა კოკოროჭინაო, რერო... — წამოიწყო ანგიამ, მაგრამ ოთარმა ხელი მოავლო და თვალებში ისე ჩახედა, რომ საცოდავს ენა ჩაუვარდა.

ომის დროს მართლაც დიდი თოვლი მოდიოდა ყველგან. ოთარი ვერ მიმხვდარიყო თოვლს რა კავშირი ჰქონდა ომთან. სახლებს დღეში ორჯერ თოვლავდნენ. მაინც რა ტკბილი იყო ბუ-

გურამ ფანჯიკიძე
მოთხრობები

ხართან ჩაძინება, ოდნავ მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდებოდა, ბებია რომ სპილენძის ტაშტში ჩააყოფინებდა ფეხებს. მერე ზურგზე მოიკიდებდა და ისე მიიყვანდა ლოგინამდე. ათასგვარი ნაჭრებით დაკერებული საბანს კარგად ამოუგებდა, პირჯვარს გადასახავდა, შუბლზე აკოცებდა და რაღაცა ლოცვას ჩაიბუტბუტებდა.

გული დასწყდა, რომ ბებიას დასაფლავებას ვერ დაესწრო, მაშინ რუსეთში იყო პრაქტიკაზე. მამამისმა წერილში მოსწერა, ბებიაშენი გარდაიცვალა და წინა კვირას დავასაფლავეთო. სახეზე ალმური მოედო, გაახსენდა, იმ დღეს, ბიჭებთან ერთად რომ წავიდა კინოში.

— ერუბანში ვისთან მიდიხართ? — დაარღვია დუმილი შოფერმა.

— სასაფლაოზე მინდა ავიდე.

შოფერი გაოცდა და უცნობი სხვა თვალით გაზომა.

— ოთარია სირაძე, ლადიმერას ბიჭი, ვერ იცანი? — ჰკითხა შოფერს ანგიამ.

— რას მელაპარაკები! აბა რაღას ვიცნობდი, თხუთმეტი წელი ხომ მაინც იქნება, არ მინახია.

— მე, დავინახე თუ არა, ვიცანი! — გაიღრიჭა ანგია.

— ოღლას საფლავზე მიდიხართ? —

— ჰო, — მოკლედ მოჭრა ოთარმა და თან შოფერს დააკვირდა, ნეტავ ვინ უნდა იყოსო.

— საწყალი, კარგი ქალი იყო ოღლა, — თქვა შოფერმა და თავი ფანჯარაში გაჰყო. მეტი ხმა აღარ ამოუღია, არც ის უთქვამს, თვითონ ვინ იყო.

„ბოლომდე ალბათ იმიტომ აღარ გამომეცნაურა, მერე ფულს ვეღარ გამოვართმევო“, — გაიფიქრა ოთარმა.

მანქანა ძლივს მიდიოდა დანჯღრეულ გზაზე.

უცებ თვითმფრინავის გუგუნი გაისმა.

— მოფრინდა, როგორც იქნა! — ჩაილაპარაკა შოფერმა.

— მალე წავა? — აწრიალდა ოთარი.

— ერთ საათში გაბრუნდება უკან.

ოთარმა საათს დახედა, აღარ იცოდა რა ექნა. უკან დაბრუნება ეუხერხულებოდა. ვინ იცის, ვინ არის, მომჭრის თავს ეს შეჩვენებულიო, გაიფიქრა შოფრის მისამართით.

— თუ ძმა ხარ, აუჩქარე!

— რაღა ავუჩქარო, უკვე მოვედით, აქედან ფეხით უნდა ახვიდეთ.

ოთარმა მანქანას გაჩერება აღარ აცალა, კარი გააღო და სხარტად გადმოვიდა. ანგიას დაელოდა და ფერდობს სირბილით მიაშურა. ანგია ერთ ხანს ქოშინით მისდევდა, მერე ვეღარ გაუძლო და ფერდზე ხელი მიეჭირა. ოთარმა ანიშნა, ჩქარა წამოდიო, ანგიამ ხვნეშით ძლივს განაგრძო გზა.

„რა უბედური სიცხეა, აქ მაინც უნდა ჭქროდეს ნიავი“, — გაიფიქრა ოთარმა და საათს დახედა. მერე ოფლი მოიწმინდა. როგორც იქნა, ანგიაც წამოეწია და ხელით ანიშნა, იქით წავიდეთო.

ერთ საფლავთან მივიდნენ. უფრო სწორად, აქ ერთ დროს საფლავი რომ იყო, მხოლოდ ეკალბარდებში ჩაკარგული ზამბახიღა მოწმობდა.

„ხომ არ მატყუებს, ეს დამთხვეული“, — გაიფიქრა ოთარმა და ანგიას გამომცდელად შეხედა. მერე გაახსენდა, უკვე შვიდი წელი იყო, მამამისი სოფელში არ ჩამოსულა და შერცხვა. კიდევ კარგი, ამ გადარეულს გარდა სხვა არავინ არის სასაფლაოზე. ერთ ხანს ასე იდგა და საფლავს დასჩერებოდა.—აბა წავიდეთ, — ხმამაღლა თქვა მერე და ფერდობზე დაეშვა.

შოფერმა დაინახა თუ არა, მანქანა მომართა. ოთარი მანქანასთან რომ მივიდა, მაშინ მოიხედა უკან. ანგია შუაგზაზეც არ იყო, საცოდავი ძლივს მობობღავდა ფერდობზე. ოთარმა ნერვიულად დახედა საათს.

— ჩაჯექი, მაგი მოაგნებს აბროლაურს! — გაეცინა შოფერს.

ოთარი შეყოყმანდა და ისევ საათს დახედა.

„ჯანდაბას მაგის თავი“, — გაიფიქრა ბოლოს და მანქანაში ჩაჯდა.

ათ წუთში ადგილზე იყვნენ. რაიონს უკვე ეტყობოდა თვითმფრინავის მოსვლა, ყველას გაზეთი ეჭირა ხელში.

— დავიხრჩვი წყურვილით, — თქვა შოფერმა და სოკოსთან მანქანა გაჩერა.

ოთარსაც გვარიანად მოსწყურდა და მანქანიდან გადმოვიდა.

ბიჭები ისევ იქ იყვნენ. ოღონდ ახლა მეორე მხარეს გადაენაცვლებინათ ჩრდილში.

წყალს რომ სვამდა, ვიღაცის დაკინებული მზერა იგრძნო. წელში გასწორდა, სულ ოთხ ნაბიჯზე ბუღასავით ვაჟკაცი იდგა და მისჩერებოდა. ოთარმა თვალი აარიდა, სველი ტუჩები მარცხენა ხელის ზურგით მოიწმინდა და სასწრაფოდ მანქანისკენ გაემართა, ამ სიკეთის ჟამს არაფერ უბედურებას გადავეყაროო.

უცნობმა გზა მოუჭრა.

— ოთარი არ ხარ შენ, სირაძე? — ჰკითხა მან.

— დიახ, — მიუგო ოთარმა და უცნობს თვალებში შეხედა. — „რამხელაა ეს უპატრონო“, — გაიფიქრა და ვერაფრით ვერ გაიხსენა, ვინ იყო.

— მერე ვერ მიცანი მე?

— ვერ გიცანი, — დაიბნა ოთარი.

— რაფერ ვერ მიცანი! — აჭიხვინდა უცნობი და ოთარს ბანჯგვლიანი ტორეი შემოჰკრა მხარზე, — რეზო ვარ, ბიჭო, ჭელიძე.

ოთარმა ხელი ჩამოართვა და თან ისე გაიცინა, თითქოს ამბობდა, ეს რა დამემართა, როგორ ვერ გიცანიო. არადა, რომ მოგეკლათ, მაინც არ ახსოვდა, ვინ იყო რეზო ჭელიძე.

— ელგუჯა, ამირან! — გასძახა რეზომ ბიჭებს.

უსაქმურების ჯგუფს ორი ბიჭი გამოეყო და მათკენ წამოვიდა.

— თქვენ მაინც რაფერ ვერ იცანით, ოთარიკაა სირაძე!

— რას მელაპარაკები! — ჩაილაპარაკა ორივემ ერთდროულად.

ოთარმა ვერც ისინი იცნო. თუმცა, არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ ბიჭებმაც იცნეს.

— გავუშვათ ახლა ეს ტაქსი თუ გავდეთ ქვეშეკეზე? — მიუბრუნდა ბიჭებს რეზო.

— მე რომ ამ თვითმფრინავს არ გავყვე, არაფრით არ შეიძლება!—შეიცხადა ოთარმა. ხმაში მეტი ლითონი გაურია, იცოდა, ამ გადარეულებს იოლად ვერ დაუძვრებოდა.

— ნუ მასხრობ, თუ ძმა ხარ!

— არა, შენი ჭირიმე, თუ ჩემი ხათრი გაქვს, გამიშვი. დღეს საღამოს რომ თბილისში არ ვიყო, არ შეიძლება, — საკმაოდ უხეშად უთხრა რეზოს.

— კაი, ბატონო, წევიდეთ აეროდრომზე.

ოთარი წინ ჩაჯდა. რეზომ უკანა კარი გამოაღო და ბიჭები შეუშვა. თვითონ სულ ბოლოს დაჯდა.

— წადი, ბიჭო, აეროდრომზე!

ხუთ წუთში აეროდრომზე იყვნენ.

— გავარდი ახლა შენ და აეროპორტის უფროსი მომიყვანე, — უბრძანა რეზომ ელგუჯას.

ოთარმა შოფერს ფული გაუწოდა.

— არ უნდა გართმევდე ახლა ამას მე... — გაიღრიჯა შოფერი და ფული ჯიბისკენ წაიღო.

— დაუბრუნე ფული უკან, სტუმარს და მასპინძელს ვერ სცნობ, შე უპატრონო! — რეზომ შოფერს ფული გამოგლიჯა და ოთარს ჯიბეში ჩაუტენა. მერე შოფერს დაკუჭული წითელი თუმნიანი შეუგდო და თვალები ერთხელ კიდევ დაუქაჩა.

ელგუჯამ აეროპორტის უფროსი მოიყვანა.

— დიმიტრიჩს სიცოცხლე! — მიესალმა ელგუჯა და უზარმაზარი ტორი გაუწოდა. — ამ კაცს თუ იცნობ?

დიმიტრიჩი ასე, სამოცი წლის დაბალი, მსუქანი კაცი იყო. გაყვითლებული, გრძელი ცხვირი სათესლე კტრივით ჰქონდა წამოწოლილი ულვაშებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარს ხელი ჩამოართვა და რეზოს მიუბრუნდა, ვერ ვიცანიო.

— ვლადიმერ სირაძის ბიჭია, ოთარი, კარგი ინჟინერი და გეოლოგი, კაი ბიჭი და კაი ვაქაცი.

— რას მელაპარაკები, მოდი, ბიჭო, გაკოცო. დედა, რამხელა შუაფვიი ვაქაცი გაზრდილხარ. შევარცხვინე, ბიჭო, მამაშენი, შევარცხვინე. ასე უნდა სოფლის დავიწყება? მალადეც, რეზო, შენ გაგახარა ღმერთმა, რავარც ახლა ამ ბიჭუნას ნახვით მე გამახარე! — მოუბრუნდა ახლა რეზოს.

— მერე აგერ გვერდზე რომ მოიშენე რესტორანი, არ აღვნიშნოთ ამ კაცის ჩამოსვლა?!

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, შე კაცო!

— ის ლაპარაკი უნდა, რომ ამ თვითმფრინავით მიფრინავს თბილისში.

— რას მელაპარაკები! — დიმიტრიჩმა საათს დახედა და დაფიქრდა.

— ჰო, ჰო, ჰო, რა ბაზრის წიწილები მოიყვანა დღეს კოლიამ, — შეუნთო ცეცხლი რეზომ, — ღვინო ამ დილას ჩავაციებინე.

დიმიტრიჩმა ცოუნებას ვეღარ გაუძლო.

— გაფიცებ დედაშენს, — მიუბრუნდა ელგუჯას, — გავარდი, ანტუშას უთხარი,გამოაცხადე, თვითმფრინავი ერთი საათით აგვიანებს-თქო.

— ერთი საათი რას გვეყოფა! — შეიცხადა რეზომ.

— მაცალეთ, ბიჭო, მერე ღრუბელი რომ შეიკრას და ვეღარ გადაფრინდეს, შენ აგებ პასუხს? ჯერ ერთი საათი გამოვაცხადოთ, ხალხს ეულს ხომ არ გაუტეხავთ. მერე კიდევ გავხედოთ ცას.

მაგიდები გარეთაც ბევრი გამოეტანათ, ხეების ჩრდილში, მაგრამ სუფრა მაინც ჩახუთულ ოთახში გააშლევინეს, დიმიტრიჩმა დაიჩემა, გარეთ ხალხი დამინახავს, უხერხულიაო.

თამადობაც მაშინვე იკისრა, დროს მე უფრო კარგად გამოვზომავ, ასე სჯობიაო. თვითონ პატარა ჭიქა დაიდგა, მაგრამ მალე გამოთვრა, თვალები აუწყლიანდა და ენად გაიკიფა. ნუნუ გაზრდობა გაახსენდა და დამჭკნარ გონებაში პატრიოტიზმის უჯრედები გამოუცოცხლდა.

— ყანწი! — ბრძანა მოულოდნელად.

ოფიციანტი მთლად ბავშვი იყო, ჩვიდმეტი წლისა თუ იქნებოდა. წამოხტა და ყანწი მიურბენინა.

— გამოავლე წყალი, შე მამაძაღლო, ფინეთის ომის მერე ამ ყანწით ღვინო არ დალეულა.

— მომაწოდე, ღვინით გამოვრეცხავ, — დაქაჩა თვალები რეზომ, ყანწს ღვინო გამოავლო და ოფიციანტს სახეში შეასხა, — აწი გეცოდინება ხალხს როგორ უნდა მოექცე! — მერე ყანწი შეავსო და აეროპორტის უფროსს გადააწოდა.

— ბიძიებო, თქვენ რომ გიყურებთ, მიხარია, ჩემი ახალგაზრდობა მაგონდება... თქვენხელა რომ ვიყავი, ცაში ვფრინავდი, რას წარმოვიდგენდი, ჩემს მუხლებს თუ როდესმე რევმატიზმი შეჭამდა. რას იზამ, ასეთი ყოფილა ცხოვრება. თქვენი დანახვა თვალს უხარია. ბევრი ქვეყანა მომივლია, მაგრამ ქართველებისთანა ლამაზი და სიტყვაპასუხიანი ხალხი არსად მინახავს. ახლა გადახედეთ ჩვენს ისტორიას, ჩვენს აწყოსა და მომავალს. იცით თუ არა, ბიძიებო, თქვენ, რომ საქართველოში ყოველ ათას სულ მოსახლეზე ასი უმაღლესდამთავრებული მოდის? არ იცით?

— ვიცით, დიმიტრიჩ, რატომაც არ ვიცით! — ჩაიოხოროხა რეზომ.

— არ იცი, რეზო და მაცალე, თუ ძმა ხარ. აბა ახლა იქითაც გადავიხედოთ, თუნდაც ბრაზილიაში. დღენადაგ რომ პირზე გაკერია! ბრაზილიაში ყოველ ერთ სულ მოსახლეზე ხუთი ნიანგი და კრაკადილი მოდის! ამაშია საქმე. ჩვენს პატარა საქართველოს გაუმარჯოს!

„ახია ჩემზე“, — ერთხელ კიდევ გაიფიქრა ოთარმა, როცა ყანწი გადმოაწოდეს. ორი ღერი სიტყვაც არ უთქვამს, გაბრაზებულმა ყანწი ისე დააპირქვავა. ოფლი დაასხა, თავბრუ დაეხეა.

ძირითადად აეროპორტის უფროსი და რეზო ლაპარაკობდნენ. დანარჩენები ჩუმად იყვნენ და ჭიქებს ამშრალებდნენ. ოთარი მხოლოდ შეკითხვებზე იძლეოდა პასუხს. ელგუჯამ ბევრჯერ სცადა ლაპარაკში ჩაბმულიყო, მაგრამ რამდენჯერაც დაიპირა რაღაცის თქმა, იმდენჯერ ან რეზომ წაართვა სიტყვა, ან თამადამ წამოიწყო საუბარი. ბოლოს, როგორც იქნა, იხელთა დრო.

— ნუცა მომკვდარა, ნიკოლაიშვილ! — თქვა უცაბედად ხმამაღლა. ეშინოდა, კიდევ არავინ წამართვას სიტყვაო.

— რამ მოკლა ის უბედური? — იკითხა რეზომ.

— რამ მოკლა და შიმშილმა, — ბოყინით თქვა აეროპორტის უფროსმა, — მაგისთანა ძუნწი ქალი არ დადიოდა ჩვენს რაიონში. სტუმარს ვინ დაეძებს, თავისთვის არ ემეტებოდა საჭმელი. ის ოჯახი დააქცია ღმერთმა, ქათამი რომ თავისი სიკვდილით მოკვდება.

— კარგი ახლა, ნუ ხარ მოწამლული ენის პატრონი! — გაუცინა რეზომ.

— შვილები კიდევ უარესი ჰყავს, ექიმს არ დაუძახეს, ხარჯი მოგვიწევსო.

— მაგას კი აჭარბებ, ექიმები არ იყო, თბილისიდან რომ ჩამოიყვანეს? — პირველად ამოიღო ხმა ამირანმა.

— კი, მართალი ხარ, — დამცინავად თქვა აეროპორტის უფროსმა, — ექიმი იმ დროს მოუყვანეს, ტანზე ხორცი რომ აღარ ჰქონდა ნემსის გასაკეთებელი.

ოთარს მათი ლაპარაკი აღარ ესმოდა. საათზე იცქირებოდა მალიმალ.

— დიმიტრიჩ, აიკაიწე ახლა ცხვარი და გვიდღეგრძელე სტუმარი! — უთხრა რეზომ, უზარმაზარი ტორებით წიწილა გახლიჩა და ნახევარი ოთარს დაუგდო თეფშზე.

— მაპატიე ბიძიკო, პატარა ჭიქით რომ ვსვამ შენს სადღეგრძელოს. ღმერთმა ისე შენ გაგახაროს, როგორც შენი ნახვით მე გამახარე. მამაშენს უთხარი, დიმიტრიჩთან დავლიე ღვინო-თქო. ღმერთმა ბევრი შენისთანა კაცი გაუზარდოს საქართველოს. იმისთანა ბედნიერი დრო დაგიდგათ, ბიძიებო, ოღონდ პატარა მოინდომე, ხელი გაანძრიე და კაცი გახდები ქვეყანაზე. მე რომ შენ-ხელა ვიყავი, საწოლი არ მქონდა, მენინგიტი ფეხზე მოვიხადე. ახლა ეს ბიჭები კოსტუმის შესაკერად თბილისში დადიან. აქაურ მკერავებს აღარ კადრულობენ. მე უთო არ მქონდა, უთო! ხელისგულებს ვაფიცხებდი ცეცხლზე და ისე ვაუთოვებდი შარავლს. გაგიმარჯოს, ბიძიკო და ნუ დაივიწყებ ამ შენს კუთხეს! — დიმიტრიჩმა ჭიქა დასცალა და ფეხზე წამოდგა. — ახლა მე წავალ, ბიძიებო, ნახევარ საათში გამოდით თქვენც, მეტი აღარ შეიძლება.

რეზომ უზარმაზარი ჯამი მოიტანა და ოთარის სადღეგრძელო დალია. ელგუჯამ და ამირანმა ისევ ამოამშრალეს ჯამი.

რეზოს უზარმაზარ, დაძარღვულ ხელებში ჯამი პატარა ჩანდა, მაგრამ როცა ოთარმა დაიჭირა ხელში, შეშინებულმა გაიფიქრა, ლიტრიანი მაინც იქნებაო და საშინელების მოლოდინში კინაღამ გული აერია. დახვითქული შუბლი მოიწმინდა და ჯამს სევდიანად დააცქერდა. თან წვალობდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გიახსენა, ვინ იყო ეს რეზო ჭელიძე, ან ეს ელგუჯა და ამირანი ვინღა იყვნენ.

ჯამი სვენებ-სვენებით დალია. წამოდგა და გარეთ გავიდა. უცებ გაშტერდა, თვალი ხომ არ მატყუებსო. შორიახლოს ანგია იდგა და იღრიჯებოდა. გაახსენდა, სასაფლაოზე რომ მიატოვა. მოდი, რაც ფული მაქვს, მივცემო, — გულაჩუყებულმა გადაწყვიტა უცებ და ანგიასკენ ოდნავშესამჩნევი ბანცალით წავიდა.

აეროპორტის მახლობლად ჭრელთავსაფრიან ქალებს ვაშლი გამოეტანათ გასაყიდად. უცებ ვიღაც ქალი წამოდგა და ოთარს დამორცხვებული მანჭვა-გრეხით შეეგება.

გურამ ფანჯიკიძე
მოთხრობები

— გამარჯობა, ოთარ, შენი!

— გა-მარჯობა! — უაზროდ უპასუხა ოთარმა.

ქალმა შეატყო, რომ ოთარი სასტიკი მთვრალი იყო.

— შენც იცანი, ხომ! მეც, რავარც დავინახე, იმ წუთში ვიცანი! — გაიღრიჯა ანგია.

ქალი დაიხარა, კალათში მომცრო ვაშლი შეარჩია, კაბის კალთაზე გაწმინდა და ოთარს მორცხვად მიაწოდა.

— მიირთვი, ჩვენი სოფლისაა.

— გმადლობთ! — ამოილუღლუღა ოთარმა და მოულოდნელად დააბოყინა, — უ-კაცრავად! — გაიცინა ისევ უაზროდ.

— რა მოხდა, მერე, ვაშლია! — ქალმა ჯიბეში ჩაუდო ვაშლი.

მზე გადახრილიყო, ფოთლებმაც ოდნავ გაიშრიალეს. ჰაერმა კიდევ ერთხელ დაარტიანა ოთარი. ამის მერე აღარ ახსოვს, თვითმფრინავში როგორ მოხვდა. მხოლოდ ბუნდოვნად გაიხსენა, გამოსათხოვარი კოცნის დროს რეზომ რომ კინოდამ ქვედა ტუჩი მოაჭამა.

როცა თვითმფრინავი მიწას მოსწყდა, თვალები დააჭყიტა და ფანჯარაში უაზროდ გაიხედა.

— არ გინდა, დედა, გაწყენს,—უთხრა მის უკან მჯდომმა ქალმა.

ოთარი თითქოს დამორჩილდაო, ფანჯარას თვალი მოაშორა. პაპიროსისთვის ჯიბეში ჩაიყო ხელი და ვაშლი იპოვა, ერთხანს დაკვირვებული დასჩერებოდა ხორკლიან ვაშლს. ახია ჩემზეო, ჩაიბურტყუნა ბოლოს და სავარძელზე გადაეკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო მ ი

მზე იყო ირგვლივ — ჯარისკაცები
მიაბიჯებდნენ, სწყუროდათ წყალი,
უხმოდ კეცავდნენ ტრამალს დაცემულს,
ჩუმი წკრიალი გაჰქონდათ ნალებს.
გზა იყო შორი, როგორც სიმშვიდე,
ბავშვობა, სახლი, ალერსი მშობლის,
და იყო ძნელი, როგორც შიმშილი,
და გაჟღენთილი სისხლით და ოფლით.
სადღაც, სულ ახლოს იდგა სიკვდილი
შავი ღიმილით, გაბასრულ ცელით,
ჯარისკაცები, როგორც სინდისი,
წინ მიდიოდნენ გადამწვარ ველით.
და თან მღეროდნენ ჯარისკაცები,
ალბათ სიმღერით ებრძოდნენ დაღლას,
უკან ტოვებდნენ ტრამალს დაცემულს
და მეწამული მზე იყო მაღლა.

ხ მ ა უ რ ი

ნუ დამაძინებთ.
მოდით, იყვირეთ,
ახალგაზრდობა ხმაურობს მუდამ,
ნუ გაიოცებთ, ნუ გაიკვირვებთ,
თუ გულს შფოთი და ხმაური უნდა.
გამოვაცხადოთ სიმღერა კერპად,
ტკბილი სიზმრები მსხვერპლად გავუღოთ,
და მთელი ღამე ვიაროთ ერთად,
კვლავ ვიყიჟინოთ, და ვიხმაუროთ.
მოდით, ვაჩვენოთ მრავალს და მრავალს
ჩვენი შრომით და აურზაურით,
რომ ცხოვრებასთან გრძელდება დავა,
რომ ისევ ვიბრძვით,
ისევ ვხმაურობთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

მორჩა, გათავდა, აღარ მაწვალებს
მე შენი სახე და შენი ტანი,
მე სიჭაბუკის თასი დავცალე,
ცხოვრების სიბრძნე ამითი ვცანი.
შემოდგომაა. მიწიდან ცამდე
დგას სურნელება მზისა და ღვინის.
კარგია იჯდე, ფელამუშს ჭამდე
და ცხელ ტაროებს იღებდე სინით.
კარგია ძილი მყუდრო ბინაში,
მაგრამ ჯავახეთს მივქრი მხედარი
და მუხლს მოვიყრი თმოგვის წინაშე,
ვინც საქართველოს შენში ვხედავდი.
ხმლების ჟღარუნი, სროლა, ავდარი...
და ფიქრი დამჭრის — მტარვალის ტყვია,
და თითონ თმოგვსაც შენ შეგადარებ—
მიუკარებელს და ასე ზვიადს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი

ირხევა მთვარის უღონო ჩრდილი,
წყდება ხეებზე ფოთლების ჩქამი.
ირხევა მთვარის უღონო ჩრდილი,
რომ შეარბილოს სიმკაცრე ღამის.
ტკაცუნობს ფიჩხი
და ცეცხლი ქვემოთ
ფართხალებს ცხელი, მეწამულ ფრთებით.
მშრალ ბაგეებზე ვგრძნობ ღამის გემოს
და ცეცხლთან ახლოს მოდიან მთები...
ირმის ნახტომი!
ცა გარღვეული...
ვბრუნდები პირქვე, ვერაფერს ვერ ვცვლი...
მეხება მიწა — გრილი სხეული,
მეხება მიწა — ჩამქრალი ცეცხლი!

●

მაღალ ბალახში სრიალებს ცელი,
მიწაზე წვება ბალახი თივად
და ჭრიჭინების ჭრელი სიმღერა
გადის გათიბულ მწვანე მინდვრიდან.
ცახცახებს სიცის მხურვალე ხელი,
ჩიტების გუნდი ედება სათიბს.
გაბრუებული ივლისის ხვატით
მიწა მზეს ნელა, ნელა იზიდავს...
და საღამომდის ფერად სიმღერებს
მიერეკება ცელი მინდვრიდან.

უცხო ქალაქი

ხშირი ბურუსი ეხვია ქალაქს,
დღე იყო ცივი და მობუზული.
მინდოდა, მაგრამ არ მქონდა ძალა,
არ ვყოფილიყავ, როგორც კუნძული.
და როგორც ღელვას მღვრიე სტიქიის,
ქალაქს უნდოდა, რომ დაეფარა
ის, რასაც ერქვა უბრალოდ ფიქრი
ის, რასაც ჩემი ყოფა ებარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზერას ეძახდა ათასი რამე,
თითქოს ქალაქი მიმახსოვრებდა
და დიდ სახლებზე გაფენილ კრამიტს,
მგონი, როგორღაც ჰგავდა ცხოვრება...
ისე ბუნდოვნად გრძნობდა სხეული
დაეტვებული მზერის შეხებას.
და ვაბიჯებდი ძალიან ფრთხილად,
რომ კრამიტები არ ჩამეტეხა.

ჯ ი ხ ვ ე ბ ი

გადაიკარგნენ მთების გადაღმა
და რქებს გზადაგზა კლდეზე ლესავდნენ.
მხოლოდღა ერთი ფეხის გადადგმა,
ერთი ნაბიჯი იყო ზეცამდე...
ამეკვიატა შიში თუ ეჭვი,
რომ არ ფიქრობდნენ მთები არაფერს.
და იშლებოდა ღორღი და ღვიჭა
და რქით ეკიდა ჯიხვი ქარაფებს.
მივდევდი დიდხანს...
დიდხანს ვხედავდი,
კლდეებზე სხეულს როგორ წურავდნენ.
ერთი ნაბიჯი დამრჩა ზეცამდე,
ანუ ყველაფრის დასასრულამდე.

თავადი ნაგბისარი

მინდა გიამბოთ ჩემი ცხოვრების ერთ უპიზოდზე, მაგრამ სანამ თხრობას დავიწყებდე, კარგი იქნება, წინასწარ იცოდეთ: არ ვაპირებ დაბადების მოწმობის წარმოდგენას, არც იმის მოყოლას, თუ როგორ და რა პირობებში გავიზარდე. უბრალოდ, მინდა დაგანახოთ ცხოვრების რთულ გზაზე ჩემი პირველი ნაბიჯების ანაბეჭდი, მას შემდეგ თან რომ დამყვება და შუქურასავით გზას მინათებს.

იმ წელიწადს ძალზე ცხელი ზაფხული იდგა. ქვეყანა იწვოდა და დიდი თუ პატარა, ყველა ჩრდილს ეძებდა. თბილისის ზღვისკენ მიმავალ ავტობუსებში ნემსიც არ ჩავარდებოდა. ქალაქიდან გასვლის მსურველი ავტობუსის, მატარებლის ან თვითმფრინავის ბილეთს ათი დღით ადრე თუ არ შეიძენდა, მერე მეგობრების რეკომენდაციაც ვეღარ უშველიდა.

დილით გაჭედილი ქუჩა შუადღისას ისე ჩაკვდებოდა, გეგონებოდათ, ქალაქიდან ყველა ერთად გაკრეფილაო. ცარიელი ტროლეიბუსები და ავტობუსები ქშენით მიიზლაზნებოდნენ, თითქოს მძღოლების მოთენთილობა მათაც გადასდებიათო.

განთიადისას ქუჩაში გამოკრეფილი ხალხი იმედით და ვედრებით შეჰყურებდა ცას: იქნებ გვეშველოს, სადმე ღრუბლის ნაფლეთი დავინახოთო, მაგრამ ღრუბლებს მათთვის არ ეცალათ. გამოჩნდებოდნენ ერთი წუთით და ისევ თვალს მიეფარებოდნენ. მიჰქროდნენ შორს, მთებისკენ და იქ გრუხენით იმსხვრეოდნენ. თითქოს გათეთრებულ, მოხუც ქედებს სიგრილე და სინესტე აკლდათ.

საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, დახუთული ჰაერი ოდნავ შეირხეოდა. მთაწმინდიდან დაძრული ნიავი ხევებით დასერილ ფერდობზე დაჭანდებოდა. ხეებს, ბუჩქებს ააშრიალებდა. მერე ფართო გამზირზე შეიჯრებოდა და სადღაც, შორს ვიწრო ქუჩებში ჩაიკარგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საღამოს გამზირზე რომ გამოვედით, ქალაქი უკვე ნათურებით იყო განათებული.

ნელა მივყვებოდით ქუჩას მე და ელგუჯა გომართელი. იგი ჩემზე ოდნავ მაღალი, გამხდარი ბიჭი იყო. მეტსახელად ცაცკანას ვეძახდით.

თბილისის ზღვაზე მთელი დღის ბანაობის შემდეგ სასიამოვნოა გამზირზე ხეტიალი. წყნარად ვსაუბრობდით და გამვლელ-გამომვლელს თვალს ვაყოლებდით, თუმცა რა დასამალია და, საქმე სასეირნოდ არა გვქონდა: ჩვენს ადგილას ქეციანი კაცი ზეწარში გაეხვეოდა და განვლილ დღეებზე ფიქრში ტბილად ჩაძირნებდა. დაისვენებდა ხვალინდელი დღის მოლოდინში.

სულ ორიოდე თვის წინათ მე და ცაცკანას არც სმა-ჭამა ვკახსოვდა, არც დასვენება, აღარც ძილი და, არ დავმალავ, წონაშიც გვარიანად დავიკელით: დილიდან თავაუღებლად ვიზეპირებდით ფორმულებს, საღამოს კი გვიანობამდე ვარჩევდით ნახაზებს. ხანდახან ისე დაგვათენდებოდა, დედაჩემის შეწუხებული ხმა ძლივს გამოგვარკვევდა ხოლმე.

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ ხელი რომ ჩამომართვა, თვალი გამისწორა და ღიმილით მითხრა:

— ჭაბუკო, ინჟინრობას მოგილოცავთ... იმედია, არ შეგვარცხვენთ! — ... მომაწოდა დიპლომი, რომელსაც ასე მოუთმენლად ველოდი.

აღარ მახსოვს, პასუხად რა ვთქვი. სიხარულისაგან გაბრუებული ვიყავი, ეეღარაფერს ვხედავდი, ვიდექი და დიპლომს ლენჩიევით ჩავაცქეროდი.

— მომავლისათვის რას ფიქრობთ?! — გამომარკვია რბილმა ხმამ.

— რა ვიცი... წავალ, სადაც გამგზავნიან! — მექანიკურად ვუპასუხე.

თავმჯდომარემ ერთხანს დაკვირვებით მიყურა, შემდეგ ჩვენი ფაკულტეტის დეკანს რაღაცა გადაულაპარაკა. დეკანმა თავი დაუქნია, მერე, ჩემდა გასაოცრად, თვალი ისე ჩამიკარკალა, ქოს წუთის წინათ გამომცხვარი ხეტიხერი კი არა, მისი გულითადი მეგობარი ვყოფილიყავი.

— რუსთაველში წამოხვალ? — მკითხა თავმჯდომარემ და ერთხელაც ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

ყურს არ დავუჯერე. ეს ხომ ჩემი ოცნება იყო. ისე არ გამიგოთ, თითქოს დედის კალთიდან აფრენისა მეშინოდა, მაგრამ ადამიანი, როგორიც არ უნდა იყოს ის, მაინც ადამიანია და, რა თქმა უნდა, მეც ამიტაცა სიხარულმა. უცებ წარმოვიდგინე, დედაჩემს რა ნეტარებით გაებადრებოდა სახე და...

— რას იტყვით, ჭაბუკო?! — შემეკითხა იგივე ხმა.

— რა... რა უნდა ვთქვა? — უნებურად ენა დამება, მერე უცებ მოვეჭერი — დიახ, რა თქმა უნდა, წამოვალ!

— ჰოდა, ძალიან სასიამოვნოა! — ღიმილით გამომიწოდა ხელი. — ჩვენთან იმუშაავებთ, რუსთაველი... იმედია არ შეგვარცხვენთ!

აუდიტორიიდან გამოვედი თუ არა, ბიჭებმა სულის მოთქმა არ მაცალეს. შემომეხვივნენ და კინაღამ გამგუდეს.

დღეს კი სიამაყით მივყვებოდი ვიტრინების რიგს. მინდოდა გამვლელ-გამომვლელნი შემეჩერებინა. სათითაოდ ყველასთვის მეთქვა, მეყვირა, რომ ინჟინერი ვიყავი, მართალია, ახლად ფეხადგმული, მაგრამ იმედით და ოცნებით სავსე.

ხანდახან გულში სინანული გამკრავდა: ძნელი იყო იმის შეგუება, რომ სტუდენტობა დამთავრდა, ეშორდებოდა შესისხლხორცებულ კედლებს, ეშორდებოდა მეგობრებს, რომლებსაც, ვინ იცის, როდისღა შევხვდებოდი.

ფიქრში ჩაფლულმა ვერც კი შევნიშნე, როდის გავდიოდი ლაღიძის წყლებს. მწყუროდა. ის იყო უკან მობრუნება დავაპირე, რომ ცაცკანამ მხარი გამკრა.

— მერაბ, არ მიიხედო! უკან გედევანი მოგვდევს! — მერე გამზირი გადაჭრა და მეორე მხარეს გადავიდა.

უკანმოუხედავად ავედევნე. სიკვდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივით არ მინდოდა გედევანთან შეხვედრა და ლაპარაკი. დიდებულ ხასიათზე ვიყავი და რატომ უნდა მოვშხამულიყავი?

— საიო გაგიწეკვიათ. ბიჭებო? — ამ სიტყვებთან ერთად გედევანმა ხელი ჩაგვაფლო. სირბილისაგან სულს ძლივს ითქვამდა.

— ოჰ... შენა ხარ, გედევან?! — ცაცანამ ისე გაშალა ხელები, თითქოს ათი წლის უნახავ ამხანაგს შეხვდაო.

— ჩვენს ასპირანტს გაუმარჯოს! — ჩაეილაპარაკე და მკლავი გავითავისუფლე.

გედევანი ნაკვერცხალივით გაღვივებულ თვალებს არ გვაშორებდა. ეტყობა, მიხვდა განგებ რომ გავურბოდით. ბოდმას ძლივს იკავებდა. ბოლოს თავს ძალა დაატანა და ღვარძლიანი გამომეტყველებით და რაღაც აუტანელი დაცინვით ამოღერღა:

— მოკლედ, იწყებთ მუშაობას? ასე ვთქვათ, საშოვარზე გადიხართ, არა?.. იმუშავეთ, იმუშავეთ! მე კი ასპირანტურის საქმე უკვე გავჩარხე!

კარგა ხანს უხმოდ მივაბიჯებდით. გედევანს ჩვენი დუმილი გულზე ხეთქავდა. მაგრამ აბა რას გააწყობდა? უცებ მას ვიღაცამ ხელი წაავლო და შეაჩერა.

— მერაბ, გედევანი გაუნაწილებლად დატოვეს?

— ჰო... როგორც ყოველთვის, ვიღაცა დაეხმარა და როგორც ხედავ, ასპირანტურისათვისაც ემზადება! — გავხედე გედევანს.

იგი ჩვენკენ იყურებოდა, ადგილზე მოუსვენრად ცმუკავდა და თანამოსაუბრეს არ უსმენდა.

— მერე, როგორ გგონია, ჩაababრებს? — მკითხა ცაცანამ.

— მეტი არაა ჩემი მტერი... ინსტიტუტში კარგად იციან, რა ბედოვლათიც არის!

ამასობაში გედევანი წამოგვეწია.

— რამ შეგაფიქრიანთ, ჩემზე ჭორაობთ? — თქვა, თან დამცინავად შეგვათვალიერა, უცებ ხელი მოწყვეტით ჩაიქნია და განაგრძო: — თუმცა ტკინიერებისაგან ვინ მოგცათ, თქვენი ადგილი ქარხანაშია!

უნებურად შევჩერდი: „ამ ღმერთძაღლს რა წარმოდგენა აქვს თავის თავზე!“ — გავიფიქრე და ისე ძლიერ ამომიდა ბუნჩულა ლოყაზე სილა გამერტყა, უნებურად ხელები ამქავდა. მერე მოულოდნელად ცხვირი დამაცემინა.

— ამის ასპირანტურაში მოწყობამდე არაფერი გეტკინოს! — ზურგზე ხელი დამკრა ცაცანამ და გედევანს ღიმილით მიუბრუნდა: — ასეა, ძმაო, ჩვენი ადგილი ქარხანაშია!

საერთოდ, გედევანის ღვარძლიანი დაცინვა მხოლოდ ცაცანაზე არ მოქმედებდა, დანარჩენებს კი ისე გვგესლავდა, როგორც გაუხარდებოდა. ბიჭებმა ერთი ორჯერ გვარიანად მიბეგვეს, მაგრამ საშველი არ დაადგა. „წამალი“ მხოლოდ ერთ კვირას ჰყოფნიდა.

გედევანი ჩვენს სიძულვილს გრძნობდა და ღვარძლით უფრო ივსებოდა. განსაკუთრებით ცაცანას ვერ იტანდა. მალმალ კბენდა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ცაცანა აუღელვებლად მოუსმენდა, შემდეგ მშვიდად გაუღიმებდა: გადაუდებელი საქმე მაქვსო, ეტყოდა და დინჯად გაეცლებოდა, მერე ჩვენთან მოვიდოდა და ზიზღით ჩაილაპარაკებდა: ასეთ კაცს თავი რომ გაუყადრო, საშველს აღარ მოგცემსო.

— წავიდეთ, მერაბ! — ცაცანამ მკლავი გამომდო და ნელი ნაბიჯით გავყევით გამზირს.

გედევანი მაშინვე გვერდით ამოგვიდგა. ეტყობა, გადაწყვეტილი ჰქონდა, არ მოგვშორებოდა, სანამ ნერვებს არ აგვიშლიდა. ენას არ აჩერებდა. ისე ლაპარაკობდა, თითქოს ძალზე დაქანცულიაო. სულელური ფილოსოფიით გაჟღენთილ ფრაზებს ძველი გარმონივით წელავდა.

ცაცანა ვგონებ არ უსმენდა. მე კი

ბეჭან ლეჟავა
თამაში ნაბიჯით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთმინების ფიალა ამეკსო. ცოტაც და ალბათ ყვინჩილასავით ვებდღვნებოდი და ყველაფერი ჩამშხამდებოდა. უნებურად ცაცკანამ ამოწმესე შემატყო ბოდმით სავსე რომ ვიყავი; ანდა როგორ არ შემატყობდა, საბავშვო ბაღიდან ერთად ვიზრდებოდით. უცებ მკლავზე ხელი მომიჭირა და აბეზარს მიუბრუნდა:

— მერე, მერე, „ლაყაფ“, კიდევ რაო, რა თქვეს?..

გედევანს მიწის ფერი დაეედო, წუთით შეჩერდა.

— ჭკუა არ გაქვს და იმიტომ იწყებ ქარხანაში მუშობას, — განაგრძო უფრო გესლიანად, — თუმცა ძალიანაც არ გინდათ, მაგრამ, ვიცი, გაჭირვებულ მშობლებს უნდა დაეხმაროთ! — მერე ვითომ თანაგრძნობით დაუმატა, — თითო კაპიკიც რომ დაზოგოთ, მათთვის ესეც დიდი ამბავი იქნება!

უნებურად აცცახცახდი: ჩემს მშობლებს ჩემი დასახმარებელი არაფერი სჭირდათ, ცაცკანა კი მამით ობოლი იყო და დედამისი დღე-ღამეს ასწორებდა, შვილისთვის რომ არაფერი მოეკლო.

მეგობარს გადავხედე. ვითომ არაფერს იმჩნევდა, მაგრამ სახეზე კაცის ფერი არ ედო და მკლავზე ხელს ძალუმად მიჭერდა.

— რას იზამ, ყველას შენნაირი მშობლები ხომ არ ეყოლება! — კბილებში გამოცცერი და მუშტი მოკკუმე.

— ჰო, აგრეა, შვილისთვის საქმის „ჩაწყობა“ ყველას კი არ შეუძლია, ზოგიერთს დიდი თანამდებობა უჭირავს, მაგრამ... — ხელი მოწყვეტით ჩაიქნია, — მაგრამ გლახაკია! — აღარც ჩემიანები დაინდო, მერე იმის შაშით არ შემაწყვეტინონო, სხაპასხუპით განაგრძო, — გუშინ ჩვენებმა ჩემი დიპლომი „დასასვლეს“... იციო, რა სუფრა იყო?... ჩიტის რძეც არ აკლდა!

— ვა

ების და ბაბუების დახმარებით კი არ მიუღია!

— მოიცა, მერაბ! — უკან დამწია ცაცკანამ, მერე გედევანს შეხედა, — ეს ყველაფერი სტუმრებისგან მოისმინე?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ინსტიტუტი იმისთვის დავამთავრე, რომ თავი მოვიკლა?

ცაცკანა მოწყვეტით შეჩერდა, მოწიააღმდეგე ისე შეათვალიერა, თითქოს სწონიდა, ღირს თუ არა პასუხის გაცემა, მერე ჩურჩულით თქვა:

— ვატყობ, იმ სუფრაზე ღორების თეორიას დიდი გავლენა ჰქონია! — 'იქვე ხესთან ურნაში ჩააფურთხა, — ძალიან დიდი და, რომ იცოდე, ეს არც მიკვირს!

გედევანს სახე ალმოდებული ფიჩხივით წამოენთო. თვალი ბოროტად დააკვესა, თავი ხარივით დახარა და კარგა ხანს ასე იდგა დაჩიმული.

ცაცკანას როგორც ვთქვი, ბავშვობიდან ეიცნობდი, მაგრამ, ადამიანობას ვეფიცებით, მისგან პირველად მოვისმინე ასეთი მწარე სიტყვები.

ისინი პირისპირ იდგნენ. რამდენადაც ერთს მშვიდი გამოხედვა ჰქონდა, იმდენად მეორე თვალებიდან ცეცხლს ყრიდა.

გედევანმა აცახცახებული ხელით დორბლი მოიწმინდა, მზერა ჩემზე გადმოიტანა, მერე კვლავ ცაცკანას მიაჩერდა და, თითქოს პირი აქვს აკრულიო, უცნაურად დაიზმუვლა.

პირადად ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, შენი ახლობლები ღორები არიანო, თავს შევაკლავდი. მეგონა, ისიც ვერ მოითმენდა და მზად ვიყავი, მათ შუა ჩავმდგარიყავი, მაგრამ „ლაყაფა“ რის „ლაყაფა“ იქნებოდა, თუ ყველაფერს არ გადაყლაპავდა?

— მაშ ღორების თეორია, ჰა?! — ამოიხვნეზა ძლივლივობით.

— ასეა, ჭკვის კოლოფო, ასე! — ვთქვი და უფრო ახლოს მივიწიე.

ერთ ხანს ქშენით გვათვალიერებდა, მერე ხელი ჩაიქნია:

— თქვენთან ლაპარაკიც არ ღირს... არასერიოზული ხალხი ხართ, ნამდვილი... ნამდვილი... — შეჩერდა, სიტყვას ეძებდა, მერე უცებ მოგვაყარა: — შესახედად კაცებს ჰგვეხართ, სინამდვილეში კი მყრალები ხართ! — სწრაფად მიტრიალდა და გაგვეცალა.

ახლა მე მომძვინდა გული. გავიწიე, მინდოდა დავწეოდი.

— სად მიხვალ?! — ცაცკანამ ხელი მტაცა.

— გამიშვი...გაიგონე რა გვითხრა?!

— კარგი, მოისვენე, გორში გალახულივით ნუ იქჩეზი, შენს ტყავში დაეტიე, გედევანს თავის სისულელეებიც ეყოფა!

— მაინც რა ჭირად გადაგვეყარა ჰა, — მაგისი...

— ამა, გეყოფა, — შემაწყვეტინა, — დროა, შინისკენ მოვუსვათ, ხომ იცი, ხვალ რა დღეა! — და ნაბიჯს აუჩქარა.

დაღმართზე სირბილით დავეშვით.

●

სადღაც, კუთხეში ჯერ წყნარი ფხაკური ატყდა, მერე თანდათან გაძლიერდა, ბოლოს აუტანელ ხმაურში გადაიზარდა. თავი წამოვწიე და „ოოო“... აღმომხდა უნებურად: კუთხიდან პატარა თეთრი თაგვი გამოძვრა და ჩემს თვალწინ ნელ-ნელა გაიზარდა. ჯერ სკამისოდენა გახდა, მერე მაგიდის, ბოლოს კაცის სიმაღლეზე აღიმართა და წვრილი თვალები დამასო.

კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე, მერე დაყვირება დავაპირე, თვალიც გავაპარე სანადირო თოფისკენ, იქვე, კედელზე რომ ეკიდა, მაგრამ წამოდგომა ვერ გავბედე.

— სტუმარს ასე ხვდებიან? — მკითხა მან ძალზე ნაცნობი ხმით, ალბათ ფიქრს მომიხვდა.

დავაკვირდი და, როგორც იქნა, ვიცანი. წრუწუნა იყო „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებიდან.

— მერე... მერე და აქ საიდან გაჩნდით?—კითხე ოდნავ დამშვიდებულმა.

გიორგი ლეონავა
თამაკი ნაგიჯილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გავიგე, გიჟირს და მოვედი!

— ვინ გითხრა, რომ მიჟირს? — თვალები შუბლზე ამაცოცდა.

— უთქმელადაც ვგრძნობ!

— ძალიან ცდები, არაფერიც არ მიჭირს, პირიქით, უმადლესი დაკამთავრე, დიპლომიც აგერა მაქვს, ხვალიდან მუშაობას ვიწყებ... გაჭირვების რა მეტყობა?

— კარგად დაფიქრდი, სწორედ დღეიდან იწყება შენი გასაჭირი.

— შენ რა იცი? — ჩემს ხმას სიმტკიცე აკლდა.

— ეგ არაფერი, — განაგრძო თეთრმა თაგვმა, სკამზე ჩამოჯდა, — დამიჯერე და ყველაფერი კარგად დამთავრდება... გახსოვს ჩემი ზღაპარი, მზეთუნახავს რომ ვუამბე?... გატყობ, არ გახსოვს?.. თუ გახსოვს, ძალიან კარგი! — თვალი გამისწორა, ჩემს გვერდით გადმოჯდა და განაგრძო. — ადამიანში მთავარია სული... სული თუ ერთხელ შებილწე, მერე ვერასოდეს განწმენდ. შენც სუფთად უნდა შეინახო, ცხოვრებას მრუდედ არ შეხედო, თავი არ დაიღუპო, არასოდეს არ აჩქარდე... დიპლომი გაგიკაფავს მხოლოდ გზის დასაწყისს, მერე ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. ცაგაჭირდება, მაგრამ არ შედრკე. მე ყოველთვის შენთან ვიქნები... ერთ ჯადოსნურ სიტყვას გასწავლი... იცოდე, არავის გაუმხილო, თორემ...—უცებ დაიძახა და სმენად გადაიქცა, მერე კარს გახედა. — ვიღაცა მოდის?! — ჩაილაპარაკა, თანდათან დაპატარავდა, კიდევ გინახულებო, ჩაიბუტბუტა და მოჩვენებასავით გაქრა.

— მერაბ, შვილო, გაიღვიძე, მერაბ?! თვალი გავახილე. უაზროდ მივაჩერდი დედას. იგი ჩემს საწოლთან იდგა და ალერსით დამაკვერდა.

— რა მოხდა, დედა? — ვკითხე ზმორებით.

— არაფერი, შვილო, ექვსი საათი შესრულდა!

უცებ გამოვერკვიე და ფანჯარას გავხედე. ზეცას აღმოსავლეთით უკვე შეჰპარვოდა სიწითლე.

— ქალო, როგორ არის შენი ხელოვნება, ეს ერთი ოთახიდან მამამ, — ბარ აპირებს ადგომას?!

— ახლავე, მამა! — ვუპასუხე დედის მაგივრად, მერე ერთი გავიფიქრე, ეს რა უცნაური სიზმარი ვნახე-მეთქი და საბაზანოსაკენ გავიქეცი, თითქოს ვინმე ვომდევდა. პირი სწრაფად დავიბანე და ტანსაცმელი ჩავიცვი.

სასადილო ოთახში რომ გავედი, მამა უკვე სუფრასთან იჯდა, მე მელოდებოდა. ახალ სამოსში გამოწყობილს სახე ისე უბრწყინვადა, თითქოს რაღაც დიდი ზეიმია.

— აბა, ჩემო ვაჟკაცო, აქ დაჯექი! — მითხრა და სკამზე მომითითა.

სახელდახელოდ გაწყობილი სუფრიდან ჭაჭის არყით სავსე სურა იმზირებოდა.

მამამ პატარა სასმისები გაავსო. ერთი მე მომაწოდა, მეორე თვითონ აიღო და თვალი თვალში გამიყარა.

— ჩემო ბიჭო, შენ დღეს ის პატარა ბავშვი ხარ, პირველად ფეხს რომ იდგამს. გახსოვდეს ვისი შვილი ხარ. მამაშენზე აუგს ვერავინ იტყვის, საქმისათვის არასოდეს მიღალატია... არც შენ უღალატო, შვილო, შრომა უნდა გიყვარდეს და...

— კაცო, აღარ მორჩება, დაადგეინდა ბავშვს! — შეაწყვეტინა დედამ.

— ჰო, მოვრჩი, მოვრჩი... — მამამ ღრმად ჩაისუნთქა, თვალი გამისწორა, მერე ხმადაბლა დაუმატა: — აბა, შენს გზას გაუმარჯოს! — და ჭიქა ასწია.

●

ქუჩაში რომ გავედი, ქალაქი ის იყო ღვიძებდა. ნელა მივაბიჯებდი და ვრილ ჰაერს ღრმად ვისუნთქავდი.

ჩემს სიცოცხლეში პირველად ავდექი ასე ადრე, ვერასოდეს წარამოვიდგენდი, თუ ჩვენი უბანი შეიძლებოდა ასეთი წყნარი და უხმაურო ყოფილიყო. რაც მახსოვს, ის სულ ქუხდა, იბრძოდა, ხმაურობდა და ადამიანს აბრუებდა.

ახლა კი ირგვლივ სრული სიმშვიდეა. მხოლოდ აკაციები შრიალებენ და გზას და მომავალს მილოცავენ.

ჩვენ სახლიდან სადგურამდე ხუთასი-ოდე მეტრი იქნებოდა. მალე ბაქანზე გავედი. ის იყო მატარებლის კიბეზე შევდგი ფეხი და ისიც დაიძრა.

— სადა ხარ აქამდე?! — შემომძახა ცაცკანამ, როგორც კი თვალი მომკრა, წამოდგა, ხელი გამომიწოდა. — შენს ლოდინში გული დამეწია!

— ცოტა შემაგვიანდა, ჩვენების ამბავი ხომ იცი! — შევაგებე ხელი.

— ჰო,.. ამ დილაადრიან ნოტაციები მეც წამიკითხეს! — თქვა და მერხის კიდეზე ჩამოჯდა, თან რაღაც უცნაურად ჩაიღიმა.

ის იყო მეც დავჯექი და მატარებელიც შეჩერდა. იმ წამსვე ფანჯარას ვეცი: ამ გაჩერებაზე უნდა ამოსულიყო შოთა. ისიც რუსთავში იყო განაწილებული.

— ვის ეძებ, მერაბ? — ამ ხმაზე მკვირცხლად შემოვბრუნდი.

შოთა მოპირდაპირე მერხზე იჯდა და ოლიმპიური სიმშვიდით მიღიმოდა.

— კაცო, აქ საიდან გაჩნდი ასე უცებ? — წამოვიძახე გაოცებით და ცაცკანას გადავხედე.

მას ჯერ ღიმილი შეეპარა, მერე სიცილი წასკდა და რატომღაც სახე ხელებში ჩამალა. შოთა კი უხერხულად შეიშმუშნა, მეირე ხანს გარინდული იჯდა, მერე ისიც აფრუტუნდა.

მე კი გაშტერებული ვიჯექი და ვერ ვხვდებოდი, რა აცინებდათ. ბოლოს მოთმინება აღარ მეყო:

— დეგენერატებო, რას ეღრიჯებით?!.. გამაგებინეთ, რა მოხდა!

— არაფერი, მერაბ, არაფერი! — მიპასუხა შოთამ და ისევ გაიცინა.

— კაცო, არ იტყვი, რას იკრიჭები?! — ახლა ცაცკანას ვწვდი მკლავში.

— გეტყვი, ძმაო მაცალე! — ხელი გამომგლიჯა, მერე ცრემლი მჯიღით ამოიწმინდა: — შვიეკი გახსოვს?.. აღმოსავლეთის ფრონტზე რომ გაემგზავრა... თავს მოვიჭრი, ამის ამბავი თუ ზუსტად ისე არ იყოს, — ცალუბად გაიღიმა და განაგრძო: — ერთი წუთით წარმოიდგინე, ღამის სიბნელეში ქუჩაში არა კაცი არ ჩანს, მხოლოდ შოთა მიაბიჯებს და თავისთვის უსტვენს.

მზერა გადავიტანე შოთაზე, რომელსაც ახლა მხოლოდ თვალები უცინოდა. რატომღაც შვეიკს შევდარე და უნებურად გამეღიმა.

აღნაგობით და ტანით შვეიკი მასთან ტიკინა გამოჩნდებოდა, თვალები კი, უეჭველად ერთნაირი ჰქონდათ.

მუხლზე ხელი დავადე.

— ადრე გაგეღვიძა?

— ჰო, გამეღვიძა!

— მერე?

— რა მერე, გამეღვიძა და სუფთა ჰაერზე გავისეირნე.

— მერე, შე დამთხვეულო, რუსთავისკენ მიმავალ წინა მატარებელს ვერ ვაყევი?

— რა ვიცი, გზაში ცოტა ჩავფიქრდი. მეგონა, სადგურისკენ მივდიოდი, ლენინის მოედანზე კი გავედი, — ისე მიპასუხა, თავი ვერც მე შევიკავე და გულიანად ავხარხარდი.

საერთოდ, შოთა უცნაური ბიჭი იყო. მახსოვს, ჩვენთან მეორე კურსზე გადმოვიდა დაუსწრებელი განყოფილებიდან. ისე იყო სწავლას მოწყურებული, რომ ზედ კათედრასთან, პირველ მერხზე დაჯდა.

იმ დღეს ლექცია გაგვიცდა. უნდა გენახათ, რა ამბავში ვიყავით. ვინმეს რომ შემოეხედნა, იფიქრებდა, ინსტიტუტში კი არა, საბავშვო ბაღში მოვხვდიო.

ამ აურზაურში მხოლოდ შოთა იჯდა მშვიდად. ჯერ პაპკა მოხვდა, მერე ჩვარი, ცარცი, ბოლოს ვიღაცა თავზე გადაახტა. ის კი იჯდა და იღიმებოდა. შეშლილებთან ჭკუადამჯდარი კაცი რომ მოხვდება, ზუსტად ისეთი გამოხედვა ჰქონდა. იგი კარგა ხანს ასე გვათვალიერებდა, მერე წამოდგა, ვატყობ მისამართი შემშლიაო, ჩაილაპარაკა და კარისკენ წავიდა.

მუდამ დასაგესლად განწყობილი გე-

ბეჟან ლეჟავა
თამაში ნაგიჯით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევანი უკან დაედევნა, დაეწია, კისერში ხელი წამოჰკრა და მიაყვირა.

— აბა, ერთი შემოგვხედე!

ჩვენი ახალი ამხანაგი უცნაური ღიმილით მობრუნდა. თვალები რისხვით უელავდა.

— რა გნებავთ, მეგობარო?! — ჰკითხა მოგუდული ხმით.

— ცხვირი მინდა მოგწმინდო! — უპასუხა გედევანმა, ჩვენ თვალი ჩაგვიკრა, მერე შოთას ცხვირისკენ ხელი წაიღო, წაიღო და მისმა ბღავილმა იქაურობა გააყრუა: — ვაი, მხარი, მოვკვდი, მოვკვდი!...

— შენ, ძმაო, ენა რამდენიც გაგიხარდება, ატარტარე, ხელი კი დააყენე! — ჩაილაპარაკა შოთამ, აგვხედ-დაგვხედა და უცებ გავიდა.

ამ დღიდან ვერავინ ვერაფერს უბედავდა, გედევანი ხომ სათოფეზეც არ ეკარებოდა. საერთოდ, შოთა ძალზე მომომენი და ხათრიანი იყო, მაგრამ ზოგჯერ სულ უბრალო რამეზე ვულკანივით იფეთქებდა და ვაი იმას, ვინც მის მკლავებში მოხვდებოდა...

შოთას ნაადრევ გაღვიძებაზე გულანად ვიცინეთ, მერე, როგორც იქნა, დავლაგდით: ცაცკანა ჩააჩერდა ყურნალს, ყოველთვის ილლიაში რომ ჰქონდა ამოჩრილი, მე და შოთამ კი მგზავრებს დავუწყეთ თვალიერება.

ვაგონს თვალი მოვავლე და უნებურად მზერა შევაჩერე ჩემს წინ მჯდომ გოგონაზე, წოგნს თვალს რომ არ ამორებდა. ეს ცისფერთვალება ამოსცლისთანავე შევნიშნე, მაშინ არ დავკვირვებივარ. ახლა კი უცებ დამატყვევა.

— რუსთავში მალე ვიქნებით? — ვკითხე ხმადაბლა.

— მე ჯითხეთ? — საამო ხმით შემომიბრუნა კითხვა.

— დიახ, რუსთავში მალე ვიქნებით? — გავუმეორე და თვალი ერთხელაც შევავლე. მშვენიერი გოგონა იყო, მშვენიერი რას მიქვია, კალმით ნახატს ჰგავდა.

— რუსთავში?.. — საათზე დაიხედა, — ნახევარ საათში ჩავალთ! — მეფეზე და კითხვა განაგრძო.

მისი წითელი ტუჩები, თხელი სახე, სწორი ცხვირი და გაშლილი წარბები ვიღაც ნაცნობს მაგონებდა, მაგრამ ვის, ვერა და ვერ გავიხსენე. რაც უფრო ვაკვირდებოდი, მით უფრო ვღელავდი. მერე გამახსენდა, ვისაც ჰგავდა და ჩემში უცებ იფეთქა მივიწყებულმა გრძნობამ.

უცებ თვალწინ დამიდგა ის, ვიზეც ფიქრი ადრე ძილს მიფრთხობდა. რატომღაც მხოლოდ იმ წუთს ვიგრძენი, რომ უსინდისოდ მოვიქეცი. მერე თვითონაც არ ვიცი, რამ მომაგონა ჩვენი ქართული ენის მასწავლებლის სიტყვები: „ადამიანი, რომელიც სხვის ნდობას, კეთილსინდისიერებას ხელზე დაიხვევს და შებილწავს, ერთი საფეხურით დაბლა ეშვება და თუ დროზე არ გამოერკვა, დაკარგავს იმ თვისებას, ადამიანს ცხოველებისაგან რომ ანსხვავებს“. — და, ადამიანობას გეფიცებთ, საკუთარი თავი შემძაგდა.

საოცრად ბომინდა მისი ნახვა. ვიგრძენი, ჩემი უგულობით დაკარგე უფიდესი განძი, რომელსაც ალბათ ასე ადვილად ვეღარ დავიბრუნებდი.

სადღაც სივრცეში ნელ-ნელა გამოიკვეთა მისი დანისლული თვალები: მანანა ვეღრეპით შემომქქეროდა და ჩემგან ტკბილ სიტყვას ელოდა.

უცებ ყურში ვიღაცამ ჩამჩურჩულა: „ხომ შეიძლება, მას უკვე დავიწყებულიც ჰყავდე?“ — გული ტკივილისაგან შემეკუმშა. „არა, ეს შეუძლებელია!“.. „რატომ არის შეუძლებელი? განა იგი ვალდებულია შენ გელოდოს?..“ „რა ვალდებულებაზე მელაპარაკები?... მანანას ხომ ვუყვარვარ!..“ „მერე შენც გიყვარს?.. რა თქმა უნდა, გიყვარს, მაგრამ ბრმა ხარ და სულელი!.. დამნაშავე იყავი და მაინც ეჩხუბე... სუფრაზე ოქის მაგივრად მანანასთან დამჯდარიყავი, ვიღაც ქალიშვილს დაუწყე არშიყობა, მერე მანანამ სხვას რომ გაუღიმა და მასთან იცეკვა, კინაღამ გაგიყდი, ერთი ამბავი დაგწიე. საწყალმა გოგომ ისევ თვითონ გთხოვა პატიება, შენ კი

ქვა ააგდე და თავი შეუშვირე, აღარც ამხანაგებს გაუგონე და აღარც მშობლებს... ახლა კი გვიანღა არის... შეგნან შეურაცხყოფილი, სხვას შეხვდებოდა, სხვას შეიყვარებდა!..“ „არა, ეს შეუძლებელია!..“ „რა ვიცი, ასე კი ამბობენ ხო.“ „შეუძლებელია-მეთქი!“. უფრო მწარედ აღიოხდა გულს და ყელში რაღაც მომებჯინა.

იმის წარმოდგენაც კი, რომ მანანა სხვას შეიყვარებდა, ჩემთვის თავზარდამცემი იყო. „ახიც არის რომ შეიყვაროს!“ — ღვარძლიანად ჩამჩურჩულა იმავე ხმამ, თითქოს აუცილებელი იყო მძიმე ჭრილობის კიდევ უფრო გაღრმავება, თუმცა, იქნებ სწორედ ამან მაგრძნობინა მთელი სიღრმით საკუთარი სიბეცე...

უცებ ქალიშვილმა სწრაფად დახურა წიგნი და ხმადაბლა მითხრა:

— ბატონო, რას მომჩერებიხარ?!.. რა ზრდილობაა ეს, სურათი ხომ არ გგონივართ?!

— ჰა?.. — როგორც იქნა ამოვიღე ხმა და მწყრალ მზერას რომ წავაწყდი, სულ დავიბენი. — მოგჩერებივართ?.. ჰო... არა... მაპატიეთ! — გოგონას თვალი მოვგიდე, მძიმედ წამოვდექი და ბაქნისკენ წავედი. გზად ვიღაცის ჩემოდანს ფეხი წამოვდე და კინაღამ გავიშლართე. კიდევ კარგი, ვიღაც მაღლიანმა ხელი შემაშველა და სირცხვილს გადამარჩინა.

ბაქანზე კიბის სახელურს მივეყრდენი. თბილი ჰაერის ჯავლი სახეში მომასკდა და თმა ამიწ-დამიწეწა.

კარგა ხანს აკვიატებული ფიქრები აღარ მასვენებდა. მერე, თითქოს მანანა ჩემს წინ იდგა, მისი დიდი წყლიანი თვალები და ლამაზი სახე ცხადად დავინახე...

●

მას პირველად ინსტიტუში მოვკარი თვალი. საახალწლო ნაძვის ხეზე სკოლის მოსწავლეებიც გვყავდა მოწვეული. მანანა და მისი მეგობრები იმ ზღვა ხალხში თოჯინებივით ჩანდნენ და ყველას ყურადღებას იპყრობდნენ.

იმ დღიდან ამ გოგონას ლანდი გავხდი. სად უნდა წასულიყო, რომ მეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა. მერე წამოიკივლა და ხულიგანს ხელი უბიძგა.

— ვაა... ეს რა კაპასი ვიღაცა ყოფილა! — ამოიოხრეხა ახმახმა, თან უტიფარი ღიმილით თვალი ჩაუკრა ტროლეიბუსის კართან მდგომ ამხანაგს, რომელიც უშნოდ იღრიჯებოდა. მერე უცებ ბოგონას მკლავში ჩაფრინდა და ბოროტი ღიმილით გადაუგრიხა.

— ვაი, მიშველეთ! — მანანას ტკივილისაგან სახე გაუფითრდა.

მის ამხანაგებში, იქვე რომ იდგნენ, ბიჭებიც ერიგნენ, მაგრამ რატომღაც ხეებიკით გაშეშებულიყვნენ და თვალებს გულისამრევად ახამხამებდნენ.

— თუ შეიძლება, გამატარეთ, — ვოხოვე მოხუცს, ჩემს წინ რომ გახირულიყო და კისერწაგრძელებული მისჩერებოდა სეირს.

— მიბრძანდით, შვილო, მიბრძანდით! — ერთი ამბით დამითმო გზა.

მივიწევდი წინ, თან გაფაციცებით ვეძებდი ამ ორი ხულიგნის ძმაბიჭებს. ვინ იცის, საქმე როგორ წავიდოდა, ყოველ შემთხვევისთვის, მზად უნდა ვყოფილიყავი, ამათ კი როგორმე გავუსწორდებოდი. მერე დავრწმუნდი, მხოლოდ ეს ორი იყო ამრეკ-დამრეკი და უფრო მხნედ განვაგრძე გზა.

ახმახმა დამინახა თუ არა, თვალები ბოროტად დაკაკვესა. ბოგონას ხელი გაუშვა და ოდნავ უკან დაიხია.

როგორც იქნა, კარამდე მივაღწიე და ხმისამოუღებლად მანანა განზე გავწიე ფრთხილად.

ბოგონამ შემომხედა, მიცნო, სახეზე ალმური მოედო და თავი დახარა. მერე უცებ მზერა თამამად გამისწორა. მის თვალებში ჯერ სიხარული შევნიშნე, მერე მუდარა.

ახმახს გავხედე.

— რას ხულიგნობ, ვაქკაც?! — ზიზღით ეკითხე, მკლავში ეწვდი და მთელი ძალით მოვუშირე.

— ვინ ხულიგნობს, ავად ხომ არა ხარ?! — მკლავი გამომგლიჯა, შეიშმუშნა, გულდასმით შეგათვალიერა და, ეგონებ, ოდნავ გამოფხიზლდა კიდეც.

— ქალიშვილთან ხარ მაგაზეთ ტროლეიბუსი გაჩერებას მიუახლოდა, — კარი არ გაიღო! — გავძახე მძღოლს.

— მესმის! — მძღოლმა ხელი ქუდთან მიიტანა, მერე ტროლეიბუსი უფრო სწრაფად გაქანა.

— აბა, რას ელოდები, ქალიშვილს პატიება სთხოვე! — შევუბღვირე ფერნაცვალ ახმახს. მას მარჯვენა ხელი ჯიბეში ედო. — პატიება სთხოვე-მეთქი! — წავიწიე წინ.

— რის პატიება, რა პატიება, იქნებ უბრძანო, მუხლებზე დადგეს, — გამოექომაგა ახმახს ძმაკაცი.

— თუ ბევრს ილაპარაკებთ, მუხლებზეც დადგებით!

აჩოჩქოლებული ხალხი უკან მიაწყდა. მხოლოდ საწყალად მობუზული მანანა დარჩა ადგილზე.

გულის სიღრმეში შიშმა გამიელვა, ხულიგნებმა მოსალოდნელ აყალმაყალში მანანას რამე არ ავნონ-მეთქი. ბოგონას ხელში ნახაზები მივაჩეჩე.

— მანანა, გენაცვალე, უკან დაიწიეთ!

ალბათ, ძმაბიჭებმა იცრძნეს, უკან დახევას რომ არ ვაპირებდი და ერთმანეთს გადახედეს. უცებ ახმახი მკვირცხლად შებრუნდა, მძღოლის კაბინას მიუახლოვდა და დამარცვლით ამოღერღა:

— კარი გააღე! — მერე სიძულვილით სავსე მზერა მესროლა.

მძღოლს პასუხი არ გაუცია. უცებ ჩაქეტა კაბინის კარი და სიჩქარეს მოუმატა.

— არაფერი შეგეშალოს! — ვიყვირე, ერთი ნახტომით ახმახთან გავჩნდი.

იგი უცებ შემობრუნდა, ხელი შემოიქნია. ავიცილე. ახლა მე ვაძაგერე მარჯვენა პირდაპირ, მაგრამ სახის ოდნავ ვეერდზე გაწევა მოასწრო, ნიკაპის მაგივრად მუშტი კისერში მოხვდა. შებარბაცდა და თავის შესაკავებლად კაბინას მიეყრდნო.

— კარი გაგვიღე! — მუშტი დააბარაგუნა მძღოლის კაბინის კარზე ახმახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმაკაცმა. შეატყო, მძღოლი კარის გაღებას არ აპირებდა და, რაღაც არაადამიანური ხმით იბღავლა, — არ ღებ, ხომ! — უცებ ჯიბიდან დანა იძრო, ზიზღით შეგვათვალიერა, მერე მზერა მანანას დაასო:

— სულ შენი ბრალია... შენი...

გოგონას კივილი და ძლიერი დარტყმის ხმა ერთად გაისმა. ხულიგანი უკან გადაქანდა, კედელს თავით შეასკდა და იქვე ჩაიკეცა.

მანანამ კვლავ იკივლა. თვალი მოკკარი, ახმახმა ხელი გამოიქნია, თანაც ჰაერში რაღაც თეთრმა გაიელვა. უცებ შეეგბრუნდი და იმწამსვე მარცხენა ხელი ბომიდუნდა.

ტკივილი არ მიგრძვნია, მხოლოდ საკუთარ სხეულში უცხო სხეულის შეგრძნება იყო ძმიმე ასატანი. დანის ტარს მარჯვენა ვტაცე და ნელ-ნელა მოვქაჩე. ირგვლივ სიჩუმე გამეფდა. უცებ ვიღაცამ წამოიკივლა და ტროლეიბუსში ყურწამღები ჩოჩქოლი ატყდა. როგორც იქნა, დანა ამოვიღე, მერე ერთი კი დავხედე და ფეხებში მივუგდე ახმახს, ორი წუთის წინ ამოსულ მილიციელებს რომ გიკავებინათ.

აქამდე გახევებული მანანა ჩემს მკლავს მისწვდა და თავსაფრით შეხვევა დაიწყო, თან შეწუხებული ხმით ჩურჩულებდა:

— ღმერთო, მომკალი... ჩემი ბრალია... ჩემი ბრალია!

— გაკაწრულია, მანანა, სულ მალე გამიელის!—ვცადე მისი დამშვიდება.

გოგონამ უცნაურად ამომხედა და მოულოდნელად აქვითინდა.

გული სიხარულით ამევსო, ეს ცრემლები ჩემი იყო, ჩემთვის იღვრებოდა და ძზად ვიყავი, ხულიგნებს სულ ნაკუწ-ნაკუწად ავეჩეხე, ოღონდაც ამ ცრემლებს მხოლოდ ჩემთვის, ჩემი გულისთვის ედინათ.

●

მხარზე ხელის შეხებამ გამომარკვია.

— რას ჩაფიქრებულხარ, მერაბ? — მკითხა ცაცანამ, — ჩადი, რაღას ელოდები!

— ჰა, ჩადი, რა ბოძივით გაიხირე! — დაუძატა შოთამ, ხელი სხვათაშორის წამკრა. ძალა ვერ მოზომა და, რომ არ გადავმხტარიყავი, ალბათ ცხვირით მიწას დავასკდებოდი.

— რა ამბავში ხარ, თუ იცი?! — გაცეცხლებული მივტრიალდი.

— წამოდი, წამოდი, ჩხუბის დრო აღარ არის! — სცადა ჩემი დამშვიდება ცაცანამ, მაჯაში მწვდა და მომქაჩა. რომ არ გავყევი, ხელი ჩაიქნია, — ეშმაკსაც წაუღიხარო, — მომაძახა და შოთას დაედევნა.

მეტი რა გზა მქონდა, ნელ-ნელა გავყევი ქვაფენილს. მივდიოდი, თან ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი ყველას. „რა მიარბენინებს ამ ხალხს?“ — გავიფიქრე და საათზე დავიხედე.

— აუჰ, რა დრო გასულა?! — აღმომხდა უნებურად, მერე ცერად გავხედე მეგობრებს, ჩემგან ასიოდე მეტრზე რომ შეჩერებულიყვნენ და გამალებით მიქნევდნენ ხელს. მეორე წუთს მათთან ვიყავი. — დავიგვიანეთ! — შევძახე და გზა თითქმის სირბილით განვაგრძე.

ქარხნის შესასვლელთან გუშაგს საშვი წარვუდგინეთ და სწრაფი ნაბიჯით მიმავალ ხალხში გავერიეთ.

საამქრომდე ჯერ კიდევ კარგა დიდი მანძილი გვქონდა გასავლელი. მივყვებოდით ფართო გზას, რომლის ორივე მხარეს ტოტებდახრილი აკაციები ჩამწკრივებულიყო. ამ ცოხცალი ღობის იქით ბაღი ბიბინებდა, უფრო შორს კი ვეებერთელა შენობები მოჩანდა.

— ჩამოცხა! — კისერზე ოფლი მოვიწმინდე.

— ჰო, ცხელა! — ამოიქშინა შოთამაც.

ის იყო საბრძმედე საამქროს გავუსწორდით, რომ ისედაც ნათელი დღე უფრო გაკაშკაშდა. პირველი ბრძმედიდან გადმოხეთქილი ოქროსფერი ღვართქაფი ფართოპირიან ციცხვში გადაეშვა და ირგვლივ უთვალავი ნაპერწკალი გაჰფანტა.

ბეჟან ლეჟავა
თამამი ნაბიჯით

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უჰ, რა დიდებულია! — აღმომხდა უნებურად, შეეჭიდდი.

— საოცრებაა! — მხარი ამიბა შოთამ.

— წამოდიით, წამოდით! ფეხი გამოადგით! — შემოგვძახა ცაცკანამ და ნაბიჯს აუჩქარა.

ორასიოდე მეტრი გავიარეთ, მერე მარჯვნივ გავუხვიეთ და ჩვენს თვალწინ უფრო დიდებული სანახაობა გადაიშალა: ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული ბუმბერაზი მილები ზეცისკენ ბოლქვა-ბოლქვად გზავნიდნენ სქელ კვამლს. ყველაზე უცნაური ის იყო, ერთი შეხედვით კუპრივით კვამლი ყოველი მილის თავზე სხვადასხვაფრად მიიკლაკნებოდა. ამის შემხედვარემ გაოცება ვერ დავფარე.

— რატომ არის მარტენის მილებიდან ამომავალ კვამლს შორის ასეთი სხვაობა?

ორიენენი შეჩერდნენ და ჯერ ეჭვით, მერე გულდასმით მიაჩერდნენ მარტენის მილებს.

— მართლაც და რაშია საქმე? — კეფა მოიქექა შოთამ.

ცაცკანამ ბუმბერაზებს ერთხელაც ახედა, მერე ცერად გამომხედა, თვალი ჩამიკრა და მითხრა:

— შაყირის ხასიათზე მოხვედი?

— გვეშაყირება ახლა ჩვენ? — მხრები აიჩეჩა შოთამ.

— ბიჭოს, თქვენ, ვატყობ, მართლაც არ ხუმრობთ?! ნუთუ არ გახსოვთ... — მილებს ერთხელაც გახედა.

— გამგიჟებს ეს კაცი, რა არ გვახსოვს?

— რა და, ნებისმიერ ჯართში თუ თუჯში სხვადასხვა რაოდენობით არის მინარევები, ყოველ ღუმელს განსხვავებული წვის უნარი აქვს, ეს მილები კი... — აზრი აღარ დაამთავრა, ხელი ჩაიქნია, ცოტა ხნის შემდეგ უცებ მკვახედ მოუჭრა: — მოკლედ, დიპლომი ერთხელ დავიცავი და ვგონებ კმარა! — და ფართო ნაბიჯით გზა განაგრძო.

— მხოლოდ ჩემისთანა სულელს შეუძლია დაივიწყოს გუშინდელი ნასწავლი! — ჩავილაპარაკე საკუთარ თავზე გაბრაზებულმა, მერე მეგობრებს დავეწიე.

აბა მაშინ რა ვიცოდი, რომ ყველაფერი ეს კანონზომიერი იყო. წინაპრებს სწორედ ჩვენზე უთქვამთ: „მჭედლობას ვერ ისწავლი, თუ თვითონ არ ეზიარეო“. ალბათ გაიფიქრებთ, შენს მეგობარს საიდანღა ახსოვდაო. მაგრამ, ძალლის თავი სწორედ აქ მარხია: ზაფხულობით ცაცკანა კეთილსინდისიერად ეკიდებოდა პრაქტიკას, ჩვენ კი ცუდლუტობის და გართობის მეტი არაფერი გვახსოვდა.

●

საამქროს უფროსის მისაღები ოთახის კართან ერთ ადგილას ოც წუთს მაინც ვტკეპნიდით: ვერ გადაგვწყვეტა, შევსულიყავით თუ არა, მორიდება თუ რაღაც სხვა გრძნობა ხელ-ფეხს გვიბორკავდა.

— ჰა, რას ელოდები, შედი! — სახელოზე დამჭაჩა შოთამ, — თქვენები საქმეს უკვე გაჩარხავდნენ.

— არაფერიც არ გაუჩარხნიათ! — ნაკვერცხალივით ავენთე და შოთას ბრაზით სავსე მზერა ვესროლე. ჩემს ანთებულ თვალებს ძალა რომ ჰქონოდა, ალბათ ამ ენაგრძელს ცხრა მთას იქით მოისვრიდა, მაგრამ იმავე წუთს გონებაში ელვასავით გამკრა: „თუ წიწაკა არ გიჭამია, პირირად გეწვის!“. „სულაც არ მეწვის!“.. „გული რად მოგდის?!“

არ დავმალავ, საამქროს უფროსი ნათესავად მართლა მერგებოდა, მამაჩემის ალალი ბიძაშვილი იყო, მაგრამ მე ერთხელაც არ მენახა.

საერთოდ, ძალზე მეჯავრებოდა რეკომენდაციებით საქმის გაკეთება. რაც არ უნდა გამჭირვებოდა, დახმარებას არ ვთხოვდი. არ მიყვარდა ნათესავების შეწუხება. ამაში მამას ვგავდი, დედა კი ამ საკითხზე სხვა აზრის გახლდათ. გუშინ ღამით ნათლად გავიგონე, როგორ შეუტია მამას:

— კაცო, ის ადამიანი ბიძაშვილად გეკუთვნის და შვილზე ორიოდე სიტყვის თქმა გერიდება?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ძვირფასო, არ მერიდება, მაგრამ... — მამას ხველება აუტყდა, მერე, როგორც იქნა, სული მოითქვა და განაგრძო: — სჯობს თვითონ გაიკაფოს გზა, თუ გაუჭირდება, მერე... მერე ვნახოთ...

შოთამ ერთხელაც შემომხედა და, ალბათ მიხვდა, ნათქვამი რომ კარგად ვერ გამოუვიდა, გაწითლდა.

— კარგი, კარგი, ნუ იბღვირები! — თქვა მოგუდული ხმით და მოულოდნელად კარი შეაღო.

მე და ცაცანამ ერთმანეთს გადავხედეთ და უხმოდ შევყევით.

ოთახში ჩვენს პირდაპირ ასე ოცდაათი-ოცდათორმეტი წლის მამაკაცი მიჯდომოდა მაგიდას.

ბიჭებმა თვალი დააეცეცს, დაიბნენ, ალბათ იფიქრეს სხვაგან მოეხვედითო. მე კი იმწამსვე მივხვდი, ჩვენს წინ საამქროს უფროსი იჯდა: სახით, მოყვანილობით და იერით ძალიან ჰგავდა მამიჩემს და, რა თქმა უნდა, ალბათ მეც.

ოთახში ყველა ფანჯარა ღია იყო, მაგრამ ჯოჯოხეთურად ცხელოდა. კედლების გასწვრივ სკამები ჩაემწკრივებინათ, კუთხეში წიგნებით გამოქედილი მაღალი კარადა იდგა. იქვე, კედელზე რეპროდუქტორი იყო მიმაგრებული.

საამქროს უფროსი სმენდადაბული უსმენდა მუსიკას და, თუ არ ვცდები, ჩვენი შესვლა მაინდამაინც არ ეპრიანა. შუბლი შეიკრა, მაგრამ უცებ გაიღიმა. წამოდგა და ხელი სათითაოდ ჩამოგვართვა. ერთი თავით მაინც იყო ჩვენზე მაღალი. ხელს რომ მართმევდა, დაკვირვებით დამაცქერდა სახეზე, მერე მკვირცხლად შებრუნდა და რეპროდუქტორს ხმა დაუწია.

— თქვენ ალბათ განაწილებითა ხართ გამოგზავნილი? — ჰოგვიბრუნდა ჩვენ, — ჰო, ვიცი, ვიცი, — არ გვაცალა პასუხის გაცემა, — კადრების განყოფილებიდან დამირეკეს! — თქვა და კვლავ მე შემათვალიერა.

მოულოდნელად კარმა დაიჭრიალა, მერე ვიღაცამ მოკრძალებით იკითხა:

— შეიძლება?

— ოჰ, რვეზზე, მოდი... მოდი, გაიცანი ჩვენი საამქროს შვილება!

მაღალი, თმახუჭუჭა ახალგაზრდა ღიმილით მოგვიახლოვდა და ხელი გამოგვიწოდა.

თვალი შევავლე, მერე საამქროს უფროსს გადავხედე და უნებურად გავიფიქრე: ამ საამქროში ყველანი თუ ასეთები არიან, ნამდვილად დევგების ბუდე ყოფილა-მეთქი. თითქოს ჩემი ფიქრის პასუხად ოთახში გვარიანად ტანსრული შუახნის მამაკაცი შემოვიდა.

— პატივცემულო გიორგი, საამქროს აძლიერებენ, ახალი შევსება გამოგვიგზავნეს! — მიაგება შემოსულს საამქროს უფროსმა, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა. — ჩემი მოადგილეა!

— ძალიან სასიამოვნოა, ჩემო კარგო, ძალიან სასიამოვნოა! — ჩაილაპარაკა გიორგიმ, თავის დაკვრით მოგვესალმა, დივანზე ჩამოჯდა და თმახუჭუჭა რეზოს მიმართა: — აგვიანებ მიქსერის გაშვებას, ჩემო კარგო, ძალიან აგვიანებ!

— აბა მე რა ვქნა, ბატონო გიორგი, მიქსერის შემკეთებელ ბრიგადას ხალნი არ ჰყოფნის! — უპასუხა რეზომ და მის გვერდით ჩამოჯდა.

ჩემზე ამ გულითადმა საუბარმა ნექტარივით იმოქმედა. თვალი გავაპარე მეგობრებისაკენ. მათაც სახე და თვალები უცინოდათ.

— დასხედით, მეგობრებო, ვგონებ, სკამები საკმარისია! — მოგვმართა ბოხი ხმით საამქროს უფროსმა.

მაგიდას მივუსხედით და უფროსს მივაჩერდით. იგი ერთხანს რაღაცას კითხულობდა, მერე თავი ასწია და მოულოდნელად მკითხა:

— ნიშნიანიძე ალბათ თქვენა ხართ, არა?

— დიახ, მე გახლავართ! — შევაგებე პასუხი. შევნიშნე, ცაცანამ და შოთამ დაცინვით ჩაიღიმეს.

— საიდან ხართ?

— თბილისიდან! — თვალი შევავლე

ბეჟან ლეჟავა
თამამი ნაბიჯით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭებს. ისინი უკვე მზაკვრულად იღიმებოდნენ.

— ეგ შეც ვიცი, — ჩაიცინა. — წარმოშობით რომელი კუთხიდან ხართ? სამტრედიის რაიონიდან?

საშინლად მომინდა ტყუილის თქმა. ეს სურვილი იმდენად ძლიერი იყო, თავი ვერ შევიკავე:

— არა, ბატონო, ჭიათურელი გახლავართ.

ბიჭებს სახეზე ჯერ ღიმი გაუქრათ, მერე გაოცება გამოეხატათ. ცაცკანამ რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ დავასწარი და ფეხი დავაჭირე. ტკივილისაგან სახე მოექცა, ხმა არ ამოუღია.

უფროსმა ულვაშებში ჩაიცინა. ალბათ მიხვდა, რომ ვტყუოდი და, შეიძლება იმასაც, რატომ ვტყუოდი.

ერთხანს ჩუმად გვათვალიერებდა, მერე მოადგილეს გაეხედა და ყრუდ ჩაახველა:

— ახალგაზრდებო, ჩვენი საამქრო ქარხანაში მოწონავეა და არ გვაქვს უფლება, მისი სახელი შევარცხვინოთ... ეს კარგად დაიხსომეთ... ჯერჯერობით მეფოლადის ხელშემწყობად იმუშავებთ, მერე ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. საქმეს მუყაითად მოეკიდეთ, დამის ცვლაში არ დაგეძინოთ, სამუშაოზე არ დაიგვიანოთ... — და მოგვაყარა და მოგვაყარა დაუსრულებლად.

ხასიათი უცებ შემეცვალა. ერთ ხანს ყურს ვუგდებდი, მერე ჩემდაუნებურად ფიქრმა დამძლია: „ბავშვები ხომ არა ვგონივართ? ვგონებ მასზე ნაკლებად არ უნდა ვერკვეოდეთ კარგსა და ავში. რა საჭიროა ზედმეტი ლაპარაკი?.. ამას ალბათ თავისი დიპლომი რაღაც არაჩვეულებრივი ჰგონია... ერიჰა, არ გაავრძელო!“ უცებ რატომღაც ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს შშვენიერ პარკში მივსეირნობდი და აქა-იქ მიმაგრებულ პატარა ფირფიტებს კეთხულობდი: „გაზონებზე არ იარო!“ „ყვავილები არ მოწყვიტო!“ „პაპიროსის ნამწვავი ურნაში ჩაგდეთ!“ მერე უცებ თავი რატომღაც დაწესებულებაში წარმოვიდგინე: ნელა მივაბიჯებდი და ყოველ წამს თვალში მეხირებოდა: „ნუ იხმაურებთ! „ოთახში შესვლა აკრძალულია“ „ფეხები დაიწმინდეთ!“ „გაუფრთხილებლად კარი არ შეაღოთ!“ საამქროს უფროსი კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა და, ეტყობოდა, გათავებას აღარ აპირებდა.

სული შემეხუთა. საშინლად მინდოდა იმ წუთში რაიმე გესლიანი მეთქვა, მაგრამ ენას დროზე დავაჭირე კბილი.

ბოლოს გვეშველა. იგი ერთი წამით შეჩერდა, გადმოგვხედა, მერე წყალი მოსვა და თვალებმილულულ მოადგილეს მიუბრუნდა: — პატივცემულო გიორგი, რამეს ხომ არ დაუმატებთ?

„ახლა ესეც თუ ასე მოჰყვა, ნამდვილად გავგიჟდები!“ — გავიფიქრე და თითქმის ვედრებით შეეხედე ხნიერ კაცს. იგი შეიშმუშნა, წამოდგა და ღიმილით გადმოგვხედა. ეტყობა, ასეთი ბრტყელ-ბრტყელი საუბარი მისთვის ახალი ხილი არ იყო.

— ახალს ვერაფერს ვიტყვი, ოღონდ ერთს კი დავუმატებ. ამ ქარხანაში ახალგაზრდა სპეციალისტებს დიდად აფასებენ. — მის ხმაში დაცინვა იგრძნობოდა, — ახალგაზრდობას არსად არ აწინაურებენ ისე სწრაფად, როგორც ჩვენთან, — ცერად გახედა საამქროს უფროსს, რომელიც გულმოდგინედ დასცქეროდა რაღაც ქაღალდს. — ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ქარხანა და თვით ქალაქიც ძალზე ახალგაზრდაა, — განაგრძო საამქროს უფროსის მოადგილემ. — მოკლედ, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული... იმუშავეთ კეთილსინდისიერად, ძალიან კარგი, არადა, თქვენ თავს დააბრალეთ!

კარგა ხანს კაბინეტში სიჩუმე ბატონობდა, მერე მამაჩემის ბიძაშვილძა ქაღალდებს თავი მიანება და მაღალ ახალგაზრდას მიუბრუნდა:

— რეგაზ, ამხანაგებს გაპყეკი და საუშაო ტანსაცმლის მიღებაში დაეხმარე!

●

ნაბდის „სპეცოვკა“ გვარიანად ძმიმეა. კისერი გადამიხეხა, აუტანლადაც იკბინება. ოფლი ხვთქივით ჩამომდის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამას არაფრად ვაგდებ. გაოცებით ვაკვირდები თითქოს ნაცნობ, თანაც ძალზე უცნობ გარეგნოს.

ერთ ხმაზე გუგუნებს საამქრო, მაგრამ თუ ყურადღებას გაამახვილებთ, იგრძნობთ ერთმანეთში შერწყმულ ათას ბგერას. ყველაფერი მოძრაობს: ზემოთ მირახრახებს ვეება ამწე და უშველებელ ციცხვს მიათრევს. აგერ, ჩვენს წინ ხორთუმს იქნევს მანქანა, ღუმელს რკინის ჯართით აპურებს. ღუმელი კი ბაყბაყდევივით ცეცხლს აფრქვევს, თითქოს ჯართი არ ყოფნის და მანქანის გადაყლაპვა უნდაო. იქით ორთქლმავალმა იკივლა და მადნით დატვირთული ვაგონები შემოარახრახა, აქეთ დინჯად მოგორავს პატარა ელმავალი, ორ ციცხვს რომ მოაგრუხუნებს. ირგვლივ სიცოცხლე ჩქეფს, მოძრაობს და ყველაფერს ამას დირიჟორობს ადამიანი, ნაბდის სამოსში გახვეული, ოფლიანი, სახეგაბრწყინებული, ამაყი და მხიარული.

მესამე ღუმელს მივუახლოვდით. შევჩერდით და მოჯადოებულივით მივაჩერდით მუშებს, ნიჩბებს გამალებით რომ იქნევდნენ და პირდაღებულ ვეშაპს რკინის მადნით უფრო ახელებდნენ.

მერე მზერა გადავიტანე ღუმელზე, ჯოჯოხეთივით რომ გეზგიზებდა. ყოველი ულუფა მადნის მიღებისას ოქროსფერი მასა უფრო ენერგიულად ოწყებდა დუღილს და მსხვილ შხეფებს მაღლა ისროდა.

ვისაც არ უნახავს, ძნელად წარმოიდგენს ამ სილამაზეს. შეეცქეროდი ფოლადის დუღილს და მეგონა, ტბის პირას ვიდექი და გაეყურებდი დილის მზის სხივებით აელვარებულ სივრცეს, საიდანაც ოქროს თევზები ხტებოდნენ.

გიორგი შალვას ძე გრძელცხვირა ახალგაზრდას მიუახლოვდა. ხელში ლურჯ სათვალეს ათამაშებდა.

—ღუტა, როდის აპირებ დნობის გაშვებას?

— ნახევარ სათში, ბატონო გიორგი! — უპასუხა მან და ჩვენ გადმოგვხედა.

— ესენი ახალგაზრდა სპეციალისტები არიან.

ოსტატმა ოდნავ მოუტუტული თვალებით შეგვათვალიერა.

— აბა, თქვენ იცით! — ღიმილით გვითხრა საამქროს უფროსის მოადგილემ, მერე დინჯად შებრუნდა და წავიდა.

თვალი გავაყოლე.

— ხედავ, რა კოხტად ხმარობენ ნიჩაბს! — მხარი გამკრა შოთამ.

— ვხედავ, ბრმა ხომ არა ვარ!

— იმ ბიჭს უყურე!

— რომელს?

— ყველაზე დაბალს!

— მერე? — გამხდარ, დაბალ ბიჭს თვალი გავაყოლე.

— არაფერი... წელამდე ძლივს მომწდება და რკინის მადანს ამსიშორიდან ისვრის.

— აააა, — დავიზმუვლე მოზვერივით.

— ა კი არა, ბე...

— ნეტავ ჩვენც შეგძლებთ ასე მუშაობას? — ჩაერია ლაპარაკში ცაცკანა.

— შეგძლებთ რას მიქვია, უფრო შორს ვისვრი... ორი მაგოდენა ვარ! — ჩაიბუზღუნა შოთამ.

— აბა, ს!ცადეთ!—მოგვიახლოვდა ოსტატი. იგი კარგა ხანი იყო თვალს არ გვაშორებდა და ჩვენს საუბარს ისმენდა. უცებ დაბალ ბიჭს გასძახა: — ლეო! — მერე ნიჩაბი გამოართვა და შოთას მიაწოდა. — აბა თქვენ იცით!

შოთა გაფითრდა, მარჯვენა წარბი აუთამაშდა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა, უკან ხომ არ დაიხევდა. ნიჩაბი ჩამოართვა, ნაბდის ხელთათმანი შეისწორა, დაბნეული მზერა გვესროლა და დახვავებულ რკინის მადნისკენ გულდაგული გაემართა.

თვალი გავაყოლე და უნებურად გამახსენდა ჩვენი დეკანის სიტყვები, გამოსამშვიდობებელ საღამოზე რომ გვითხრა: „დედამიწაზე არ არსებობს უნი-

---

ბეჟან ლეჟავა
თამაში ნაბიჯით

ჭო ადამიანი. შეუძლებელია მან რომელიმე პროფესია არ დაძლიოს, რაღაცისკენ მიდრეკილება არ ჰქონდეს. ვინც ამ ბუნების მიერ ნაბოძებ ნიშს დროზე შენიშნავს, ის ბევრს მოიგებს, ვინც ვერა, მუდამ ამ ცხოვრების უკმაყოფილო იქნება!"

რატომღაც მხოლოდ იმ წუთას ვიგრძენი, შოთა დაბადებული იყო ყველა სხვა სპეციალობისათვის, მხოლოდ არა ძეტალურგად.

მინდოდა შემეჩერებინა, გამომერთმია ნიჩაბი, მჯეროდა, იმ ახალგაზრდაზე უკეთესად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად არ ვიხმარდი.

ამასობაში შოთა მიუახლოვდა მადნის გროვას, ნიჩაბი პირამდე აავსო. (მუშები კი ნახევრამდე ავსებენ) და ღუმელისაკენ გაემართა. ხუთიოდე მეტრზე შეჩერდა. ნიჩაბი უკან გასწია, მოიქნია და... მძლავრად მოქნეული ნიჩაბი ხელიდან გაუსხლტა, ღუმელში შეფრინდა და ლავაში გაუჩინარდა, შოთა კი რაღაც ძალამ წინ გააქანა, თითქოს მასაც ღუმელში უპირებს შეგდებასო. უცებ ფეხი ლიანდაგს წამოსდო, წაიფორხილა, დავარდა და დაფეთებული დათვივით დაოთხილი გაქანდა ღუმელისაკენ.

იმავე წამს ოსტატმა ისკუპა, შოთას საყელოში სწვდა და უკან გადმოაგდო.

მადანთან ბექებზე განრთხმული ტრაბახა ერთ ხანს გარინდული იწვა, თვალს არ აშორებდა ალს, ღუმელის წინ მხიარული თამაშით ბაქანს რომ ლოკავდა. ერე მზერა ოსტატზე გადაიტანა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. ამოიქშინა, ნელ-ნელა წამოდგა და მოტრიალდა. თმა, წარბები, წამწამები და კოხტად დაყენებული ულვაში შეტრუსული ჰქონდა. თვალებს ისე აფაზულებდა, მართლაც ცეცხლმოდებული ტყიდან გამოვარდნილი დათვი გეგოხებოდათ.

მუშები, აქამდე დაძაბული რომ იდგნენ, ახლა მხიარულად ახარხარდნენ. მხოლოდ ჩვენ ვიყავით ჩუმად, ბოდმისაგან გასივებულები და სიბრაზისაგან ტუჩებს ვიკვნეტდით. არც ოსტატდამცინა ნოდა. მშვიდად ათვალიერებდა მუშებს, რომელთა ოხუნჯობასა და დამცინავ შეძახილებს ბოლო არ უჩანდა.

— ამათ სხვანაირ ნიჩებებს გამოუტრიალნ! — წამოძახა ჭიოლაცამ.

— ნიჩაბი თორემ, მაგათმა მზემ, გამოიყენებენ, ყველას ღუმელში შეპყრიან!

— ნიჩაბი რად უნდათ, ბატების სამწყესად გაუშვიან! — ჩაურთო ლერიმ და მუშები ისევ ახარხარდნენ, თითქოს ძალზე სასაცილო რამ ეთქვას.

მერე ლერი ჩვენკენ ისე წამოვიდა, გეგონებოდათ მოცეკვავსო. მოგვიახლოვდა, დინჯი შემოიყარა, დაცინვით აგვათვალ-ჩაგვათვალიერა და სისინიო თქვა:

— ერთი გამაგებინეთ, ასეთი ჩიტუნები საიდან მოფრინდიან?..

სიბრაზისაგან კინაღამ გავიგუდე. ვიფიქრე, ამ ეშმაკის ფეხს ერთი ლაზათიანად გავცხებ-მეთქი, მაგრამ რა უფლება მქონდა? თუმცა ან მათ რა უფლება ჰქონდათ, მასხარად რომ გვიგდებდნენ — ამ მოწრიპულს ალბათ იმის ნახევარიც არ ეცოდინებოდა, ჩვენ რომ ვიცოდით და ასე დიდგულად კი გვათვალიერებდა. ყველაფერი ამ ყოყლოჩინა შოთას ბრალი იყო. თავიც შეირცხვინა და ჩვენც მიწასთან გაგვასწორა. ახლა კი იდგა და თვალებს ლენჩივით ახამხამებდა.

— ჰა, ამოიღეთ ხმა! — შეგვახსენა თავის არსებობა ლერიმ. იქვე დაყრილ ქვიშას ფეხი წაჰკრა და შემოგვაყარა.

— თუ ძმა ხარ, თავი დაგვანებე! — აუღელვებლად თქვა ცაცკანამ.

— მაინც... მაინც საინტერესოა, საიდან ჩამოფრინდიან?!

— არსაიდან!

— კაცო, გამაგებინეთ ვინ ან რა ხარონ? — თანაც დაცინვით აგვხედდაგვხედა.

— არაფერიც არ ვართ! — ვეღარ მოვითმინე მე.

— მაგას მეც ვხედავ!

— თუ ხედავ, რაღას მოგვჩერებიხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისე! — და უფრო დაჟინებით მოგვაჩერდა.

ირგვლივ ყველა გაილესა. ალბათ „მეგობრული“ საუბრის დასასრულს ელოდნენ.

— რას მოგვშტერებიხარ, შენს გზას მიხედე! — შევუბღვირე ლერის და ხელთათმანი შევისწორე.

— მაინტერესებს, ამხელა ღლავები სად იზრდებიან!

— ღლავიც ხარ და... — გაცხარებულმა მისკენ გავიწიე.

იგი უკან გადახტა, თვალები დამიბრიალა.

— აბა, აბა, შე ლოქო, ჭკვიანად, თორემ ისე მიგბეეყავ, ერთი კვრა ჩვენსა მექანიკოსმაც ვერ აგაწყოს!

ეს კი მეტისმეტი იყო. თვალთ დამიბნელდა. მოწოლილი ცრემლი რომ არავის შეენიშნა, შოთას მივუბრუნდი:

— შე მართალა ლოქო, კიდევ დაიწყებ ტრაბახს! — ჩაეილაპარაკე ბოღმიანად.

შოთას ხმა არ ამოუღია. საწყლად დაახამხამა თვალები, თავი დახარა.

— ვაჰ, აფსუსი არ არის, ამთ დიპლომები ჰქონდეთ!.. — თქვა ლერიმ, — ეჰ... ჩემი ცოდნა და ამთი დიპლომი! — სულ მოგვიღო ბოლო.

ტუჩზე ვიკბინე. იქაურობას თვალი მოვავლე. მშველელს ვეძებდი. მზერა ოსტატზე შევაჩერე. იგი დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შემოგვყურებდა. მერე, ეტყობა, იგრძნო, მოთმინების ფიალა რომ ამევსო, მოგვიახლოვდა და ლერის მხარზე ხელი დაადო.

— „წრიპა“ (მერე გავიგე, ეს ზედმეტი სახელი ლერისთვის მუშებს შეურქმეგიათ მოუსვენრობისა და კვიმატობისათვის) — აბა, გეყოფა, საქმეს მიხედე!

— ვა, ოსტატო, რა დროს საქმეა!

— ლერი, რა ამბავში ხარ! — ჩაერია ლაპარაკში მაღალი, წითური მეფოლადე, რომელიც, ის-ის იყო, ჩვენთან მოვიდა.

— რა მოხდა, მირიან? — უცებ შეიცალა ამბეზარა. მისი ხმა უკვე მორიდებით ყღორდა.

— რა და, ენას კბილი დააჭირე! — ეკიდა მკაცრად უთხრა მირიანმა, — დაგავიწყდა რა იყავი, აქ რომ მოხვედი?!

— არა, მაგრამ...

— გეყოფა ლაყბობა, წადი, ქანგბადის ბალონი მოიტანე! — მკაცრად შეაწყვეტინა მეფოლადემ, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა: — არ გეწყინოთ, ბიჭებო, ამ სულელის ლაპარაკს ყურს რას უგდებთ, მალე შეეჩვევით აქაურობას.

გული უცემ დაცხრა. ისეთი შვება ვიგრძენი, თითქოს დიდი ხნის მწყურვალი ვიყავი და ცივ წყალს დავწაფებოდი. რა დასამალია და, ამ ადამიანისადმი უსაზღვრო პატივისცემით გავიმსჭვალე.

— მირიან, ეს ახალგაზრდა შენთან იმუშავებს! — თქვა ოსტატმა და შოთას მხარზე ხელი დაადო, მერე ცაცვანას მიუბრუნდა, — თქვენ მეოთხე ღუმელთან წახვალთ, თქვენ კი, — მომიბრუნდა მე, — მეორე ღუმელთან გოჩა იკითხეთ!

●

მეორე ღუმელისკენ ნელი ნაბიჯით წავედი. „როგორ მოვიქცე, როგორ დავიჭირო ამ ხალხთან თავი?“ — ტვინს მიბურღავდა ფიქრი. რაღაც წინათგრძნობა მკარნახობდა, შეჯახებები, სანამ ამ ხალხს შევესისხლხორცებოდი, ბევრი მექნებოდა. „თავი უნდა დაიჭირო რაც შეიძლება უბრალოდ, მათთან დაახლოების სურვილი არ გამოამჟღავნო, მაგრამ არც გაიბღინძო. თუ თვითონ მოისურვებენ დაახლოებას!?“ — ჩაეჩურჩულა იდუმალმა ხმამ. „კი მაგრამ ამდენ დაცინვას როგორ გავუძლო?“... „ყურადღებას ნუ მიაქცევ, მალე შეგეჩვევიან, ისე მოიქეცი, თითქოს შენ არც გეხება!“... „სათქმელად ადვილია!“... „რას იზამ, დაგეგმილი სიარული ძნელია, მაგრამ სხვა გამოსავალი არა გაქვს, სიფიცხეს ლაგამი უნდა ამოსდო!“... „იფ... იფ... რა ადვილია!...“

გიორგი ლეონავა
თამამი ნაბიჯით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელად ვიღაცას შევეჯახე და უცებ გამოვერკვეე.

— შენ რა, თვალებში ვერ იხედები? — მკვახე ხმით მკითხა დაბალმა, ჩაფსკვნილმა მეფოლადემ, ღუმელის სამართავ ხელსაწყოსთან რომ იდგა.

— მეორე ღუმელის მეფოლადე თქვენ ბრძანდებით? — კკითხე ხმადაბლა და უკან დავიხე.

— მერე შენ რა?

— თქვენთან გამომგზავნეს!

— ამშენებია ოჯახი და ეგ არის! — ჩაილაპარაკა, შემათვალიერა და მკითხა: — ინჟინერი ხარ?

— დიახ!

— ა�ა, გასაგებია! — ამხედ-დამხედა. შემდეგ ჭრელი თვალები ეშმაკურად მოჭუტა. — გამქანგველის გარჩევა თუ შეგიძლია? — და დამცინავი ღიმილი რომ დაეშალა, სახე მიაბრუნა.

გამქანგველს კი არა, თიხას და სილას ვერ გავარჩევდი ერთმანეთისაგან, მაგრამ იხტიბარს როგორ გავიტეხდი, თანაც მისმა დაცინვამ საშინლად გამაღიზიანა. ვიცი-მეთქი, დავუქნიე თავი. მეორე წუთს კი ბ'ზარად ვინანე.

— თუ იცი, ძალიან კარგი, ბიჭებს არ სცალიათ, დაღვრილ წიდას იღებენ. წადი და ერთი ტონა მარგანეცი აწონე! — და კვლავ დაცინვით ჩაიცინა, თან ხელი გაიშვირა სასწორისკენ, საამქროს შუაზე რომ ჰყოფდა.

მძიმედ წავედი სასწორისაკენ, მაგრამ ზურგზე დასობილმა ორმა მწველმა ისარმა ჩემდაუნებურად ფეხი ამაჩქარებინა.

გამქანგველებთან ახალგაზრდები საუბრობდნენ. ისინი თვალს აყოლებდნენ ხნიერი მუშის მოძრაობას, გამქანგველს სასწორზე რომ ყრიდა.

— გამარჯობათ! — ვთქვი ხმადაბლა.

— გაგიმარჯოს! — მიპასუხეს თითქმის ერთხმად და ცნობისმოყვარეობით მომაჩერდნენ.

თავი უხერხულად ვიგრძენი: არ ვიცოდი, საღ წამეღო ხელები. ხან დოინჯი შემოვიყარე, ხან ზურგზე დავიწყვეტ. მაგრამ ადგილი ვერა და ვერ ვიპოვნე.

— გამქანგველი გაქვს გასამზადებელი? — მკითხა მოულოდნელად ვიღაც ახალგაზრდამ.

— დიახ!

— ჩემს შემდეგ იქნებით, მანამდე მანდ დაჯექით, დაისვენეთ!

იქვე, გრძელ მერხზე ჩამოვჯექი. უაზროდ მივაჩერდი ხნიერს, ნიჩაბს კოტტად რომ ამუშავებდა და სასწორს გამქანგველით ავსებდა.

კარგა ხანს ვიჯექი ასე თვალგაშტერებული. მერე ვერც კი ვიგრძენი, ისე შემომეპარა დილანდელი სევდა. ნელ-ნელა ფიქრში შევცურე. მანანას სახე კვლავ წინ დამიდგა და ისევაც აფორიაქებული სული უფრო ამიღვრია.

●

— ხედავ, რა ახლოა მეორე ნაპირი? — დავიჩურჩულე.

— ვხედავ!

— გინდა გავიდეთ?

— არ ვიცი! — მანანამ ნაპირს ერთხელ გახედა, მერე გადაიხარა, ნავის კიდეს დაეყრდნო და პეშვით წყალი ამოიღო.

— მანანა!

— რა იყო?

— არაფერი.

— თუ არაფერი, აბა რატომ დამიძახე? — და სახეში წყალი შემომასხა.

— ისე დაგიძახე! — ჩაილაპარაკე და ნიჩბები მოვუსვი.

გული მკერდს ეხეთქება. სახეში სისხლი მაწვება.

მანანა გასწორდა. ღიმილით შემომხედა.

— მერაბ, რის თქმა გინდოდა? — დაყელი ლამაზად მოიღერა.

საათქმელი ენის წვერზე მადგა, მაგრამ გავაღე პირი და სულ სხვა რაღაცა წამოვაყრანტალე:

— რა და... გინდა ვიბანაოთ?

ალბათ იგი ელოდა, სხვა რამეს ვეტყოდი, თვალებში წყენა შეეტყო, მერე გამიღიმა და წყალს შიშით დახედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, აქ ძალიან ღრმა იქნება, მეშინია!

— რის გეშინია, აქ არა ვარ!

— ახლა ასე ამბობ, — თვალები ეშმაკურად მოუტტა, — რომ გამიჭირდეს, ახლოს არ მომეკარები! — და წყალი კვლავ შემომასხა.

— ასე გგოო...ნია! — ვიგრძენი. სახე გამიფიფითრდა.

— ეშვი არ მეპარება!

— ასე ხომ? ამ ნავს გადავაბრუნებ და მეორე ნაპირზე ხელით გაგიყვან! — ნიჩბები მივაგდე, ნავის კიდეებს ჩავეჭიდე და აქეთ-იქით რყევა დავუწყე.

— გაგიჟდი, მერაბ, არ გადაბრუნო! — წამოიკივლა მან, თან ორივე ხელით ნავს ჩაჰფრინდა.

მე უფროდაუფრო ძლიერ ვარყევდი ნავს. არ გეგონოთ, თითქოს ვაშინებდი, პირიქით, ნამდვილად ვაპირებდი ნავის გადაბრუნებას, იმ წუთას არც ვფიქრობდი, რა მოყვებოდა ყოველივე ამას.

ალბათ დამეთანხმებით, ადამიანს ხანდახან ძლიერი აღგზნება ან ძლიერი გაღიზიანება უკარგავს საკუთარი შეგრძნების უნარს.

რაც უფრო მეტად ირყეოდა ნავი, მით უფრო ეტყობოდა მანანას შიში და მღელვარება. ბოლოს, ნავის ერთი კიდიდან წყლის საკმაოდ დიდი ნაკადი რომ შემოიჭრა, იკივლა. ფეხარეული გამოქანდა და მომეხვია.

ორივე ხელით მკერდზე მივიკარი. ტანში ერუანტელმა დამირბინა და ამაკანკალა. მინდოდა ერთადერთი სიტყვა მეთქვა, მაგრამ ენა წამერთვა, ძალაც გამომელია. მერე რაღაც უცნაური სიმსუბუქე ვიგრძენი. მეგონა, ზეცაში ჩამოკიდებულ ღვთიურ საქანელაში ვისხედით და ნავის ქროლვას მივყვებოდით.

მანანამ თვალი აახილა. მასაც მთელი სხეული უთრთოდა. განაბულ შველს ჰგავდა. თვალები წმინდა ტბასავით უკამკამებდა და ამ ტბაში ჩემი სახის ანარეკლი სადღაც სილრმეში იკარგებოდა და.

— მერაბ!.. — ამოიჩურჩულა საამოდ.

უცებ ჩემდაუნებურად დავიხარე და დავეკონე. იმავე წამს რაღაც თბილი, ნაზი, ფრთხილად აცურდა ჩემს მკერდზე, თითქოს კუნთებს მისინჯავსო, მერე მხარს მიეფარა, ბოლოს კი ყელზე შემომეჭდო.

კარგა ხანს ასე ვიყავით გარინდული. უცებ მანანამ ხელი მიბიძგა, წამოხტა და ჩემი გულიც გაიყოლა.

ვუყურებდი და ვტკბებოდი. მინდოდა ისევ მკერდზე მიმეკრა, მაგრამ მისი მკაცრი გამოხედვა მაჩერებდა.

— მიწყრები, მანანა? — ჩემი ხმა ძლივს ვიცანი.

ზურგი უხმოდ შემაქცია, სივრცეს გახედა. იდგა ოქროს სხივებში გახვეული და დაეინებით გაჰცქეროდა ქუდა ღრუბლებს.

თვალი ავაყოლე მაღალ კაბებს, ლერწამივით ტანს და მზერა შეეაჩერე ყელთან პატარა ხალზე, ძლიერმა სურვილმა შემიპყრო. ამ ხალზე კოცნა მთელი ქვეყნის სიმდიდრეს მერჩივნა, უფრო მეტიც, სიცოცხლის ფასად მიღირდა. წამოვდექი და მხარზე ხელი ფრთხილად დავადე.

— არა, მერაბ! — სცადა მხრის გათავისუფლება, მაგრამ ძალზე სუსტად. ერთ ხანს გარინდული იდგა, მერე ჩემი ხელი ლოყაზე მიიკრა და თითქმის ჩურჩულით მითხრა: — მერაბ, რას ნიშნავს შენი საქციელი?!

— მიყვარხარ, მანანა, გაგიჟებამდე მიყვარხარ! — აღმომხდა აღგზნებით. კარგა ხანს სულგანაბული ველოდი პასუხს, შემდეგ მოთმინება აღარ მეყო: — შენ... შენ, რას მეტყვი?

მანანა მკვირცხლად მობრუნდა და მზერა გამისწორა. ცისფერ თვალებში ყველაფერი იყო ჩაქსოვილი: ნეტარება, მუდარა, სიხარული... მისი მზერა გულუბრყვილოდ უსიტყვოდ მეტყველებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დიდ გრძნობაზე და ანდამატივით მიზიდავდა.

— მე... მე უკვე გითხარი! — დაიჩურჩული ცოტა ხნის შემდეგ და თავი მკერდზე მორცხვად დამადო.

●

— მეგობარო, თქვენი რიგია, აწონეთ! — გამომარკვია მორიდებულმა ხმამ.

ჩემს წინ ჩაფსკვნილი ჭაბუკი იდგა და ვრძელ წამწამებს ახამხამებდა.

— ჰა... ჩემი რიგია?

— ჰო, აწონეთ, დრო არ ითმენს!

ზეცას მოვწყდი, მეტეორივით მიწას დავენარცხე. უცებ გამახსენდა, მარგანეცი მქონდა ასაწონი. წამოვდექი და ბუნკერისაკენ წავედი.

გამეკვირვა, სამ ბუნკერში ეყარა.

მივიჩერებოდი ამ ბუნკერებს და ჩემს თავზე გული მომდიოდა. ახლა გამიჩდა სანანებლად, მინეროლოგიის ლექციებს არაფრად რომ არ ვაგდებდი. ეშმაკმა იცის, რომელ ბუნკერში იყო მარგანეცი. ხუთ წუთს მაინც ვიდექი გაშტერებული. თავს ძალას ვატანდი, იქნებ რამე გავიხსენო-მეთქი, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი, არაფერი მშველოდა. ბოლოს, საღღაც გონების სიღრმეში, ერთი ციცქნა ნერვი შეტოკდა, მარგანეცი უფრო მოშავო და მძიმე უნდა იყოსო. სწრაფად დავიხარე, ორი სხვადასხვა ნატეხის სიმძიმე შევზომე და ვაშაააა! — კინადამ ვიყვირე: ჩემი ვარაუდი გამართლდა, მოშავო უფრო მემძიმა. მეორე წუთს უკვე კარგა დიდი ნატეხი დავითრიე და ხვნეშით სასწორზე დავაგდე.

— რა გაქვთ ასაწონი, ძმაო, — მკითხა ჩაფსკვნილმა ბიჭმა. თვალები ალალად უცინოდა.

— მარგანეცი!

— მერე?!

— რა მერე? — ეჭვმა გული შემიქანა.

— ეს სილიკომარგანეცია, ძმაო, — ნატეხს ფეხი გაკრა, — ეს სილიციუმია, — ხელით გაიშვირა მეორე ბუნკერისაკენ, — მარგანეცი კი ის არის! — ცერად გახედა მესამეს.

სირცხვილისაგან ალბათ თმაც გამეფერფლა. ... წოთლდა. უხმოდ წავლასლასდი მესამე ბუნკერისაკენ და სასწორზე მსხვილ-მსხვილი ნატეხების დაყრა დავიწყე.

ახალგაზრდა ერთ ხანს ჩემს მუშაობას აკვირდებოდა, მერე იქვე ჩაჯდა და მკითხა:

— რომელ ღუმელთან მუშაობთ?

— მეორეზე! — თავი არ ამიწევია, ისე ვუპასუხე.

— აუჰ... დაღუპულხარ და ეგ არის! — ისეთი ხმით შესძახა, უნებურად შეეხტი.

— რატომ?

— უჰ, გოჩაზე აჯამი და ღვარძლიანი კაცი საამქროში მეორე არ მეგულება. ვერავინ უძლებს. ისე, კაცმა რომ თქვას, კარგი მეფოლადეა, საათივით ამუშავებს ღუმელს, მაგრამ ენა აქვს ისეთი რომ... — და უიმედოდ ხელი ჩაიქნია.

— რა ვიცი, მე კარგად მიმიღო და...

— ჯერ სადა ხარ, შენ მერე ნახე!... ეგ რომ კარგი კაცი იყოს, პირველ დღესვე გამეკანგველის ასაწონად გამოგგზავნდა?!

— მართლა? — ისეთი სასოწარკვეთილებით ვთქვი, რომ მან დამშვიდება დამიწყო.

— არა, მაინცდამაინც ცუდი კაცი კი არ არის, მაგრამ ცოტა მკაცრია და, ხომ იცი, სიმკაცრე არავის მოსწონს, — ალალად გამიღიმა, — აბა, თქვენ რას გაგიბედავთ, ინჟინერი ბრძანდებით?

ახლა უკვე ორივე ვარჩევდით ნატეხებს. ცოტა ხნის მერე ვკითხე:

— სადაური ხართ?

— ლაგოდეხელი, იქ დავამთავრე საშუალო!

— სწავლის გაგრძელებას არ აპირებ?

— დაუსწრებლად ვსწავლობ!

უცებ, საიდანღაც ლერი გამოჩნდა და უბოდიშოდ დაიწყო სასწორზე ნარჩევი მარგანეცის დაყრა.

— რას ჩადიხარ, ლერი?! — თვალები გაუფარფოფოდა ჩაფსკვნილს.

— ვერ ხედავ, ვირს ვხედნი!

— გატყობ, გასახედნი თვითონ ხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, აბა!..

— აბას მოგცემ... იქით გაიწი თორემ, — და კბილები გააკრაჭუნა, — შენი რიგი მოვა და მერე თუ გინდა, ეგ მარგანეცი თავში იხალე!

ლერომ უცებ უკან დაიხია.

— კარგი, კარგი, არ მეგონა თუ შენი იყო!

— ჭკვიანად იყავი! — ჩაიბუზღუნა ჩემმა დამცველმა, მერე მე მომიბრუნდა, — აწოხე, ძმაო!

ერთი კი შევხედე ლერის, შუბლშეჭმუხნული რომ გვიყურებდა და სასწორზე გამქანგველი დავახვავე.

— ეშმაკის ფეხო, როდემდე უნდა იყო ასეთი ოხერი! — მწყრალად უთხრა ლერის იქვე მდგომმა ხნიერმა კაცმა, ხელი ჩაიქნია და გრძელ მერხზე ჩამოჯდა.

ერთ ხანს ცოცხლად ვმუშაობდი, შემდეგ ტემპს ნელ-ნელა ვუკელი, ბოლოს უკვე სული შემეხუთა. შუბლზე ოფლი დამასკდა, დამიხვავდა, მერე წვეთები დაბლა დაცურდა და თვალები ამიწვა. ქულაჯა გავიხადე, მაგრამ არაფერი მეშველა, ძალა გამომელია. თითქოს მკლავები ჩემი ალარ იყო, ძლიესდა ვამოძრავებდი. კრივის სეკციაში სამ საათს შეუსვენებლად ვვარჯიშობდი ხოლმე, მაგრამ დაღლას არ ვგრძნობდი. ახლა კი ნახევარი საქმეც არ მქონდა მოთავებული და უკვე ძლივს დავლასლასებდი.

— აბა, ბიჭებო, ხედავთ, უჭირს, მიეხმაროთ! — თქვა ხნიერმა, მერხზე ჩამომსხდარ ახალგაზრდებს გადახედა და ცოცხლად წამოდგა.

და თითქოს ამას ელოდნენო, ოთხი კაცი ცეცხლივით დატრიალდა. მერე ვიღაცამ განზე გამწია, ხელს ნუ გვიშლიო.

ფეხები თავისთავად მომეკეცა, მერხზე დავვარდი. ერთ ხანს სულს ძლივს ვითქვამდი, შემდეგ, ოდნავი შვება რომ ვიგრძენი, მათ მუშაობას დავაკვირდი: არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, არც ერთი ზედმეტი ნაბიჯი. ათ წუთში მარგანეცი აწონეს და გადასატან ყუთში ჩაკარკვლეს ყარეს.

წამოდგომის თავი არ მქონდა. მადლობის სათქმელად ენა ვერ მოვაბრუნე, ყელში რაღაც მაწვებოდა, ცოტა მაკლდა, რომ ავტირებულიყავი.

მოულოდნელად მკლავში ვიღაცა ჩაჟაჟინდა, დამქაჩა, თან ყურში ჩამბღავლა:

— შენ, ეი, აქ რას უზიხარ?!

ისე შეკრთი, თითქოს ყურთან ქვემეხი დამიცალესო. უცებ წამოვხტი და მკვირცხლად მივბრუნდი.

მეორე ღუმელის მეფოლადე გოჩა დოინჯშემოყრილი იდგა და მიბღვერდა.

— შენ ვეკითხები, აქ რას უდგეხარ?

— გამქანგველს ვამზადებდი!

— ვის ატყუებ, გამქანგველს ერთი საათი რად უნდა?!

— რიგს ველოდებოდი! — ხმა ჩამეხლიჩა.

— სად არის გამქანგველი?!

— აგერ, გადასატან ყუთებშია! — ხნიერმა მუშამ დამასწრო პასუხი.

— რას არის ეს? — გოჩამ პატარა ნატეხი აიღო, — ეს არის სილიკომარგანეცი?! — ისე იღრიალა, თითქოს ხელში საწამლავი ეჭირა.

— რაც მითხარი, ის არის! — ვუპასუხე გამომწვევად. ვიგრძენი, ამღვრეულმა სისხლმა სახე ამიხურა.

— ეს ვინ ყოფილა, კაცო? — ისევ მუშებს გადახედა, — მე მასწავლი, რა გითხარი! — იყვირა და ცხვირთან მუშტები ამითამაშა. — მარგანეცი რად მინდოდა... გამქანგველს ვერ არჩევ!

ვინ იცის, რა სიტყვებით არ მლანძღავდა, ვიღაცაზე თუ რაღაცაზე გაბრაზებული მეფოლადე, მე კი ალარაფერი მესმოდა. ვიდექი ჩუმად და უაზროდ მივჩერებოდი გოჩას, თან ტუჩებს ვიკვნეტდი.

მოულოდნელად საამქროს უფროსის მოადგილე გამოჩნდა და გამხეცებულ გოჩას მიუახლოვდა.

ბეჟან ლეჟავა
თამაზი ნაბიჯიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ამბავია, რა მოხდა? — ხელი წაავლო მკლავზე, — რა გაყვირებს? ან თქვენ რას შეკრებილხართ, საქმე გამოგელიათ!? — გადახედა ახლა მუშებს.

— პატივცემულო გიორგი!—აქაქანდა გოჩა, — ამ კაცმა გამლანძღა... მეტი ადარ შემიძლია!!! მომაცილეთ...

— მართალს ამბობს?! — გიორგიმ მსხვილ წარბებში ჩამალული თვალები მკაცრად მომანათა.

მე არაფერი მითქვამს.

უცებ ლერი მუშებს გამოეყო.

— პატივცემულო უფროსო!—ლერიმ ჯერ გოჩას შეხედა, მერე მე, — გოჩა ტყუის! პირიქით მაგან გალანძღა. ამას ხმა არ ამოუღია, მოუთმინა!

ლენჩივით მივჩერებოდი ლერის. ნელნელა დამიბრუნდა აზროვნების უნარი. ვერ გეტყვით, მომეჩვენა თუ მართლაც ასე იყო, იმ წამს ყველა მიღიმოდა. უნებურად ცერად გავხედე გოჩას, გაოგნებისაგან პირი რომ დაეღო. ალბათ თავი სიზმარში ეგონა. იგი სწრაფად გამოერკვა.

— ტყუის, უფროსო, ეგეც მაგის ჭკუისაა, სხვას ჰკითხეთ, — უცებ მუშებს გადახედა:

— მოითმინეთ! მე თვითონ ვკითხავ! — შეაწყვეტინა გიორგიმ. მერე ხნიერ კაცს მიუბრუნდა, თვალი თვალში გაუყარა, — ილო, შენ რას იტყვი?

ილო შეკითხვას არ მოელოდა, შეცბა, აწრიალდა: ქუდი მოიხადა, ისევ დაიხურა, მე შემომხედა, მერე გოჩას, თანდათან მზარი ამხანაგებზე გადაიტანა. ყველას სათითაოდ თვალში ჩახედა და ნელნელა დამშვიდდა, ბოლოს გიორგის მიაჩერდა.

— რაც ლერიმ გითხრათ, მართალია!

— დიახ, ბატონო გიორგი!

— ასე იყო, უფროსო!

— მართალია, მართალი! — თითქმის ერთხმად ახმაურდა ყველა.

საამქროს უფროსის მოადგილემ ჯერ მე ამათვალ-ჩამათვალიერა, შემდეგ გოჩას გადახედა. უხიაგი მეფოლადე ჯერ ვერ გარკვეულიყო მის ირგვლივ რა ხდებოდა.

გიორგიმ ერთხელაც შეგვათვალიერა. მერე უცებ მოიღუშა და უცბად ზეაფეთქ-ლადეს მკაცრად უთხრა:

— აბა, ჩემო ძვირფასო, ეს უკვე მეტისმეტია, თვითონ გალანძღე და თვითონვე ჩივიხარ... არ ველოდი, ნამდვილად არ ველოდი... დღის ბოლოს ჩემთან შემოიარე! — დაუმატა, მუშებს თვალი მოავლო და მერე ლუმელისკენ წავიდა.

●

ერთი საათის შემდეგ მე და ჩემი მეგობრები სასადილოში ვისხედით და უხმოდ ვილუკმებოდით. შესვენება ის იყო დაიწყო და ხალხს ბლომად მოეყარა თავი.

შოთამ პურის ნატეხით თეფშიდან „აზუს“ ნარჩენი გულდაგულ აწმინდა, მერე უცებ მომიბრუნდა და ჰკითხა:

— მერაბ, მართლა იჩხუბე?

პირთან მიტანილი ხელი გამიჩერდა. ლუკმა თეფშზე დავაგდე.

— ვინ გითხრა?

— ლერიმ!

— რაო?

— არაფერი... სხვათაშორის თქვა! — ჩაილაპარაკა და ცაცკანას გადახედა. ჩემი სიყრმის მეგობარი გამალებით ამუშავებდა ყბებს, თითქოს ჩვენი ლაპარაკი სულაც არ ესმოდა.

— ლერი კარგი ბიჭია!

მეგობრებმა გაოცებით შემომხედეს.

— მართლა? — ცაცკანამ, როგორც იქნა, ჭამას თავი მიანება.

— კარგი, თუ ძმა ხარ, არ გამაგიჟო? — შეტტა შოთაც.

ბიჭებს დაწვრილებით მოვუყეკი, რაც გადამხდა.

— ხედავ, რა ყოჩაღი ყოფილა? — ღიმილით თქვა ცაცკანამ, ერთ ხანს ჩაფიქრებული იჯდა. მერე განაგრძო: — საამქროში ოქრო ხალხია, რა თქმა უნდა, ზოგიერთის გარდა.

— შენ საიდანღა დაასკვენი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დილიდან ვაკვირდები, ერთმანეთს ძმებივით ეხმარებიან!

— მერე რა?

— მერე რა და, შე ყურუმსაღო, ცუდი კაცი სხვას არ დაეხმარება! — ხელი წაკრა ქეჩოში შოთას.

— ჰოოო!..

— ჰო არ უნდა ამას!

— რა ვიცი, მე კი არ მომასვენეს და... — იგი რატომღაც დადუმდა და დარბაზს თვალი მოავლო.

— რაო, მაინც, რა მოხდა?

— ისეთი არაფერი... ლერიმ ვედრო მომაჩეჩა, წადი და ლაბორატორიიდან ფოსფორი მოიტანეო.

— მერე! — გამოცოცხლდა ცაცანა.

— მერე წავედი...

— ვაი. ვაი მოვკვდები! — ცაცანას სიცილი წასკდა და კინაღამ სკამიდან გადავარდა. მე კი მაგიდაზე დავემხე და ცხვირი აზუში ჩავრგე.

— რა გაცინებთ, შტერებო!

— ბიჭო, ერთი ვედრო ფოსფორი ამ საამქროს სულ გადაბუგავდა. — ძლივს-ძლივობით მოვაბრუნე ენა.

— ეგ მეც ვიცი.

— თუ იცოდი, რაღას მიდიოდი?

— ეშმაკმა იცის, არ გამხსენებია, მითხრეს მოიტანეო და...

— ლაბორატორიიდან გამოგატანეს?

— ჯერ გაიოცეს, მერე იმ გოგონამ, მატარებელში ჩვენთან ერთად რომ მგზავრობდა, კასრი რაღაც ყვითელი სითხით ამივსო, თან გამაფრთხილა: ეს ძალზე ძვირფასი ნივთიერებაა, ფრთხილად იარეთ, არ დაღვაროთო!

— ვაი, ვაი, ეს უბედური არ მოუწამლიათ! — ცაცანას კვლავ სიცილი წასკდა.

— შენ ის უნდა გენახა, სავსე კასრით რომ დამინახა, „წრიპამ“ როგორ მოკურცხლა. — აუტყდა სიცილი შოთასაც, — ალბათ იფიქრა, ამ შტერს ფოსფორი მართლა მოაქვს და დროა, თავს ეუშველოო... კიდევ კარგი, მირიანმა შემაჩერა, თორემ იმ ოხერს დავიჭერდი და კასრს თავზე დავამხობდი.

— მირიანმა რაო?

— კასრი გამომართვა, მერე ლერის დაუძახა და კინაღამ მოკლა, ასეთი რამე მეორედ თუ ჩაიდინე, თვალით აღარ დამენახოო.

— კაცი ეს ყოფილა,—აღმომხდა უნებურად, — ჩემს მეფოლადეს კი არ ჰგვანებია! — მერე ცაცანას ვკითხე, — შენი მეფოლადე როგორია?

— ვგონებ, კარგი კაცი უნდა იყოს, ჯერ ისეთი არაფერი დაუვალებია... ეგ არის. ნიჩაბს არ მომშორია, სანამ ხმარებას არ ისწავლი. სხვა საქმეს ხელი არ მოკიდოო!

— ვაააა?! — ერთბაშად აღმოგვხდა მე და შოთას.

— ვკითხე, რა საჭიროა-მეთქი, — გაგაგძო ცაცანამ, — იცი, რა მითხრა?

— ჰო, რაო?

— ყველა მეტალურგმა, სანამ ფოლადის დნობას ისწავლის, ნიჩბის ხმარება უნდა ისწავლოსო!

— კარგი, თუ ძმა ხარ!

— ასეა, ძმაო! — თავი დაიქნია, წამოდგა. — წამოდით, სასადილოს კეტავენ! — და კარისკენ გაემართა.

ჩვენ უკან გავყევით.

ნელ-ნელა ავიარეთ კიბის საფეხურები. გავედით გრძელ ხიდზე, რომელიც სამმართველოს სამკროსთან აკავშირებდა, მივდიოდით ჩუმად, ჩაფიქრებულები.

ძალზე მოთენთილი ვიყავი, მკლავები, ფეხები, თითები და, ვგონებ, თმაც კი მტკიოდა. ეს აუტანელი სიცხე ხომ სულს მიხუთავდა. მინდოდა აქაურობას მოვშორებოდი, გავქცეულიყავი, გავსულიყავი თბილისის ზღვაზე და დაღამებამდე მეჭყუმპალავა და მეცურავა.

ჩემი ახალი ცხოვრების ერთი დღეც არ იყო გასული და უკვე დასვენებაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროსტარებაზე ვოცნებობდი. იმ წუთას, ვგონებ, სხვანაირად ფიქრიც არ შემეძლო და დარწმუნებული ვარ, ყველა შეუჩვეველი, ფუფუნებაში გაზრდილი ადამიანი სწორედ ასეთ დღეში აღმოჩნდებოდა...

ვფიქრობდი და თვითონაც მიკვირდა, მე ხომ მოუთმენლად ველოდი ამ დღეს, ერთი სული მქონდა, როდის დავიწყებდი დამოუკიდებელ ცხოვრებას, მაგრამ რა დიდი განსხვავება ყოფილა ოცნებასა და სინამდვილეს შორის...

ნუთუ ძნელი იყო, თავიდანვე შეეჩვეოდი ფიზიკურ შრომას, თავიდანვე შემესისხლხორცებინა იგი და ახლა, მოწიფულობაში, უსუსური ბავშვივით არ მეგრძნო თავი. პრაქტიკაზე მაინც გამენძრია ხელი, სხვა თუ არაფერი, ახლა გამეანგვლების გარჩევას და აწონვას მაინც შევძლებდი. მიკვირდა, რატომ არ აქცევდნენ ამას ყურადღებას, რატომ ვიყავით პრაქტიკაზე მიშვებულნი.

აი, თუ გნებავთ, აქ, რუსთავში, სამი თვე ღლაბუცში გავატარეთ. საამქროში სულ ხუთჯერ თუ ვიყავით, ისიც სხვათაშორის, გავლით. ბოლოს საბუთზე ხელი მოაწერეს, კარგად იყავითო და ამით ყველაფერი დაამთავრეს.

— ბიჭებო, როგორ ფიქრობთ, გაგვიჭირდება? — გამიწყვიტა ფიქრის ძაფი შოთამ.

ერთ ხანს ისევ ჩუმად მივაბიჯებდით, მერე ცაცკანამ უპასუხა:

— პირველ ხანებში ალბათ გაგვიჭირდება, მერე... მერე შეეჩვევით!..

— თუ მანამ არ გავიქეცით! — მოულოდნელად მიახალა შოთამ.

მოწყვეტით შეეჩერდით.

— იცი, რას გეტყვი? — თვალი მოჭუტა ცაცკანამ და იგი თმებიდან ფეხებამდე შეათვალიერა, — შენ თუ აპირებ გაქცევას, ცხრა მთას იქით გზა გქონია... ჩვენთან კი მეორედ არ წამოგცდეს!..

— ვითომ რაო?!

— რა და... — ვიფეთქე მე, — არ მინდა გედევნს ვგავდე! — თანდათან უფორ გავცხარდი, — მასავით მუწუკი ვიყო და მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობდეს!

— ათასი საკონსტრუქტორო ბიუროა, ათასი დაწესებულებაა! — შოთას ხმა ჩაეხლიჩა.

— მე მეტალურგი ვარ, გესმის? — ვთქვი და გული რაღაც სხვანაირად შემიტოკდა. უცებ გამოვცოცხლდი: — მეტალურგი ვარ, გაიგე, მეტალურგი! — დავუმატე უფრო ოპანიანად და ნაბიჯს ავუჩქარე.

●

გოჩას აღარ გავკარებივარ. დავდიოდი საამქროში, ყველაფერს გულდასმით ვაკვირდებოდი და სადაც საჭირო იყო, მუშებსაც ვეხმარებოდი.

შეუჩვეველ თვალს ეს გარჯა, ბუნებასთან ჭიდილი, შეიძლება ერთფეროვანი ეჩვენოს, მაგრამ ეს მხოლოდ შეუჩვეველი თვალისთვის იქნება უცნო. აქ შემთხვევით მოხვედრილმა ადამიანმა რამდენი დნობაც არ უნდა ნახოს, მისთვის ის მხოლოდ ფოლადის დნობა იქნება. მდნობელისათვის კი ეს პროცესი სულაც არ არის ერთფეროვანი. მისთვის ღარზე მომქუხარი მასა ყველაფერია: საკუთარი ძალის შეგრძნება, სიხარული, ბედნიერება და, შეიძლება, ზოგჯერ მწუხარებაც და უბედურებაც. აქ არ არის ადამიანი ყოველ ნადნობში, ყოველ სხმულში ახალს რომ არ ეძებს. ერთი დღე მეორეს არასოდეს არ ჰგავს. და ამ შრომის განუზომელი სიდიადე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმაშია, რომ იგი მჭიდროდ აკავშირებს უბრალო ადამიანებს და უწყვეტი ჯაჭვით აბამს ერთმანეთზე.

საჩამომსხმელო განყოფილებიდან რომ ამოვედი, კიბის ბოლოს ჩემდაუნებურად შეეჩერდი: პირველი ღუმელი ძველებურად აღარ გიზგიზებდა. ოდნავ აწეულ მესამე ფანჯარასთან რკინის მაგიდა იდგა. მაგიდაზე მირიანი გამაგრებულიყო და რკინის გრძელი მილით, რომელიც ჰაერის მიმწოდებელთან იყო შეერთებული და გველივით იკლაკნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, ღუმელის ქვედზე რადაცის ამოშრობას ცდილობდა. მუქი ლურჯი სათვალიდან გარკვევით ვხედავდი იისფერ შხეფებს და ნაპერწკლებს.

ვერ გავარკვიე, რა საჭირო იყო ყველაფერი ეს. გონება დავძაბე, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი.

ჩემს გვერდით ვიღაცა შეჩერდა. მისკენ არც კი მიმიხედავს, ისე ვკითხე:

— რას აკეთებენ?

— ღუმელის ქვედს ამაგრებენ! — გიორგის ხმა ვიცანი და მკვირცხლად მოვტრიალდი. — ყოველი დნობა ღუმელის კედლებს და ქვედს აზიანებს, კვირაში ერთხელ რომ არ შევაკეთოთ, შეიძლება ავარია მოხდეს.

— ჰოოო... — გავაგრძელე ისეთ კილოზე, თითქოს ვიცოდი და უბრალოდ დამავიწყდა.

გიორგიმ მხარზე ხელი დამადო და თვალი თვალში გამიყარა. ერთ ხანს ასე ჩამცქეროდა, თითქოს სულის სიღრმეში უნდა ჩამწვდესო, მერე ხმადაბლა მითხრა:

— არ მინდა ძველ ამბავს დავუბრუნდე... ვგონებ, მიმიხვდები, რასაც ვგულისხმობ. — თავი დავხარე, — იცოდე, შემცდარია ის, ვისაც მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვს, მხოლოდ თავის ცოდნას ეყრდნობა... — ჩაფიქრდა და მერე განაგრძო, — ჩვენთან რომ იმუშაო, ზედმიწევნით კარგად უნდა იცნობდე ამ საამქროს ყოველ რკინას, ყოველ აგურს და, რაც მთავარია, შენი ამხანაგის — ხელქვეითი იქნება ის თუ უფროსი, არა აქვს მნიშვნელობა — ხასიათს! — რატომღაც ჩაიღიმა, — ჭკუას როდი გარიგებ, ამას უბრალოდ, მეგობრულად გირჩევ! — მერე უცებ შუბლი შეიქმუხნა და მკაცრად მითხრა: ახლა კი, წამოდი, თვითონ სცადე ქვედზე ლითონის ამოშრობა.

სადღაც, გულის სიღრმეში შიშმა გამკრა: „ვაითუ შოთაზე მეტად შევრცხვეთ მეთქი?“ მერე თავი დავიმშვიდე: თუ სხვას შეუძლია, მე რა ღმერთი გამიწყრება, თანაც, ალბათ პატიცემული გიორგი შეუძლებელს არაფერს დამავალებს-მეთქი. და უკან გავყევი.

— მირიან!

მეფოლადემ გაოფლილი სახე ჩვენკენ მოაბრუნა, ფეხი მოინაცელა, ქუდი შეისწორა და გაგვიღიმა.

— მირიან, აბა ახლა ამ ვაქაცს მოასინჯე! — თქვა უფროსმა და მხარზე ხელი წამკრა.

— ამოდი!

მკვირცხლად ავხტი რკინის მაგიდაზე, ლურჯი სათვალე გავისწორე, მერე საამზრიდან ღუმელში ჩავიხედე.

— ხედავ, შუაში რომ ბზინავს, ლითონია. უნდა ამოვაშროთ, ქვედი სწორედ მაგ ადგილას არის დაზიანებული! — მილი ხელში მომაჩეჩა, — აბა შენ იცი, ყოჩაღად!..

მირიანს მილი თავისუფლად ეჭირა, მე კი კინაღამ ხელიდან დამისხლტა. ის ოხერი ცოცხალ არსებასავით ხტოდა: ხან მაღლა გაქანდებოდა, ხან დაბლა, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ხან კი უკან ისე მოასკდებოდა, თითქოს ჩემს გადაგდებას ლამობსო.

— მხრით მიაწექი, მხრით! — მირიანმა ხელი შემაშველა.

მილი უცებ დაწყნარდა. მეფოლადემ ნელ-ნელა ისევ მე მომანდო სამუშაო.

და აი მარტო დავრჩით მე, რკინის მილი და ჯერ კიდევ ძალით სავსე ღუმელი. ჩვენთვის სხვა აღარაფერი არსებობდა. ერთმანეთს მთელი ძალით შევეჯიდეთ, ლელოს გატანას ვცდილობდით... გაშმაგებით მებრძოდნენ. ალბათ იგრძნეს, ახალბედა რომ ვიყავი. მართალია, ახალბედა, მაგრამ შეუპოვარი, საკუთარ თავში დარწმუნებული. „თქვენ მე ვერ დამძლევთ, ვერა! ვერა!“ — გავიფიქრე და უფრო მედგრად შევუტიე და ისინიც დამყვნენ, დამმორჩილდნენ.

ძალიან მიჯირდა, მაგრამ მილს მაინც არ ვეშვებოდი. შხეილით მიმავალი ჰაე-

---

ბექან ლეჟავა
თამამი ნაბიჯით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ნაკადი ლითონს ღუმელის ხვრელისკენ მიერეკებოდა, თან ცდილობდა ჩემთვის მილი წაეგლიჯა. ცეცხლის ნაპერწკლები სახეზე, სხეულზე მეფრქვეოდა, ვაგრამ ვერ ვგრძნობდი, მათთვის არ მეცალა.

მეგონა, საუკუნე გავიდა. მთელი სხეული დამეძაბა, კუნთები და წელი ამტკივდა. სახეზეც უკვე სიმწრის ოფლი ჩამომდიოდა. ცოტაც და ალბათ მილი გამოვარდებოდა, ხმას კი არ ვიღებდი და არც ამოვიღებდი, თუნდაც მართლაც მთელი საუკუნე ასე ვმდგარიყავი.

კბილი ტუჩს დავაჭირე, მილს მთელი ძალით მივაწექი და კარგახანი კიდევ გავუძელი. მალე ხელები დამეკრუნჩხა. უკვე რას ვაკეთებდი, ვეღარ ვხედავდი, თვალები აუტანლად მეწოდა და გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.

მირიანმა შემატყო გაჭირვება.

— აბა, გეყოფა, დაისვენე! — და მილი გამომართვა.

ჯერ, როგორც იქნა. სული მოვითქვი, მერე მაგდიდან ჩამოვხტი. მოელი სხეული დამბუჟებოდა. ხელ-ფეხში ჩხვლეტას ვგრძნობდი, მაგრამ, სამაგეროდ, სიამაყით სავსე ვიყავი და ქვეყანა ჩემი მეგონა.

ცოტა ხნის შემდეგ შორიახლოს მეგობრებიც შევნიშნე და მათკენ ისეთი ნაბიჯით წავედი, თითქოს ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად. მიახლოებისთანავე ვიგრძენი, ბიჭების თვალში წონა მომმატებოდა.

— ძნელია? — მკითხა შოთამ.

— ისე რა!

— კინაღამ გადმოგაგდო! — ჩაილაპარაკა ცაცანამ.

— ჰო... მაგრად მაწვებოდა! — ვუპასუხე და დავეწაფე წყალს, იქვე, ონკანიდან რომ მოჩუხჩუხებდა.

●

იმ დღეს საამქროში ღირსშესანიშნავი აღარაფერი მომხდარა. ცვლის დამთავრების შემდეგ ბანაოში წავედით, მერე სუფთა ტანსაცმელი გადავიცვა. სადგურისკენ გავწიეთ.

ვაგონში ავედით თუ არა, შოთამ ხელი წამავლო.

— მერაბ, აგერ ის გოგონა!

— ვინ ის? — გაოცებით შევხედე აკარხლებულ მეგობარს.

— აი ის, ფოსფორი რომ გამომატანა!

— აა... გასაგებია! — ჩავილაპარაკე და ვაგონს თვალი მოვავლე.

— დაინახე? — შოთამ ხელი მომიჭირა, — უნდა გამაცნო.

— მე რა გამცნობი მნახე, თვითონაც კარგად მოახერხებ, თანაც, გგონებ, უკვე იცნობ!

— შენი ჭირიმე, მერაბ!

— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე!

— მერაბ, ცოტა სინდისმაც უნდა შეგაწუხოს! — ჩაერია ლაპარაკში ცაცანა და თვალი ჩამიკრა.

გოგონას ერთხელაც გავხედე. თავისთვის კითხულობდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა გაწამაწიაში ვიყავით. მის გვერდით ადგილი თავისუფალი იყო.

— კარგი, რა გაუწყობა, როცა განიშნებ, მაშინ მოდი! — ვუთხარი მეგობარს და აქეთ-იქით ჩამწკრივებულ მერხებს ნელი ნაბიჯით გავყევი.

— საღამო მშვიდობისა! —

ქალიშვილმა წიგნს თვალი მოწყვიტა, განცვიფრებით ამომხედა, მერე გამიღიმა, ოდნავ წამოიწია, მისალმების ნიშნად თავი ოდნავ დახარა და კვლავ წიგნს მიუბრუნდა.

— საინტერესოა?!—ვკითხე და გვერდით ჩამოვჯექი.

— დიახ!

— რას კითხულობთ?

ჩაეღიმა, წიგნი დახურა და მომაწოდა.

— ოოო... „ჰარი მორგანი“, დიდებული რომანია, მოგწონთ?

— ძალიან!

— კარგია, მაგრამ მე „მშვიდობით, იარაღო“ მირჩევნია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ წამიკითხავს! — თქვა და ფანჯარას გახედა.

— აუცილებლად წაიკითხეთ, ძალიან მოგეწონებათ! — წიგნი უკახე დაუბრუნე.

უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. რატომღაც უცებ გამომელია სალაპარაკო მასალა. უნებურად აეწრიალდი.

— თქვენი მეგობრები სად არიან? — სიტყვა შემაშველა ქალიშვილმა.

— აგერ, კართან დგანან, — გამოვცოცხლდი, — შოთას ალბათ თქვენთან მოსვლა მოერიდა!

— რატომ, რა დაუშავე? — და გაფართოებული თვალებით გახედა ჩემს მეგობარს.

ცაცანა აუღელვებლად გზავნიდა კკამლს ჭერისკენ, შოთა კი მოუსვენრად ცმუკავდა და ჩვენკენ ცერად იყურებოდა.

— რა ვიცი... ვგონებ, დღეს ფოსფორი წამოუღია ლაბორატორიიდან!

— აჰ... — და სიცილი წასკდა. იცინოდა ბავშვური სილაღით. ლოყები ეტკიცა, ცრემლი მოადგა და თვალებზე ცხვირსახოცი აიფარა. უნებურად მეც ავყევი, თან ბიჭებს გავხედე და თვალი ჩავუკარი.

იმავე წამს ჩვენკენ წამოვიდნენ.

— იცნობდეთ, ჩემი მეგობრებია!

გოგონა უცებ დადინჯდა. კაბა შეისწორა და შოთას გამოწვდილ ხელს ხელი შეაგება.

— შოთა!

— ლალი! — და ახლა ცაცანას ჩამოართვა ხელი.

ბიჭები მერხზე ჩამოსხდნენ. ჩემს გასაცრად, შოთა იმ წამსვე მესამე სიჩქარეში ჩაერთო.

— მარტენში მუშაობთ?

— არა, პრაქტიკაზე ვარ!

— აააა... მე კი მეგონა, ჩვენთან მუშაობდით, — გულდაწყვეტით თქვა მან, — რომელ კურსზე ბრძანდებით?

— მესამეზე გადავედი!

— ჩვენთან, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში?

— დიახ, ქიმიურ ფაკულტეტზე ვსწავლობ!

მათ შორის ისეთი გულითადი საუბარი გაიბა, ჩვენ უკეე ზედმეტნი ვიყავით. ცაცანა ჟურნალს ჩაჩერდა, მე კი მგზავრებს დავუწყე თვალიერება. მერე მომბეზრდა, თვალი დავხუჭე და შოთას და ლალის საუბარს ყური დავუგდე.

ვუსმენდი და მიკვირდა, სად გაქრა შოთას მორცხვობა, ან ის მორიდება, მას ყოველთვის რომ ამუნჯებდა. ოჰ, რა ყოფილა ის პატარა კუნჭული, სადღაც გულის სიღრმეში რომ მიმალულა. რა ძალა ჰქონია მას. უნებურად გავიღიმე. გავიღიმე, იმიტომ რომ ჩინებულ ხასიათზე ვიყავი, იმიტომ რომ ეს გოგონა სულ უფროდაუფრო მომწონდა, კიდევ იმიტომ, რომ მწამდა, მანანას კვლავ შეეხვედებოდი, გადავხვევდი ხელს და სანაპიროზე ძველებურად ვიხეტიალებდით.

მათთვის კი აღარავინ არსებობდა. გატაცებით საუბრობდნენ. საერთო ნაცნობებიც საკმაოდ ყოფილან. ვინ ვნებავთ, რომ არ გაიხსენეს. ბოლოს ისე გაერთნენ, სექციის ბორბლების რაკარუკაში ვეღარც კი ვარჩევდი. რას ლაპარაკობდნენ.

მერე ჩემმა ფიქრმა ნელ-ნელა გაისწორა ფრთები, მთიდან დაძრული ნისლივით გაიშალა და სხვა სამყაროში გადამისროლა...

●

— მერაბ, იცოდე ჩემი ცოდვა დაგაბრიჩობს! — მიყვირა მანანამ, ჩემს წინ ვეება სულთამხუთავივით რომ აღმართულიყო.

— მე რა შუაში ვარ? — დავიწრიპინე.

— როგორ, წინააღმდეგობასაც ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავ! — მრისხანედ შეიჯმუხნა წარბები, — გასწავლი ჭკუას! — დამიღრიალა, კისერში მწვდა და ამწია.

— ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია...—ავყვირდი. საყელომ ისე მომიჭირა, კინაღამ გავიგუდე.

— ა�ა... მით უმეტეს უნდა დავსაჯო! — მოგზიგზე ცეცხლზე შემდგარ ქვაბისკენ წამიღო, — ეს ქვაბი ჩემი ცრემლით არის სავსე, შენც გასინჯე, რა მწარე და ცხელია! — და მძლავრად შემანჯღრია.

— მერაბ, მერაბ, რა მოგვიდა?! — გამომარკვია ცაცკანამ. იგი მთელი ძალით მანჯღრევდა.

გავსწორდი. თვალი მოვიფშვნიტე. ჯერ კიდევ ბუარაწში მყოფმა ლალის და ჩემს მეგობარს მზერა შევავლე.

— რა მოხდა, მერაბ, ცუდად ხარ? — შეშფოთებით მკითხა შოთამ, შუბლზე ხელი დამადო, — ოფლად ღიღრები!

— ხელი გაწიე! — გავიქნიე თავი, — რას მომშტერებიხართ, თქვენი შიშით კაცმა სიზმარიც ვერ უნდა ნახოს?!

— ოოოო!..—მრავალმნიშვნელოვნად გააგრძელა მან და ლალის გადახედა.

— მანანას ახსენებდი! — ჩამჩურჩულა ცაცკანამ.

— მერე რა მოხდა? — ვთქვი და წამოვდექი.

მატარებელმა სვლა შეანელა, ერთხელაც შეჰკივლა, პატარა, მოკლე ხიდი გადაიქროლა და ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ ვაგონებს შორის თავისუფალ ხაზზე შესრიალდა.

— მოვედით! — თქვა ლალიმ, წამოდგა, კაბა შეისწორა და გასასვლელისკენ წავიდა.

მატარებელი ბაქანს გაუსწორდა, მძიმედ ამოიქშინა და შეჩერდა.

უხმოდ გავიარეთ ბაქანი. რკინის ჭიშკარში გავედით, მეტროს ჩავუარეთ და სადგურის წინ, ტროლეიბუსის გაჩერებასთან შევჩერდით.

— ხვალამდე! — ლალიმ გაგვიღიმა, მერე შებრუნდა და მკვირცხლად შეეფეთა ავტობუსში.

შოთას დადევნება უნდოდა, მაგრამ ხელი წავავლე.

— ძმაო, თავს თუ არ აფასებ, ჩვენ გვეცი პატივი!

ერთ ხანს ასფალტს ვტკეპნიდით.

— აბა, წავიდეთ! — თქვა ცაცკანამ.

— სად წავიდეთ? — წარბები ასწია შოთამ. მე შემომხედა.

— სად და ჯანდაბაში... შინ მისვლას არ აპირებ?!

— ახლა შინ რა გვინდა?

მივხვდი, რაც უნდოდა შოთას და სწორიც იყო. ეს დღე რომ არ აღგვენიშნა, უდაოდ დანაშაული იქნებოდა.

— ჰა, არ წავიდეთ?

— აქეთ წამოდით! — და მეგობრები აადგურის რესტორნისკენ გავიყოლიე.

— ფული არა მაქვს! — ჩამჩურჩულა ცაცკანამ, სახე აეტკიცა.

— არა უშავს, მე მაქვს! — და რესტორნის კარი შევაღე.

მადის აღმძრელი სუნი დამეჯახა, გამაბრუა და კუჭი ამიწვა. დარბაზს თვალი მოვავლე. ხალხი ცოტა იყო. ინქვ, ბუფეტთან ორნი ისხდნენ, ცოტა მოშორებით სამი კაცი სადილობდა, კუთხეში, დიდ ფანჯარასთან კი სუფრას ხუთნი შემოსხდომოდნენ, მათ ფეხებთან უწესრიგოდ ეყარა დაცლილი ბოთლები. სუფრაზე შემწვარი წიწილების, სუკის, მწვანილის და შოთი პურების ვვერღით ექვსი ბოთლი იდგა. ორს თითქმის ბოლო ჰქონდა მოღებული.

ფანჯრისკენ წავედით და მოქეიფეებიდან ორი მაგიდის მოშორებით დავსხედით. იმავე წამს ჩვენთან თეორხალთიანმა, ჩაფსკვნილმა ახალგაზრდამ მოირბინა.

— რას მიბრძანებთ? — მოგვმართა მოშაქრული ხმით.

— სამი ბოთლი რვა ნომერი, თევზი, ყველი, სუკი და ბალახბულახი!

— ამ წუთში, ბატონო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახლისკენ მიმავალ ბრგე კაცს თვალი გავაყოლე.

— ძალით ალბათ არც ერთს არ ჩამოგვივარდება!..

— აბა, კაცო, დევივით არ დადის!

— ამისგან რა მეფოლადე დადგება! — ჩავილაპარაკე და უნებურად ყურადღება მოქეიფეებზე გადავიტანე.

— ძმებო, ამ სასმისით მინდა თამადა ვადღეგრძელო! — ომახიანად დაიწყო მაღალმა, ჭაღარაშერეულმა კაცმა.

— აჰ, არ მოგიკვდეს ღევანი, ჯერ საადა ხარ! — წამოვარდა თამადა.

კარგა ხანს იდავეს. თმაჭაღარამ თავისი გაიტანა, ოღონდ იმ პირობით, რომ ბოლო სადღეგრძელოს თამადა იტყოდა.

მალე მომტანი მოგვიახლოვდა და ჩვენი სუფრა წუთში ხორაგით დამძიმდა.

ბოთლს მივწვდი, ჭიქები ღვინით ავავსე.

— ბიჭებო, სანამ პურს გავტეხდეთ, მინდა დღეკანელი დღე დავლოცო, — გადავხედე მეგობრებს, — ცხოვრების ახალ გზაზე ჩვენს პირველ ნაბიჯს გაუმარჯოს! — სასმისი პირთან მივიტანე და ბოლო ავუწიე.

მთელ სხეულში საამო სითბომ დამიბინა და მიმშვილი უფრო ვიგრძენი. ჭიქა დავდგი, მერე პური გავტეხე.

ვილუკმებოდი უხმოდ, თან ყურს ვუგდებდი დაბალ ხმაზე მოღიღინე ხუთეულს.

მერე მომტანმა ოხშივარიანი სუკი მოგვირბენინა.

— მეტს ხომ არაფერს ინებებთ?

— სამი რვა ნომერი დაგვიმატე!

ის იყო სადღეგრძელოს თქმა დავაპირე, რომ მეორე მაგიდასთან თამადამ ხმამაღლა დაიწყო:

— ძმებო, — ხელში ლამაზი ვაზა ეჭირა, — სანამ დავიშლებოდეთ, ერთ სადღეგრძელოსაც ვიტყვი... შინ მოუსვლელებს გაუმარჯოს... გაუმარჯოს მათ, ვისაც სიცოცხლე სწყუროდა და არ აცალეს, სწავლა უნდოდა და ვერ ისწავლეს, სიტყბო უნდოდათ და უსიყვარულოდ დაიღუნენ... — დანარჩენებიც უცებ წამოდგნენ, — გიორგი, — განაგრძო თამადამ, — გახსოვს სულიკო, ჩვენი სულიკო... როგორ უხაროდა ინსტიტუტის დამთავრება, რა იმედით შეჰყურებდა მომავალს... — ხმა აუთრთოლდა, — მერე... ვინ აცალა! რა ბიჭი იყო, როგორ უყვარდა მეგობრები... — უცებ მთელი ხმით იყვირა, — სად არის ახლა, გეკითხებით, სად არის?! ვის რა დაუშავა, ვინ რას ერჩოდა? — თვალი ამოიწმინდა, — აღარ არის, თქვესმეტმა წელმა განვლო, — ხმას დაუწია, რატომდაც ჩვენკენ გამოიხედა, — რატომ ვსვამ მის სადღეგრძელოს? იმიტომ რომ კარგი ადამიანი იყო და არაფერი დასცალდა, იმიტომ რომ აგერ ამ ბურღულია ბიჭებივით სიცოცხლე უყვარდა... — ჯერ უხერხულად შეგიშმუშნეთ, მერე ერთმანეთს გადავხედეთ, და შეთანხმებულივით ერთად წამოვდექით, ჭიქები ავწიეთ. — ოფიციანტ! — იყვირა თამადამ, — იმ სუფრას ექვსი ბოთლი თავის წიწილებით! — დაძაბულობისაგან ხმა ჩაეხლიჩა, — სულიკომ გამოგიგზავნათ-თქო... — ალბათ ერთი სიტყვაც რომ დაემატებინა, ატირდებოდა. კარგა ხანს ჩუმად იდგა, მერე უცებ მოეჩარა: — შინ მოუსვლელებს გაუმარჯოს! — პურის ნატეხი ღვინით დასველა და სასმისი მიიყუდა. სვამდა ნელ-ნელა, გრძელი ყლუპებით. მერე დაცლილი ვაზა ჭაღარას მიაწოდა და არეული ნაბიჯით ჩვენკენ წამოვიდა.

— მობრძანდით, ბატონო! — მივაგებე.

— ახალგაზრდებო, ნუ მიწყენთ!

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ! — შოთამ ხელები გაშალა, მერე სტუმარს ჭიქა მიაწოდა.

ღევანმა ჩამოართვა.

— თქვენ პურის ჭამას გაუმარჯოს!

— იცოცხლეთ, ბატონო!

— ბიჭებო, სტუდენტები ხართ?

ბეჭენა ლეჭავა
თამაში ნაბიჯით

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ინსტიტუტი დავამთავრეთ და დღეს პირველად ვიყავით ქარხანაში!

— ოჰ... — კაცმა პირთან მიტანილი ჭიქა ისევ მაგიდაზე დადგა, — პირველი დღეა?

— დიახ!

ერთ ხანს ფანჯრიდან სივრცეს გაჰყურებდა, მერე მოგვიბრუნდა. მის თვალებში ენით აუწერელ, ჩვენთვის გამოუცნობ სევდას დაესადგურებინა.

— ჰაპუკებო, თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ, რა ბედნიერები ხართ! გაგიჭირდებათ, მაგრამ ქედი არ მოიხაროთ... თამამი ნაბიჯით გევლოთ ცხოვრებაში! — თქვა, ღვინო ოდნავ მოსვა, ჭიქა დადგა და კარისკენ წავიდა. მიდიოდა მძიმედ, მხრებჩამოყრილი, თითქოს ზურგით რაღაც სიმძიმე მიჰქონდა.

სანამ თვალს არ მიეფარა, ვუყურებდი და ვგონებ, მესმოდა მისი.

ჩვენთან შეხვედრამ მას გაახსენა ... დღე, რომელიც ალბათ ყველაზე ტკბილიც იყო და მწარეც. გაახსენა დაკარგული მეგობარი, რომელსაც ვერავინ შეცვლიდა. რა შეიძლება იყოს ამ მოგონებებზე უფრო მძიმე. იგი ვერასოდეს გაიგონებდა მის სიცილს, სიმღერას, დარიგებას, და შეიძლება ლანძღვასაც. ლევანის გამოხედვაში ვიგრძენი, რომ ჩვენს სიჭაბუკეს შენატროდა... ჩვენი შურდა, მაგრამ მაინც გულკეთილად დაგვლოცა და გაიზიარა ჩვენი სიხარული.

რატომღაც ძალიან მომინდა მისი სიტყვების გამეორება, ჭიქას დავწვდი, მეგობრებს გადავხედე და ხმადაბლა ვთქვი:

— თამამი ნაბიჯით გვეგლოს, ძმებო, თამამი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიკო

— ჰეი, მასპინძელო! — წინკარში ვიღაცა ჩექმებს აბრახუნებდა, თოვლს იფერთხავდა.

დედა გაეგება:

— მობრძანდით.

— კაი გამარჯობა!—ქოხში დეკკაცმა შემოალაჯა, — მომილოცავს, ჩემო არისტო, მშვიდობით დაბრუნება!

მამამ ცალ ფეხზე წამოიწია, სტუმარმა გადაჰკოცნა და უხერხულად შეაჩერდა:

— როგორა ხარ, ბიჭო?

— გმადლობთ, ბაძია ილიკო... ვარ ჯერჯერობით... დაბრძანდით...

ბაბუა ილიკოს სახლი გორაკზე ედგა. მისი აივნიდან მთელი სოფელი ხელისგულივით მოჩანდა. ილიკოს უახლესი მეზობლები ჩვენ ვიყავით, მაგრამ ჩვენთანაც რატომღაც ახლო ურთიერთობას ერიდებოდა. არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი — ის, რომ მთელი თავისი დღე და მოსწრება განცალკევებით ცხოვრობდა, თუ მისი დახშული, უკარება ხასიათი?

ილიკოს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა — ივლიანე. ომი რომ დაიწყო, ივლიანე უმაღლესში სწავლობდა. ჯარში ისე გაიწვიეს, შინ ჩამოსვლაც ვერ მოასწრო. მხოლოდ მერე მოსწერა მამას, ჯარში ვარო. ეს იყო და ეს — მას შემდეგ აღარ მიუღია შვილის წერილი.

ილიკო ღონიერი და გამჯდარი კაცი გახლდათ. შვილის ხანგრძლივმა დუმილმა საოცრად გამოცვალა: არც სამუშაოდ გამოდიოდა, არც მეზობლებში ჩნდებოდა. ზოგი გაკვირდა, ზოგსაც — ეწყინა, რაკი ბერიკაცმა ისეთ დროს მიატოვა საქმე, დანა ყელზე რომ იყო.

მაგრამ ვინ რას შეჰკადრებდა? — მთელმა სოფელმა იცოდა მისი უეცარი შეცვლის მიზეზი. ხასიათიც ისეთი ჰქონდა, ვერც შეგონებით გახდებოდით რამეს და ვერც ნუგეშით — სიტყვისა არაფერი სწამდა, მთავარი საქმეაო. საქმით კი მისი ივლიანესთვის ვის რა უნდა გაეკეთებინა—მთელი ქვეყანა ფრონტზე იყო.

ილიკო ხშირად სახლის წინ, ჭადრის ძირში მიეგდებოდა და მოერიოდა, ქვეყანას ეხმიანებოდა, ხმამაღლა შესჩიოდა თავის სადარდელს. მაგრამ გაკითხავი სოფელში ბევრი აღარავინ დარჩა.

ილიკო იშვიათად დადიოდა მეზობლობაში. უფრო ჩვენსა იცოდა ჩამოსვლა, განსაკუთრებით ზამთრობით, როცა, მისივე თქმით, „წლის ღამეები“ დგება. შემოდგომაზე დაკრეფილი პანტა ვაშლით ჯიბეებს დაივსებდა და ჩამოგვაკითხავდა. პანტას ბავშვებს დაგვირიგებდა: მე ჯიბეებს ავივსებდი, ჩემი დები — უბეებს და შევექცეოდით. მერე მომატანინებდა წიგნს და სანამ ძილი არ მომცელავდა, მაკითხებდა. თავად წერა-კითხვის უცოდინარს. საოცრად უყვარდა სხვისი მოსმენა. ორ დღე-ღამეს ისე გადაამამდა, სიტყვას არ დასძრავდა, იჯდა და პირდაღებული გისმენდა. გაძლება არ გინდოდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ ხანებში კი მოულოდნელად ჩვენგანაც ამოიკვეთა ფეხი. იშვიათად, ძალზე იშვიათად ვხედავდით.

მის ამქვეყნად არსებობას მხოლოდ ბუხრიდან ზლაზვნით ამომავალი კვამლი ამცნობდა სოფელს.

ხმა დადიოდა, ილიკოს შვილის დაღუპვის ცნობა მიღებული აქვს, მაგრამ არ უნდა ხალხს გააგებინოსო. ბევრს სჯეროდა ამ ხმის სიმართლე, რადგან ესეც მოსალოდნელი იყო მისგან. ალბათ ფიქრობდა, ხალხს თავისი ჭირი ჰყოფნის, ჩემი რაღად მივუმატოო...

ახლა ვუცქეროდი ბაბუა ილიკოს და სწორედ მასა და ივლიანეზე ვფიქრობდი.

— ვაჯა, — მითხრა დედამ, — რამ გაგაშტერა, შვილო?

— რა იყო? — შეკვრთი.

— რომ გეძახი, არ გესმის? ერთი აქეთ მოდი!

დედა კარისკენ წავიდა, მეც გავყევი.

— ბავშვი ორსად გაუშვა, ანო, — დაადევნა ბაბუა ილიკომ და ხელით შემაჩერა. მეორე ხელი ქურქის ჯიბისკენ გააქანა და ლატრიანი დაადრო.

— ეგ რა მოგიტანია, შე კაცო! — შეწუხდა მამაჩემი.

— არაყია... რა იქნება...

მოხუცმა იცოდა, სასმელი არ გვქონდა და მოიტანა.

— უი, ღმერთო მომკალი!.. — შეიცხადა დედამ, მაგრამ დავინახე, როგორ გაუნათდა სახე. დატრიალდა, ფხალის წნილი, ცივი მჭადი, ლობიოს ქოთანი შემოდგა სუფრაზე და მობოდიშებით თქვა:

— გვიანი რომ არ იყოს...

— ნუ წუხდები, ქალო,ესეც საკმარისია, — უთხრა ილიკომ.

საკმარისიც რომ არ ყოფილიყო, სხვას ვერაფერს მივუმატებდით სუფრას, რადგან ერთადერთი მამალი, ყოველი შემოხვევისათვის რომ გვყავდა შემონახული, დილას დაკალით და ქვაბში აღარაფერი იყო დარჩენილი.

ბაბუა ილიკომ ჭიქები შეავსო.

— არყის დალევის უფლებას მაძლევ, გაქვს? — ჰკითხა მამას.

— კი...

— აბა, გაგვიმარჯოს!

— გაგვიმარჯოს!

ილიკომ უწინ გამოსცალა სასმისი, მწნილი დააყოლა და კვლავ მამას მიუბრუნდა:

— სად დაიჭერი?

— სტალინგრადთან.

— თუ კაცი ხარ, ქერჩი და სტალინგრადი არ გამახსენო — რაც იქ ჩვენი ბიუმბა დაიღუპა!..

— ეჰ... — ამოიოხრა მამაჩემმა და თავი ჩაჰკიდა.

ილიკომაც ჩაჰკიდა თავი, თუმცა მისი ოხვრა არ გამიგონია.

— ჩვენი ხომ არავინ შეგხვედრია? — ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა და ჩემკენ მოიხედა.

— ფრონტზე... არავინ, — უთხრა მამაჩემმა, — ჩვენი იაგორა ენახე ჰოსპიტალში...

— ვინ იაგორა?

— ჯიმშეთის ბიჭი.

— მართლა? — გაეხარდა ილიკოს, — მერე როგორაა?

— ორივე ფეხი დაუკარგავს საწყალს...

— უჰ! — შეწუხდა ილიკო, — ანო, ის ბიჭი დიდი ხანია არ იწერება, ხომ? — მიუბრუნდა უცებ დედაჩემს.

— ჰო. აბერ წელიწადი სრულდება...

— შეხედე! — თქვა ილიკომ და კვლავ მამაჩემს შეაცქერდა, — არ ჰკითხე მიზეზი?

— არ მიწერო, მითხრა. უფეხო და საპყარი ვის რადაში ვჭირდებიო...

— ა, ბიჭო, სულელი კაცი... მისი პატრონისათვის, ხელებიც რომ დასხეპილი ჰქონდეს, რა ეღირება, არ იცის?

— გამაფრთხილა, ჩემზე არაფერი წამოგცდესო.

— რას მეუბნები, კაცო?! — შუბლში იტკიცა ხელი ილიკომ. — მერე არ უთხარი საწყალ ჯიმშეთიას?

— ვუთხარი. როგორ უნდა დამემალა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგად მოქცეულხარ.

ჭიქები კიდევ შეავსო ილიკომ:

— შენ გაგიმარჯოს, არისტო... ყველას გაუმარჯოს, ვისაც მკერდი ტყვისთვის აქვს მიშვერილი...

— იცოცხლე!

გადაკრეს.

ორივე გამოცოცხლდა, შეშიკჭიკდნენ.

სამ-სამი ჭიქა რომ დალიეს, ილიკომ სიმღერა წამოიწყო.

მამამ ბანი უთხრა.

— ანო! — უცებ შეწყვიტა სიმღერა ილიკომ, — უშენოდ თავს ვერ ვაბამთ, ხომ ხედავ?..

— მე რა მომღერალი ვარ?.. — შეწუწუხდა დედა, — ქვეყანას შავი აცვია და...

ილიკომ სიტყვა არ დაამთავრებინა, წამოხტა და ისე აყვირდა, დაძინებულ ჩემს დებს გამოეღვიძათ და ტირილი მორთეს.

— მე არ მაცვია შავი, — ყვიროდა ილიკო, — ჩემი შვილი არ შვილობდა?.. ადამიანი არ ვარ? გული არ მაქვს?..

უცებ მიბრუნდა და კარს ეცა.

— ბიძია ილიკო! ილიკო!.. — დაუძახა მამაჩემმა, მაგრამ ილიკოს უკან აღარ მოუხედავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲘᲥᲔᲚ ᲓᲔ ᲣᲜᲐᲛᲣᲜᲝ

ᲡᲢᲘᲙᲔᲜᲓᲘᲐ

— სხვა დროს შემოიარეთ...

— ოქნებ მოგვიანებით მობრძანებულიყავით.

— დიახ, მხედველობაში მეყოლებით...

— ამჟამად, სამწუხაროდ, არაფერი შეგვეძ-ლია...

— მთხოვნელი ბევრია დ...

— თქვენ დაგვეგვიანდათ, სენიორ, ვწუხვარ. დიდად ვწუხვარ...

ასე იცილებდნენ ხოლმე დონ აგუსტინის. მას ეთაკილებოდა ხალხისათვის ხვეწნა-მუდარით თავის მობეზრება, თუმცა კარგად იცოდა, რომ სოფელი სწორედ ენამ მოჭამა.

როცა მარტო რჩებოდა, გული ეძლეოდა, — ათასგვარ ფეგმას ადგენდა. ადგენდა და იმ ვი-გინდრებს პირში მივახლი, რა დედის შვილე-ბიც არიანო. მაგრამ, როგორც კი რომელიმე მაოგანის უსულელესი შემოხედვას იკრძნობ-და, გული ეკუმშებოდა და „ღმერთო ჩემო, რა-ტომ ვარ ასეთი კაცი?“ — ეკითხებოდა იგი თავს და ასეთივე კაცად რჩებოდა, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ასეთად ყოფნა შეეძლო.

მუდამ უმეშვერად იყო. არასოდეს იცოდა, სად და როგორ ეშო�თუნდაც ერთი დღრო სახვალიოდ. და ეს გულის სიღრმეში უცნაუ-რად სიამოვნებდა კიდეც: თუ მშიერ-მწყურვა-ლი ხარ, თავისუფლება განსაკუთრებულ სიტკ-ბოებად გეჩვენება (ასეა და განებივრებულ-ვალ-ლებუფლმა ხალხმა რაც უნდა ისა თქვას!). იღბლიანმა კაცმა ხხოლოდ სამოსელი იცის ცხოვრებისა და არა თვით შეუნიღბავი, ნამდ-ველი ცხოვრება.

დონ აგუსტინის ჰკადდა ბიპუნა — აგუსტი-ნატო. ეს მეტად სუსტი, ფერმკრთალი, თვალ-ყქეკენა ბავშვი უფროსებივით საზრიანი იყო: ყველაფერს ერთბაშად ითვისებდა.

ზამთარი იდგა.

— აგუსტინატო ჩვენი ერთადერთი იმე-დია, — თქვა დედამ და შალში შეიფუთნა, — სტიპენდიის კონკურსი უნდა დაიჭიროს... მა-შინ კი, სანამ ისწავლის, თავის დროზე მივი-ღებთ ხოლმე ორ პესეტს, თორემ, აბა, რო-დემდე ვავიტანთ თავს ასე, მოწყალებით... ბერედა, ღმერთო ჩემო, როგორი მოწყალე-ბით! არა, არა, არ გეგონოს უმადურებას ვი-ჩენდე! მეტად კეთილი მანდილსანებია, მაგ-რამ...

— ეს, გახსოვდეს, რა თქვა მარტინმა: ჭეშ-მარიტი მოწყალების გაღების ნაცვლად ისინი ქველმოქმედის სახელისათვის ეკიბრებიან ერთ-ძანეთს.

— ეს ხარ მართალი.

— რაღაც ამგვარი შენვე გითქვამს. ასე მგო-ნია, როცა ისინი მოწყალებას იძლევიან, ითი-ქრა შეწყალებულის შერცხვენას ცდილობენ, ბერეცხვი არ ამბობდა. აღდგომის რომ პური გვაჭამეს, თვით ქალბატონები გვემსახურებოდ-ნენო? „რას არ მოიგონებენ ეს ქალბატონები, ოღონდ სირცხვილის ოფლი გვიდინონ...“

— ყური მიგდე...

— აბა, თვალს რად იხვევ. ჩემთან დასამალი რა გაქვს, განა არ იცი: ინისთვის გვიმპოთა-ვენ ხელს, რომ დაგვიცირონ.

ეს ზამთრის გაბმულ ღამეებში საშზარეულო-ში ითოშებოდნენ, რადგან ცეცხლს, არც ოქ ანთებდნენ.

ბავშვს ყველაფერი ესმოდა და თანდათან შეეგნო, თე რა ამალებდა ამ სიტყვებს ექით: „ბეჭითე, აგუსტინატო, ბეჭითი!“.

სტიპენდიის მოპოვება მეტად ძნელი იყო, მაგრამ აგუსტინატომ გაიმარჯვა და ამ დღეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომ დიდი ტრიუმფის დღეს, კერიაზე ცეცხლი გაანათებს. რამდენი ცრემლი დაიღვარა! სტაპენდიისტს უთავაზეთ ეოცნა ეროო. ახლა დონ აგუსტინის სამსახურის თხოვნა უფრო ეთაკილებოდა: ავად თუ კარგად, შეიღლს სტიპენდიით სულს ითქვამდნენ. დროდადრო მამაც შეამთხვევით სამუშაოს გადაეყრებოდა და ორიოდე გროშს ამითაც შოულობდა. წუთისოფელს ებრძოდნენ და ვაიეგალახით გაპქონდათ თავი.

თუ ხელ გაანძრეს, ღმერთი ბედსა გეწყესო, ნათქვამია. ჰოდა, თუ იცი, რომ ღმერთი მაინც დამანინებს არ გეწყალობს, ისეც ლოგინში ნებიერობა სჯობია. ძალმა დარდების გაქარგება იცის. ეკიმებიც წამდაუწუმ ამას არ გაიძახიან, დასვეხება კაცს კურნავსო?

— წოგს მოკკიდე ხელი, აგუსტინიტო, წოგსს! არ დაიგწყო, ჩვენი ერთადერთი იმედი შენა ხარ — ყველფერი, ყველფერი შენზე კკიდია!.. იბეჭითე, ჩემო ბიუნუ, იბეჭითე და ღმერთი სიკეთით მოგიზღავს, — ეუბნებოდა დედა.

აგუსტინიტოს არასოდეს დაუსვენია სიამოვნებით, არც უკამია, არც უძინია. წოგს არ იშორებდა. ასე თანდათან, ნელ-ნელა მოიშალა მისი სხეული და გონება: სხეული უსისტემო კვებით ეროვეოდა, გონება კი — უსულგულო სასკოლო პროგრამით. კაცმა არ იცის, რას ვკამდა და რას სვამდა. უეკველად მაღალი ნიშნები უნდა მიეღო, სხვაგვარად სტიპენდიას ვერ შეინარჩუნებდა. ამისთვის კი მას ყველა საგანი, სურდა თუ არ სურდა, მეტისმეტი გულმოდგინებით უნდა მოემზადებინა.

გვიან ღამით წოგსებში თავჩაქინდრულს მიეძინებოდა და არდადეგები, შშვნიერი არდადეგები ესიზმრებოდა. სტიპენდია ხომ უნდა შეენარჩუნებინა, ამავე დროს, პრემიაც უნდა მოეპოვებინა, ეს მომავალი კურსის სწავლის ეარისაგან ათვისუსულებდა.

— აგუსტინიტო, მე დონ ლეოპოლდს ვნახავ და ვეტყვი, რომ შენ აუცილებლად ფრიადი უნდა მიიღო, — ამბობ, ფრიადი თუ ვერ მიიღე, ხომ დაკარგე სტიპენდია და ეგაა...

— არ წახვიდე, დედა, არ წახვიდე, ეს ხომ სისაძაგლეა...

— სისაძაგლეა! შვილო, როცა ასეთ გაჭირვებაში ცხოვრობ, ამაზე არც ფიქრობ...

— დედა, მე ხომ ისედაც მეკიდეს ფრიადს, ისედაც მეკიდეს.

— პრემიასაც მიიღებ?

— პრემიასაც მიეკიდ, დედა.

მას უეკველად უნდა მიეღო პრემია, ეს კი ძალიან, ძალიან ძნელი იყო!

— ყური მიდგეს, აგუსტინიტო, ავად გახდა ზოგადი ბოთოლოგიის მასწავლებელი დონ ალფონსო. ინახულე, ჰკითხე, როგორ გრძნობს თავს...

— მე არ წავალ, დედა, არ წავალ. ქლესაობა არ შემიძლია.

— რაო, რა თქვი?

— ქლესაობა არ შემიძლია-მეთქი.

— კეთილი. არ ვიცი, ქლესაობას რას ეძახ თუმცა, ჰო, მესმის... მაგრამ, ჩემო ბიუნუ, ჩვენ, ღატაკი ხალხი, იძულებული ვართ ეიმლექვეთო. „ღარიბია, მაგრამ თავმოყვარეო", — რამდენჯერ გვთქვამს კაკზე. სისულელეა. ჩვენ, ეუსპანელები, სწორედ ამან დაგვღუბა.

— მე მაინც არ წავალ.

— არ წახვალ და მაშინ მე წავალ.

— არა, არც შენ წახვალ, დედა.

— რახან ავრეკ, არ წავალ. არ გინდა, რომ ეიმლექვნელო, არა? არ წავალ, მაგრამ იცოდე...

— მე მივიღებ ფრიადს, მივიღებ, დედა.

— აგუსტინიტო, ბედშავი აგუსტინიტო, ღუბულობაა ფრიადებს, მაგრამ როგორ ეწამებოდა! ერთხელ კარგი მიიღო და უნდა გენახათ, მისი დედ-მამა რა დღეში იყო.

— ძალიან აბურდული საკითხები შეიხვდა...

— არა, არა, მასწავლებელი შენზე რატომღაც გაგულისებულიაა... — თქვა მამამ.

— მეც ხომ ვეუბნებოდი... შენ ეს საგანი არც ისე მუყაითად მოგიმზადებია, — ჩაერია დედა.

აგუსტინიტოსთვის ყველაზე საშინელი თვე მაისი იყო. გვიან ღამემდე მეცადინეობდა. წამდაუწუს ყავას სვამდა, ეშინოდა, არ ჩამეძინოსო, ზეზეურად ეძინებოდა. დედა აწრიალდებოდა, ლოგინიდან წამოდგებოდა და ალერსიანად ეტყოდა:

— დღეს ქმარა, შვილო, ასე გადაღლილ არ ვარგა... ძილი თვალს გართმეკს. შენ, რამდენი ნავთი დახარჯულა ტყეულებოლოდ, ხომ იცი, რა ცოტა ნავთი გვაქვს.

აგუსტინიტო ლოგინად ჩავარდა. ცივ-ცხელებამ დარია ხელი. მშობლები შეშფოთდნენ, შეშფოთდნენ ამიტომ, რომ სწავლაში ჩამორჩებათ. ავადმყოფობა რომ გახანგრძლივებულიყო, შესაძლოა, მას ფრიადები ვერ მიეღო და მაშინ სტიპენდიას დაკარგავდა.

ეკიმმა თქვა, ბიუი კარგა ხანს უნდა იწეესო და მშობლები უფრო შეშფოთდნენ:

— კი მაგრამ, ინნინში გამოცდებია ჩაბარებას ხომ შეძლებს?

— გამოცდებზე ფიქრიც ზედმეტია. თქვენმა შვილმა მეტი უნდა ეჭამოს და ნაკლები იმეცადინოს, ყველაფერზე მეტად მას ჰაერზე ყოფნა სჭირდება, რაც შეიძლება — მეტი ჰაერი...

— მეტი ეჭამოს და ნაკლები იმეცადინოს?— წამოიძახა დედამ. — პირიქით, ბატონო ეკიმო, მან მეტი უნდა იმეცადინოს, რომ ცოტა რამ მაინც ვკადოს!..

— Surmenage-ის ტიპიური შემთხვევაა.

— რაო, რა თქვით?

— Surmenage-მეთქი, ქალბატონო, გადაქანცება.

— ჩემი საწყალი ბიჭუნა! — აქვითინდა დედა. — ის ხომ წმიდანია, ბეშმარიტი წმიდანი!

„წმიდანი“ კი მოკვეთების გზას დაადგა. რაკი ფეხზე დგომა შეიძლო, კვლავ წიგნები მოითხოვა. დედამ წიგნები მიუტანა და დააყოლა:

— შენ წმიდანი ხარ, ჩემო ბიჭუნა, წმიდანი! — სამი დღის შემდეგ კი უთხრა: — გიახელდე, დღეს დარია, ქუჩაში გასვლა შეგიძლია; თბილად ჩაიცვი და მეცადინეობაზე წადი, უთხარი დონ ალფონსოს, რომ შეუძლოდ იყავი, სთხოვე, მოგიტეეოს...

შეიღი მეცადინეობიდან დაბრუნდა და თქვა:

— დონ ალფონსომ მირჩია, სანამ სავსებით არ გამოჯანმრთელდები, ნუ იფლიან...

— კი მაგრამ „ფრიადებს“ როგორღა მიიღებ, შეილო?

— მივიღებ, დედა, მივიღებ.

და მან, მართლაც, ყველა საგაკვნში „ფრიადი“ მიიღო. დადგა არდადეგები, მისი სულისმოთქმის ერთადერთი ქამი.

სოფელში წადგო, რა ხანია ურჩია ექიმმა. სოფელში წავიდეს? მერედა, ფული საიდან აქვს? ორი პესეტით სასწაულს ვერ მოახდენ. რა ქნას? მამამისი, დონ აგუსტინი, საღამოობით ყავახანაში ზის, ამ ბედნიერ წუთებში ივიწყებს ხოლმე თავის ჭირ-ვარამს. ჰოდა, როგორ მოაკლოს ეს სიამოვნება! დონ აგუსტინმა ერთხელ თვითონვე სცადა ამის თაობაზე რაღაცის თქმა, მაგრამ მისმა სამაგალითო შვილმა არ დაიცალა:

— არა, მამა, არა,... ჩემს გამო ყავახანაში სიარულს ნუ მოიშლი, წადი,... მე როგორმე იოლად გავალ...

სოფელი სადღა იყო. აგუსტინოს სოფლის ჰაერით სუნთქვა აღა ეწერა. თავისი ფილტვების პატრონს სად შეეძლო მიწის ბულზე ნებიერად გართხმულიყო, ბალახის სმენაანთან დამშვიდებულიყო, უდარდელად, გულშვიდად დაესვენა.

კვლავ დაიწყო მეცადინეობა, დაიწყო სასტიკი ბრძოლა. ჩვენი სტიპენდიანტი კვლავ ლოგინად ჩავარდა და ერთხელ, ღილის მეცადინეობაზე, შეტეკა მოუვიდა. შეუკავებელი ხვლება აუტყდა და მისი წიგნის ფურცლები სწრაფად ამ ადგილზე გასისხლანდა, სადაც ქლეკნე იყო საბარი.

ბედშავი ყმაწვილი დასაკერადად წითელ ლაკებს, შემდეგ სიარცეს მიაჩერდა და დიდხანს, დიდხანს იყო უძრავად, გრძნობდა, თუ როგორ ეუფლებოდა მის სულს უიმედობის სიცივე. მისი სულის სიღრმიდან რაღაც ძალამ ამოტეტეტა ნაღვლის, დაქანცულობის, ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი მარადიული სევდის ტალღები, ამოატეტეტა ყოველივე, რაც თვლემს და ყრუდ მოძრაობს ჩვენი „სულის ფსკერზე, მოძრაობს და არხევს ჩვენს ძალებს, ჩვენ კი ვცდილობთ, იგი ყოველდღიური ცხოვრებისეული ფუსფუსით მიეჩქმალოთ.

ექიმი შეშფოთდა: დაუყოვნებელად უნდა მოაშვას წიგნებსო, უბრძანა მშობლებს.

— წიგნებს მოეშვასო! — აყვირდა დონ აგუსტინი. — წიგნებს რომ მოეშვას, ჩვენ რითღა ვიცხოვროთ?

— კეთილ ინებეთ და იმეშვეთ.

— მე სამუშაოს ვეძებ, მაგრამ ვერ ვპოულობ, მე...

— თუ ბიჭი მოკვდა, დამნაშავე მხოლოდ თქვენ ხქნებით...

ფიცხი, მოურიდებელი ექიმი დონ ხოსე ანტონიო ერთთავად ცაცხაბებდა და ბეურდღეებდა: „ეს ხომ დანაშაულია! კაციჭამიობის ტიპიური შემთხვევაა: მშობლები ბავშვ თავიანთ შვილს...“

მშობლები შვილს ჭლეკენს დახმარებით ჭამდნენ. ლუკმა-ლუკმად ჭამდნენ მის სხეულს, წვეთ-წვეთად სვამდნენ მის სისხლს.

ისინი მას ჭამდნენ, ცხოვრობდნენ იმედსა და შიშში, ღამღამობით სინდისია ქენჯნისაგან იტანჯებოდნენ, დილით კი კვლავ დააცხრებოდნენ თავიანთ მსხვერპლს. ისინი მას ჭამდნენ...

საბარალო ბამბ მოღუშული დადიოდა და ჩუმი სასოწარკვეთილება ეუფლებოდა. იგი ყავაში ბაჭარს ურეკდა, დიდხანს ურეკდა და ამბობდა: „ო, რა მწარეა. ცხოვრება! რა საძაგელია საზოგადოება! რა ღორები არიან ეს ადამიანები! ახლა ჩვენ მისი სიკვდილიდა გვაკლია...“ შემდეგ ხმამაღლა დაუმატა: „ე, კაია კაი ცხოვრება!“

აგუსტინატმ ლიცენციანტის სამეცნიერო ხარისხს მიაღწია და, ციებცხელებისაგან ატანილს, ბედნიერება ეღირსა: ხელი მოაწერა დიპლომზე, ამ საკუთარ სასიკვდილო განაჩენზე. შემდეგ მოითხოვა, რომელმე წიგნი მომატანეთო, რომანი მარჩევნიაო.

— კიდევ წიგნს ხოლოლა? შენი დღე და მოსწრება წიგნს უნდა გადაჰყვე! — ბოწყინა დედა. — ახლა უკვე შეგიძლია მოეშვა. ამდენი რამის ცოდნა რაღად გინდა? გადაადგე-მეთქი!

— სხვა რაღა დამრჩენია, დედა.

— ახლა ცოტათანში მოსვენება გმართებს, შემდეგ კი სამუშაოს უნდა შეუდგე.

— ჰო-ო?

— ჰო, მე უკვე ეელაპარაკე დონ ფელისოს, დამპირდა, რომლედღესაც წარკადგენო.

რამდენიმე დღის შემდეგ აგუსტინატმ სამუდამოდ წავიდა. იგი უსასრულო არდადეგებზე გაემგზავრა. სიკვდილის წინ ითხრა და სასუფევლიდან დიპლომი ამოიღო, ხელშიც წიგნი დაიჭირა. მან ეს დაიდო ბინა, სადაც მარადიული არდადეგებია. გულმოკლული მშობლები მისტიროდნენ თავიანთ ერთადერთ ვაჟს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაღა ახლა მოკვდა, როცა ცხოვრების დრო დადგება. ახლა შეეძლო მას სიღატაკიან დავეხსენით; ახლა შეეძლო... ო, აგუტინი, რაღაა ჩვენი სიცოცხლე!

— ო, ძმაბავ, ძმაბავ! — ბურდღუნებდა მამა, თან იმას ფიქრობდა, ყავახანაში კარგახანს ვერ წავალო.

ეს ამბავი ექიმმა დონ ხოსეს მიამბო.

— ეს შშობლებს კიდეკ ერთი დანაშაული... — დასძინა ბოლოს, — ამის შემდეგ ბევრს ლაპარაკობენ შშობლების უფლებებსა და შშობლიურ სიყვარულზე... სიცრუეა, სიცრუეა-მეთქი! დაღუპულ არსებათა უმეტესობა საყუთარმა დედებმა გაკიდეს. ღარიბ-ღატკანა შორის ამის ახსნა კიდეკ წარმოსადგენია, თუმცა ამ დანაშაულის გამპრალება იქაც შეუძლებელია. მდიდრები, მდიდრები როგორ იქცევიან? სამიოდე დღის წინათ გონსალეს გარსიამ თავის ქალიშვილი მითხოვა ჯლექით დაავადებულ მდიდარ კაცს, რომელსაც ბაცილაზე მეტი პესეტი აქვს. მას კი, ქვეყანამ იცის, მილიონამდე ბაცილა ჰყავს! მაგრამ გონსალეს გარსიამ მაინც მითხოვა ამ კაცს ქალიშვილი, თუმცა იცის, რომ სიძეს ცალი ფეხი უკვე სამარეში უდგას: იგი ასე ვარაუდობს, სიძე მალე მოკვდება, შვილიშვილი თუ მეყოლა, ისიც ალბათ მენინგიტით, ან რამე მემკვიდრეობითი დაავადებით დიდხანს კვა ბიბოგინებსო. ჰოდა, ასეთი მამა ზნეობაზე ლაპარაკობს! ასეთ კაცს ცოხენი არ სვამენ!

ეს ბედშავი ყმაწვილი, ახალი მსხვერპლი... კიდეკ დიდანს ვეუფოთ სახელმწიფოს, როგორც დაკრდომილთა თავშესაფარს? ნეთუ დაუსრულებლად იარსებებს „ფრიადების“ ასეთი გამოდევნება და ეს კანაბალიზმი? კანაბალიზმი, დიახაც რომ კანაბალიზმი! ყმაწვილი ხომ შეჭამეს და დალეკეს, შეჭამეს მისი ხორცი და დალეკეს მისი სისხლი... ხოლო როდესაც შშობლები ჭამენ თავის შვილს, რას ეძახით, ბატონო ელინსტონ, ამ ამბავს? ჰონოფიგიას, არა? დიახ, ჰონოფიგიას. ასეა, საწყინსა და მოგლენებს თუ ბერძნულ სახელს დავარქმევთ, ისინი, ეს საწყინი და მოგლენები, არც ისე საზარლად გეჩვენებენა.

მახსენდება ჰეროდოტეს ცნობები ინდიელებზე, თქვენ რომ მიამბეთ. ისინი თავიანთ შშობლებს ჭამდნენ. ეს, თქმა არ უნდა, თავზარდამეცემა, მაგრამ ეიდევ უფრო საზარელია სატენრნი, რომელიც თავისსავე შვილებს ნთქავს. ატრეის ნადიმს ხომ არაფერი შეეფერება. ბომბელის შთანთქმასთან შედარებით შთანთქმა გარდასულია, მით უფრო, თუ იგი უკვე მკვდარია, ბოროტებად არც ჩითვლება.

ყურაღღებით დააკვირდით და შეამჩნევთ, თუ როგორ ეუფებ ბოლოს მომავალს, თუ როგორ ესაბრი ჩანასახშივე ამ მომავლის ყველაზე მშვენიერ ყლორტს. თქვენ უნდა გენახათ ამ, სტუდენტის ნაღელიანი გამოხედვა, უნდა გენახათ მისი თვალები, რომლებიც გარეგანურად ვერ ამჩნევდნენ და მისნერებოდნენ იდუმალ მომავალ — შორეულსა და უსასოოს. უნდა გენახათ მამამისი, დონ აგუტინი, რომელიც ყოველ საღამოს ყავახანაში ატარებს — შინ ვერ ძლებს. უნდა გენახათ მისი მუხარება, როდესაც შვილი დაკარგა, ვულითადი, წრფელი მუხარება — სხვადასხვაგვარ არც შეიძლებოდა, მაგრამ მუხარება, რომელშიც მისი ცხოველური არსებისა და შეშფოთებული ინსტინქტის გარდა იყო რაღაც სისხლის გამყინავი, სასაგელი, სეედისმომგვრელი. შემდეგ ეს წიგნები, ეს წყეული წიგნები, რომლებიც იმის ნაცვალად, რომ გონების საკვებს წარმოადგენდნენ, ზოგჯერ საწამლად იქცეოდნენ. ეს სასოწველი სახელმძღვანელოები, რომლებიც ალსავსეა უმეტესად ყველაზე ვულგარული, ყველაზე უხამსი, მეცნიერებასთან შეუთავსებელი ამბდაზდები და ყველაზე ქვენა, ვაკრუკანულ მიზნებს ისახავენ.

ეკიმი გაჩუმდა. მეც ვდუმდი. საკრო კი იყო რაიმეს თქმა?

ცოტა ხნის შემდეგ მითხრეს, რომ ტერეზა მარტინი, დონ ოტეფის ქალიშვილი, მონაზენად აღიკვეცაო. როცა მე გავიკვირვე, მითხრეს, რომ ის განსვენებული სტანენიანენის, აგუტინ პერესის საცოლე იყო და საკმრის საკეფილის შემდეგ სულის სიმშვიდე ვერ იპოვნო. ტერეზას გადაეწყვეტია, გამომჯობინებისთანავე გავყვები აგუტენოსო.

— შშობლეკი რას ამბობენ? — ეკითხე ჩემს მოსაუბრეს, ეკითხე და ყოველივე ვუამბე. ეუამბე, თუ როგორ შეეპალა დედ-მამამ შვილი. მან მომიგო:

— ეს მოჩმახსენი ამბავია! შშობლებს რომ არ შეეჭამა, აი, ეს საკოლე შეეჭამდა.

— რას ამბობ! — წამოვიძახე, — მაგ ყველანი შესაგმელად ვართ განწირულნი? — ერთმა თუ არ შეგვჭამა, მეორეკ შეგვეჭამს?!

— ცხადია, — მომიგო პარადოქსისა და გონებამახვილური სიტყვის მოყვარულმა, — უდავოა; ხომ იცით, რომ ამქვეყნად ან თქვენ შთანთქავთ ვინმეს, ან თქვენ გშთანთქავენ. თუმცა, მე მეკონია, ჩვენ გშთანთქავთ სხვებს, ისინი კი, ერთდროულად, გეშთანთქავენ ჩვენ — ურთიერთშთანთქმაა.

მე შეეშფოთდი:

— ესე იგი, განმარტოებით უნდა ვიცხოვრით?

ის არ დამეთანხმა:

— ამით ვერაფერს მიეღწეკთ, მაშინ ჩვენს თავს ჩვენვე შეეჭამთ, ეს კი უარესზე უარესია, რადგან შთანთქმის სიამოვნებას მაშინ დაერთვოდა მწუხარება იმის გამო, რომ შთავინთქმენთ, და ეს შეერთება სიამოვნებისა და მწუხარებისა — ადამიანის თავზე დატრიალებული ყველაზე დიდი უბედურებაა.

— ჰო, გეყოფა, გეყოფა, — გავაჩერე იგი.

თარგმნა **ჯუმბერ თეთვერიაძ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ავტორები

ვალერიან სულაკაური

ბილიკი პირიქითის ხეობაში

მარტოდმარტო მიჰყვებოდა პირიქითის ხეობაში ბილიკს. რაც თავი ახსოვს, ყოველ გაზაფხულზე თოვლ-წვიმისაგან გადარეცხილი ეიწური საცალფეხთი იჩქარის მშობლიური სოფლისაკენ. ღამადა იღლიაში ამოეჩარა, მხარზე წვეტიანი ჯოხი გაედო. იცოდა, ჯოხი ხეობაში ჩამოწოლილ შუადგზე გადასვლაში გამოადგებოდა. არადა, ვინ იცის, იქნებ ბილიკი მეწყერმა ჩამორეცხა; მთაში მგზავრობისათვის ჯოხი მესამე ფეხია, როცა გაგიჭირდება, მოიშველიებ.

მიდიოდა მზიდაკრული, ქერაულვაშიანი ახალგაზრდა კაცი და ფერდობებს ისე უყურებდა, თითქოს პირველად ხედავდა.

პირიქითის ხეობაში დუმილი სუფევდა. ზოგჯერ შორეული ჩანჩქერის შხეილს თუ მიუგდებდა ყურს. ხანდახან ჩანჩქერების შხეილიც რომ არ აფხიზლებდეს ხეობას!

ფარსმის ასახელში ჩამოჯდა. გაუხარდა, რომ წელსაც პირველმა დაინახა თავისი ნასოფლარი.

— ნასოფლარია თუ სოფელი? — იკითხა წელან ბეშოს გამოვლისას, ახლა ფარსმის დანახვისასაც იკითხა და დასაკვნა:

— რაკი ზამთრობით არავინ ცხოვრობს, ცარიელ სახლებს რა სოფლობა ეთქმისო.

თვალი ფარსმისკენ გაეპარა და შეწუხდა, რომ სოფლიდან არავინ გამოეგებებოდა; არავინ ჰკითხავდა ბარისა და მგზავრობის ამბავს; არავინ მოიკითხავდა ნათესავსა და სოფელ-მეზობელს; არავინ გაუძღვებოდა და არ გაუმასპინძლებოდა, რაც მთავარია, არავინ გაუღიმებდა.

—ის დალოცვილი კედელი მაინც რომ გადაურჩებოდეს ყოველ ზამთარს, სიაიდან ჩამოსული წყალი რომ არ ჩარეცხავდეს, დანარჩენი ჯანდაბას, სახურავს გასწორებ, მაგრამ კედელი ერთხელ თუ ჩამორეცხა, გათავდა! აღარაფერი ეშველება... აღარაფერი!..

ქერაულვაშიან ახალგაზრდა კაცს თუშური ქუდი ეხურა და მხარზე ჯოხი გაედო. დამიანეს ეძახიან, გვარად ცაძიკიძეა, ოცდაათ წელს ეს-ესაა გადაალილა. ფარსმაში დიბადა; ზემოალვანში გაიზარდა, იქვე სწავლობდა; მეორე თუთული წელია თეთრ ქარავანს მიჰყვება. შეოდგომობით მთიდან ბარში, გაზაფხულობით ბარიდან მთაში.

როცა ფარსმაში გაზაფხულობით პირველი შედგამს ფეხს, ისე ფრთხილად მიდის, თითქოს რაღაცას ეპარებაო. სოფლის განაპირას ესმის ქალების გულისწყმაღები ქვითინი, ვიდაცა კიკინა: „ვაიმე, ძმაო, რად მიმატოვე“... მერე ციხის ჩარდახებიდან თოფის ბათქით იკლებენ იქაურობას... მერე ჭიხვინებენ ცხენები, ეზოებში დაგებულ ზღვებზე (თუშები ეზოში დაგებულ სპას ზღვას ეძახიან) კვესავენ ნალები, ვიღაც უტყლაშუნებს მათრახს იაბოს, ჯირითისთვის აფიცხებს... რომელღაც სახლში ატირდა ბავშვი, დაიბადა და ატირდა. ვისი სახლიდან ესმის ახალშობილის ტირილი? იქნებ ხევსურასი, იქნებ დადანების, ან შეიძლება ირალოს სახლიდანაა... ფარსმის შუადგულში ვიღაც ქალი გარემონს წელავს და მღერის, იცის თუ არა სიმღერა, მაინც მღერის:

„შინ მოფსალელო, სადა ხარ...“ მომღერლის ირგვლივ უთოოდ სხეულ დაღერეგმილი ფარსმანელები და თავისთვის ფიქრობენ. სიმღერამ, არა, სიმღერამ კი არა, სიტყვებმა თუ ჩაფიქრეს დათალხული დედები, ფრონტზე გასტუმრებულთა მოლოდინით დაღლილები; სიტყვებმა ჩაფიქრეს ისედაც უტყვი კაცები... ჰო, როცა ფარსმაში გაზაფხულობით პირველი შედგამს

ფეხს, ბალღობის მოგონებები წამით გაიცხლტებინან, მერე საკუთარ სახლს შემოუვლის ხოლმე. სახლზე დახურულ სიას შიშით შეაღლო ახლაც თვალი და გულზე მოეშვა: თოვლს და ქარბუქს არც ერთი ქვა არ დაუძრავს. სამამო ერუანტელმა დაუარა ტანში და ბოქლომი გახსნა. კარი შეაღო და გაეკვირა:

— გამარჯობათ!

— იცოცხლე! — დასძინა თვითონვე.

დერეფანში მიმოიხედა და ოთახის კარი შეაღო.

იქვე, კარადაში შემოდგომაზე შენახული ერთი ბოთლი ეიპიტატური ეგულებოდა. როცა ბოთლი მაგიდაზე დადგა, ჩაფიქრდა: არაყს რა დავაყოლოო. ერთი ჭიქა მაინც შეაკვო, ჩემს დაბრუნებას და შენს დახვედრას გაუმარჯოსო, სახლს უთხრა და დალია.

მერე ზეობაში ცხვარ-ბატკნის ყივილი მოესმა და გარეთ გამოვიდა, ჭალაზე შემოფენილ ფარებს გადახედა.

ცხვარმა პირიქითის ბილიკები გამოაცოცხლა.

ყოველ გაზაფხულზე შუბლიერ სოფელში პირველი დამიანე მოდის ხოლმე. ვიწრო საცალფეხო ბილიკით მოდის პირიქითის ხეობაში.

მაგრამ ამ ბილიკსაც თან სდევს ხანდახან ხიფათი. მას მტრობაცა და უფრო მეტი კაცის გატანაც ახსოვს.

2

როცა მწყემსმა იალღუბზე ბინა დაიდეს, მას მერე დამიანე სოფელს ზემოდან დაპყურებდა. ბილიკზე ვინმე მხედარი თუ ჩაივლიდა, ეგ იყო და ეგ. წუხდა, რომ ამოდენა მთას რაღაც აკლდა და ის რაღაცა ხალი იყო, რომლებიც სოფლში ხალის მოიტანდნენ.

ერთ დღეს პირიქითის ხეობაში თოფი გაგარდა, მერე თოფის ხმას ძახილი მოჰყვა: გვიშველეთო, კაცს უჭირს და საკაცე ბილიკ-ბილიკ ომალომდე ვატარეთო. ბინაში არც უთათბირიათ, ვინ უნდა ჩასულიყო სოფელში, ვინ უნდა შედგომოდა საკაცეს. არც ის უკითხავთ, ვის გაუპარდა, შეელ ვის უნდოდა. ცხენებს სასწრაფოდ უნაგირები დაადგეს. ბინაში ის დატოვეს, ვინც საკაცის ტარებას ვერ შეძლებდა.

წინ-წინ დამიანე მიიჭრა თავის „უდარდელათი“ ფარსმანის ჭალაში შეგროვილ ხალხთან. დაღრეჯილ მწყემსებს სალამი მისცა და ადვირი უნაგირზე მიაყრა... „უდარდელ“ ჭკვიანი ცხენია, რეზო ოდიძეს ტყუილად არ შეერქმეია თრთვილისფერი ცხენისათვის ეს სახელი. ბატრონმაც ამიტომ მიაყრა ადვირი უნაგირს, უჩემოდ არსად წავიო.

მერე შეუდგნენ მწყემსები საკაცეს, თანამოძმე ომალომდე ოვრიოგობით ატარეს საკუთარი მხრებით, გზადაგზა ბარე ასამდე კაცი შეგროვდა. კოიეშეკრულნი იყვნენ და ხმას იშვიათად იღებდნენ.

— ეს ერთი კაციც მიდის, — ფეიქრობდა დამიანე თავისთვის, — ვინ იცის დაბრუნდებაო, იმოდენა ქარაფში გადაჩეხილი და დალეწილი? ერთ სახლსაც ჩაუვა დაცურებული სიბიდან ნაწვიმარი. თუ ვეღარ დაბრუნდა, ბიუბეი ხანდახან შესანდობარს იტყვიან. მერე დრო გავა, ბალღები დიაზრდებიან; ისინი თუ შესცამენ ხანდახან იმათ სადღეგრძელოს, ვინაც ცხენსაკაცით ატარეს პირიქითის ხეობაში. ეგეთია ცხოვრება, სახლები დაავიწყდებათ და ყველას ერთი ჭიქის ან ყანწის ყუაზე დასვამენ.

ომალოში ექიმი არ დახვედრიათ, წელს რაიონმა აღარ გამოგაგზავნო, უთხრეს და ასივე კაცი შეწუხდა. თორღვას უღელტეხილი ნისლებს დაებურა, კახეთის მხარეს თხემებზე წვიმდა. ავადმყოფს ერთხელაც არ დაუკვნესია, ერთხელაც არ დაუგმინია.

— თორღვას აბანომდე ვატაროთ, ხვალაც რომ არ გამოიდაროს, კაცს დაეუბაგეთ, — თქვა ერთმა.

— თორღვას აბანომდე შორია, — შეედავა მეორე.

— საკაცეში წოლაც ძნელია, აიტანს კი ავადმყოფი? — იკითხა სხვამ.

დამიანე ერთ ხანს განმარტოებით იდგა, მერე ავადმყოფთან მივიდა:

— როგორა ხარ, გიორგი?

გიორგიმ არაფერი უპასუხა, ნაღვლიანი თვალებით შეხედა, გალიმება სცადა, მაგრამ დამიანე მიხვდა, რომ გიორგის ღიმილის თავიც აღარ ჰქონდა.

ომალოს აეროპორტში ასამდე კაცი ცას გაჰყურებდა და თვითთოეული გამოდარებას ნატრობდა.

— ზოგი მაინც წაივიდეთ, ცხვარს მივხედოთო, — წაილუღლუღა ეიღიამ. დამიანემ მწყრალად გაგხედა, რაკი შეატყო, რომ სხვებიც აკვრის უკრავდნენ, გაუხარდა.

როცა ბარისკენ სანატრულ ვერტმფრენს გააყოლეს ავადმყოფი გიორგი, მწყემსები უხალისოდ დაბრუნდნენ პირიქითის ხეობაში.

ბინიდან სოფელს ჩახედავდა დამიანე, ბილიკს გააყოლებდა თვალს, იცოდა, რამდენი ნაბიჯი იყო ხეივიდან ხეივამდე, ბექიდან ბექამდე, ამ ბილიკზე საკაცეც უტარებია, ცხენდაცხენაც უყვია, ზამთარში თოვლიც გაუკვალავს. ამ ბილიკს ცოდავე ახსოვს, სიკეთეც, მაინც არ ვიმობა. ეს ბილიკი სადღაც მთების მიღმა იწყება, სადღაც მთების მიღმა გრძელდება.

3

ფარსმა თანდათან გამოიცოცხლდა, ბარში დაცხა და მოაგარაკეებმა მთას მოაშურეს. დამიანე ცხვრის მოწველის შემდეგ ყოველ საღამოს სოფელში ჩადიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღესაც მზის ჩასვლამდე ჩამოვიდა ფარსმანში. შუა სოფელში მიმმე ზურგჩანთებთან ჩამომსხდარი უცნობები შენიშნა. მიმოიხედა: ტრთვენ ყორეზე ჭრელუკაბიანი ქალები ისხდნენ, წინდებს ქსოვდნენ და წყნარად საუბრობდნენ, ცოტა მოშორებით კიბეზე ჩამომსხდარი შაკაბიანი დიაცებიც წინდებს ქსოვდნენ, გოგო-ბიჭები თავისი საქმით იყვნენ გართულნი. დამიანე უცხოებთან მივიდა.

— გამარჯობათ!..

ზურგჩანთებთან ჩამომსხდრებმა გაკვირვებით ახედეს ქერაულკაბიან კაცს, წამოიწიეს და გამიმარჯოსო, უპასუხეს.

—კარგი შეგაბეზარეთ.

—. სხვა რა გზაა, მთაში საგზალიც და საგებიც თან უნდა აბარო, — უთხრა ყველაზე მომცრო ტანის სტუმარმა.

— მწყემსებიც ეგრე ვართ ყოველდღე.

— როგორ ეგრე? — გაოცდა ზორბა ტანის სტუმარი.

— ეგრე... ყოველდღე გუდა-ნაბადს თან ვატარებთ, ცის ქვეშ გვიღამდება და ცის ქვეშ გვთენდება.

— კაი დღეში ყოფილხართ.

— ჰო, ბედს არ ვეშფერვით.

— სამაგეროდ ჯანსაღები ხართ, — გაიღიმა ზორბა ტანის სტუმარმა.

— წამოდით ჩემთან, აქ შუა სოფელში ხომ არ ისხდებთ.

— კარავი გვაქვს წამოღებული.

— კარავი აწუწუნში დგაგირდებათ, სოფლის ახლოს კარვის გაშლა სირცხვილია.

დამიანემ ყველაზე დიდ ზურგჩანთას ხელი დაავლო და მხარზე მოიკიდო. სტუმრებს წინ გაუძღვა.

ოთახში ორი ხის გრძელი ტახტი იყო, კედელთან მიდგმული.

ზურგჩანთა კუთხეში დადო და შემოსულებს გაუღიმა.

— დამიანე მქვია, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ამ სოფელში.

— ამ ოჯახშიც, — დაუმატეს სტუმრებმა.

მერე სათითაოდ გაიცნო, მაგრამ ორი სტუმრის სახელი ვერა და ვერ დაიმახსოვრა.

დილას ეთენია წავიდა ცხვრის მოსაწველად, საუზმის დროს კიდევ დაბრუნდა. მისი სახლის წინ რეზო თარხან-მოურავი იჯდა და თეთრ ფურცელზე რაღაცას ხატავდა. დამიანეს ეუბნებოდა ახლოს მისკენ, შორიახლოს შეჩერდა და გაიღიმა.

სოფელი ხმაურობდა, ფუსფუსებდა. ფარსმანელები რაღაც დღესასწაულისთვის ემზადებოდნენ. ბოლოდან ყოველი სახლის საცეცხლური, ბოლი ნისლივით დაცურავდა სიბის სახურავებზე.

— თუ შეიძლება ამ ოთახში არავინ შემოვიდეს, — უთხრა რეზო თარხან-მოურავმა.

— ცუდად ხომ არ ხარ?

— არა. ისე, ნურავინ შემოვა ერთი-ორი საათი.

— კარგი, აქ კაცი ვერ დაიკუჭანებს. მე გავალ და შვიენიდან გადარაზე.

სოფელი ფეხზე იდგა. ყოველ ეზო-ყურეში ან შეკაზეული ცხენი იდგა, ან კედელზე დატანებულ ბალოზე მიმბეული შეშინებული თოხლები აფეთებდნენ თვალებს.

საღიღა სმლური წამოიწყეს შეზარხოშებულმა ბიჭებმა. დამიანემ მიიხედა და გაიცინა.

— ყოჩაღ, ბიჭებო, დილადგრიან მოგისწრიათ.

იცნო: დილას ერთად გადავიდნენ მინდისის ბაკში, ერთად ჩამოწველეს ცხვარი, სოფელშიაც ერთად დაბრუნდნენ. დამიანესაც ეხვეწებოდნენ, დილის მაღლის შესაწვეი დავლიოთო, მაგრამ დილის მადლი ზარხოშში გადავიდა და შეეცოდა ბიჭები, რომ დღეკი და დღეობაც გაეპარებოდათ.

რეზო თარხან-მოურავი მალე გამოვიდა ოთახიდან. დამიანეს დაუძახა. ოთახში თეთრი კედლის წინ გაეჩერა.

— ჩემგან სახსოვრად, — უთხრა რეზომ და მიაწერა კიდეც. დამიანეს ჩაჰქონია სიგარეტი ეპირი და დიდხანს უყურებდა ფრესკებს. ეაქკაცები ასე ეულლიად, ფიალებით ხელში „ბრაბალეამიერს“ რომ მღერიდნენ, უყურებდა და ფიქრობდა: ეს ხალხი ხომ საფიცე მინახავსო.

— ეს გიორგის ჰგავს, — თქვა თავისთვის,— დანარჩენები რა ვიცი, ეს კი... ნამდვილად გიორგია.

— წუხელ კარგი საღღეგრძელო თქვი, ისიც ახსენე, რომ ორ კაცს მისი საკაცით ტარება გიჭირდათ, ოთხი ამ ბილიაზე ვერ ატარებდით, გიჭირდათ და ხმას არ იღებდით. კაი ვაქკაციო, ამბობდი, მე ასე წარმოვიდგინე გიორგიც, სხვებიც.

მერე რეზომ იქვე, კუთხეში ჩარჩოში ჩასმულ ფოტოსურათს გაჰხედა. სურათიდან ხონჩის გარშემო შემომჯდარი ოთხი ხანჯლიანი ვაქკაცი ხარის თვალებით უყურებდნენ ერთ წერტილს.

— ეს სურათიც აქვე ეკიდოს, ამ ვაქკაცების საღღეგრძელოსაც ბევრჯერ დალეულნ შენს ოჯახში.

რეზომ თვითონ ჩამოჰკიდა სურათი.

კარში ვიღაც შავებიანმა ქალმა შემოიხედა, თეთრ კედელზე მოხატულ ფრესკებს შეხედა, გაკვირვებული მიაშტერდა, უფრო ახლოს მოვიდა კართან.

— აუ, რა მზარ-მკლავიანი ბიჭები არიანო,— თქვა და როიც ოთახში დამიაენს გარდა უცხოც შენიშნა, დარცხვენილი გაბრუნდა.

— გალეულ-გაძალულყაველულ კაცს არც შრომის შნო აქვს და არც ჭამისს! — მოიძახა დამიანემ.

ხმაურმა თანდათან იმატა. სოფელი ჯერ აბუბუნდა, მერე სიმღერებიც მოისმა, ჯარმონიც გაწკლეს საღღეგ, ზემო უბანში, ცხენოსნებიც

შემოჯირითდნენ სოფელში. მხედრები სადაეკ-ებს მაგრად უჭერდნენ, იაბოებს ყალეზე აყე-ნებდნენ.

ჭიხვინებდნენ ცხენები...

უკრავდა გარმონი, ეკეკვადნენ, მღეროდნენ...

ფარსმის გორაზე იდგნენ დამიანე და ქალა-ქელი სტუმრები. ზორს, ბილიეზე მხედრები და-ლანდეს, მხედრები ზორაბ ტანის სტუმრმა შენიშნა.

— სხვები თავდაუზოგავად მოაჭენებენ, ისინი კი... — დანარჩენებიც მიახედა. დამიანემ წარ-ბი შეკრა და დააკვირდა. არაფერი უთქვამს. მხედრები ნელა მოდენილნენ იაბოებს, ძალიან ნელა!..

— ცუდი მენიშნა, — თქვა დამიანემ.

— რა ბრძანეთ? — იკითხა მაღალ-მაღალმა სტუმარმა.

— ისე ვთქვი, ცუდი მენიშნა-მეთქი.

სოფელი უცაბ დადუმდა. დამიანე ეიღაცამ გიიხმო.

სტუმრები სოფლის უეცარ ცვლილებას გაკ-ვირვებულები ადევნებდნენ თვალ-ყურს.

დამიანე გაოგნებული იდგა ერთ ხანს. სიგა-რეტის ნამწვი ჯინჭირებში ისროლა და ხეობას გახედა.

— რა მოხდა? — იკითხა ზორაბ ტანის კაცმა.

— გიორგი საოპერაციო მაგიდაზე გარდაცვ-ლილი.

— ვინ გიორგი?

— წუხელ რომ გიამბობდით.

— აუ, რამდენი იწვალეთ, მაინც არაფერი ემველა.

დღეობამ უხმაუროდ ჩაიარა.

ფარსმაში თბილისელი სტუმრები პირიქითის ბილიკით მოდიან და დამიანეს კითხულობენ. ბევრი არც იცნობს დამიანე ცაძიკიძეს, ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მწყემსს, მაგრამ გაუგიათ გულია, ალალი ვაჟაცის კე-თილი მასპინძლობა, იციან მისი დარბაისლუ-რი სიტყვა-პასუხის ამბავი და ამიტომაც მისი სტუმრები არიან. ბევრმა არც ის იცის, რომ დამიანეს წელიწადი და თორმეტი თვე მთა-ბარში ხეტიალი უხდება, ხან აწვიმს და ხან ათოვს, ბევრჯერ სტიქიას ებრძვის, კაცური კა-ცის ფასი იცის და საქმის ღალატს ხომ ვერავინ დასწამებს.

მოდიან, რეეგან თარხან-მოურავის მიერ დახა-ტული სურათის მარცხნივ, შეთეთრებულ კე-დელზე აწერენ თავიანთ გვარებს მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები, ეკონომგები, სტუ-დენტები, ჩვენი თანამემამულენი, რუსები, უკ-რაინელები, უცხოელი სტუმრები. კედელი ადგ-მიანე ცაძიკიძის სტუმართმოყვარეობის ნამდ-ვილი სარკეა და რამდენი ოგონებს ტკბილად ქერაოლვაშინ ახალგაზრდა კაცს. რამდენი ეფი-ცება ამობასა და სიყვარულს.

— ქალაქში რომ ჩამობეალ, შეგვატყობინე და ჩვენ ვიცითო.

დამიანე გაიცინებს და დინჯად უპასუხებს.

— ამაზე მეტი სამსახური არც მინდა და ვერც ვერავინ მიშოვის. თუ სადმე შეეხვედებით, სალამს ნუ დამიკარგავთ, უცნობ კაცად ნუ ჩამ-თელით და მეტი არაფერი მინდაო.

— შენ ჩამოდი და ჩვენ ვიცითო, — დაიკ-ნებენ ზოგჯერ სტუმრები. დამიანე ზმინდა ფი-ლიტად ფაუმნეეს თავს; არავის დაპირებია, უეჭველად ჩამოვალო, ფარსმაში კი ყველა სტუმარს უმასპინძლდება.

როცა მთას თოვლი მოეკიდება და ნისლები ხეეებს მოაშუტებენ, როცა პირიქითის ხეობა დაიცლება, დაცარიელდება და ლუმილი ჩამოწ-ვება, დამიანე ყველაზე ბეგინ სტოვებს სო-ფელს. ჯდება თავის საყვარელ „უდარდელზე", ფარსმის გორიდან ერთხელ კიდევ მოხედავს მიტოვებულ სოფელს და ყოველთვის ჰგონია, რომ თითოეული ქვა-ყორე ემუდარება:

— ბიჭო, შენ მაინც ნუ მიდიხარ, ნუ მიდი-ხარ, დამიანე, შენ მაინც... შენ მაინც ნუ გვტო-ვებ ასე უპატრონოდ. მერე როცა „უდარდელ-სა" ფეხის ხმა ჩაქარდება პირიქითის ხეობაში ფერდობებზე გაწეწილ ბილიკზე, დამიანეს ეჩვენება, რომ დაბრეცილი სახლები და ნაფუ-ძარები მოსდევენ უკან.

პირიქითის ხეობაში შემაზრზენი სიხუმეა, ხანდახან, როცა ნიავი დაუბერავს, ნაფუძარები ხეეების შეხეილ უდგებენ ყურს და თვლემენ...

უკანასკნელი გამოვლის დართლმდე პირი-ქითის ხეობას დამიანე ცაძიკიძე, გული სწყდე-ბა, რომ არავინ აციდეს, რომ არავინ არაფერს აბარებს ბარად.

წინ გრძელი გზა აქვს შირაქანა თუ შირვა-ნის საძოვრებამდე, მთაში კლავე დაბრუნების სურვილს ვერც დამქანცველი გზა ჩაუბრობს, ვერც მგზავრობაში გატეხილი ღამეები. ბევრი მისი თბილისელი მეგობარი კიდევ აპირებს მთა-ში ასვლას. კიდევ გაუწევს მასპინძლობას იმათ დამიანე ცაძიკიძე, ფარსმაც კიდევ გაუძლებს დიდთოვლობას და მეგობრები ისევ შეხვდებიან ერთმანეთს პირიქითის ხეობის დაკლაკნილ ბი-ლიკზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1818—1968

ალექსანდრე ბახტაძე

კარლ მარქსი სტუდენტობის წლებში

კარლ მარქსი იმ დროს დაიბადა, როდესაც ევროპას ნაპოლეონის კარიშხალი ახალი გადატანილი ჰქონდა, ხოლო ბონაპარტე თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებს წმინდა ელენეს კუნძულზე, სატანო ტყვეობაში ასრულებდა.

კარლის მამამ, რაბინების შთამომავალმა ჰენრიხ მარქსმა სინაგოგას ზურგი აქცია, სამაგიეროდ ვოლტერსა და რუსოს დაეწაფა. ებრაელისათვის დამახასიათებელი შეუპოვარი შრომისა და გულმოდგინების შედეგად გზა გაიკაფა განათლებული საზოგადოებისაკენ — ჯერ ადვოკატი გახდა, შემდეგ იუსტიციის მრჩეველი, ბოლოს კი ქალაქ ტრიერის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარე. მაგრამ იუსტიციის მრჩეველს მყუდრო ცხოვრება მალე დაირღვა. პრუსიის მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის მიხედვით საფრანგეთის ყოფილ პროვინციებში მოსახლე ებრაელობას ეკრძალებოდა სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა. ეს კანონი ადვოკატებზედაც გავრცელდა. ჰენრიხ მარქსი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან უნდა მიეტოვებინა იურისტობა, ან ქრისტიანობა მიეღო. იმ დამამიანსათვის, რომელიც ყოველგვარი რელიგიისადმი გულგრილად იყო განწყობილი, საკითხის გადაჭრა უტკივნეულო აღმოჩნდა, ის 1816 წელს ქრისტიანად ინათლება და ამიერიდან გრაშელ მარქსი — ჰენრიხ მარქსი ხდება.

მაშინ, როდესაც ჰენრიხ მარქსმა რწმენის საკითხი უმტკივნეულოდ და რეალისტურად გადაწყვიტა, ბევრმა განათლებულმა ებრაელმა ეს მტკივნეულად განიცადა. როდესაც ედუარდ ჰანსმა, სამართლის პროფესორმა, კარლ მარქსის მომავალმა მასწავლებელმა ბერლინის უნივერსიტეტში ქრისტიანობა მიიღო, დიდმა გერმანელმა პოეტმა ჰაინრიხ ჰაინემ წყველა-კრულვის შემდეგი სიტყვები შეუთავლა: „ჯერ კიდევ გუშინ გმირი იყავი, დღეს კი არამზადა ხარ“. მაგრამ იგივე ჰაინრიხ ჰაინე იძულებული გახდა მალე ასეთივე ხარკი გადაეხადა „ევროპის კულტურაში შესასვლელი ბილეთისათვის“.

მრავალმხრივ განათლებულმა, ფრანგი განმანათლებლების იდეებით გაჟღენთილმა, მაგრამ არარეფორმაციონერმა ჰენრიხ მარქსმა ახალგაზრდა კარლ მარქსის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

კარლ მარქსის დედა ჰენრიეტა, ჰოლანდიელი ებრაელი, რაბინების შთამომავალი, უაღრესად მოსიყვარულე, მზრუნველი, მეოჯახე და შრომისმოყვარე ქალი, მუდამ უკმაყოფილო იყო შვილის საქმიანობით.

1829 წელს კარლი შეპყავთ ტრირის გიმნაზიაში, სადაც მან შვიდი წელი დაჰყო.

კარლ მარქსმა გიმნაზიაში საფუძვლიანი განათლება მიიღო; იგი სწავლობდა ლათინურ, ბერძნულ, ფრანგულ, გერმანულ და ებრაულ ენებს; რომის, საშუალო საუკუნეებისა და ახალ ისტორიას, ფილოსოფიას, მათემატიკასა და ფიზიკას.

გიმნაზიაში სწავლების პერიოდში კარლ მარქსი უახლოვდება მისი მომავალი სიმამრის, ბარონ ლუდვიგ ფონ ვესტფალენის ოჯახს, რომლის ქალიშვილი ჯენი მარქსის უფროს დასთან მეგობრობდა, ხოლო ვაჟიშვილი ედგარი მარქსის თანაკლასელი იყო.

მრავალმხრივ განათლებულმა, ანტიკური

კულტურის დიდმა თაყვანისმცემელმა, ჰომეროსსა და შექსპირზე შეყვარებულმა, ლათინური, ძველი ბერძნული, ფრანგული, ინგლისური და ესპანური ენების მცოდნე ლუდვიგ ვესტფალენმა ჯაბუკ მარქსზე დიდი გავლენა მოახდინა. მანვე გაუღვიძა ინტერესი მარქსს სენ-სიმონის პიროვნებისა და მოძღვრებისადმი.

თავისი უდიდესი პატივისცემა ლუდვიგ ვესტფალენისადმი შემდგომში მარქსმა იმით გამოხატა, რომ სწორედ მას უძღვნა თავისი საოჯახო ტრირო დისერტაცია.

მალე გაირბინა გიმნაზიისტობის წლებმა და 1835 წლის აგვისტოში კარლ მარქსი ბონის გამოცდებს სიმწიფის ატესტატზე. ამ დროისათვის ის უკვე თავისუფლად კითხულობდა და თარგმნიდა ლათინურიდან ციცერონის, ტაციტუსი და ჰორაციუსის ნაწარმოებებს, ხოლო ბერძნულიდან პლატონს, თუკიდიდეს, ჰომეროსსა და სოფოკლეს. გამოსაშვებ კლასში მარქსმა სამი წერითი გამოცდა ჩაბარა: ლათინური, რელიგიასა და მშობლიურ ენაში.

მარქსის გიმნაზიტერ თხზულებათა შორის ყველაზე საინტერესოა „ყმაწვილის ფიქრები პროფესიის შერჩევისას“, რომელიც მან შეასრულა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. თემა საინტერესოა იმითაც, რომ იგი უშუალოდ მარქსსაც ეხება, რომელიც ამთავრებს გიმნაზიას და მომავალი პროფესიის არჩევნის წინაშე დგას.

მარქსი აღნიშნავს, რომ ცხოველს თვით ბუნებაშ განუსაზღვრა მოქმედების წრე, მან უნდა იმოძრაოს, ასევე ადამიანს ღმერთმა უჩვენა საერთო მიზანი — გააკეთილშობილოს კაცობრიობა და საკუთარი თავი; მან მიანიჭა შესაძლებლობა ადამიანს, დაიკავოს საზოგადოებაში ისეთი მდგომარეობა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება და აძლევს მას საუკეთესო შესაძლებლობას ამაღლოს თვითონ და ამაღლოს საზოგადოება.

მარქსი მიუთითებს, რომ თუ ადამიანი შრომობს მხოლოდ საკუთარი თავისათვის, ხელმძღვანელობს რა თავისი ეგოისტური ინტერესებით, ის შეიძლება გახდეს გამოჩენილი მეცნიერი, პრქვნი, ჩინებული პოეტი, მაგრამ ვერასოდეს ვერ გახდება ჭეშმარიტად სრულყოფილი და დიდი ადამიანი. ისტორია დიდ ადამიანებად სცნობს მხოლოდ მათ, რომლებიც იღწვოდნენ საერთო მიზნებისათვის, რომელთაც ბედნიერება მოუტანეს ადამიანებს. ჭეშმარიტი დიდება განეყოფილია სათნოებისა და კაცთმოყვარეობისაგან. თავის თხზულებას მარქსი ამთავრებს ამაღლებული და კეთილშობილური სიტყვებით: „თუ ჩვენ ავირჩიეთ პროფესია, რომლის ჩარჩოებშიც ყველაზე მეტად შეგვიძლია ვემსახუროთ კაცობრიობას, მაშინ ჩვენ არ მოვიხრებთ მისი სიმძიმის ქვეშ, ვინაიდან ეს არის მსხვერპლი ყველასათვის; მაშინ ჩვენ შევიგრძნობთ არა უსუსურ, შეზღუდულ, ეგოისტურ სიხარულს, არამედ ჩვენი ბედნიერება იქნება მილიონთა კუთვნილება; მაშინ ჩვენი საქმეები იცოცხლებენ მშვიდი, მაგრამ მარად მოქმედი ცხოვრებით და ჩვენს საფლავებს დაეცემა ცხარე ცრემლები მადლიერი ადამიანებისა“.[1]

1835 წელს მარქსი ამთავრებს ტრირის გიმნაზიას და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეისწავლოს იურისპრუდენცია.

1835 წლის ოქტომბერში მარქსი სტოვებს მშობლიურ ტრირს და ბონს მიემგზავრება. ბონი რეინის ოლქის კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ბონის უნივერსიტეტი, რომელიც იმ დროისათვის ერთ-ერთი უდიდესი იყო. ამ უნივერსიტეტში 700-ზე მეტი სტუდენტი ირიცხებოდა. მარქსი ჩაირიცხა ბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, პარალელურად იგი ისმენდა ლექციებს ლიტერატურისა და ესთეტიკაში.

სტუდენტობის პირველსავე დღეებში მარქსი ხდება ტრირელ სტუდენტთა სათვისტომოს წევრი. მას მალე ირჩევენ სათვისტომოს გამგეობის წევრად, ხოლო მეორე სემესტრში თავმჯდომარედ. სათვისტომოს მთავარი საქმიანობა დუელითა და ღრეობით განისაზღვრებოდა. მარქსი, როგორც თავმჯდომარე, სათვისტომოს მოღვაწეობის ყოველი წამოწყების მოთავეთაგანი იყო. ღვინის სმასა და დროს ტარებას ფული სჭირდებოდა, ამიტომ მარქსი მამისადმი გაგზავნილ ყოველ წერილში ფულს მოითხოვდა. მამამისი, მართალია, არც თუ დიდი ენთუზიაზმით, მაგრამ შვილის თხოვნას მაინც აკმაყოფილებდა, ვინაიდან ფიქრობდა, რომ მის შვილსაც ახალგაზრდობისა და დარდმანდობისთვის აუცილებელი ხარკი უნდა გადაეხადა და რაც უფრო აღრე დამთავრებიმდა ეს, მით უკეთესი იქნებოდა. ღვინის სმისა და ღამის სიმშვიდის დარღვევისთვის სტუდენტი მარქსი დასჯეს — იგი კარცერში ჩასვეს ერთი დღე-ღამით. პირველი კურსის მეორე სემესტრი დასასრულს კი, 1836 წლის აგვისტოში, დუელიანები მარქსი მარჯვენა თვალში იქნა დაჭრილი.

ერთი სიტყვით, ბონში გატარებული სტუდენტური წელიწადი იურიდიული მეცნიერების შესწავლის თვალსაზრისით წყალში ჩაყრილი აღმოჩნდა. იმედგაცრუებულმა ბერრიხ მარქსმა ხელი ჩაიქნია და გადაწყვიტა, შვი-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, гз. 5.

ალექსანდრე ბაბალაძე
კარლ მარქსი სტუდენტობის წლებში

ლი სწავლის გასაგრძელებლად ბერლინის უნივერსიტეტში გაეგზავნა.

ბონში ფუქსვატტერად გატარებული ცხოვრების მიზეზი, გარდა ახალგაზრდობისა, უთუოდ ისიც იყო, რომ მარქსი უიმედოდ იყო შეყვარებული თავისი ბავშვობის მეგობარ ჯენი ფონ ვესტფალენზე. განსაკუთრებული სილამაზის, აზრითვე მისი გალენინანი ოჯახის გამო ჯენის უამრავი მთხოვნელი ჰყავდა. ეს კი მარქსს აფიქრებინებდა ჯენის სიყვარულის უიმედობასა და მიუწდომელობაზე. მაგრამ ამჯერად ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც კარგ ზღაპარში. 1836 წელს სტუდენტური არდადეგების დრის, რომელსაც მარქსი ტრირში ატარებდა, მოხდა ფარული ნიშნობა ჯენი ფონ ვესტფალენსა და კარლ მარქსს შორის. ჯენი 22 წლისა იყო, ხოლო მარქსი 18-ისა. ჯენის მხრივ ეს უდავოდ დიდი გმირობა იყო, რადგანაც მან ამით უარი განაცხადა შეძლებული და უზრუნველი ცხოვრების პერსპექტივაზე, უკეთგდო ოჯახის ყოველგვარი ტრადიცია და ადათი და თავისი ცხოვრება მარქსს დაუკავშირა. მაგრამ ახალგაზრდებს ნიშნობადან შეუღლებამდე რამდენიმე წლის ლოდინი დასჭირდათ. ისინი მხოლოდ 1843 წლის 19 ივნისს შეუღლდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი ერთობლივი ცხოვრება მოკუმული არ იყო ტანჯვისა და გაჭირვებას, ისინი სიცოცხლის ბოლომდე ერთმანეთზე ბავშვურად შეყვარებულები დარჩნენ. მარქსი ყოველთვის აღტაცებული იყო და ამაყობდა ცოლის სილამაზით. მარქსის ქალიშვილი ელეონორა მარქსი-ეველინგი აღნიშნავდა, რომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მარქსს არა მარტო უყვარდა თავისი ცოლი, არამედ შეყვარებულიც იყო მასზე. ჩემს წინაშეა სატრფიალო წერილი, იგი გაჟღენთილია ისეთი მხურვალე გრძნობით, თითქოს თერმეტი წლის ჯაბუკის მიერ იყოს დაწერილი. მარქსი კი ამ ბარათს წერდა 1856 წელს, მაშინ, როდესაც ჯენი უკვე ექვსი შვილის მშობელი იყო.[1] 1863 წელს დედის დასაფლავებაზე ტრირს ჩასული მარქსი ცოლს სწერდა: „ყოველდღე დავდივარ წმინდა ადგილების მოსანახულებლად — ვესტფალენების ძველ სახლთან. ეს სახლი გაცილებით მეტად მიზიდავს, ვიდრე რომის ყველა სიძველენი. მე ის მაგონებს ჩემი სიჭაბუკის ბედნიერ ქამს, ოდესღაც ხომ ის იყო ჩემი უძვირფასესი განძეულის ადგილსაყოფელი. ამას გარდა, ყოველი მხრიდან, ყოველ დღე მეკითხებიან: სად არისო ტრირის ულამაზესი გოგონა და წვეულებათა უცვლელი დედოფალი. დალხტროს ეშმაკმა და ძალიან სასიამოვნოა ქრრისათვის იმის შეგრძნება, რომ მისი ცოლი მთელი ქალაქი წარმოადგენს. დღეკაც ცოცხლობს როგორც პრინცესა“2.

ჯენი ვესტფალენზე უნდა იყოს მინიშნებული მარქსის მთავარი რედაქტორობით გამოქვეყნებული „ახალი რაინის გაზეთში“ გამოქვეყნებული იუმორისტული ლექსი „დღეს მე მიგდიოდი დიუსელდორფში“, რომლის ავტორია მარქსისა და ენგელსის ახლო მეგობარი, ცნობილი პოეტი და რევოლუციონერი გეორგ ჰეერტი.

ლექსის ავტორი დასცინის რაინელ ფილისტერს, რომლის აზრით, „ახალი რაინის გაზეთის“ რედაქტორები ვითომდა ქალდებდნენ ცოლების ერთობას, მაშინ როდესაც თავიანთვის საუკეთესოებს ირჩევდნენ. აი ეს ლექსი:

Возьмутся они и за женский вопрос,
Тотчас отменив все браки:
В союз свободный — «ad libitum»
Отныне вступает всякий!

С китайскою девой — германец блондин,
Татарин—с юной гречанкой,
С малиновкой шведкой—полярный медведь,
Дикарь ирокез — с турчанкой.

Британцам и римлянам с этой поры
Достанутся самоедки,
А кафр плосконосый взаимность найдет
У мраморно-белой гризетки.

Да, эти реформы новейшие вмиг
Все в мире снимут запреты,—
Красивейших женщин, конечно, возмут
Редакторы «рейнской газеты»3...

სილამაზესთან ერთად ჯენი ვესტფალენი გამოირჩეოდა განათლებით, მახვილგონიერებითა და გამჭრიახობით. მისი ქალიშვილის — ელეონორას გადმოცემით ჯენი ფონ ვესტფალენი ათასებიანად გამოირჩეოდა სილამაზითა და ბრწყინვალე გონიერებით, რომლითაც აღფრთოვანებული იყვნენ ჰაინე, გერვეგი, ლასალი და მრავალი სხვა4.

1836 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში მარქსი სტოვებს ტრირს და ბერლინს მიემგზავრება. 22 ოქტომბერს იგი შეტანილ იქნა ბერლინის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა სიაში. ბონში გატარებული უდარდელი ცხოვრება დავიწყებას მიცა, მარქსი ბერლინში ჩაუყდა მეცნიერებასა და ხელოვნებას.

მარქსი დიდი გატაცებით წერს ლექსებს და გარკვეულ ლიტერატურულ გემოვნებაც ისახავს. ერთი წლის მანძილზე მან მრავალი ლექსი დაწერა. ისინი თავმოყრილია სამ სქელტანიან

---

[1] იხ. Воспоминания о Марксе и Энгельсе, М., 1956, გვ. 264.

[2] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, соч., ტ. 30, გვ. 513.

[3] Веерт, Избранные сочинения, М., 1957, გვ. 97—98.

[4] იხ. Воспоминания о Марксе и Энгельсе, გვ. 260.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკულნი და ყველი მთელნი ეძღვნება „ჩემს ძვირფას, მარად საყვარულ ენნი ფონ ვესტფალენს". მარქსის დის, სოფიოს გადმოცემით, ამ ლექსების კითხვისას მარქსის საკოლე ენენი ზედ ფრქვევდა „ნეტარებისა და მწუხარების ცრემლებს". ვერ ვიტყვით, რომ მარქსის პოეტური ნაწერები რაიმე ლიტერატურული ღირებულებისა იყოს; უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ეს ლექსები, სიმღერები თუ ეპიგრამები მოკლებული გარკვეულ ფორმას და ზუნდოვანი რომანტიზმით ხასიათდება. ამ ლექსების ყოველ გახსენებაზე ჩემი მშობლები გულიანად იცინოდნენ, როგორც ბავშვურ სისულელეზე. ამ ლექსების დაწერიდან ერთი წლის შემდეგ თვითონ კარლ მარქსი დაუნდობლად აკრიტიკებდა თავის პოეტურ შემოქმედებას[1].

უნივერსიტეტის ლექციებით მარქსი ნაკლებად იყო დინტერესებული. მთელი სტუდენტობის პერიოდში იგი თორმეტ საგანში იყო ჩაწერილი და ისიც უმთავრესად სავალდებულო იურიდიულ დისციპლინებში. პირველ სემესტრში მან სამი სალექციო კურსი მოისმინა: პანდექტები, სისხლის სამართალი და ანთროპოლოგია. ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორთაგან, რომელთაც გარკვეული გავლენა მოახდინეს ახალგაზრდა კარლ მარქსის სულიერ განვითარებაზე, მხოლოდ ორზე შეიძლება მივთითოთ. ესენი იყვნენ პროფესორი ფრედრიხ კარლ ფონ საენი, რომელიც მას ლექციებს უკითხავდა პანდექტების შესახებ და ედუარდ ჰანსი — სისხლის სამართლის პროფესორი. უკანასკნელმა გარკვეული როლი ითამაშა მარქსის ჰეგელიანელად მონათვლაში.

თუ მარქსი ლექციებს ნაკლებად ესწრებოდა, სამაგიროდ უდიდესი შეუპოვრობითა და მონდომებით მუშაობდა დამოუკიდებლად. ერთი წლის განმალზე მან იმდენი ცოდნა შეიძინა, რომლისთვისაც სხვას ათიოდე წელი მაინც დასჭირდებოდა.

ბერლინში გატარებული პირველი წლის შედეგები შეჯამებულია მარქსის წერილში მამისადმი, რომელიც დათარიღებულია 1837 წლის 10 ნოემბრით. მარქსმა წაიკითხა და დაიკონსპექტა ზოლგერის „ერვინი", ვინკელმანის „ხელოვნების ისტორია", ლიუდენის „გერმანელი ხალხის ისტორიის" თორმეტტომეული, საენის თხზულებანი, ა. ფოიერბახისა და გროლმანის „სისხლის სამართალი" და მრავალი სხვა. ამასთანავე მარქსმა თარგმნა ტაციტის „გერმანია", ოვიდიუსის „ელეგიები", არისტოტელეს „რიტორიკის" დიდი ნაწილი და გულმოდგინედ ჩაუჯდა იტალიური და ინგლისური ენების შესწავლას.

კითხვასა და თარგმნასთან ერთად კარლ მარქსი შეეცადა „ფილოსოფიური სამართლის ერთგვარი სისტემა გაეტარებინა მთელი სამართლის სფეროში"[2]. ასეთი სისტემის შესაქმნელად მან შესაფერი სახით სამსგვერდიანი შრომა დაწერა, მაგრამ იგი მალე დარწმუნდა თავისი კონცეფციის უვარგისობაში, რომელიც, მისივე აღიარებით, კანტისა და ფიხტეს მანერით იყო აგებული. მარქსის შენიშვნით, მისი შრომის ძირითადი ნაკლი გამოიხატებოდა წინააღმდეგობაში არსებულსა და იდეას შორის, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია იდეალიზმისათვის[3].

მართალია, მარქსი იურიდიულ ფაკულტეტზე ირიცხებოდა, მაგრამ იგი იურისპრუდენციაზე უფრო ფილოსოფიითა და ისტორიით იყო გატაცებული. მარქსმა შეისწავლა ანტიკური და კლასიკური გერმანული ფილოსოფია, მაგრამ ჰაბუკობიდანვე მაძიებელი გონების პატრონი მხოლოდ შესწავლით არ კმაყოფილდებოდა. კანტისა და ფიხტეს გაცნობამ მარქსი დაარწმუნა, რომ მათი ფილოსოფია მისთვის მიუღებელი იყო. ერთ-ერთ ეპიგრამაში მარქსი აღნიშნავს; „კანტი და ფიხტე ეთერში სიამოვნებით დიხეტტბიან, გულმოდგინედ ეძებენ იქ ზორეულ ქვეყნებს, მე კი მსურს შევიცნო მხოლოდ რეალური, ის, რასაც მე ვხედავ".

არც ჰეგელის ფილოსოფიის თავდაპირველმა გაცნობამ დასტოცა მარქსზე სასიამოვნო შთაბეჭდილება. ამის შესახებ მარქსი მამას აცნობებდა: „მე ადრეე ვკითხულობდი ნაწყვეტებს ჰეგელის ფილოსოფიიდან და მე არ მომწონდა მისი ახირებული, უცნაური ენოური მეოდია"[4].

1837 წელს მარქსი წერს კიდევ ერთ შრომას „კლეანტი, ანუ ამოსავალი პუნქტი და ფილოსოფიის აუცილებელი განვითარების შესახებ". მისივე გადმოცემით, ამ შრომაში განსაზღვრული ზომით იყო შერწყმული ხელოვნება და მეცნიერება. მარქსი მამას ატყობინებდა, „ამ შრომის უკანასკნელი თეზისი ჰეგელის სისტემის დასაწყისი აღმოჩნდა და ჩემმა საყვარელმა კმნილებამ, რომელიც მთვარის ციალში შეიქმნა, ვერაგ სარინონზიეთი შემოყოლია და მტრის ალეარსში მომაკცაიო[5].

როდესაც მარქსი ამ სიტყვებს წერდა, იგი ჰეგელს მოლიანად არ იცნობდა. ჰეგელს თავიდან ბოლომდე მარქსი ეცნობა ავადმყოფობის პერიოდში, როდესაც იგი ბერლინის გარეუბან

---

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, из ранних произведений, გვ. 7.
[2] იქვე, გვ. 8.
[3] იქვე,
[4] К. Маркс и Ф. Энгель, Из ранних произведений, გვ. 12.
[5] К. Маркс и Ф. Энгельс, из ранних произведений, გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტარლაუში იმყოფებოდა. ჰეგელთან ერთად აქ იგი გიცნო უკანასკნელის მოწაფეთა უმთავრეს შრომებს. აქ იგი პირადად უახლოვდება ჰეგელიანელთა წრის, ეგრეთწოდებულ „დოქტორთა კლუბის“ წევრებს. ამ კლუბების წევრებს შორის გამართული კამათის შესახებ მარქსი აღნიშნავდა: „აქ, კამათში თავს იჩენდნენ სხვადასხვა, ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულებები, სულ უფრო მტკიცდებოდა ჩემი კავშირი თანამედროვე მსოფლიო ფილოსოფიასთან, რომლის გაკეთნას მე გავურბოდი“[1].

მოხდა ის, რასაც მარქსი შეგნებულად გაურბოდა: ჰეგელის საფუძვლიანმა გაცნობამ მისი ჰეგელიანობა გამოიწვია.

თუ იმდროინდელი გერმანიის კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებას გავითვალისწინებთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ თეორიულად და პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანი აღნიშნულ ეპოქაში ჰეგელს ვერ აუვლიდა გვერდს. ყოველივე პროგრესული ეი რევოლუციური ჰეგელზე გავლით უნდა წარმართულიყო. ვინაიდან „ჰეგელის მოძღვრება, მთლიანად აღებული... ბევრ თავისუფალ ადგილს სტოვებს სხვადასხვა პრაქტიკული პარტიული შეხედულებისათვის. ხოლო თეორიით დაინტერესებულ იმდროინდელ გერმანიაში, უწინარეს ყოვლისა, ორ საგანს ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა: რელიგიისა და პოლიტიკას. იმას, ვინც უმთავრესად ჰეგელის სისტემას ფლობდა, შეეძლო საკმაოდ კონსერვატორი ყოფილიყო ორივე დარგში; ხოლო იმას, ვინც მთავარ მნიშვნელობას დიალექტიკურ მეთოდს აძლევდა, შეეძლო რელიგიაშიც და პოლიტიკაშიც უკადურეს ოპოზიციას მიმხრობოდა“[2].

30-იანი წლების მიწურულს ჰეგელის სკოლის გათიშვა მკვეთრად გამოაშკარავდა. ფეოდალურ რეაქციასთან ბრძოლაში მემარცხენე ფრთა, ეგრეთწოდებული ახალგაზრდა ჰეგელიანელები, თანდათან უარს ამბობდნენ ყოველდღიური მწვავე საკითხების მიმართ ფილოსოფიურ-გულგრილ მოპყრობაზე, რისთვისაც მთავრობა მათ მოძღვრებას არა მარტო ითმენდა, არამედ მფარველობდა კიდეეც. მაგრამ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1840 წელს, როდესაც მართმორწმუნე ფარისეველობისა და ფეოდალურ-თვითმპყრობელური რეაქციის სახით სამეფო ტახტი დაიკავა ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხემ, ამჯერად აშკარა პარტიული პოზიციის გამომქღაველმა აუცილებელი გახდა და ახალგაზრდა ჰეგელიანელობა, როგორც მიმდინარეობა, აშკარად გამოვიდა როგორც ადამიანი რადიკალური ბურჟუაზიის ფილოსოფია.

ვინაიდან პოლიტიკა საშიში სარბიელი იყო ამიტომ ახალგაზრდა ჰეგელიანელებმა ბრძოლა უმთავრესად სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართეს. თუმცა იმდროინდელ გერმანიაში, როგორც ამის შესახებ ფ. ენგელსი მიუთითებს, რელიგიური ბრძოლა, არაპირდაპირ, პოლიტიკური ბრძოლასაც წარმოადგენდა. ამ ბრძოლის დავით შტრაუსმა მისცა დასაბამი, როდესაც 1835 წელს გამოსცა „იესოს ცხოვრება“, რომელშიც გადმოცემულია სახარების მითების წარმოშობის თეორია. შტრაუსის წინააღმდეგ ბრუნო ბაუერი გამოვიდა, რომელიც ამტკიცებდა, სახარების მთელი რიგი მოთხრობები თვით მათი ავტორებისაგან არის შექმნილი. „შტრაუსისა და ბაუერის კამათი მიმდინარეობდა ფილოსოფიური ბრძოლის სახით „თვითცნობიერებასა და „სუბსტანციას“ შორის; საკითხი, თუ როგორ წარმოიშვნენ სახარების სასწაულებრივი ივგები, აღმოცენდნენ ისინი ქრისტიანული თემის წიაღში არაცნობილ-ტრადიციული მითოლოგიური შემოქმედების წყალობით, თუ ეს ივგები თვით მახარობლებმა მოიგონეს, შემდეგნაირად გაფაფრთოდდა. რა არის მთავარი მოქმედი ძალა მსოფლიო ისტორიაში — „სუბსტანცია“ თუ „თვითცნობიერება“[3].

ასეთი მდგომარეობა იყო, როდესაც მარქსი ებმება ახალგაზრდა ჰეგელიანელთა მოძძობაში და ეწამეკან მდგომარეობას იკავებს დოქტორთა კლუბის მოღვაწეთა შორის. დოქტორების კლუბში მარქსმა სამი წელი დაჰყო და მის წევრთა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დიამსახურა თავისი განათლებით, გამჭრიახობითა და კაცთმოყვარეობით. დოქტორების კლუბის წევრებთან ურთიერთობის შესახებ მარქსი თავის შთამეშვილებებს მამას უზიარებდა 1837 წლის 10 ნოემბრის წერილში. ჰენრიხ მარქსი ხედავდა შვილის წარმატებებს, მაგრამ მაინც იმედგაცრუებული იყო, ვინაიდან კარლის წარმატებანი ადეოკატურ ასპარეზს არ შეეხებოდა. ამ მხრივ ჰენრიხ მარქსს შემდგომში კიდევ მეტად დასწუდებოდა ფული... მაგრამ 1838 წლის 10 მაისს, 56 წლის ასაკში ის გარდაიცვალა.

მამის დაკარგვა მძიმედ განიცადა მარქსმა. მოსაყვარული მამასთან ერთად მან დაკარგა ადამიანი, რომლისთვისაც მას შეეძო ფულახდილად გაეზიარებინა თავისი სულიერი ინტერესები. თავისუფლად მოაზროვნე მამის გარდაცვალების შემდეგ მარქსის დედა მოეკვა რელიგიურად განწყობილი ნათესავების გავლენის ქვეშ, რასაც შედეგად მოჰყვა დედა-შვილს შორის არასასურველი ურთიერთობა.

დოქტორების კლუბში გავრთიანებული იყვ-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. из ранних произведений, გვ. 14.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, გვ. 440.

[3] კარლ მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, გვ. 441.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ რამდენიმე პრივატ-დოცენტი, გიმნაზიის მასწავლებლები და ლიტერატორები. მარქსს ყველაზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ადოლფ რუტენბერგთან, კადეტთა სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელთან. რუტენბერგი დიდი განსწავლულობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მახვილი გონებისა და ბასრი კალმის პატრონი იყო. ლაიფციგისა და ჰამბურგის გაზეთებში გამოქვეყნებული მისი წერილები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. დოქტორების კლუბის აქტიური წევრი იყო კარლ ფრიდრიხ კეპენი, რომელიც შემდგომში ცნობილი ისტორიკოსი გახდა. კლუბის ფაქტიური მეთაური იყო ბრუნო ბაუერი, რომელიც 1834 წლიდან ლექციებს კითხულობდა ბერლინის უნივერსიტეტში.

კლუბის წევრთაგან ყველაზე ახალგაზრდა მარქსი დანარჩენებზე ათი წლით უმცროსი იყო. მიეხედავად ამისა, იგი სულ მალე გახდა კლუბის ცენტრალური ფიგურა, რომლის ცოდნისა და ენერგიისას აღფრთოვანებაში მოჰყავდა მისი მეგობრები. 1840 წელს კეპენის მიერ გამოცემული წიგნის „ფრიდრიხ დიდი და მისი მოწინააღმდეგეები“ სატიტულო გვერდზე დაბეჭდილი იყო: „ჩემს მეგობარ კარლ ჰენრიხ მარქსს“. იგივე კეპენი 1841 წლის 3 ივნისს მარქსს ატყობინებდა: მას შემდეგ, რაც შენ ბონს გიმგზავრე, მე კვლავ საკუთარი, ასე ვთქვათ, ჩემ მიერ მოფიქრებული ბზარები გამიჩნდა, მაშინ როდესაც ყველა წინანდელი შენგან მოდიოდაო. კეპენი წერილს შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „როგორც ხედავ, შენ ბზრის საწყობი ხარ, სამუშაო სახელი ან, ბერლინურად რომ ვთქვათ, ხარის თავი იდეებისა“.

ნიჭიერი ჟურნალისტი მიზეს ჰესი 1841 წლის 2 სექტემბერს მარქსის შესახებ მწერალ ბერტოლდ აუერბახს აცნობებდა: „შენ შეგიპყრობს სურვილი გაიცნო უდიდესი, ჭეშმარიტი ერთადერთი თანამედროვე ფილოსოფოსი, რომელიც უახლოეს მომავალში... მიიპყრობს მთელი გერმანიის ყურადღებას. მე მუდამ ვოცნებობდი ფილოსოფიის მასწავლებლად ასეთი კაცი მყოლოდა. დ-რი მარქსი, ასე ეწოდება ჩემს კერას, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა კაცია (დიდი-დიდი 24 წლისა); ის მიაყენებს საბოლოო დარტყმას ფუა სოკუენების რელიგიასა და პოლტიკას. ღრმა ფილოსოფიური სერიოზულობა მას შერწყმული აქვს ეშმაკთ გონებამახვილობასთან. წარმოიდგინე ერთ პიროვნებაში შეერთებული ტასო, ლოტტერი, ბოლბახი, ლესინგი, ჰაინე და ჰეგელი — მე გლაპარაკობ ორგანულ შეერთებაზე, და არა მექანიკურად შერეულებზე, — და შენს წინ იქნება დ-რი მარქსი“.

ახალგაზრდა ჰეგელიანელი იუნგი შემდეგნაირად ახასიათებდა მარქსს: „თუმცა ის თავზეხელ-ღებელი რევოლუციონერია, მაგრამ ერთი ერთი გამოჩენილი გონებაა, რომელიც კ[illegible] შემხვედრია“.

დაახლოებით ასეთივე შთაბეჭდილება დაჩტოვა მარქსმა ანენკოვზე. ეი მისი სიტყვებიც: „თვით მარქსი წარმოადგენდა ტიპს ადამიანისას, რომელიც შექმნილი იყო ენერგიიდან, ნებისყოფიდან და შეურყეველი რწმენისაგან — ტიპს, უაღრესად შესანიშნავს გარეგნობითაც. ხშირი შავი თმის ქუდით თავზე, ბალნანი ხელებით, ირიბად შეკრული პალტოთი, მას მაინც ჰქონდა შესახედაობა ადამიანისა, რომელსაც აქვს უფლება და ძალა პატივისცემის მოთხოვნისა, როგორიც არ უნდა წარმომდგარიყო ის თქვენს წინაშე და რაც არ უნდა გაეკეთებინა. ყველა მისი მოძრაობა იყო მოუქნელი, მაგრამ თამამი და თვითდაჯერებული, მისი ყესტები თუმცა ეწინააღმდეგებოდა ადამიანთა ურთიერთობებში მიღებულ წესებს, მაგრამ იყო ამაყი და როგორღაც აგდებული, ხოლო მკვეთრი ხმა, რომელიც ლითონივით ქღერდა, განსაკეთდებულად უზდებოდა რადიკალურ განაჩენებს პიროვნებათა და საგანთა მიმართ, რომელთაც წარმოთქვამდა“...[1]

მარქსს ყველაზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა დოქტორების კლუბის თავკაცთან ბრუნო ბაუერთან, რომელიც განსაკუთრებული პატივისცემითა და პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ჭეგელის ერთ-ერთი გამოჩენილი მოწაფე. როგორც ყველა, ბაუერიც აღტაცებული იყო ახალგაზრდა მარქსით, რომელიც მასზე ცხრა წლით უმცროსი იყო. ბაუერისათვის მარქსი აღიარებულ ავტორიტეტს წარმოადგენდა, რომლის ყოველ აზრსა და შენიშვნას დიდი ყურადღებით ეკიდებოდა. თავის მხრივ ბაუერი დიდ გულისხმიერებასა და ზრუნვას იჩენდა ახალგაზრდა მეგობრისადმი. როდესაც 1839 წელს ბრუნო ბაუერი ბერლინის უნივერსიტეტიდან ბონის უნივერსიტეტში გადავიდა, რათა იქ პროფესორობა მიეღო, მარქსს ატყობინებდა, რომ მისთვის უნივერსიტეტში მასწავლებლის ადგილს მოახერხებდა, ოღონდაც მას დაეჩქარებინა „ეშმნიშვნელო გამოცდის“ ჩაბარება ანუ დოქტორი გამხდარიყო, რომლისთვისაც, მისი აზრით, საჭირო იყო მხოლოდ არისტოტელეს, სპინოზასა და ლაბნიცის წაკითხვა. ბაუერს გადაწყვეტილი ჰქონდა მარქსთან ერთად დაეწყო რადიკალური ჟურნალის გამოცემა[2].

1839 წელს მარქსი იწყებს მუშაობას ანტი-

[1] Воспоминания о Марксе и Энгельсе, გვ. 280.

[2] იხ. Ф. Меринг, К. Маркс, История его жизни, М., 1957, გვ. 56.

ალექსანდრე ბახტაძე

კურ ფილოსოფიაში. თავდაპირველად მას განზრახული ჰქონდა დაეწერა შრომა ეპიკურეს, სტოიციზმისა და სკეპტიციზმის შესახებ. შემდგომში მან გადაწყვიტა შემოფარგლულიყო საკითხთა გარკვეული წრით, რომელთაც შედგენეს მისი სადოქტორო დისერტაცია „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“.

მართალია, ამ პერიოდში მარქსი ჯერ კიდევ ჰეგელიანელი-იდეალისტია, მაგრამ იგი ჰეგელის ბრძად მიმდეკარი არასოდეს არ ყოფილა. მარქსის მიერ გაკეთებული დასკვნები, რომლებიც მოცემულია სადოქტორო დისერტაციაში, ეფრავითარ შემთხვევაში ვერ ურიგდებიან ჰეგელის შეხედულებებს დემოკრიტეს და ეპიკურეს შესახებ და მისი მსგავსი აზრი არ გაოფთქვამს არც ერთ ახალგაზრდა ჰეგელიანელს, რომელნიც დემოკრიტეს და ეპიკურესთან გარკვეულ იდეურ ნათესაობას პოულობდნენ.

უპატივცემულობას იჩენდა რა ანტიკური სამყაროს ორი დიდი მატერიალისტის, დემოკრიტესა და ეპიკურეს მიმართ, ჰეგელი ამასთანავე საკმაოდ ამაბინჯებდა მათ აზრებს. ვ. ი. ლენინი ვერ მალავდა თავის აღშფოთებას ჰეგელის მიმართ, რომელიც საკმაოდ უდიერად ეპყრობოდა დემოკრიტესა და ეპიკურეს. ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რეკულებში“ აღნიშნავს, რომ „დემოკრიტეს ჰეგელი განიხილავს უკვე სავსებით დედნისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადოქტორო დისერტაციის სახელწოდებაც კი მიგვანიშნებს, რომ მარქსის შრომის ძირითადი ამოცანა დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის განსხვავების დადგენა უნდა ყოფილიყო. მარქსამდე ეს საკითხი არავის დაუყენებია და ეს იმიტომ, რომ ყველა, ვინც კი დემოკრიტესა და ეპიკურეს ურთიერთობას ეხებოდნენ, გამოდიოდნენ პლეტარქეს, ციცერონისა და სხვათა შეხედულებათაგან და დასკვნებშიაც სოლიდარულნი იყვნენ: მათ შორის ტოლობის ნიშანს სვამდნენ და განიხილავდნენ ეპიკურეს ნატურფილოსოფიას, როგორც დემოკრიტეს ნატურფილოსოფიის გამეორებას.

დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის განსხვავებას მარქსი შემდეგნაირად აყალიბებს: **„ეპიკურესთან ატომისტიკა** განზორციელებული და დასრულებული, მიყვანილია უკანასკნელ დასკვნებამდე ყველა თავისი წინააღმდეგობებით, როგორც თვითცნობიერების სუბუნებისმტყველი მეცნიერება, ეს უკანასკნელი კი ანსტრაქტული ერთეულობის ფორმით თავისთვის არის ანსოლუტური პრინციპი, რომელიც წარმოადგენს ატომისტიკის გაუქმებას და საყოველთაოსადმი შეგნებულ დაპირისპირებას. დემოკრატესათვის, პირიქით, ატომი არის მხოლოდ ზოგადი ობიექტური გამოხატულება ბუნების ემპირიული კვლევისა საერთოდ. ამიტომ ატომი მისთვის რჩება წმინდა და ანსტრაქტულ კატეგორიად, ჰიპოთეზად, რომელიც წარმოადგენს ცდის შედეგს, და არა მისი ენერგიულობის პრინციპს, და ამიტომ ეს ჰიპოთეზა რჩება არარეალიზებული, ზუსტად ისევე, როგორც ბუნების რეალური კვლევის შემდგომი განვითარება არ განისაზღვრება ამით"[1].

მარქსი სადოქტორო დისერტაციაზე ორ წელზე მეტ ხანს მუშაობდა (1839 წლის დასაწყისიდან 1841 წლის მარტამდე) და ალბათ კიდევ გააგრძელებდა მუშაობას, რომ ბრუნო ბაუერს არ ეკიდინებინა. ამასთანავე დედის ყოველი წერილი სავსე იყო საყვედურებით მარქსისადმი, რომელიც ოჯახს მოწყვეტილი იყო და უმიზნოდ ფლანგავდა ფულებს, ნაცვლად იმისა, რომ მამის მსგავსად ადვოკატი გამხდარიყო და ამით პატივსაცემი და შემძლებელი ცხოვრება შეექმნა. დედა იმეჭვებოდა, რომ მას მატერიალურ დახმარებას შეუწყვეტდა. ამას თან ისიც დაერთო, რომ დაიძახა ურთიერთობა მარქსის დედასა და საცოლეს შორის. ხოლო ენნი მდომარეობას ისიც ართულებდა, რომ ვესტფალენების ოჯახის წევრები უმამაყოფილონი იყვნენ მარქსზე ჯვარისწერით.

ყოველივე ეს მარქსს უბიძგებდა მატერიალური დამოუკიდებლობისაკენ, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა ცოლად შეერთო ენნი და ამით უკანასკნელი ეხსნა დამაბული ოჯახური ურთიერთობისაგან. მარქსი ვარაუდობდა, რომ სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ ბრუნო ბაუერის ხელშეწყობით ბონის უნივერსიტეტში ლექციებს მიიღებდა, მაგრამ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მინისტრ ალტენშტეინის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ახალგაზრდა ჰეგელიანელებისა და განსაკუთრებით ბაუერის მფარველი იყო. გაზშირდა გამოხდომები ბაუერის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ ბონის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტმა უარი განაცხადა, თავის წრეში მიეღო უკანასკნელი. „უარი წარდგენილი იყო იმ „ვბრიული" სიმამაცით, რომელსაც გერმანელი პროფესორები ყოველთვის იჩენდნენ, როცა ისინი დარწმუნებული არიან, რომ მაღალი უფროსობა ფარულად მხარს უჭერს მათ"[2].

შექმნილ მდგომარეობაში მარქსმა მიზანშეწონილად ჩათვალა დისერტაცია დაეცვა არა ბერლინის უნივერსიტეტში, არამედ სხვაგან. მარქსმა 1841 წლის აპრილის დასაწყისში თავისი დისერტაცია წარადგინა იენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. რომელმაც 15 აპრილს დაუსწრებელად მიანიჭა მას ფილოსოფიის დოქტორობა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მარქსი ფიქრობდა სამეცნიერო მოღვაწეობა დაეწყო ბონის უნივერსიტეტში, მაგრამ პრუსიის მთავრობის მოქმედებამ, რომელმაც თავის დროზე უნივერსიტეტიდან გაამეცა ლუდვიგ ფოიერბახი, ხოლო მას შემდეგ ბრუნო ბაუერიც მიაყოლა, მარქსი აიძულა უარი ეთქვა სამეცნიერო კარიერაზე; იგი პრაქტიკულ პოლიტიკურ ბრძოლაში ებმება.

კარლ მარქსის ჩაბმა უშუალო პოლიტიკურ ბრძოლაში დაკავშირებულია მის მოღვაწეობასთან „რაინის გაზეთში", რომლის თანამშრომელი იგი 1842 წლის აპრილში გახდა, ხოლო მთავარი რედაქტორი ოქტომბერში.

„რაინის გაზეთში" მუშაობის პერიოდი მარქსის მოღვაწეობაში განსაკუთრებულ ეტაპს წარმოადგენს, რომლის შესახებ ვ. ი. ლენინი შენიშნავდა: „აქ ისახება მარქსის გადასვლა იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმისაკენ"[3].

---

1 К .Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, გვ. 65.

2 Ф. Меринг, Карл Маркс, История его жизни. გვ 53.

3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გურამ გეკრდწითელი

მეტი კრეატიულობა

თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის შესახებ უკვე საკმაოდ ბევრი ითქვა ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში. ზოგადად ახლაც სრული საფუძველი გვაქვს გვიმეოროთ, რომ თანამედროვე მწერლობა მრავალმხრივაა საინტერესო, უპირველესად კი — მწერლების შემოქმედებითი აქტივობით, მათი გულწრფელობით, შემართებულობით, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ideo-ურ-მხატვრული დახვეწითა და მისთვის დამახასიათებელი ღრმა და ფართო თვალთახედვის აღდგენით, ახალი მხატვრული ხერხებისა და საშუალებების ძიებით, ადამიანის სულის სიღრმეების დაკვირვებული, ჯიუტი, ამასთანავე ფრთხილი, სათუთი რკვევით.

იმ უბრალო ჭეშმარიტებამ, რომ სიკეთე და ბოროტება კლასობრივ წინააღმდეგობას მოკლებული საზოგადოების ცხოვრებაში ყოველთვის არ არის ერთმანეთისაგან იზოლირებული და ცალკე პოლუსებზე განლაგებული, და რომ ისინი არცთუ ისე საჩინონი არიან, როგორც ზოგიერთთა, სასკოლო ქრესთომატიების მოყვარულთ ჯგინიათ, ბევრწილად გაართულა მწერლის ამოცანა. ახლა მას ადარა აქვს უფლება ისეთი ძნელად გასარკვევი და მრავალფეროვანი სამყაროს წარმოსახვისას, როგორიცაა თანამედროვე ადამიანი, მხოლოდ ორი კონტრასტული ფერით დაკმაყოფილდეს. საბჭოთა საზოგადოება ახლა უფრო მეტ და მკაცრ მოთხოვნებს უყენებს მწერლობას. ამ საზოგადოების კეკეტა სეროგატებით შეუძღებელი გახდა, რადგან სოციალისტური სინამდვილის წარმოსახვით დინტერესებული ხალხის, მკითხველის ერთგვარი ლიტერატურული შიმშილობის პერიოდი დიდი ხანია წარსულ ჩაბარდა, ხოლო შედარებით უფრო გვიან ის პერიოდიც ჩამოვიტოვეთ, როცა ზოგიერთები ჯიუტად გვარწმუნებდნენ ლიტერატურული სეროგატების სარგებლიანობაში.

საბჭოთა საზოგადოება თავისი განვითარების ახალ ეტაპზე ავიდა, რამაც მნიშვნელოვნად დაგვაახლოვა ამ მწვერვალს, იმ აღთქმულ მიწას, რომლისკენ მიმავალ გზაზეც მიღიონობით ხალხმა გაწირა თავი რევოლუციებისა თუ სამოქალაქო და სამამული ომების ფრონტებზე, ან კიდევ სტოიკურად შეალია თავისი სიცოცხლე პირველი აღმართების დაძლევასა და ახალი გზის გაკაფვას. დღევანდელი საბჭოთა საზოგადოება თავის თავს, ან რომელიმე მის წევრს არ მისცემს იმის უფლებას, რომ ეს ძლევამოსილი წინსვლა შეაყოვნოს და ერთი ადგილი ტკეპნოს. ამიტომაცაა, რომ იგი საბჭოთა მწერლობასაც ახალ მოთხოვნებს უყენებს, ახალი სიმაღლეების დაძლევაში მგეზურობას მოითხოვს მისგან.

ქართველი ხალხიდ ზოგადოება დიდი სიამოვნებითა და კმაყოფილების გრძნობით შეხვდა მწერლობის ამ განახლებასა და ახალ შემოქმედებით ძიებასა თუ შემართებას, რაც დიდ იმედებს აღგვძრავდა ყველას. მან თანამედროვე ქართულ მწერლობას ბევრი თბილი სიტყვაც უთხრა და თავისი დიდი იმედებიც აგრძნობინა. მაგრამ, თუ გულახდილნი ვიქნებით, ეფუქრობ, უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს იმედები ნაწილობრივ მაინც (თუ ბევრწილად არა) გაცრუებული დარჩა. ეს საერთოდ შეიძლება ითქვას ქართული მწერლობის მიმართ, რადგან მან ნაკლებად შეაქნა ჩვენი დროისა და მისი ლიტერატურული ატმოსფეროს შესაფერისი მაღალმხატვრული, დიდი პრობლემებისა და მასშტაბების ნაწარმოებები. უფრო მეტად კ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვედური დრამატურგისა და სალიტერატურო კრიტიკას ეთქმის.

თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურას, მის სულისკვეთებას, მიზანს, მხატვრულ ხედვასა და ფორმებს, ფსიქოლოგიურ ან ფილოსოფიურ სიღრმეებს, საერთოდ, ტენდენციებსა თუ განვითარების გზას არანაკლებ პროფესიული, დაკვირვებული, ღრმა ანალიზი, მართალი და გულწრფელი განსჯა-შეფასება სჭირდება. ქართული სალიტერატურო კრიტიკას კი ეს ბევრწლად აკლია. მას ჯერ კიდევ საკმაოდ ეტყობა არცთუ შორეული წარსულში დამახასიათებელი პრიმიტიულობის, ზედაპირულობის, ლიტონი და კატეგორიული განსახდებების კვალი.

ვფიქრობ, ჩვენსდა სამწუხაროდ, ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს საერთოდ თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკა და ამ წერილის კონკრეტული მასალა — გასული, 1967 წელს ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები.

1967 წელი განსაკუთრებული მნიშვნელობის წელი იყო ჩვენს ცხოვრებაში. მთელი საბჭოთა ხალხი ოქტომბრის რევოლუციის ნახევარსუკუნოვანი იუბილის სამზადისით ცხოვრობდა. იგი ყოველმხრივ და ღრმად ანალიზებდა განვლილ გზას, რათა მეტი ენერგიითა და გამოცდილებით შესდგომოდა მომავალს. ბუნებრივია ის სიამაყის გრძნობა, რომელიც საბჭოთა ხალხს განვლილმა დრომ აღუძრა, რადგან განვითარების ასეთი ტემპები, — რუსული ოთხთავლადან მარსზე გაფრენილ ხომალდამდე, — მართლაც სასწაულებრივია.

„მნათობმა“ ამ საიუბილეო წელს დიდი ადგილი დაუთმო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა უანგარს, რომ მკითხველებისათვის ფართოდ გაეშუქებინა სახელოვნი გზა ოქტომბრის რევოლუციიდან მის ნახევარსუკუნოვან იუბილემდე. მაგრამ ამან როდი შეუშალა ხელი კრიტიკული წერილებისათვის შეძღებისდაგვარად უსვად დაეთმო თავისი ფურცლები. შეძღებისდაგვარადო, იმიტომ ვამბობ, რომ თუ მეტი და უკეთესი არ დაბეჭდა, ეს „მნათობს“ კი არა, ქართულ სალიტერატურო კრიტიკას უნდა მოეკითხოს.

„მნათობს“, ბუნებრივია, ამ საიუბილეო წელს არც ქართული საბჭოთა მწერლობის მიერ განვლილი გზა დარჩა უყურადღებოდ. ჟურნალის მეორე ნომერში დაიბეჭდა ბესარიონ ფიცხელის ერეკლი წერილი „ოქტომბერი და ქართული მწერლობა“. იატორმა ქანრების ზოგადი მიმოხილვა ირჩია, ხოლო თვით ჟანრებში კი ცალკეული მწერლების მოკლე დახასიათებითა და მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შეფასებით წარმოგვიდგინა. წერილი, საიუბილეო ხასიათის გამო, სავსებით გარკვეული პათოსსა მატარებელია. ამიტომ გასაგებია ის ზეაწეული კილო, რომელსაც ავტორმა მიმართა. მაგრამ ზოგჯერ, ამ ბუნებრივ მაღალფარდოვნებას, ალბათ ავტორის უნებლიეთად, არცთუ ზუსტი განსახდებები მოსდევს. თქმა იმისა, რომ „ახალ ქართველი საბჭოთა დრამატურგები თავიანთი შემოქმედებითი წარმატებებით სავსებით ღირსეულად გვეჩვენნ უდგანან ჩვენი ლიტერატურის სხვა ჟანრების ოსტატებს“, ვფიქრობ, სულ სწორი არ უნდა იყოს, რადგან, უბრალოდ, ყველას კარგად მოგვეხსენება ის რეპერტუარული შემშვილი, რასაც ქართული თეატრები აუფარიაქებენ.

ჩემი აზრით, ქართულმა დრამატურგიამ ყველაზე ნაკლებ აუბა ხმარი თანამედროვე ცხოვრებას. შეიძლება ეს ნაწილობრივ იმითაც გამოწვეული, რომ ყველაზე მეტად „რეფორმა“ დრამატურგიას სჭირდებოდა, ჩვენი დრამატურგები კი ფფრო კონსერვატული ბუნებისანი აღმოჩნდნენ. მე აქ პიესის აგების, სტრუქტურული სიახლისაკენ სწრაფვას უფრო ვგულისხმობ, რაც ასე დამახასიათებელია თანამედროვე მსოფლიო დრამატურგიისათვის. მაგრამ იმავე დრამატურგიას არანაკლებ მნიშვნელოვანი პიესები გააჩნია, რომლებიც ამ მხრივ უაღრესად ტრადიციული არიან. ასე რომ, მარტო ახალი ფორმა არ განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიო პროგრესული დრამატურგიის ღირსებებსა თუ ნაკლოვანებებს. დღევანდელ ქართულ დრამატურგიას არა მარტო ახალი ფორმის, არამედ ახლებური, ღრმა მხატვრული აზროვნების ყველაზე ნაკლებად აჩნია. ნაწილობრივ ეს დიდი ტრადიციების უკონლობითაც აიხსნება. თვით მთელი ქართული საბჭოთა დრამატურგიდანაც, ახლებზე რომ არაფერი ვთქვათ, თითო-ოროლა პიესა თუ არის ისეთი, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო. სხვა ჟანრებში კი, პოეზიისა და პროზაში, არაერთი კლასიკური ნაწარმოები გაგვაჩნია და ქართული მწერლობის ხვედრითი წონაც მრავალოროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთიანან და დიდ საგანძურში საკმაოდ მნიშვნელოვანი გახლავთ.

მაგრამ ამ საიუბილეო წერილზე რა გვეთქმის, რომელსაც განქიქება კი არა, სწორედაც მიღწევების აღნუსხვა ეკალუბოდა, როცა ხაკეთრივ კრიტიკულ წერილებს ბევრწილად აკლიათ კრიტიკული პათოსი.

გასულ წელს „მნათობის“ ფურცლებზე თითქმის არ დაბეჭდილა არც ერთი წერილი, სადაც რაიმე ზოგადი დამახასიათებელი ნაკლი, ტენდენცია, ან თუნდაც კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოები იქნებოდა კრიტიკის ჩარეცხლში გატარებული. ბევრი ძებნის მერე, თუ რომელიმე წერილში უმნიშვნელო შენიშვნას მიაგნებთ, მას იმდენი მოპოდიშება და

გუგა ბ ბ ვ ბ ბ ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაამებლური ფრაზები უძღვის წინ, რომ ფაქტიურად ეს შენიშვნაც ხოტბის ამ ახალ ნაკადში იძირება და იჩქმალება.

ჩემი აზრით, ქართულ მწერლობაში ერთი საოცარი რამ მოხდა: კრიტიკოსება სიხარულით შეხვდნენ თანამგზიერეე პოეზიის განახლებას და განსაკუთრებით კი იმ ფაქტს, რომ ქართველი პოეტების ლექსებში აღარ შეიმჩნევა ადრე მომძლავრებული უსაფუძვლო ხოტბის მოტივები; ახლა კი, პოეზიიდან განდევნილმა ამ ხოტბა-დიდებამ, ეგონებ, კრიტიკულ წერილებში ჰპოვა ნავსაყუდელი.

ეს მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა კრიტიკულ წერილს ეთქმის, აქ კი ერთ-ერთ მათგანზე შეეჩერდები. ეს გახლავთ გიორგი ციცი შვილის წერილი „მიხეილ მრევლიშვილის დრამატურგია“ („მნათობი“ № 4). მიხეილ მრევლიშვილი ჩვენი ღვაწლმოსილი მწერალია და მის პიესებს თავის დროზე კარგი გამოძახილი ჰქონდათ, მაგრამ დღეს მისი დრამატურგიის ასე უკრიტიკოდ მიღება, ეფიქრობ, არ იქნება მართებული. გიორგი ციცი შვილს ყველაფერი საეჭვოსად ეჩვენება მიხეილ მრევლიშვილის პიესებში, არც იშურებს მაღალ ეპითეტებს თუ თბილ სიტყვებს, მაგრამ ეს მეტწილად აბსტრაქტულ მსჯელობად და ნაკლებ სარწმუნო ლტნტ განცხადებებად რჩება, რადგან კრიტიკოსი ხშირად არცა ცდილობს მათ დასაბუთებას ან ილუსტრირებას. ხოლო როცა ნათქვამის დასადასტურებლად კონკრეტულ მასალას მიმართავს, ზოგჯერ, ჩემი აზრით, ახსნა-შეფასებასა და სილუსტრაციო მასალას შორის შეუსაბამობა ამჟამრა და თვალნათლეეა.

თუ კრიტიკოსს ეერწმუნებით, მიხეილ მრევლიშვილი, „ნიკოლოს ბარათაშვილიდან“ მოყოლებული, „ხარატაანთ კერასა“ თუ „ზვავში“ სერიოზული და ფსიქოლოგიური დრამის ხაზს აგრძელებს. „სერიოზულ დრამას“ რაც შეეხება, მე პირადად ეს განსაზღვრა არ მესმის, რადგან „არასერიოზული დრამა“ არ მეგულება. დრამა თვითონ გამორიცხავს სიმსუბუქეს, მით უმეტეს არასერიოზულობას. ამიტომ ეს უფრო კრიტიკოსის მაღალფარდოვანი მსჯელობის ლაფსუსი უნდა იყოს. მაგრამ, ვფიქრობ, ამ სამი პიესის არც ფსიქოლოგიურ დრამად წარმოდგენაა სწორი. „ნიკოლოს ბარათაშვილი“ უფრო რომანტიკულად (ზოგჯერ ზომიერებას მოკლებულ ცრუ რომანტიკულობაში რომ გადაეის) გაბრწყენილი სცენებისაგან შედგება, რომლის საფუძველსაც მაინც მასალის ზეაწეული ილუსტრირება შეადგენს. ეს ილუსტრაციული ხასიათი ბევრნაირად ენებს მეორე პიესასაც, „ხარატაანთ კერას“. ამ პიესაში არის იმის საფუძველი, რომ დიდი, კეთილშობილური, მაღალი ადამიანური ენებების, მოქმედებების, მისწრაფებების დრამატურგიულად საინტერესო ხორცშესხმა გვენახა, მაგრამ მწერალი ამის მარტივი ილუსტრირების გზას გაჰყვა, რამაც პიესაში არსებული ზოგიერთი [illegible] რმე გადასწოსა, წაშალა. სწორედ ის სცენა, რომელიც კრიტიკოსს ყველაზე მეტად მოსწონს პიესაში და რომელიც ფსიქოლოგიური დრამის საინტერესო ფინალად მიიჩნია, — გიორგის დაბრუნების სცენა, — ჩემი აზრით, ამ დრამატული სიტუაციის პრიმიტიული და უბრალო ილუსტრაციული ხერხით გადაკრის თვალნათლივი მაგალითია.

ამ, დ. კიდევ სხვა. სერიოზული ხიზეის გამოა, რომ დღეს ჩვენი თეატრები ასეთი რეპერტუარული შიშნილის დრისაკ კი ვერ უბრუნდებიან მიხეილ მრევლიშვილის პიესებს. და მითუმეტეს გასაკვირია გიორგი ციცი შვილის განცხადება, თითქოს „უკვე რამდენიმე წელია, რაც ეს პიესა („ხარატაანთ კერა“. გ. გ.) არ ჩამოდის რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრების სცენიდან“. ამის თქმა ათი წლის წინ შეიძლებოდა მხოლოდ, დღეს კი არა, რადგან ამა როგორ ჩამოვა, როცა არც ასეეა.

მე ეს მაგალითი იმიტომ არ მოვიტანე, თითქოს მიხეილ მრევლიშვილს პიესები განქიქების ღირსი იყოს. მათ თავისი ადგილი აქვთ მიჩნეული ქართული სპეციოა ლიტერატურისა და თეატრის ისტორიაში. მაგრამ ასე უკრიტიკოდ მათი მიღება დღეს (და აღრეეეც), ეფიქრობ, არ უნდა იყოს სწორი. მით უმეტეს, როცა სხვა ლიტერატორი „მნათობის“ მეათე ნომერში თვით გიორგისაც კი უწუნებს პოეტურობას.

ეახტანგ გოგუაძე წერილში „პოეტრისა და ფილოსოფიური შესახებ მხატვრულ ძებრეფებში“ საკმაოდ პირდაპირ და გულახდილად აცხადებს ამას. „ცხადია, იდეის შემეცნების დონით, შინაარსის სიღრმის ფილოსოფიური ხარისხით ჰპმეროსი გოეთს ვერ შეეჯერება, მაგრამ „ფაუსტი“ ასევე ვერ შეეჯერება „ილიადასა“ და „ოდისეას“ პოეტურობით. მაშასადამე, ნაწარმოების ფილოსოფიური სიღრმე უნდა განირჩეს პოეტური განსილობისაგანო“. ანეთი მასშტაბების პრობლემების გადაწყვეტაში ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ ჩაეერთო, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, რომ მსოფლიო პოეზიის მწვეერალება, მათ შორის ჰომეროსისა და გოეთეს, ალპინისტების დასალაშქრი მწვეერალებისაგან იმითაც განსხვავდებიან, რომ ჩვეულებრივი სიმაღლის საზომი ხელსაწყოთი მათი გაზომვა არ ხერხდება და ამიტომ იმის დადგენა, თუ რომელი უფრო მაღალია მათ შორის, ოოული საქმეა, და, ეფიქრობ, უნაყოფოც. ეახტანგ გოგუაძე ძველი აღმოსავლეთის გულუბრყვილო პოეზიას (ეს გამოთქმა შინაარსობლივად ზუსტად არ უნდა გამოხატავდეს **наивная поэзия**-ს) უპირისპირებს ახალი ეპოქის ინტელექტუალურ პოეზიას და საკმაოდ ლეკტიკურადაა განწყობილი რომანტიზიდან მოყოლებული მთელი შემდგომი ეპოქების მსოფლიო პოეზიისადმი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერმე სხვა არაფერია, თუ არ ფილოსოფოსთან გაჯიბრება, რამაც დაღუპა პოეზია. გოეთესთან დაკავშირებით აბორი კელვე წერს: „პოეტერობისთვის საჭირო გულუბრყვილობა გოეთეს უდიდესმა ინტელექტმა დაჩრდილა და იგი საკმაოდაც ფიქრობს იმაზე, თუ როგორ ფიქრობს. გულის პოეტური სიმეში მართლაც შთანთქმულია უსაზღვრო ინტელექტმა. ამ ტანჯვი ინტელექტუალური ინტუიციითაა იგი ძვირფასი კაცობრობისთვის“. ახლა უფრო გართულდა საქმე. გოეთეს პოეტერობა ინტელექტმა შთანთქა, თუ მხოლოდ ინტელექტუალურმა ინტუიციამ, ესეც თავსატეხი გახდა. ცხადია, გოეთეცა და ჩვენი შემდგომი პოეზიაც უფრო ინტელექტუალურია, ვიდრე ძველი ალმოსავლური პოეზია, ამის მიზეზი უბრალო უნდა იყოს, მაგრამ განა მარილი მხოლოდ „ინტელექტუალური ინტუიციითაა“ იგი კაცობრობისთვის ძვირფასი და სხვა არაფრით, განა მართლა ასე დაიშრეტა იგი პოეტერობისგან? ამხელა პრობლემის გადაჭრა დღეს ჩვენში მხოლოდ კონრადის ერუდიციის, ინტელექტისა და გემოვნების მეჭონე თითო-ოროლა მეცნიერს თუ ძალუძს, რომელთაც საშუალება აქვთ ძველი ალმოსავლური, ანტიკური და ახალი ევროპული პოეზია ერთმანეთს შეუდარონ და კვლევიციერი დასკვნაც გამოიტანონ. ამბობენ ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ იმას შეეწინააღმ, რომ ახალი ეპოქის ადამიანისათვის სწორედაც ინტელექტუალური პოეზია უფრო ემოციურია, ვიდრე „ველუბრყვილო“, და ასე გვთქშვა ინტელექტისა ემოციურისაგან, პოეტერისაგან მეტად ხელოვნურ შთაბეჭდილებას უნდა სტიეებდეს, რადგან ადამიანის ემოციები ბევრწილად მისივე ინტელექტით არის შეპირობებული. ერთს კი დავეჭვ, რაშიც უკვე ღრმადვარ დარწმუნებული, რომ გოეთეზე ცოტა უფრო ნაკლებ პოეტური მწერლებიც გვყავს ჩვენ და ეს კრიტიკული შუბები ჰქ დაკამტეროთ, სადაც უფრო დაზღვეული ვიქნებიან შეცდომებისაგან, ვფიქრობ, აკობებს. სხვა არა იყოს რა, უხერხულია, გოეთეს პოეტურობას ვეუწნებთ და ჩვენი პოეტებიდან კი ეს ვერავისთვის შეგვიბედნია.

ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ საკმაოდაა ნატურალიზმითა თუ უბრალოდ პრიმიტიულობით დადასმული. აზრობრივად თუ მხატვრულად მოუმწიფებელი, ლიტერატურული მოდიან თუ აბკარა ეპიგონობით შექმნილი ნაწარმოებები და ასეთ დროს სალიტერატურო კრიტიკის დემილი მის ნაკლებ პრინციპულობას, მოქალაქეობრივი სითამამის ერთგვარ დაკარგვის მიგვანიშნებს.

მე ამამდე სალიტერატურო კრიტიკის დანიშნულების ერთ მხარეს შევეხე. მაგრამ მარტო კრიტიკული პათოსითა და შემართებით სულაც არ ამოიწურება სალიტერატურო კრიტიკის მოვალეობა. მას არანაკლებ, თუ მეტად, ეკისრება ეროვნული ბიბლიოთეკა

ასრა, ეკალება მიაგნოს ახალს, საინტერესოს, ჯერ თვითონ გაერკვეს მის ღირსებებში და მერე სხვაც, მკითხველიც გაარკვიოს.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურას საკმაოდ ბევრი რამ აქვს მნიშვნელოვანი და საყურადღებო, მაგრამ ერთგვარი ინერტულობა, რომელიც სალიტერატურო კრიტიკას სამწუხაროდ ახასიათებს, მათი გამომზეურების საქმეზე თავს იჩენს. ირეთუ იშვიათად მთელი რიგი საინტერესო ტენდენციები თუ ცალეული ნაწარმოებები, რომლებიც ცხოველი დისკუსიის, ფართო გამომპაურების ღირსია, ჩვენი ყურადღების გარეშე რჩება. მაგალითად, უადრესად თავისებური, ახალი, საინტერესო, გასარკვევი რამაა თანამედროვე პოეტური ეპოსი, ეგრეფწოდებული ლირიკული პოემები. როცა ამ ტენდენციამ მომძლავრება იწყო, მაშინ ზოგიერთი ზეპირად და ზოგადად უარყოფდა მას ისე, რომ არც კი უცდია არსებითად გარკვეულიყო საქმეში. ახლა ახალგაზრდებიდან ოთარ ჭილაძემ, გივი გეგეკორძმა, ჯანსუელ ჩარკვიანმა, ტარიელ ჭანტერიამ ქართულ პოეზიაში უკვე ადრევე არსებული ტრადიცია ლირიკული პოემისა მნიშვნელოვან პოეტურ ფაქტად აქციეს და ჩვენ, მიუხედავად ამისა, დღემდე არ დაგვწყია სერიოზული მსჯელობა ამ უადრესად საინტერესო, ცოცხალ, ამაღელვებელ პრობლემაზე. საამორელანობა მოითხოვს ალინშნოს, რომ გიორგი კალანდაძემ ამასთან დაკავშირებით ახლახან გამოაქვეყნა წერილი კრებულში „საბჭოთა მწერლობის საკითხები“, მაგრამ ეს არა კმარა ამ დიდ ლიტერატურულ ფაქტში გასარკვევად.

თუმცა, უნდა ითქვას, ქართული სალიტერატურო კრიტიკა ისეთ „უმადურ“ საქმესთან შედარებით, როგორიც განქიქებაა, ახალი სალიტერატურო ნაწარმოების თუ ტენდენციის მხარდაჭერას უფრო ენერგიულად და ხალისით ეკიდება. გასული წლის „მნათობის“ ფურცლებზე ასეთი ხასიათის რამდენიმე წერილი დაიბეჭდა. აწ განსვენებულმა კრიტიკოსმა იპოლიტე ვართაგავამ ხუტა ბერულავას პოეზიისადმი მიძღვნილ წერილში („მნათობი“, № 2) ერთგვარი გულუბრყვილობით, მაგრამ უთუოდ საინტერესოდ გაგვიხსნა პოეტის სამყარო, მისი ლექსების თემები, ოსტატობის ზოგიერთი მახვილი თვალით შემჩნეული მხარე. ამ წერილით მან, ღრმად მოხუცებულმა, საკვდილის წინ თითქოს გაგვახსენა, რომ ინერტულობა და ინდიფერენტულობა საერთოდ, მით უმეტეს მწერლობაში, მიუტევებელი რამაა.

ასეთივე ხასიათის წერილებია: გიორგი კალანდაძის „გიორგი ლეონიძის პროზა“ (№ 2),

გურამ გვენდაძე
მეტი პრინციპულობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ასათიანის „მიახლოება მწეარვალებთან“ (№ 3), გიორგი მარგველაშვილის „ქართული პოეზიის სიახლენი“ (№ 9).

ახალი ნაწარმოებებისა და წიგნების პოპულარიზაციისათვის ჟურნალს სპეციალური განყოფილება აქვს „წიგნების მიმოხილვა“, სადაც ზოგჯერ მოკლე, სხარტი, გონებისა და სულის საამო წერილები ქვეყნდება. მაგრამ თავიდანვე ერთი რამ უნდა აღვნიშნო. ჩემი აზრით, ამ განყოფილებას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი და ფართო მკითხველისათვის საინტერესო ნაწილი ეწოდა იყოს ჟურნალისა, კრიტიკოსები ჯერ კიდევ ნაკლებ ვიყენებთ. აქ რომ ხშირად იბეჭდებოდეს ისეთი წერილები, როგორიცაა გიორგი ნატროშვილის „ოდიშური მოთხრობები“ (№ 8), მანანა გვეტაძის „ნ. კილასონის ლექსების ახალი კრებული“ (№ 6), გურამ კანკავას „კეთილი იმედის კონცხი“ (№ 8), ზურაბ კიკნაძის „ფეედონი“ ქართულად“ (№ 10), ფილიპე ბერძენიძის „ისე ლამაზად და ღრმად გაკვიცდი“ (№ 10), მაშინ უთუოდ მადლიერი იქნება მკითხველი. სამწუხაროდ, ხშირად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ განყოფილებაში უფრო ეიღა მოძალებული ხალხი სარგებლობს, რომლებიც თავიანთი მეგობარი მეცნიერების — ეკონომისტების, იურისტების, ისტორიკოსების — საკვალიფიკაციო შრომებზე უფიქრენ რეცენზიებს აქვეყნებენ, თითქოს წიგნების მიმოხილვის განყოფილება იმისათვის არსებობდეს, რომ მერე სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებმა საქმეებში ავტობიოგრაფიებთან ერთად მათ შრომაზე დაბეჭდილ დადებით რეცენზიებიც ჩაკრნან.

მკითხველებს ერთი, არცთუ მცირე ნაწილი ხშირად ცდები ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების თუ რომელიმე მწერლის შემოქმედების შეფასებაშიც კი. მკითხველთა გემოვნების აღზრდა მწერლობასთან ერთად სალიტერატურო კრიტიკის მოვალეობაცაა. რა დასამლია და ეს გემოვნება ბევრწილად მოიკოჭლებს. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად იმის მომსწრენი ვართ, რომ ზოგი პროფესიონალი ლიტერატორიც საოცრად პრიმიტიულად კითხულობს მხატვრულ ნაწარმოებს, ვერ წვდება მასში ჩადებულ აზრსა და ნამდვილი ემოციებით საფუძველს, ამიტომ ზედაპირულ, ინსპირირ შეშმარიტებას შემცველ დეკლარაციულ წიგნებს ირჩევს. ამ დროს რიგით მკითხველს თუ შეეშალა რაიმე, ის როგორღა უნდა გავამტყუნოთ. წიგნების მიმოხილვას ამ მხრივ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუკი მას სერიოზულ მნიშვნელობას მივანიჭებთ და მაღალ დონეზე დავაყენებთ. ქართველი კრიტიკოსები კი რატომღაც ვიურნალ-გაზეთების

ELIBRARY.GEO

რედაქციებს და მკითხველთა გემოვნებას ... რედაქციებს ... ...

ეროვნული დიალექტიკა მწერლობაში. გიორგი ლომიძე საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც აღიარებული, როგორც ერთი საუკეთესო მკვლევარი ეროვნული სპეციფიკის მწერლობაში. იგი რამდენიმე ფუნდამენტური შრომის ავტორია ამ საკითხებზე, რომლებიც თანამედროვე ლიტერატურული განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენენ. ამ ვრცელ წერილშიც, მრავალწლიანი საბჭოთა მწერლობისა და მსოფლიო ლიტერატურის მდიდარი მასალით, იგი თანმიმდევრულად და დამაჯერებლად ამტკიცებს ზოგადკაცობრიულია და ეროვნული ერთიანობის იდეას და მისი გამოვლინების ფორმების მრავალფეროვნებას.

განზოგადების პრეტენზია აქვს კობა იმედაშვილსაც თავის წერილში „ქართული საბჭოთა პროზის მგირი“ (№ 7). ავტორი ობიექტიური ეყრდნობა და თავის მოსაზრებებს გვთავაზობს ლიტერატურულ მგირებზეც და მათთან დაკავშირებულ ტერმინებზეც. მას რატომღაც არ მოსწონს ტერმინი „დადებითი მგირი“ და აცხადებს: „თუ ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში „დადებითი მგირის“ პრობლემა კარგა ხანს წამყვანი იყო, ახლა ჩვენ მკვეთრად ვიბრუნეთ ზურგი (ეიბრუნეთ პირი; ვაქციეთ ზურგი; ასე თქმის ქართულად, მაგრამ აქ ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს — გ. გ.) და მასზე მსჯელობა თითქოს კარგი ტონის მაჩვენებლად არ ითვლება“.

საინტერესოა, ასეთი განცხადების რა საფუძველი აქვს კრიტიკოსს? ჯერ ერთი, უნდა გვითხრა, მაინც ვინ იბრუნა პირი თუ ვინ აქცია ზურგი, მეორეც, აგვიხსნას, როდის აქეთ ითვლება დადებითი მგირის ხსენება ცუდ ტონად. საქმე იმაში გახლავთ, რომ ეს პრობლემა, ისევე როგორც სხვა აქტუალური საკითხი, საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე დგებოდა მწერლობის ყურადღების ცენტრში, რადგან ახალ გითარებაში ზუსტდებოდა ამ ცნების გაგება. ასევე მოხდა თანამედროვეს ეტაპზეც. მეორე ყრილობის წინ დაიწყო, მერე წლების მანძილზე გაგრძელდა ეს დისკუსია თუ მსჯელობა, შეიქმნა დაახლოებით ერთგვარი გაგება ამ ტერმინისა თუ ცნებისა და ახლა, ამ დაზუსტებული მნიშვნელობით იგი ისევე ჩვეულებრივ იხმარება ლიტერატურული მსჯელობის დროს, როგორც უაბრაგი სხვა ტერმინი და ცნება. ეს ტერმინი — დადებითი მგირი — გაიზიარა დასავლეთის ბურჟუაზიულმა ლიტერატურისმცოდნეობამაც. თუმცა თავისი იდეოლოგიური თვალსაზრისი ჩადო მასში. საბჭოთა ლიტერატურის დადებით მგირს არავითარი ინფექციური დაავადება არა სჭირს, რომ ვინმემ ზურგი აქციოს, ანდა ტაბუ დაადოს მას. უბედურება იმასა სჭირდა და სჭირს, ვისაც ყალბად ესმოდა და ესმის საბჭოთა ლიტერატურის დადებითი მგირი — შეზღუდულად, პრიმიტიულად, მექანიკურად. მაგრამ ამაზე აქ ლაპარაკის გაგრძელება არა ღირს, რადგან დადებითი მგირის საკითხი საფუძვლიანადაა გაშუქებული თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობასა და კრიტიკაში.

მე შეეცადები თვით კობა იმედაშვილის მსჯელობას მიეყვე, რაც, ჩემი აზრით, უფრო ლიტერატურულ ტერმინთა ახალი დანიშნულებით ხმარების ხელოვნური სურვილითაა ნაკარნახევი, ვიდრე თვით ლიტერატურის განვითარების ლოგიკითა და აუცილებლობით.

მაშ რატომ იწერების კობა იმედაშვილი ტერმინს „დადებითი მგირი“? თურმე ამიტომ, რომ „ლიტერატურული მგირის ისტორია არ თანხვდება დადებითი მგირის ისტორიას... საკითხის ასე ცალმხრივად დაყენებამ შეეძლებელი გახადა ქართული საბჭოთა მწერლობის მგირი უფრო ფართოდ შესწავლილიყო“. კრიტიკოსი ამ დებულებას სქოლიოში კიდევ უფრო აკონკრეტებს: „მარტო იმის შენიშვნაც კმარა, რომ მკვლევრები გვერდს უვლიდნენ მიხეილ ჯავახიშვილს „კვაჭი კვაჭანტირაძეს“, „ჯაყოს ხიზნებს“, „თეთრ საყელოს“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისის ღიმილს“ და სხვა“.

კი მაგრამ, სად ამოიკითხა კობა იმედაშვილმა, რომ ვინმე ეცადა დადებითი მგირის ისტორია ლიტერატურული მგირის ისტორიისათვის დაემთხვია, ან დადებითი მგირის ცნების გამო ვინ აკრძალა მის მიერ ჩამოთვლილი ნაწარმოებების მგირების ანალიზი? ასე უმისამართოდ ნურა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როცა საყოველთაოდ გავრცელებულ დებულებას აკრიტიკებ. მე კი ვეუბნებ კობა იმედაშვილმა თუნდაც ერთი შრომა დაასახელოს, სადაც თუნდაც მსგავსი მოსაზრება იქნება გამოთქმული. სხვათა შორის, ამავე, ეგრეთწოდებული უარყოფითი მგირების მხატვრული ანალიზი ქართულ კრიტიკაში არანაკლებ საინტერესოდ, ვიდრე და საფუძვლიანადაა გადმოცემული, ვიდრე დადებითებისა. ხოლო დადებითი მგირის მკვლევრები რატომ არ ებებოდნენო თვითეულზე ხევიანთაკენ თუ კონსტანტინე სალარსამიძეს, ეს უთუოდ უსაფუძვლო საყვედურია. ამ ლოგიკით, მაგალითად, ლირიკული მგირის ბუნების მკვლევარს შეეგებოდა ავეხრიდეთ, ეპიური ტიპოლოგის მხატვრულ სახეებს რატომ უვლიო გვერდს. როცა საბჭოთა ლიტერატურის დადებით მგირებზე ვლაპარაკობთ, ბუნებრივია, ჩვენი ინტერესებს ფარგლებს გარეთ დარჩება „ჯაყოს ხიზნებიცა“ და „კვაჭი კვაჭანტირაძეც“. ეს არც მწერალს შეურაცხყოფს, არც ლიტერატურას აღარიგებს, არც მკვლევრის სისუსტეზე მეტყველებს და

გუნაბა გვეტრაძეთელი
მეტი პრინციპულობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც, საერთოდ, არაევთარი მკრეხელობაა. ისევე როგორც, როცა საბჭოთა ლიტერატურაში ზედმეტი ადამიანის სახეზე ვესაუბრებთ, თარაშ ემხვარს ვიხსენებთ და არა მეკი ვამაკაძეს; ან კიდევ, უარყოფითი გმირების განხილვისას ყურადღებას გრიშე გვრიგაში ხათუნა მინდელი. ეს სავსებით ბუნებრივი რამაა და ამის გამო საყვედური არავის ეთქმის.

კობა იმედაშვილ მერე კვლავ განყენებულად სვამს კითხვას: „განა მხოლოდ დადებითობა არის გმირის ლიტერატურული ღირებულების კრიტერიუმი?“ ეს კითხვა ჰაერში გამოკიდებული რჩება, რადგან მსგავსი რამ, — თითქოს დადებითობა ლიტერატურული გმირის ღირებულების ერთადერთი კრიტერიუმი იყოს, — არავის განუცხადება. ასეთ პოლემიკურ წერილში უმისამართო დავა, ჩემი აზრით, არ არის სწორი. როგორც ჩანს, კობა იმედაშვილიც გრძნობს, რომ ამ დავას რაღაც კონკრეტული სახე უნდა მისცეს და ეროვნულ ცდილობს მიუთითოს იმაზე (თუ იმათზე), ვინც ლიტერატურულ გმირს აიგივებს დადებით გმირთან და ამით ადარიბებს, არასწორად წარმოსახავს ქართული საბჭოთა ლიტერატურის გმირს. კრიტიკოსი იმოწმებს ჩემი წიგნიდან „თანამედროვეთა მხატვრული სახეები“ ერთ ადგილს, სადაც მე ვეკამათები იმ ლიტერატორებს, რომლებიც დადებით გმირებს ხელოვნურად ყოფდნენ სხვადასხვა კატეგორიებად. მართლაც, საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილებამ და თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობამ უარყო დადებითი გმირის დიფერენციერებისა ან მოთვეს რაიმე თარგის გამოჭრის ცდები. მაგრამ, საპარლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმ კრიტიკოსებს, ვისაც მე ჩემს წიგნში ვედავებოდი, არსად უცდიათ „დადებითი გმირი საბჭოთა ლიტერატურის ერთადერთ გმირად გამოცხადებიათ“, რა ბრალსაც მათ კობა იმედაშვილი სდებს. კობა იმედაშვილმა განზრახ, ან უნებლიეთ დაამახინჯა ჩემი წიგნიდან მოტანილი ციტატი და ამით უსაფუძვლოდ შექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ისინი მართლაც აიგივებენ ერთმანეთთან დადებით გმირს და ლიტერატურულ გმირს. მე ჩემს წიგნში ქართველ თუ რუს კრიტიკოსებთან დავის დროს (კონკრეტულად მაქვს მითითებული წყაროები) ვწერ, რომ „ერთნი ყოფენ მათ (დადებით გმირებს) უბრალოდ დადებითებად, სრულ დადებითებად, მიაჩოვნებით იდეალურებად და იდეალურებად, მეორენი...“ და ასე შემდეგ. კობა იმედაშვილი ამ ჩემს ჩამოთვლას ასე იმოწმებს: „ერთნი ყოფენ მათ (ლიტერატურის გმირებს — კ. ი.)“... ამით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ის კრიტიკოსები მართლაც აიგივებენ დადებით გმირებს ლიტერატურულ გმირებთან. მაგრამ, ვიმეორებ, ეს მათ არსად უთქვამთ და მხოლოდ კობა იმედაშვილის მიერ არასწორად მოტანილი ციტატის გამო შეიძლება შეგვეძლოს ასეთი აზრი. ციტირების წესის ასეთი დარღვევა, ნებისთი თუ უნებლიე, მკვლევარისათვის უბრალოდ მიუტევებელია.

კობა იმედაშვილი დადებით გმირზე თავის ამ განყენებულ და, ჩემი აზრით, მცდარ მსჯელობას ასე ასკვნის: „მაგრამ თუ დადებით გმირს არ ვაქცევთ აბსოლუტურ კატეგორიად, თუ შევთანხმდებით, რომ იგი შეფასებითი ტერმინია და აღნიშნავს ჩვენს დადებით დამოკიდებულებას ამა თუ იმ ლიტერატურულ პერსონაჟთან, მაშინ იგი კვლავ დაიკავებს თავის კანონიერ ადგილს ლიტერატურულ ტერმინთა შორის“.

ჯერ ერთი, დადებითი გმირი არავის უქცევია „აბსოლუტურ კატეგორიად“. მეორეც, დადებითი გმირი ისეთ ლიტერატურულ ტერმინს ეწოდებათ, რომლებიც მწერლის იდეალის პოზიტიური გამომხატველნი არიან და განასახიერებენ ეპოქის პროგრესულ ტენდენციებს, ერის საუკეთესო თვისებებს მჭიდე ადამიანებს. მკითხველი კი დადებითად აფასებს ყველა ეს ბეჯმარიტად დიდ მხატვრულ სახეს, რომელიც კი მსოფლიო ლიტერატურას შეუქმნია, დადებითი იქნება იგი თუ უარყოფითი.

მესამეც, „დადებით გმირს“ მუდამ ჰქონდა, აქვს და ექნება თავისი კანონიერი ადგილი საბჭოთა ლიტერატურაშიც და ლიტერატურულ ტერმინთა შორისაც.

„რა დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ ამ თეორიიკენ წიაღსვლიდან?“ — ასეთ კითხვას სვამს კობა იმედაშვილი. მე პირადად ამ კითხვას ასე ვუპასუხებდი: ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მსჯელობის დროს მეტი სიზუსტე და კონკრეტულობა სჭირო, თუნდაც ისეთ არაზუსტ მეცნიერებაშიც კი, როგორიც ლიტერატურისმცოდნეობაა.

რაკიღა ტერმინი „დადებითი გმირი“ კობა იმედაშვილისათვის მაინც ეიწრო და შეზღუდულია, იგი ლიტერატურული გმირისათვის ახალ, უფრო ფართო და უნივერსალურ ტერმინს ეძებს. კრიტიკოსის აზრით, „მეოცე საუკუნის ქართული პროზაში, ოც-ოცდაათიან წლებში, სამი კონცეპტუალური სახე ჩამოყალიბდა: ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანი, ახალი ცხოვრების მტერი და ახალი ცხოვრების პარაზიტი. როდესაც ჩვენ მათზე ვმსჯელობთ, რა ტერმინი უნდა ვიხმაროთ, რომელიც მიგვანიშნებდა მათ ორგანულ კავშირს ახალ ცხოვრებასთან? ახალი გმირი? ახალი ადამიანი?“

ჯერ ერთი, ორმოციან წლებში სხვა, მისივე ტერმინი რომ ვიხმაროთ, კონცეპტუალური სახეების ჯგუფი ჩამოყალიბდა, მერე კიდევ სხვა. მოვდგეთ და ყოველ ათწლეულს თავისი ლიტერატურული ტერმინები ვეფდგნოთ. მაგრამ ეს სოციოლური დავა რაში გვესაჭიროება, როცა არსებითია სადავო.

კობა იმედაშვილს უნდა, მაინცდამაინც ერთი გამაერთიანებელი ტერმინი მოიგონოს, რომელიც მოიცავს ყველა ამ სახის გმირს — ახალი ცხოვრების მშენებელს, მტერს, პარაზიტს. იგი ამისთვის ახალ ტერმინებს არ ეძებს, უკვე ნაცნობ ტერმინებს მიმართავს, რომლებიც თვისი გარკვეული მნიშვნელობით იხმარება ლიტერატურისმცოდნეობაში — „ახალი გმირი“. „ახალი ადამიანი“.

ახალი გმირი მისთვის მიუღებელია, რადგან მასში ერთიანდება თურმე „გმირები ისტორიული თუ თანამედროვე თემაზე დაწერილი რომანებისა, დეტექტიური თუ ფანტასტიკური მოთხრობებისა. ასე რომ, ეს სინტაგმა ახალ ცხოვრებასთან ორგანულ კავშირზე ვერ მიგვანიშნებს“.

კრიტიკოსს ხელი შერჩა ერთი ტერმინი „ახალი ადამიანი“. მაგრამ საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში მას თავისი დამკვიდრებული გაგება აქვს და მშენებლების, მტრებისა და პარაზიტების გამაერთიანებლად არ იხმარება. ამიტომ კრიტიკოსს ჯერ მათ ედავება, რომლებიც, მისი აზრით, მცდარად ხმარობენ ამ ტერმინს. სოლდაფონბისათვის ისეთი ცნობილი საბჭოთა ლიტერატურისმცოდნისა და თეორეტიკოსის ოპონენტობა გადაწყვეტა, როგორიც ი. ელსბერგი არის.

ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 1963 წელს გამოცემული კრებულის «Литература и новый человек» შესავალ წერილში, «Введение, «Проблема нового человека» в литературе ი. ელსბერგი წერს (მომყავს კობა იმედაშვილის მიერ დამოწმებული, მის მიერ თარგმნილი ციტატები): „მართლაც, ყოველ ეპოქაში თითქმის ყოველი და განსაკუთრებით ის სოციალური ჯგუფი, რომელიც ყალიბდება, წინ წამოსწევს ხოლმე თავის „ახალ ადამიანს“... „იმ თხზულებებში, რომელთაც შეადგინეს ეს კრებული, უპირველეს ყოვლისა ის „ახალი ადამიანი“ იგულისხმება, რომელიც დაკავშირებულია თავისი დროის საზოგადოების განვითარების მოწინავე, პროგრესული ტენდენციებთან და ამა თუ იმ თვისებით მომავალ თაობათა სიმპატიებსა და ინტერესს იწვევს“.

კობა იმედაშვილი აქ რამდენიმე უზუსტობასა და წინააღმდეგობას ხედავს.

ჯერ ერთი, ეს განსაზღვრა არსებითად „დადებით გმირით“ განსაზღვრას თანხვდებაო“. ეს სწორია, მაგრამ ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში „ახალი ადამიანი“ მართლაც დადებით გმირის ერთგვარ სინონიმად იხმარება.

მეორეც, „თუ ყოველი სოციალური ჯგუფი წამოიაყენებს „ახალ ადამიანს“, არ შეიძლება ის ყოველთვის საზოგადოების განვითარების პროგრესული ტენდენციების გამომხატველი იყოსო“. აქ კი კობა იმედაშვილი ამკარაფაროვნად ეურევა ერთმანეთში ი. ელსბერგის ორ სწორ, სამართლიან აზრს. მართლაც, ყოველ ეპოქაში ძირითადი სოციალური ჯგუფები იყალიბებენ თავის შეხედულებას „ახალ ადამიანზე“. თანამედროვე ბურჟუაზიულ იდეოლოგიასაც აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული გაგება „ახალი ადამიანისა“, ხოლო მათ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ მხატვრულ ლიტერატურას კი ლიტერატურული გმირების სახით გამოხატული აქვს ეს „ახალი ადამიანი“. თავის მხრივ, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიური თვალთახედვით საბჭოთა ლიტერატურას სრულიად განსხვავებულად ესმის „ახალი ადამიანი“ და ამდენად, სრულიად განსხვავებულად ხატავს მას. ელსბერგს არ უთქვამს (იგი იმდენად განათლებული და დაკვირვებული მკვლევარია, რომ ასეთი ელემენტარული რამ არ აერევა), თითქოს ყოველი სოციალური ჯგუფის მიერ წამოყენებული „ახალი ადამიანი“ პროგრესული ტენდენციის გამომხატველი იყოს, რასაც მას კობა იმედაშვილი სწამებს. პირიქით, ი. ელსბერგი ხაზს უსვამს, რომ ამ კრებულში, მხოლოდ ის „ახალი ადამიანი“ იგულისხმება, რომელიც დაკავშირებულია თავისი დროის საზოგადოების განვითარების მოწინავე პროგრესულ ტენდენციებთან და ამა თუ იმ თვისებებით მომავალ თაობათა სიმპატიებსა და ინტერესს იწვევს, ე. ი. იგი გულისხმობს მსოფლიო პროგრესულ მწერლობას, პირველ რიგში, საბჭოთა მწერლობას და მათ „ახალ ადამიანს“.

კობა იმედაშვილს კიდევ ერთი ადგილი მოაქვს ელსბერგის წერილიდან: „მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის „ახალი ადამიანი“, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, ყოველთვის იყო რევოლუციონერი, სოციალისტი და საერთოდ მოწინავე აზრის მატარებელი“ (ხაზი ჩემია — კ. ი.). მაგ ჰგონია, რომ კიდევ ერთი უხეში წინააღმდეგობა შენიშნა ელსბერგის მსჯელობაში და ასეთ კომენტარს უკეთებს: „თუ ეს გმირი ყოველთვის არ იყო „საერთოდ მოწინავე აზრის მატარებელი“, მაშინ იგი ყოველთვის ვერც იქნებოდა დაკავშირებული „თავისი დროის საზოგადოების განვითარების მოწინავე, პროგრესულ ტენდენციებთან“ და ამიტომ შეიძლება „მომავალ თაობათა სიმპატიაც“ ვერ დაემსახურებინა. როგორც ვხედავთ, განსაზღვრება წინააღმდეგობრივია, ე. ი. მცდარიც“.

საქმე ის გახლავთ, რომ ი. ელსბერგი, სწორედ თავისი დიდი გამოცდილების გამო, უფრო ფრთხილად ეკიდება განზოგადებებს, ვიდრე მისი ახალგაზრდა ოპონენტი. ელსბერგი აქაც მართალია. თუნდაც მარტო ერთი ისეთი კლასიკური სიძლიერის ლიტერატურული გმი-

გურამ გვეტაძეთილი
მეტი პრინციპულობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი რომ გავიხსენოთ, როგორიც გრიგორი მელუხოვია, ნათელი გახდება, რომ „ახალი ადამიანი“ ზოგ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება არ იყოს მოწონაც აზრის მატარებელი, მაგრამ თავისი დიდი და წრფელი ბუნებით, სიმართლის დაუოკებელი ძიებით ჩვენს თუ მომავალი თაობების სიმპატიებსა და ინტერესს იწვევდეს.

ასე რომ, კობა იმედაშვილისგან განსხვავებით, მე სავსებით დამაჯერებლად და მართებულად მიმაჩნია ი. ელსბერგის მოსაზრებები.

კობა იმედაშვილს კი ჰგონია, რომ ტერმინს „ახალი ადამიანი“ დღემდე სწორად არ ხმარობდნენ და დღეის შემდეგ იგი თანაბრად უნდა გამოიყენებოდეს ახალი ცხოვრების მშენებელთან, მეტრთან თუ პარაზიტთან დაკავშირებით. ეს დასკვნილ მერე იგი ყველგან, სადაც ლიტერატურაში ახალი ადამიანის სახეზე მსჯელობს, იძულებულია ასეთი განმარტებებს მიმართოს: „ახალი ადამიანის, — ახალი ცხოვრების მშენებლის სახე“... „ახალი ადამიანი, ახალი ცხოვრების შემქნელი“ და ასე შემდეგ. ეს კი კიდევ უფრო ართულებს საქმეს. ყოველ შემთხვევაში, ტერმინებს უფრო ნათელსა და გასაგებს არა ხდის.

ჩემი აზრით, კობა იმედაშვილის მთელი ეს დავა (ბევრწლიან დაფიქრებაზეზე დაფუძნებული დავა) ნაკლებსარგებლიანია. არ არის აუცილებელი ახალი ცხოვრების მშენებელსაც, მტერსაც, პარაზიტსაც, ან სხვა „კონცეპტუალური“ სახეების ჯგუფს ახალი გამაერთიანებელი ტერმინები ეუძებნოთ. მათ ყველას აერთიანებს ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „მხატვრული სახე“, „ლიტერატურული გმირი“, „ლიტერატურული ტიპი“. ვფიქრობ, ესეც სავსებით საკმარისია, ხოლო როგორია ესა თუ ის გმირი,—დადებითი, უარყოფითი, ზედმეტი ადამიანის სახეა თუ სხვა, — ეს ანალიზით გაირკვევა. რაც შეეხება „ახალ ადამიანსაც“, „ახალ გმირსაც“ და „დადებით გმირსაც“, ისინი საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში ძირითადად ახალი საზოგადოების მშენებელი ადამიანის მხატვრულ სახესთან დაკავშირებით იხმარება და მათში ახალი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო შინაარსის ჩატვრის ცდა ტერმინოლოგიურ ლუვნურ აღრევას და გართულებას გამოიწვევს მხოლოდ.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო კრიტიკას უთუოდ სამართლიანად მიაწერენ ბევრ ახალ და საინტერესო თვისებას. უპირველეს ყოვლისა, ესაა დაკვირვებული და ჩაღრმავებული კვლევა მასალისა, მხატვრული ნაწარმოების იდეურ-მსოფლმხედველობრივი და ლიტერატურული ანალიზისაკენ სწრაფვა. ამ მხრივ თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკა ბევრად უფრო სწორია იდეოლოგიურად და საინტერესო — ლიტერატურულად, ვიდრე — წინა პერიოდების, რომლებიც დადასმული იყო სოციოლოგიზმით და, კიდევ უარესი, ვულგარული სოციოლოგიზმით.

„ახალი“, თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის დონის განმსაზღვრავი, მისი თვის ტონის მიმეცემი ის წერილებია, სადაც ეს სინთეზი იდეურ-მსოფლმხედველობრივი და ლიტერატურული კვლევისა ჰეშმარიტ აზრსა და უტყუარ გემოვნებაზეა დაფუძნებული. გასულ წელს „მნათობის“ ფურცლებზე რამდენიმე ასეთი ხასიათის წერილიც დაიბეჭდა. ეს სრულიად განსხვავებული ხასიათის წერილები, გარდა იმისა, რომ ბევრის მთქმელია, ბევრ რამეზე ჩაფიქრებს კიდევ მეითხველს, ეგეც ზოგჯერ ლიტერატურული დაეის სურვილიც აღუძრას, მაგრამ არ შეიძლება მათში არ ოგრძნო და არ დანიახო დღეკანდელი სალიტერატურო კრიტიკის საუკეთესო თვისებები და ნიშნები.

მაგრამ დღეკანდელი სალიტერატურო კრიტიკისათვის დამახასიათებელი ეს სიახლეები, პირველ რიგში, თვით დრომ მოიტანა. ხოლო ამ დროის მიერ მოტანილი სიახლეების გამო კი ზოგ ქართველ მწერალს, მთ შორის კრიტიკოსსაც, თითქოს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, რომ ეს ყველაფერი მეტწილად მათი წყალობა და დამსახურება იყოს, ამ ნიადაგზე კი მათ საკმაოდ შესამჩნევი თვითკმაყოფილებაც დაეტყოთ. აი, ეს კი მართლაც ინფექციური სენია და მას ზურგი უნდა ვაქციოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუჟი

„სასწაულს მხოლოდ დიდი ტრფიალი გადეგს“

ლიტერატურის ქარნახიდან პოეზია ყველაზე ახლოა ხალხთან და ყველაზე მეტად მოითხოვს ხალხურობას, სისადავეს, ახლის გრძნობას, შინაგან ჰარმონიას. სწორედ ამ ნიშნთვისებებთ ხასიათდება კ. ნადირაძის საბჭოთა სინამდვილით შთაგონებული ლექსები. „წითელი მოედანი“, „გაბასხებულ ქუთაისს“, „კოლმეურნე ქალს“, „თბილისის ღილა“ და სხვ. მკაფიოდ მეტყველებენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში მომხდარ დიად სოციალურ გარდაქმნებზე, რაც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედის უშრეტი წყაროა, არამედ თვით კ. ნადირაძის სულიერ გარდაქმნაზეც. იმაზე, თუ როგორი ემოციური ძალით მოქმედებს ჩვენი სოციალისტური სინამდვილე მწერლის მხატვრულ ფანტაზიაზე.

პოეზია ადამიანს უმსუბუქებს დარდს, მწუხარებას, კერნავს სულიერი ტკივილებისაგან, ფრთებს ასხამს და ამშვენებს ადამიანის სიხარულს, დასახული მიზნის მისაღწევად ძალ-ღონეს. უნარს მატებს, აძხეებებს და ამაღლებს, ენამარება სიყვითს დამკვიდრებისათვის ბრძოლაში, ცხოვრების აე-კარგის გაგებასა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის რეალისტურ აღქმაში. პოეზიის ამ სასპეტო ფუნქციაზე ლაპარაკია ლექსში „პოეტს“. აქ ავტორი ემყარება მხატვრული ლიტერატურის დანიშნულების ტრადიციულ გაგებას და თანამოკალმეს მიმართავს:

მოდექ პირისპირ და გაშალე მაღალი შუბლი,
მიეცი თავლებს ირწეგების შორსმჭვრეტი ძალი,
რომ შენი სიტყვა — კაცთა გულის მგმირავი შუბი, —
გარდიქცეს სიბრძნის და სიმტკიცის ხერხემლის ძვალად.

რასაკვირველია, პოეზია სიბრძნის დაუშრეტელი წყაროა, მაგრამ წყრილი ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს, თუ ის მკითხველს მხატვრული სახეების ნაცვლად განყენებული სილოგიზმით ესაუბრება. თუ ნაწარმოებში სიბრძნე თვითმიზანია, მაშინ მას არ შეიძლება ექნეს მხატვრული ცხოველმყოფელობა. დიდაქტიზმმა როდი უნდა შეანელოს ნაწარმოების ემოციური სიმახვილე. კ. ნადირაძის ლექსები იმიტომ ეუფლება მკითხველის გონებასა და სულს, რომ მათში აზრი გამოთქმულია ცოცხალი ფორმით, ნათლად, დინამიკურად და პოეტური აღმოფრენით.

ყოველი ნაწარმოება, ლექსი იქნება იგი, მოთხრობა თუ პიესა, უნდა ემყარებოდეს და ემსახურებოდეს თანამედროეობის სულისკვეთებას, გამოხატავდეს ეპოქის მაჯისცემას, ჩვენი დროის ადამიანის შინაარსიან ცხოვრებას, მის შრომასა და ბრძოლას კომუნიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის. ეს არის საბჭოთა ხელოვნების ძირითადი დებულება. სწორედ ხელოვნების, ლიტერატურის, კერძოდ, პოეზიის ამ მეტად სპპატიო ამოცანის მხატვრული განზოგადებაა ლექსი „პოეტს“, სადაც ასეთი სტრიქონებია: „წინასწარმეტყველს, ადამიანს, ეუმშარატ მგოსანს უნდა გზიბლავდეს ბრძოლის ცეცხლი. ხალხთა ერთობა“. „შეეფინერების უკვდავება, ეპოქის სუნთქვა — უნდა გარდიქცეს შენი სულის მომრავ ძალებად“. ეს მოწოდება მკვეთრად გამოხატავს კ. ნადირაძის სულიერ ინტერესებს, მის დღეკანდელ კონცეფციას, რომლის ამოსავალი წერტილია თანამედროვე ნათელი სინამდვილე და დიადი მომავალი. ამიტომ ვამბობთ, რომ ამ ლექსს დოკუმენტების ძალა და მნიშვნელობა აქვს. კ. ნადირაძე, როგორც „ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრი, იცავდა ეუშარატებისადმი შეუსაბამო შემოქმედებითს პრინციპს: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. მაგრამ შემდეგ მიიღო რევოლუციი, აღიარა სოციალისტური მშენებლობის პათოსი და ახლა მისთვის ხელოვნება წარმოადგენს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნე-

ლობის მოვლენას, საკაცობრიო სიკეთეს. სწორედ ხელოვნების მიზანდასახულების ასეთი ახლებური გაგების გამოძახილია ლექსი „პოეტი“.

ზღვის თემას კ. ნადირაძის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს („ზღვა მაგიდაზე“, „განთიადი ზღვაზე“, „ზღვისპირას“, „ზღვასთან“, „დაფერკრება ზღვასთან“ და სხვ.). ეს შემთხვევითი როდია. ზღვა თავისი ბუნებით ახლოსაა პოეზიასთან, სიცოცხლის მარადიულ მოძრაობასთან (მითოლოგიის მიხედვით ზღვა იყო „აკეანი ცოცხალი ორგანული სამყაროსი — ბუნებისა, რომელიც ანსახიერებს სილამაზეს). ზღვა მუდამ იყო, არის და იქნება პოეტური შთაგონების საკანი, როგორც ცხოვრებისეული მოელვარების განსახიერება. გ. ტაბიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზღვასა და სიმშვიდეს სძენო ერთმანეთო“. კ. ნადირაძისთვისაც ზღვა ფერუცვლილი სილამაზის, მარად ბოროტმოქმედ ცხოვრებისა და დაუცხრომელი სიყვარულის პოეტური სიმბოლოა.

მე ზღვის კენჭები მიწყია თასში,
ყრამბიდან მიყვარს მათი ციალი,
ჩემს მაგიდაზე ისე ვით ზღვაში,
მუდამ გაისმის ტალღის შრიალი.

ეს სტროფონები კარგად მიუთითებს კ. ნადირაძის პოეტურ ტემპერამენტზე, მის დაუცხრომელ და მუდამ მოელვარე ბუნებაზე.

კ. ნადირაძის პოეზიის ღირსება მარტო თემატიური მრავალფეროვნება და სიახლე კი არ არის, არამედ ცხოვრებისა და ბუნების მოვლენების მაღალხატოვნად გაჯერებაცაა. მის პოეზიაში უხვად არის გამოყენებული ბუნების სახეები, ფერები და ხმები. კ. ნადირაძის პოეტურ ნაწარმოებებში ადამიანის განცდები და ბუნების ხერხთები ურთიერთშერწყმულია, ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ლექსები „ბუნების ენა“, „შემოდგომის სტუმრობა“, „აყვავებული ტყეშლები“, „ხის სიკვდილი“ და სხვ. ადამიანს აახლოებს ბუნებასთან — სიკეთის უშრეტ ძალასთან. ამ ლექსებში გამოხატულია სიცოცხლის უკვდავების იდეა. ასი წლის მუხის სიკვდილი („ხის სიკვდილი“) ვერ არღვევს ტყის ჰარმონიას, ვერ აფერმკრთალებს ტყის ცხოვრებას — ყველაფერი ძველებურად რჩება.

და ისევ ისე ამწვანებული
ტყე იდგა სავსე ჩუმი სიგრილით, —
ნიავის ქროლვით აყდერებული,
ამღერებული მზითა და ფილით.

ლექსი „აყვავებული ტყეშლები“ არის სიცოცხლისა და სიყვარულის აფეთქება, ოპანიანი შეძახილი გაზაფხულისადმი, პოეტებს უკვდავებას რომ აგრძნობინებს და ოპტიმისტური სულით რომ მსჭვალავს.

გაზაფხულია. თეთრი ტყეშლების
მხურავს სიწმინდე და მოფერება.
ო, გამარჯება, შვების ცრემლებო, ეროვნული ბიბლიოთეკა
სიცოცხლეს, მზეს და ბედნიერებას!

რაც შეეხება ლექსს „ბუნების ენა“, ის არის ჭეშმარიტი ჰიმნი სიცოცხლის წარმოშობისა ბუნებისადმი, იმ მადიერი ძალისადმი, რომლის სიდიადე და ძლევამოსილება მთელი თავისი ცხოველმყოფელობით მოქმედებს ყოველ სულდგმულზე, განსაპირობებს სამყაროს კანონზომიერ მოძრაობას, განგვაცდევინებს დიდ სულიერ მოელვარებას და ღრმად გვაბედებს საგანთა და მოვლენათა იდუმალ წიაღში. პოეტის ფანტაზია ალიქვამს ბუნების მთელ ჰარმონიას, რომელიც უხილავი ძალით ერთ დიდ სიმღერად აერთებს ფოთლების შრიალს თუ ჩიტების ციურტყლს. ამ ლექსში ნათლად ჩანს, რომ პოეტს მთელი თავისი არსებით უყვარს ბუნება, რომელიც პირველი წყაროა ყოველი წარმტაცისა და მშვენიერისა, შემოქმედია მიუწვდომელი სრულქმნილებისა და დამბადებელი ყველაზე ღვთაებრივი არსებისა ამქვეყნად, რომელსაც ადამიანი ეწოდება:

იყურთხოს ტოტი, სადაც ფოთლებით
გადადაფარული ისვენებს ჩიტი,
ბუჩქებში ცვარი რომ ციოთქლება
და გასაშლელად გამსცდარი კვირტი!
იყურთხოს წამი პირველ დანახვის,
თუ იგი ვინმეს ახარებს სადმე,
წამი დიადი ბავშვის ჩასახვის
და სიყვარული სულდგმულისადმი!

ერთი სიტყვით, თუ ადრე პოეტი შეპყრობილი იყო მძიმე სულიერი განწყობილებით, რამაც მკვეთრად ჩაინა თავი მის იმდროინდელ ლექსებში („შურიგება“, „გასაუბრება“, „ჩემს ლანდს“, „უკანასკნელი გამგზავრება ორეულთან“ და სხვ.), ახლა ხალისიანია და აქტიური მოქმედებს სურვილით, სიცოცხლისა და მზის სიყვარულითაა შთაგონებული.

რადგან დღეს ხარობს სამშობლო ჩვენი,
ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მიწა,
რადგან ეს გული სავსეა რწმენით,
და, ეცესლად ქეიფ ზეაღმფერენთ,
ამ დიდ სასწაულს უმღერს და იცავს.

ეს სტროფონები ზემოთქმულის ცოცხალი დადასტურებაა.

ქართული სამშობლოა პატრიოტული ლირიკა ზდდარია მაღალმხატვრული და მაღალიდეური პოეტური ნაწარმოებებით. მათ რიცხვს ეკუთვნის „შენ ხარ ვენახი“, „მე მიყვარს დილა“, „თბილისის დილა“ და სხვ. პირველი ლექსის სტრიქონები სენთიმენტალურ ქვეელ ქართული სიგალობლისა და მშობლიური მიწის სითბოთი. ლექსში „მე მიყვარს დილა“ პატრიოტული გრძნობა რადაც საოცარი ძალით მეტყველებს. „თბილისის დილაში“ ძალიან კარგად არის გამოხატული ჩვენი დედა-

ქალაქის კოლორიტი, თბილისის განწყობილება, შრომა და სიხარული.

კ. ნადირაძის პატრიოტული ლირიკაზე რომ ვსაუბლობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ლექსს „ბევრი არ მითქვამს, მამული, შენთვის", სადაც პოეტი ლაპარაკობს თავის თავზე, როგორც მოკრძალებულ და თავმდაბალ პატრიოტზე.

საგულისხმოა ლექსის ფინალი, სადაც ის ეზრია გადმოცემული, რომ დიდი და ჭეშმარიტი სიყვარული შმობლისადმი არ მოითხოვს სიტყვამრავლობას, რადგან ამ სიყვარულის სიდიადე ისედაც დღესავით ნათელია.

სანტრფესო ლექსია „იმერეთი". აქ ჭეშმარიტი მხატვრის ფუნჯით გაკოცხლებულია იმერეთის ფანტასტიკური კოლორიტი, პეიზაჟი, მიდამო, სადაც თავისი ბავშვობისა და სიყმაწვილის წლები გატარებია პოეტს. ლექსი აღბეჭდილია მეოსნოს სწრაფვით განუყრელად დაკავშირებული იყოს იმ გარემოსთან, სადაც ფეხი აიდგა და პირველად იგრძნო თავისი სამშობლოს სიდიადე, ალეძრა მზიური სინათლის შუქით მოფენილი მშობლიური მიწა-წყალს, კორდებისა და ზეირების სიყვარული საერთოდ. პოეტს ყველაზე დიდსა და ნათელ ბედნიერებას სამშობლო ანიჭებს და სამყაროს დაეცხრომელ სურვილსაც ის იწვევს მასში.

ჩვეულებრივი სიტყვების გარდაქმნა ემოციურ სახეებად და მოხდენილნ თქმებად შეეძლია მხოლოდ პოეტს. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს ლექსი „ასი წლის შემდეგ", სადაც ვკითხულობთ: „სასწაულს მხოლოდ დიდი ტრფიალი ბადებს". მარილაც საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე არაფერი სერიოზული არ შექმნილა დიდი სიყვარულის გარეშე. ამ ლექსში პოეტი წარმოდგენილია ერთგულ მსახურად, ხოლო პოეზია დიდ სულიერ ძალად, რომელიც წარმოიშობა დიდი ტკივილების ან დიდი სიხარულის შედეგად. და, მართლაც, მხოლოდ ღრმა და მართალი განცდით დაწერილ ნაწარმოებს შეუძლია ააღელვოს და ადაფრთოვანოს მკითხველი, დადებითი ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის ეთიკურ და ემოციურ მხარეზე. ჩარლზ დარვინი ამბობდა, ჩემი ცხოვრების ხელახლა გავლა რომ მომიწიოს, წესად შემოვიღებდი, გარკვეული რაოდენობის ლექსები მეკითხა და გარკვეული რაოდენობის მუსიკა მომესმინა, იქნებ ამ გზით მომეხერხებინა ჩემი ტვინის ყველა იმ ნაწილის აქტიურობის შენარჩუნება, რომელიც ახლა ატროფირებულიაო. დიდი მოაზროვნის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ სასარგებლო გაკეთნას ახდენს გონებრივ უნარიანობაზე ჭეშმარიტი ლექსი.

კ. ნადირაძის ლექსები დაწერილია ძლიერი შინაგანი ენერგიით. პოეტის ემოციური სამყარო თუ რაოდენ ღრმა და ვრცელია, ამას შესანიშნავად დასტურებს ლექსი „ძველი დოქი", რომელიც ორიგინალური პოეტური გააზრებითა და ხასიათდება. ყოველივე ძველი, რასაც ჩვენი ერისათვის ერთდროს ღირსეული სამსახური გაუწევია, ახლა დაფასებისა და პატივისცემის ღირსია, თუნდაც იგი ძველებურ შნოსა და ლაზათს მოკლებული იყოს. ამ შემთხვევაში დოქი პოეტური სიმბოლოა იმ კეთილშობილებისა, რაც სიყვარულსა და ეკაკაცობას ზღაპრული ელექსირით ასაზრდოებდა:

დამიყენ გვერდით და სათუთად შემასვ ხელი,
რადგან სიყვარულს, მეტად ვიდრე მტრობას,
სიძლეველს
მე ვემსახურე როგორც შვებით გამომსახველი,
რადგან მე მხოლოდ გმირს და მიჯნურს
ვუქადაგი წყურვილს.

აქ შეიძლება მინიშნებადაც იყოს თვით კ. ნადირაძის პოეზიის ხასიათზეც.

მკითხველ ყველაზე უფრო მეტად ის აინტერესებს, რაც მის ირგვლივ და რაც მისი დროის ადამიანის სულში ხდება, — ფსიქოლოგიურად ამისათვის უფრო მომზადებულია. ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენი მწერლობის მთავარი თემა თანამედროვეობა უნდა იყოს. მაგრამ ისიც სწორია, რომ მკითხველის ყურადღებას ჩვენი ხალხის გმირული წარსული იპყრობს. „თუ წარსული არ იცი, — წერდა მ. გორკი, — შეეძლებელია დღეკანდელი დღის ეზრი და მომავლის მიზანი გიგიო". ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ საბჭოთა ლიტერატურაში საბჭოთა ხალხის ისტორიული წარსულის ამსახველ თემებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ქართველი პოეტებიც, პროზაიკოსებიც, დრამატურგებიც მომართავენ მდიდარ მატიანეებს და ჩვენი სახელოვანი ისტორიის ყველაზე რომანტიკული და დრამატული ეპიზოდებით ქმნიან და შექმნეს კიდეც მრავალი საყურადღებო, შთამაგონებელი და შემეცნებითი მნიშვნელობის ნაწარმოება. მათ რიცხვს ეკუთვნის კ. ნადირაძის „სამი ჰრიდილი", „კრწანისის ტრაგედია", „ასპინძის ომი" და სხვ. რომელთა დედაარსს შეადგენს საშინელი, სამკედრო-სასიკვდილო ბრძოლები, ჩვენი ხალხი რომ აწარმოებდა ეცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ; თავდადება და გმირობა, რასაც მამულშვილები ამ ქალაქებდნენ სამშობლოსათვის ყველაზე გადამწყვეტ წუთებში.

ამ ლექსების გამო ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველის პატივისცემას და მოწონებას მხოლოდ იმ მწერლის ნაწარმოება იმსახურებს, ვისაც ჭეშმარიტად და ნამდვილად უყვარს სამშობლო და ვინც თავის უბადლო სიყვარულს სამშობლოსადმი მეტიდრიდ უკაკაცურებს მთელი კაცობრიობის სიყვარულს. კ. ნადირაძის ლექსებს იმიტომ

ვლადიმერ ჯიბუტი

„სასწაულს მხოლოდ დიდი ტრფიალი ბადებს"

ვაძლევთ ესოდენ მაღალ შეფასებას, რომ მთი ავტორი გამსჭვალულია ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ყველა ეროვნების მშრომელებისადმი სიყვარულის ღრმა და ადამიანური გრძნობით. ეს არის მისი ყველაზე დიდი ადამიანური ღირსება, რამაც საერთოდ განაპირობა ნადირაძის ნაწარმოებების მაღალი ხარისხი და წარმატება.

მსოფლიო კლასიკური პოეზიისადმი უდიდესი სიყვარულით არის აღბეჭდილი ლექსი „საადი-ჰაფიზ“. შაჰ-აბასების შემოსევამ ქართველ ხალხს განუზომელი უბედურება და მწუხარება მოუტანა. მაგრამ ეს როდი ანელებს პოეტის პატივისცემას სპარსული ლიტერატურისადმი.

ითქვენ ვერ ხედავდით
თქვენს მოძმეთა ავაზაკობას,
შაჰ-აბასების ვერაგობას,
ხალხის მოსპობას...
საადი-ჰაფიზ,
თქვენ ამაში არ გიდევთ ბრალი!

„მაგრამ მხიბლავი თქვენი ლექსის სტატო და ალი ნუთუ არ ჩაწვდა ბარბაროსების ღვთაებრივი ძალით და ვერ გაათბო მთი გული, ბედკერული გული, რომ ამოწყდიდი კვლავ ქარქაშში ჩაეგოთ ხმალი?!“ დასმული კითხვაზე თვით პოეტი იძლევა სავსებით სწორსა და უაღრესად საგულისხმო პასუხს:

ავაზაკებს და
კაცთმოძულეთ
მარადიული
როდის უგრძნიათ
პოეზიის
მადლი ციური?!

და მართლაც, პოეზიის როდი შესწევს იმდენი ძალა, მოაქციოს ბუნებით უგულო, სულით მახინჯი, ვერაგი და ტლანქი ადამიანები.

რუსთაველმა თავისი მხატვრული შემოქმედებით უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ამიტომ აღიარა იგი ქართველმა ერმა თავისი ზნეობრივი რაობის საზომად, თავის სულიერი ცხოვრების კოდექსად და ყოველივე იმის საწყისად, რაც კი მისთვის დიადი და ამაღლებულია.

ქართულ სინამდვილეში რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის შემდეგ ყველაზე უფრო ახლო ხალხთან თავისი პოეტური მემკვიდრეობით, თავისი გულისშემძვრავი ინტიმური ლექსებით აკაკი წერეთელი მიეფინა. ქართველ ბავშვებს დედები ხომ აკაკის „იავნანით“ აძინებენ, მისი პატრიოტული სიმღერებით ავაკაცებენ და სიცოცხლის გამოსათხოვარი მელოდიაც ხომ მისი ამაღლებული და სულისშემტკივნეველი „თავო ჩემოა“. კ. ნადირაძეს ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა მან რუსთაველს, ილიასა და აკაკის უაღრესად შთაბეჭდავი სტრიქონები მიუძღვნა.

საქართველოსთან ძმეიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული ლიტერატურის კლასიკოსთა ბუშელის შემოქმედებითი ყვავილობის წლები. დიდი რუსი მწერალი არა მარტო მოხიბლული იყო ქართული კულტურით, ქართველი ხალხის შრომისმოყვარეობით, სტუმარმასპინძლობით, პატიოსნებითა და ყოველივე იმით, რაც ჩვენი ეროვნული ღირსების კრიტერიუმს წარმოადგენს, არამედ ღრმად გრძნობდა და განიცდიდა ტკივილებს, მთელი ჩვენი ცხოვრების აკვა და კარგს. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ქართველები სიყვარულითა და მადლიერებით იხსენიებენ ბუშელის სახელს, ხოლო ჩვენი პოეზია ესოდენ მდიდარია დიდი პოეტისადმი მიძღვნილი ღრმა შინაარსის შემცველი ლექსებით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. ნადირაძის „ბუშელს“, რომლის ყოველი სტროფი ბრწყინვალე ტალანტის პაოთეოზია.

კ. ნადირაძის პიროვნება ნათლად ჩანს ლექსში „სათქმელი ჩემი“. ეს არის ლირიკული აღსარება, აპტობიოგრაფია. მასში გამოხატულია პოეტის ზნეობრივი სამყარო, შინაგანი მე, ცხოვრების ის დიდი და რთული გზა, რომელიც მან განვლო პირველი ლექსის გამოქვეყნების (1916 წ.) დღიდან დღეკანდლამდე. „არ მაკვირვებდა არც სიმღიდრე, არც უქონლობა, თუმცა ორთავე მე საკმაოდ მაქვს გამოცდილი, ტანჯვის, ტკივილის გადატანაც იყო ადვილი, რადგან მე მწამდა მხოლოდ ერთი ღმერთი ნამდვილი. მხოლოდ ერთი, ნამდვილი ღმერთი: ჩემი მამული, მისი ენა, სიტყვა ქართული — ჩემს სულში ტკბილად ჩაფენილი და გამართული“... როცა ისეთი პოეტი, როგორიც კ. ნადირაძეა, თავის თავზე ლაპარაკობს, ამით გამოხატავს პატრიოტი მოქალაქის განზოგადებულ სახეს.

კ. ნადირაძე ლირიკოსი პოეტია, მაგრამ მისი ბევრი ლექსისთვის დამახასიათებელია სიუჟეტურობა, თხრობა, ეპიკური პოეზიის ელემენტები, ხერხები („წეროშამერიდან საგურამომდე“, „სამი ამრდილი“, „ეროვნისის ტრაგედია“, „ასპინძის ომი“, „წითელი მოედანი“ და სხვ.). ეს ლექსები საუკეთო ნიმუშია ლირიკული და ეპიკური საწყისის განუყოფელი კავშირისა პოეზიაში.

კ. ნადირაძეს გამოთქმის, სიტყვის, ფრაზის სიზუსტე მიაჩნია პოეტური შემოქმედების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად. აქედან გამომდინარე მისი სტილი ლაპიდარულია.

კ. ნადირაძე ერთ-ერთ ლექსში ამბობს:

არც ერთი ცრემლი არ დაკარგულა,
ლოცვად გარდაქმნნ თუ მას ელიზსა!

მართლაც, სალი იდეით, ნათელი გრძნობით, ხალხის სულისკვეთებით, ცხოვრების რწმენით აღბეჭდილ ლექსს ხალი ინახავს, როგორც თავის ძვირფას განძს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ კიკნაძე

«ესე ამგავი სპარსული...»

ჩვენს დრამდე რომ არ მოეღწია რაიმე წარიღლობით მატიანეს, ენის მონაცემები მაინც შეგვიდგენდა ერთგვარ სურათს ჩვენი ერის ისტორიული ბედისას. თუმცა ეს იქნებოდა ერის თავგადასავლის მხოლოდ ჩონჩხი, მაგრამ ცოცხალი და თვალსაჩინო ელემენტებისაგან აგებული, იმ ფენომენში მოცემული, რომელსაც თან დაატარებს ყოველი მეტყველი და ხმარობს ყოველდღიურ ყოფაში. ეროვნული კრებულის თვითეული წევრი — მემკვიდრე ერის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრებისა — თავისი საკუთარი სახელით ავლენს ყოველი დროის კონტექტებს, რაც კი მომხდარა მისი ერის წარსულში. ენის მასალა თვითვე ატარებს მისი პატრონი ერის ისტორიას. ვახტანგ, ზურაბ, ერეკლე, კონსტანტინე, თამარ, თენგიზ, თემერ, ომარ, ვლადიმერ... ორსნული (ქელი და ახალი), ბერძნული, ლათინური, ებრაული, თურქულ-მონღოლური, რუსული საკუთარი სახელები, რომლითაც დღემდე იწოდება ქართველი კაცი, წარმოაჩენს ქართველი ერის განუწყვეტელი ურთიერთობის ფაქტს გარეშე ხალხებთან. ასევე ენის წიაღში ჩანერგილია ჩამოთვლილი ენების ლექსიკური ძირები. „ინტენსიურ-კულტურულ გავლენას ყოველთვის თანსდევდა ინტენსიური მოწოლა უცხოენოვანი ლექსიკისა“ (ჰერმან პაულ).

ქართველმა მკითხველმა (თუ იგი თავგამოდებული პურისტიც არის) ზერელედ მაინც რომ გადახედოს სიტყვების სიას, რომელიც დარჩენილი აქვს მ. ანდრონიკაშვილის წიგნს „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“, შეიძლება ი. გრიშაშვილის კვლობაზე თქვას („ბოჰემიდან“): „თურმე წმინდა ქართული ენა არცა გვქვს და არც გვქონია“. მაგრამ განსაკენებული პოეტს თავის ანეგდოტს იმგვარად ამთავრებს, როგორც შეპფერის თავისი ენის სიძლიერესა და ბუნებაში ღრმად ჩახედულს, რომ „ენის სიწმინდე არა თავისებური სიტყვებია, არამედ თავისებური სინტაქსი“; მე დავუმატებ: თავისებური არტიკულაციაც, ქართველი კაცის სამეტყველო ასპი, რომელიც მუცლადღიებს და ხელაღლა ბადებს ნებსით თუ უნებლიეთ შემოსულ ყოველ სიტყვას, აფორმებს, ვითარცა ინერტულ მასალას და სამუდამოდ თავისად აქცევს.

ქართული (არა მარტო ქართული) ენის ისტორია გვიჩვენებს, თუ რა დომინირებს ენაში, საითკენ უნდა მიემართებოდეს პურისტების ცდები უპირატესად, რა საფრთხეა მოსალოდნელი. იგივე ისტორია აშკარად გვიჩვენებს, რომ ლექსიკური ბარბარიზმის ცნება პირობითი რამ არის. ის, რაც ისტორიის ერთ მონაკვეთში უცხო (ბარბარიზმი) იყო, დღეს უმშობლიურეს სიტყვებად გვიჩვენება და არც ეტყუვებთან. ენის ენერგიას უცხონიეთიერი მასალა იმდენად გარდაუქმნია, რომ დღეს უაზროა ლაპარაკი უცხო ელემენტებზე ქართულში. წიგნის ავტორი სამართლიანად წერს: „ყველაზე ძველი ნაწილი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც უბრალო ნასესხობანი, ისინი შედიან მისი ლექსიკის ძირითად ბირთვში“ (გვ. 8).

რისი წყალობით ხდება უცხო „სხეულის“ გამშობლიურება? აქ გადამწყვეტია ენის „სული“, ანუ ენის „შინა ფორმა“, რომელიც ერთგვარად უპირისპირდება ნივთიერ მასალას, მასზე ბატონობს. რაც უფრო ხანგრძლივია ეს ზემოქმედება, მით უფრო ასიმილირებულია უცხო მასალა მშობლიური ქსოვილიდან ძნელი გამოსარჩევი. ენის სული, ანუ შინა ფორმა მოქმედებდა ძველად, მოქმედებს დღეს და კვლავაც იმოქმედებს. ამიტომ, მგონია, ბევრი დღევანდელი პურისტის კატასტროფული შიში ენის შერყვნის გამო, უკეთეს შემთხვევაში, ენის სულის უგულებელყოფაზეა დამყარებული, ან (რაც უარესია) მის ენერგიაში რწმენის სისუსტით არის გამოწვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს შეუძლებელია იმ მომენტის ფიქსირება და დათარიღება, როდესაც წმინდა და შეურეველი ქართული ენა არსებობდა (იყო კი ოდესმე ასეთი მომენტი?). ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, მოიპოვება უძველესი, პრეისტორიული მონაპოვარი, მაგრამ გაძნელებულია მათი იდენტიფიკაცია. ბოლო ხანს გაცხოველდა ძიებანი ქართულში ინდოიევროპული პლასტების აღმოჩენისაკენ. მაგრამ სახელდობრ რომელი ინდოევროპული ენა შეხდა უძველეს ხანაში ქართულს, ძნელი გასარკვევია, რადგან საქმე ეხება ბაკადარ და უმწერლობო ენებს, რომელთა მატარებელ ხალხს ოდესღაც გადმოუვლია ჩვენს ტერიტორიაზე. ან ჩვენ მოეხვედრილვართ მათ სფეროში. „არანამდვილქართული“ სიტყვები იმდენი ხნის განმავლობაში ტრიალებენ ჩვენს ლექსიკონში, რომ სესხებადაც ალარ ჩაითვლებიან (მათი შემოსვლა ჩვენი ცნობიერი ისტორიის ფარგლებს გარეთაა). ისინი უკვე დიმორფირდნენ ჩვენი ენის კანონებს, რომლებიც ოდესღაც მოქმედებდნენ; ფიგურალურად რომ გამოვთქვათ, მათი ზიარება უხსოვარ დროშია მომხდარი, „ქეეყნის გაჩენამდე“. მათთან ერთად განვლილია როგორც ენის, ისე ერის ისტორია.

ქართული ენის ლექსიკაში უძლიერესი ნაკადი ირანული ენებიდან მომდინარეობს. ესაა შედეგი პირველი კონტაქტებისა, რაც ჩვენი მატარანის ცნობიერ ფარგლებში ძევს. იგი მოდის „ქარნოლის ცხოვრების“ პირველი ფურცლებიდან.

მ. ანღრონიკაშვილის წიგნი პირველი ფუნდამენტური ნაშრომია არა მხოლოდ ირანულ-ქართული, არამედ საერთოდ ქართულ-ევროპიული სფეროში. წიგნი მრავალი წლის მუშაობის შედეგია, და მით უფრო მძიმე ტვირთად მოჩანს იგი, უკეთუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენში არ არსებობს ქართველური ენების განმარტებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონები, თავმოუყრელია ქართული დიალექტების ლექსიკა. ეს გარეშეთა, რა თქმა უნდა, ზღუდავს ამ ნაშრომის დიაპაზონს, მაგრამ თვით ავტორიც აღიარება, რომ მისი შრომა „არ არის საკმარისი ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად“. ეტორი ჯერჯერობით იძულებული იყო კვლევის სფერო შემოეწიოდა კლასიკურ ქართულში (V-XV სს.) დადასტურებული ლექსიკით, დაყოფნობოდა მხოლოდ წერილობით ძეგლებს და ადგილ-ადგილ მოემშვენებინა დიალექტური თუ სხვა მასალა.

ძირითადი ღირსება ამ ნაშრომისა ის არის, რომ ირანულიდან შეთვისებული ლექსიკა აღებულია არა ზოგადად, არამედ დიფერენციალურად. ცნობილია, რომ ირანული ჯგუფის ენები მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა ინდოევროპული ენების სხვა ჯგუფთაგან. აქ უნდა გათვალისწინებულიყო სხვადასხვა დიალექტური წრეები და მათი განვითარების პერიოდები. ენობრივი კონტაქტი ყოველთვის კონკრეტულია, ... არ იქნებოდა საკმარისი მხოლოდ იმის ... ნა, რომ ესა თუ ის სიტყვა წარმოშობილი ... ნილია. აუცილებელია მათი შემოსვლის გზებს მიკვლევა და შედეგისდაგვარი კონკრეტული დათარიღება. „შრომის მიზანია ამოსავალ ირანულ ფორმებთან შეპირისპირების საფუძველზე დაადგინოს აღნიშნული ელემენტების შემოსვლის გზები და დრო“ (ანოტაცია). ეს დიდად მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ამ ხანგრძლივ შემოტევებში თვით ირანული მოდგმის ენები ერთგვარი არ იყო. ეს სხვადასხვაობა პლასტებად არის ასახული ჩვენს ენაში. ნასესხები სპარსული ლექსიკა აკლესს ამ ენის განვითარების სამ ეტაპს მაინც: ძველს, საშუალსა და ახალს (ეს უკანასკნელი არ არის განხილული ნაშრომში, რამდენადაც ავტორი ჯერჯერობით მხოლოდ ანალებისა და ჰაგიოგრაფიის ლექსიკას ითვალისწინებს).

საინტერესო სურათი იქმება კვლევის შედეგებიდან: ერთი და იგივე ძირის სიტყვა ჩვენში რამდენიმეგზის შემოდის. უკანასკნელად ნასესხები იმდენად შორიდებია პირველს, რომ ენობრივი ალღო მათ შორის ეტიმოლოგიურ კავშირს ვეღარე კი ვრძნობს. რაა საერთო ეშმაცსა და შმაგს შორის? რა კავშირი აქვს ამ სიტყვებს ხაშმსა (სნეული, განრღვეული) და სიხაშმესთან (სნეულება), მაგრამ როგორც ირკვევა, ყველა ეს სიტყვა ერთი ძირიდან მომდინარეობს: ძველ სპარსული „აეშმა“, სშ. სპ. „ეშმაკ“, ახ. სპ. „ხეშმ“. რელიგიური თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ „ეშმას“ როგორც ფორმა, ისე მნიშვნელობა უფრო ახლო დგას ძველ სპარსულთან, ავესტურთან, ვიდრე სშ. სპარსულთან. მხოლოდ ავესტაში ნიშნავს აეშმა „ავესულს“ (გვ. 317). საინტერესოა აგრეთვე, რომ რუსთაველი „შმაგს“ მიჯნურის განსაბარავად მოიხმობს: მიჯნურიც ხომ ჯინით (ავსული) შეპყრობილია, ისევე როგორც შმაგი „ეშმაკეული“, „დემონიური“. როგორღაც „შმაგს“ ქეეკნიერ სიტყვახმარებაში დიდნის მნიშვნელობაც შერჩენია: „ებრძოდა შმაგს ბუბერაზი ნთელთა შეიღი“ (ვ. ბარნოვი). ზოროასტრიზმში განსწავლული ბარნოვი ამ სიტყვას ავესტური „აეშმას“ მნიშვნელობით ხმარობს (ნთელთა შეილი აპურამაზდას ნაშიერია, შმაგი — არიმანის).

ჯერე რამდენიმეგზის შემოდის ჩვენში „ბუნ“ ძირის შემცველი სიტყვები. ყველზე ძველი შენთვისებები „ბუნება“ უნდა იყოს, თუმცა წიგნის ავტორი მას საშუალ სპარსულ ხანას უკავშირებს (გვ. 297). მაგრამ ამ სიტყვის აგებულება გვიჩვენებს, რომ იგი ძველთაძველი სესხებაა (შეადარეთ მას ანალოგიურად ნაწარმოები სომხური სიტყვა „ბნუთ“ — ბუნება). ხოლო ფალაურიდან შემოდის ბუნაგი (ბუნაგ) — „საცხოვრებელი“, „სამყოფელი“ (გვ. 226) გაუფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებელი სახით ოგივე ძარი დადასტურებული კლასიკურ ქართულში: „ბუნ-თურქნი“ — ბუნებით, წარმოშობით თურქნი(?). ბუნი, ბუნიკი— ამავე ძარს უკავშირდება („რაისამე ბუდე, საფუძველი“ და სხვ.) საგულისხმოა ასტრონომიული ტერმინი „ბუნიობა“, აქედან „ნაბუნიობა“. აეტარის ეს სიტყვა ოსური „ბონ“-იდან „დღე“ გამოპყავს (გვ. 81). უფრო ნაკლებ დამაჯერებელია „ნაბუნიობაში“ თავკიდური „ნა“-ს უარყოფით ნაწილად ჩათვლა (როგორც ოსურ—„ნა-ბონ“-ში — „უდღეურობა“. „დღეململებობა“ (გვ. 82), ქართული ენის ბუნების მიხედვით ნაბუნიობა (ან ნაბუნიობა) უნდა ნიშნავდეს დროის მონაკვეთს, რომელიც ბუნიობს მოსდევს (შდრ. ნაშუადღეები და სხ.). გარდა ამისა ნაბუნიობი არა მხოლოდ დღის მოკლებაზე მიუთითებს (ეს ხდება იეფსის ნაბუნიობს), არამედ მის მოქმეკეზეც (დეკემბრიდან დაწყებული ნაბუნიობი).

საშუალ სპარსულიდან ქართულში შემოდის სიტყვა „ბაბუეი“ რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობით (სომხურში მნიშვნელობა არ უცვლია: „ბაბუკ“ — მარილი, მოხერხებული). ხოლო მოგვიანო ხანის სპ. სპარსულიდან ოგივე სიტყვა ნასესხებია უკვე დედნის მნიშვნელობით: „ბაეეი“ (გვ. 409). სპ. სპარსულიდან „ეეპარი“ (ეაარ — „ბაზარი“), ახალ სპარსულიდან „ბაზარი“ (უკვე დედნის მნიშვნელობით), გვ. 321. სხვადასხვა ხანაშია შეთვისებული სპარსული ძარის სიტყვები: განძი, განზანაკი (ფალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე საგულისხმო ნაკადად ქართულ ენაში ფრნდა მიეჩინოთ რელიგიური რწმენის მასახელი ლექსიკა. მ. ანდრონიკაშვილს აღნეულნული აქვს მთელი წყება ამგვარი სიტყვებისა, რომელთა მაზდეანური ან მანიქეური წარმოშობა ექვს არ იწევეს (ეშმა, ჯოჯოხეთი, იადგარი, კერპი, ზოარეა, ნიში, მოგვი, ტოზოეკი, ზატეკი, თვის სახელწოდება მორკანი და სხვ.). იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ქართულმა ქრისტიანულმა ენამ მემკვიდრეობად მიიღო და შეითვისა მაზდეანური რელიგიის ლექსიკა. ეს ფაქტი თითქოს ანალოგიურია იმ საყოველთაოდ ცნობილი მოვლენისა, რომ ქრისტიანული ტაძრები ძველი რწმენის ნატაძრალებზე შენდებოდა. მაგრამ რამდენად ჩაითვლება ირანული რელიგიების — ზოროასტრიზმის, მანიქეიზმისა და მითრიანზმის — გავრცელების შედეგად შემონახულად ისეთი სიტყვები, როგორიცაა მართალი, წმინდა და მისთ., რომელნიც თავიანთი ჰპბიტესით უძველეს ნასესხობად ჩანან (უკეთე ისინი უტყო წარმოშობის სიტყვებია); იმ უძველესი ხანისა, როდესაც ცნობილი სპარსული რელიგიები ჩვენამდე მოღწეული არც იქნებოდა. „წმიდა“ ძველი სიტყვაა, იგივე ძირს შეიცავს სიწმ-ისა, და გარდა ამისა მონაცვლეობა წმედ-წმიდ — ოგრეთვე მის სიძეკილს მოწმობს. უკეთუ საკუთარი სახელი „სპანდატ“ (წმიდის მოცემული), რომელსაც მკვლევარნი საშ. სპარსულიდან შემოსულად თვლის (გვ. 494), იგივე ძირს ატარებს, რასაც ქართული „წმინდა“, როგორ მოხდა, რომ ისინი განსხვავებული ფონეტიკური ფორმით მოხვდნენ ქართულში? რაც შეეხება „მართალს“, ამ მხრივ დიდი საცთურია ძველი სპარსული „ართავან“ (ავესტ. აშავან). რელიგიური შინაარსის სიტყვა „ართას, ღვთაებრივი სიმართლის მიმდეგარი“ (ართა — მორალური სინათლის, ე. ი. ს.ინმართლის განსახიერება). რელიგიურ ტექსტებში მისი სპარისპიროო „დრეგვან“—სიცრეის მსახური (დრეგის, სიცრეის მამდეგარი), რომელსაც ქართულში „რეგვენ“ ეწმაოქვა თითქოს. მაგრამ, ვინ იცის, ასეა ეს?

ამ სიტყვების — მართალი და წმინდა — შეგუების პროცესი იმდენად ზორს არის წასული, რომ გაძნელდება მათი შემოსვლის დათარიღება პირველ შემთხვევაში თუნდაც აქემენიდების ხანით, მეორე შემთხვევაში სამუალო სპარსულით. ძნელი დასაჯერებელი ეს სიტყვები მიეკუთვნოთო, როგორც წიგნის ავტორი წერს, „იმ რელიგიურ ტერმინთა რიცხვს, რომლებიც ქართულში შემოსული არიან ირანული რელიგიების — ჯერ ზოროასტრიზმისა და შემდგომ მანიქეიზმის ან მითრიანზმის — გავრცელების შედეგად და გადასწვის სახით შემონახული არიან ქრისტიანობაშიც (შდრ. ეშმაკი, მ-ართ-ალი, იადგარი, მოგვი და სხვ.)“ გვ. 406. ენობრივი ალღო ადვილად გაარჩეს „მართალსა“ და „წმინდას“ ისეთი ნასესხობებისაგან, როგორიცაა ეშმაკი, მოგვი, იადგარი, დეკი და სხვ. ეს ორი წყება სიტყვებისა განსხვავდება სიძველის ხარისხით, ისინი სხვადასხვა დონეზე დგანან. ეს ორი სტყვა მრავალ სხვა სიტყვასთან ერთად, რომელნიც განხილული აქვს გ. მელიქიშვილს წიგნში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“, უფრო საგულვებელია უძველეს ინდოეკროპულ ფენას ეკუთვნოდეს. ამ ვარაუდს მ. ანდრონიკაშვილი არ გამორიცხავს ზოგადად („ჩვენ რა თქმა უნდა, ამით არ უარვყოფთ ქართველურ ენებში უცნობი ინდოევროპული სტყვების გარკვეული ფენის არსებობის შესაძლებლობას“ გვ. 10), მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში არ უშვებს ამ ვარაუდს.

რელიგიურ რწმენათა გავრცელების თვალსაზრისით საგულისხმო უნდა ყოფილიყო ჩვენი მთის ყოფაში შემორჩენილი კულტური ლექსიკა, რომელსაც უდავო კაენრი აქვს ირანულ რწმენებთან: დასტური, ანდრეზი, დეკი, ზორა, სპარსანგელოზი(?).... დასტური ზოროასტრის რელიგიაში (ავრეთვე მანიქეველებთან) დღესაც „ქურუმს“ ნიშნავს, ცეცხლს მსახურს. იგივე მნიშვნელობა აქვს მას ხევსურეთის საკალენდარ ყოფაში: „ხატის მსახური, რომელსაც ირჩევენ განსაზღვრული ვადით“. „ანდრეზი“ უფრო ახლოს დგას მნიშვნელობის მხრივ ირანულ დედან-სიტყვასთან, ვიდრე ლიტერატურული „ანდერძი“: ცნობილ მოღაწეთა ამბები ან თაკვდასაკვი, რომელნიც შეგონების როლს ასრულებენ („ანდაზაც“ ამავე წარმოშობის უნდა იყოს ენინობითი ნაწილაკთ გაფორმებული: მცირე გადმოცემა — ანდა(რ)ზა). ხევსურეთ და ფშაურ მითოლოგიაში დიდ როლს ასრულებენ დეკები (რომელთაც საქართველოს ბაღში მხოლოდ ზღაპრების პერსონაჟებია). თითქოს იახსარი და კობალი ამურამაზდას თანამგზომი სულების მსგავსად ებრძვიან დეკებს, ეთთარეა არიმანის ლაშქარსა... მაგრამ რამდენად მოწმობენ ეს მიმნტებები ჩვენში ზოროასტრიზმის გავრცელების კვალს? არავითარი კვალი ამ რელიგიურ ყოფაში არ ჩანს ზოროასტრიზმის მთავარი კულტის — ცეცხლის თაყვანისცემისა. ირანული ელემენტები ამ შემთხვევაში ქრისტიანამდელ სუბსტრატად ვერ ჩაითვლება, ისინი მხოლოდ ეკლექტერად არიან შესული ქართველ მთიელთა კულტში და ერთიანან სისტემას არ ქმნიან.

თვით ობეირაშიც საკვანო მაზდეანსტური კულტი სახელმწიფო რელიგია ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში სასანიდების ხანამდე, როდესაც ამ რელიგიამ ოროოდოქსალური სახე მიიღო (III-IV საუკუნეების მიჯნა). ამ აზრის მთავარ დასაყრდენად არმაზისა და ატერამაზდას იგივეობა მიაჩნიათ. თუმცა ადრეც და უკანასკნელ ხანსაც ეს მოსაზრება ექვის ქვეშაა დაყენებული (ვ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი).

პარადოქსალური აზრი ზოროასტრიზმის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსელის შესახებ აქმენიდური ხანიდან მხოლოდ იმ ვარაუდით, რომ ქართული „არმაზი“ თავიანი ფორმით უფრო ახლოს დგას ძველსპარსულ ფორმასთან (ჰაურამაზდა), ვიდრე სასანეური ხანის „ორმუზდთან“. რა უნდა გიპრეკეს სიტყვათა ფორმალურ მსგავსებაზე დაყრდნობით, როდესაც ამ ფეგვიბაზე სხვა მნიშვნელოვანი ფაქტები არ მეტყველებენ? აქმენიდების ხანაში, რა დროსაც თითქოს უნდა შემოსულიყო არმაზის კულტი, იბერიას ირანთან ყველაზე ნაკლები ურთიერთობა ჰქონდა მისი ისტორიის მოძღვენო პერიოდებთან შედარებით. იბერია არც კი შედიოდა ამ დიდი იმპერიის ფარგლებში. კულტურულ-რელიგიური გაგენესა ამ ეპოქაში ნაკლებად მოსალოდნელია. მიუხედავად ყოველგვარი მოსალოდნელი სინკრეტიზმისა, ჰაურამაზდას კულტი ვერ გადმოვიდოდა ჩვენში კერპთაყვანისმცემლობის სახით, რადგან ამგვარი რამ ეწინააღმდეგება ძველისქალ ირანულ რწმენას, როგორც ეს გადმოცემული აქვს ჰეროდოტს და უფრო გვიან სტრაბონს. ცეცხლის თაყვანისცემა ვერ იქნებოდა კერპთაყვანისცემა. ეს იცოდა ჩვენი მატიანის ავტორმა. ფარნაჯომზე ნათქვამია: „შეიყვარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება... და იწყო ცხადად გმობა კერპთა... ამისთვის მოიძულეს იგი მკეადრთა ქართლისათა..., რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ“. სხვაგან: „ამისა შემდგომად (ფარნაჯომმა) შეიყვარა სპარსთა ცეცხლის მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან მოგუთა“, რატომ არ უნდა ვენდოთ მატიანის ცნობას? როგორც ტექსტიდან ჩანს, ფარნაჯომი იყო პირველი მეფე, რომელმაც იბერიაში მოგვები შემოუშვა, რომელთაც მცხეთის მახლობლად მაზდეანური კოლონია დაარსეს; ეს მაშინ, როდესაც იბერიაში თაყვანისცემოდა კერპები: არმაზი („დიდი კერპი“), ფარნავაზის მიერ შექმნილი, აინინა და დანანა (საურმაგის მიერ დაფუძნებული, გაცი და გაიმ (აზონის მოტანილი), ზადენი (ფარნაჯომის შექმნილი, ვიდრე იგი ცეცხლის მსახურებისაკენ გადაიხრებოდა). ეს კერპები აესებდნენ ქართველ წარმართულ პანთეონს (ადგილი შესაძლებელია, მათი სია სრული არ იყოს). ამათგან „ზადენი“ თაყვანისცემოდა არა მხოლოდ მცხეთის მახლობლად, არამედ სამცხეშიც, სადაც მოიქცეულა ანფრიად „დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-ვორა“.

„მაზდადასნური“ არმაზი ცალკე დგას არმაზის აკრძალოში, მის გვერდით ვხედავთ არა აფესტაში ხსენებულ ღვთიებებს, ჰაურამაზდას თანამდგომი შვიდი ამეშა სპენტა, ანაჰიტა, რომელის კულტი, სხვათა შორის, სტრაბონის ცნობით, ზოგჯერ ყოფილა გავრცელებული, და სხვა ნათლიაშვილება). არამედ ზემოთ ჩამოთვლილ კერპებს. ჰაურამაზდას რელიგია ცეცხლის რელიგიაა და ეს სახელი ამ კულტთან იყო ყოველთვის დაკავშირებული აქემენიდების ხანიდან დღემდე (ირანისა და ინდოეთის ზოგიერთ პროვინციაში). გაუგებარია, არმაზზე, უკეთუ ეგი ჰაურამაზზეა იყო, როგორ დაკარგა თავდაპირველი ბუნება ის ზომამდე, რომ დაუპირისპირდა ამ კულტს, რომლის მთავარი ღვთაება თვითვე იყო. როგორც კ. კეკელიძემ გამოარკვია, არმაზს ჩვენს წყაროებში ითარეკნინ (ოგეკე ატროშნინ, რომლის ეტიმოლოგია მოცემული აქვს მ. ანდრონიკაშვილს გვ. 225) უპირისპირდება, ვითარცა წყალს ცეცხლის სტიქია. მაგრამ განსაკუთებული მეცნიერი ცდება, როდესაც ფიქრობს, რომ ცეცხლის სამსახურებელი ადგილი არმაზში იყო, ციხის აკროპოლში. მატიანეში კი ცხადადაა ნათქვამი, რომ ამ ადგილ „მოგუთა“ ერქვა და არმაზისკენ მიმავალ გზაზე მდებარობდა და არა თვით არმაზში. არმაზის კერპი ქრისტიანულმა ღმერთმა შეიტსრა, მაგრამ კერპის მსახურს უნდა ჩაეთვალა, რომ ამ ამბავში მისი ანტაგონისტის, „ითარეკნინის“ ხელი ერია (ეს ანტაგონიზმი ცხადად ჩანს ფარნაჯომის ისტორიაში). ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა და დამკვიდრება აუქმებს არა მაზდეანობას, არამედ ძველ კერპებს (არმაზსა და სხვათა), მაგრამ იბერიის ცენტრში რჩება მაზდეანური კოლონია და სასანიდების აქტიურობის ხანაში კიდეკვ უფრო ძლიერდება. (სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარაპეცის ცნობით, V საუკუნის შუა წლებში იეზდეგერდ მეორეს ქართლისაკენ სამსახი მოგვი გამოუგზავნია). ამ რელიგიას ჩვენში იცნობდნენ რამდენიმე სახელწოდებით: მოგუეება, ზარადაშტაანი შჯული, ეცეცლის მსახურება, ატროშანი. არმაზთან დაკავშირებით არცერთი ამ სახელთაგანი არ გვხვდება ჩვენს მატიანეში.

ძველთაგანვე იბერიის უმაღლეს წრეებში გავრცელებული იყო ირანული საკუთარი სახელები. განა ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მაზდეანობა სახელმწიფო რელიგია იყო? განა ყოველთვის მოწმობს ადამიანის საკუთარი სახელი მისი მატარებლის რელიგიურ აღმსარებლობას? მაგრამ რითი აიხსნება ირანული თეოფორული სახელების ესოდენ მოზდვეგეზა? აქ იმ მოკლესასთან უნდა გვქონდეს საქმე, რაზეც ჯერმან ალული წერს: „უცხოენოვანი მასალის მოპარებული სესხება ამ შემთხვევებში შეინიშნება, როდესაც უცხო ენა და კულტური მშობლიურზე უპირატესად არის შერაცხილი, რის გამოც უცხო სიტყვებითა და გამოთქმებით შეზავებული მეტყველება წარჩინებულობისა და დახვეწილი გემოვნების უმაღლეს ნიშნად მიიჩნევა“ (ენის ისტორიის პრინციპები, მოსკ., 1960 გვ. 462; აქვე გავიხსენოთ საგულისხმო სიტყვა „სა-უცხო-ო“ და მაღალი წოდების ალმ-

---

ზურაბ კიკნაძე

„ესეი ამბავი სპარსული“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშვნელი ტერმინები: ზეპური, ანზაური...). მაზდეანური რელიგიის მოწოლის ხანაში მაღალი წრის ქრისტიანებს შორის ჩვეულებრივი იყო და მკრეხელობად არ ითვლებოდა მაზდეანსნური თეოფორული სახელების ტარება. ქრისტიანობის დიდი ბურჯის, პეტრე იბერიელის საერისკაცო სახელში „მირვან" მითრას სახელი იკითხება. მის მამა-პაპას ბეზშირი ერქვა, „მაღალი მითრა". ბეზშირი იყო სახელი იმ მარზპანისა, უსათუოდ მაზდეანის, რომელმაც ევსტათი მცხეთელი ქრისტიანობისთვის აწამა. პალესტინის უძველეს ქართულ წარწერაში მოხსენებულია ვინმე გრი-ორმიზდ. ქრისტიანი კაცის სახელში „ორმიზდი" ჟღერს იმ ხანაში, როდესაც ზოროასტრული რელიგია ირანში სახელმწიფო რწმენად არის ქცეული და მძლავრად უტევს ქართულ. ასეთი რამ შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ საკუთარი სახელი თეოფორულად არ გაიაზრებოდა. ასე იყო ქრისტიანულ საქართველოში და ასე იქნებოდა მანამდეც. წინადადეგ შემთხვევაში მაზდეანური ცოცხალი რწმენის მატარებელი სახელი ქრისტიანისათვის მკრეხელური თუ არა. შეუფერებელი აღმოჩნდებოდა. ამიტომ ეს საკუთარი სახელები და ზოგიერთი საკულტო სიტყვა (იადგარი, ზატკა, დასტური და სხვ.) არ უნდა მოწმობდეს ჩვენს ეროვნულ წიაღში ზოროასტრიზმის დეანური რელიგიის ღრმად შემოწერას. ქართლში მრავლად იყვნენ ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსნი, მაგრამ ისინი, როგორც მატიანედან ჩანს, არა მარტო ქრისტიანულ, არამედ ქართულ წარმართულ ყოფაშიც უცხო სხეულად მიიჩნეოდნენ.

თუმცა მ. ანდრონიკაშვილის ნაშრომს ეტყობა ზედმეტი გატაცება ირანული ეტიმოლოგიით, მასში თავმოყრილი უხვი მასალა სპეციალისტს თუ უბრალოდ დაინტერესებულ მკითხველს ბევრს საგულისხმოს რასმე აღმოუჩენს, დაიფიქრებს (სასურველი იყო, ირანული ლექსიკა ავტორს ორიგინალის კონტექსტში მოეტანა: ეს გაუადვილებდა მკითხველს ზოგიერთი საეჭვო ეტიმოლოგიის შემოწმებას და უფრო დამაჯერებლად წარმოაჩენდა უეჭველ კავშირებსაც).

ეს წიგნი კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ხდის იმ ნაკლს, რომ ჩვენს ფილოლოგიურ ლიტერატურაში არ არსებობს მსგავსი მონოგრაფია სხვა ენებთან (არაბულ, თურქულ, სომხურ, ბერძნულ...) ქართული ენის ურთიერთობის საფეროში. ცალკეული ეტიმოლოგიური ძიებანი გაფანტულია სამეცნიერო ჟურნალებში და ნაკლებად მისაწვდომია მკითხველთა ფართო წრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918—1968

რევინ მეგრელელი

ქართული უნივერსიტეტის ქარიბჭესთან

წელს ჩვენი საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს საქართველოში უმაღლესი განათლების პირველი კერის — თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავს.

ჩვენი წერილის მიზანია მოკლედ გადმოსცეს რევოლუციამდელ საქართველოში კულტურისა და მეცნიერების პროპაგანდის მნიშვნელოვანი დაწესებულების „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ მოღვაწეობის შესახებ და თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის ზოგიერთი მომენტი, აგრეთვე ხაზი გაუსვას ამ საქმეში გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლს.

ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“, რომელიც 1907 წელს დაარსდა ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით.

„საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დაარსებამდე ექვთიმე თაყაიშვილს თბილისში ჩამოყალიბებული ჰქონდა პატარა კერძო წრე, რომელიც ქართული ისტორიის მოყვარულთა წრის სახელითაა ცნობილი. ამ წრეშ თავისი ხარჯით გამოსცა ზოგნი „თიმსარიანი“. წრის წევრები ცდილობენ ფართო საზოგადოების დაარსებას ამ პატარა წრის ბაზაზე. ეს აზრი რამდენიმე პირმა იცოდა, მათ შორის ალ. სარაჯიშვილმა და დ. კარიჭაშვილმა. გადაწყდა შეექმნათ ახალი საზოგადოების წესდება, რომლის შედგენა-შემუშავება ექვთიმე თაყაიშვილს დაეკალა. მუყაითი მუშაობის შემდეგ მან წრეს წარუდგინა საზოგადოების წესდება. განხილვაში მონაწილეობა მიიღო ფართო საზოგადოებამ, 1907 წლის 30 ივნისს აღნიშნული წესდება დამტკიცებული იქნა.

ახალშექმნილ საზოგადოებას „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ ეწოდა. პირველ პუნქტშიეე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საზოგადოება არსდებოდა თბილისში. საზოგადოება მიზნად ისახავდა შეეგროვებინა, შეენახა და შეესწავლა ისტორიული, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული ნაშთები როგორც ძველი საქართველოსი, ასევე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნებისა, შეესაძლებლობის შემთხვევაში საზოგადოებას უნდა გაეხსნა მუზეუმი, რომელიც თავს მოუყრიდა მოპოვებულ მასალას.

განზრახული იყო ჟურნალების, წიგნების, ატლასებისა და ლექსიკონების გამოცემა, ლექციების, გამოფენების ორგანიზება, სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა და სხვ.

საზოგადოების წევრები იყოფოდნენ შემდეგ კატეგორიებად:

ა) მზრუნველი; ბ) საპატრონი; გ) ნამდვილნი; დ) კორესპონდენტნი და ე) დამხმარენი.

მზრუნველისა და საპატრონ წევრის არჩევა ხდებოდა საზოგადო კრებაზე ხმების უმრავლესობით. ნამდვილი წევრების არჩევა შესაძლებელი იყო საზოგადოების ორი წევრის წინადადებით. კორესპონდენტებსა და დამხმარეებს არჩევდა საბჭო. საზოგადოების საქმეებს მართავდა საზოგადო კრება და საბჭო. საბჭო თბილისში უნდა ყოფილიყო. მის შემადგენლობაში შედიოდნენ საზოგადოების თავმჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველი, ბაზინადარი, მდივანი და ოთხი წევრი. საზოგადოებას ჰქონდა თავისი განყოფილებანი: საისტორიო, საარქეოლოგიო, საეთნოგრაფიო, საანთროპოლოგიო, საინნვენტარო, სანუმიზმატიკო და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს წესდება მიღებულ იქნა 1907 წლის 30 ივნისს და საზოგადოება შეუდგა მუშაობას. 1907 წლის 20 სექ-

ტემპერს მოიწვიეს პირველი სხდომა. აქედან იწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დიდად ნაყოფიერი მოღვაწეობა.

პირველ ხანებში მუშაობა მეტად ძნელი იყო საზოგადოების სიღარიბის გამო. ასე მაგალითად, 1907 წლის 20 სექტემბრიდან 1908 წლის 1 იანვრამდე საზოგადოებას მხოლოდ 75 ცალი წიგნი ჰქონდა (52 სახელწოდების რუსული და ფრანგული წიგნი, 23 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი). დაარსების დღეს საზოგადოებას ჰქონდა სულ 68 მანეთი და 40 კაპიკი.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების პირველ დღეებშივე შესაძრნეი გახდა ის დიდი თანაგრძნობა, რაც ახლად დაარსებულმა საზოგადოებამ მოიპოვა საქართველოს მოსახლეობაში. სხვადასხვა სახის შემოსწირავები (ფული, წიგნები, მატერიალური კულტურის ძეგლები), ამასთანავე საზოგადოების წევრთა შემოტანილი თანხები (საზოგადოების წევრებს წესდების შესაბამისად გარკვეული როდენობის თანხა შეჰქონდათ: მაგალითად, მზრუნავი ყოველწლიურად 600 მანეთს იხდიდა და სხვ.) თანდათან ფეხზე აყენებდა საზოგადოებას და საშუალებას იძლევდა ფართო საქმიანებო საზოგადოებრივი საქმიანობის გაშალოლად.

საზოგადოება პირველი დღეებიდანვე გამოცემათა თადარიგს შეუდგა და გამოსცა ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. ეს სერიები სხვადასხვა პროფილისა იყო. პირველ მთავრში („ძველი საქართველო“) იბეჭდებოდა გამოკვლევები, რეფერატები და სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები, ხოლო მეორეში („საქართველოს სიძველენი“) — სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და სხვა აქტები. „საქართველოს სიძველენის“ პირველი ტომი ექვთიმე თაყაიშვილმა საზოგადოების დაარსებამდე გამოსცა. მეორე, მესამე და მეოთხე ტომებში დაიბეჭდა სულ 1527 სიგელ-გუჯარი.

„ძველ საქართველოში“ 1917 წლამდე დაიბეჭდა 2000 ხალხური ლექსი, 1385 არაკი, 115 გამოცანა, 16 სიმღერა, 33 ზღაპარი, 4 თქმულება და სხვ. გამოცემებში მხოლოდ ის ნაწარმოებები იყო შეტანილი, რომლებიც საზოგადოებამ თავისი არსებობის მანძილზე შეკრიბა.

დიდი ყურადღება ეთმობოდა ექსკურსიების მოწყობას. არ ყოფილა წელიწადი, რომ არ ჩატარებულიყო ექსკურსიები, რომლებსაც ფართო მეცნიერული ხასიათი ჰქონდა (ამ დროს ხდებოდა ისტორიული წიგნების შეგროვება, არქეოლოგიური გამოკვლევები და სხვ.).

საზოგადოება აწყობდა სხვადასხვა სახის გამოფენებს. მეტად მნიშვნელოვანი იყო ძველი ხუროთმოძღვრების ნამეშვეართა გამოფენა. აქ წარმოდგენილი იყო ქართული ხუროთმოძღვრება VI საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე. გამოფენილი ექსპონატები [illegible] იყო ფართო საზოგადოებისათვის.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ლექციებს, რომელთაც საზოგადოება ტარებდა თავისი ძალებით ფართო აუდიტორიაში. ლექციები იკითხებოდა ისეთ საინტერესო საკითხებზე, როგორიც არის ქართული სამართლის ისტორია, ხელოვნების ისტორია, ეკონომიური ისტორია, საქართველოს ისტორიოგრაფია, ქართული ლიტერატურის ისტორია და სხვ. საზოგადოების ძალებით წაკითხულ იქნა 150-ზდე ლექცია. ლექციებს კითხულობდნენ იმ დროის გამოჩენილნი მოღვაწენი, მათ შორის: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, პაოლე ინგოროყვა, მოსე ჯანაშვილი, დავით კარიჭაშვილი და სხვები.

ექვთიმე თაყაიშვილი სისტეზორიცეულად იყო დაკავშირებული მისივე ინიციატივით შექმნილი ისტორიული და ეთნოგრაფიული საზოგადოების საქმიანობასთან: აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1907 წ. თბილისში ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი. აქ რუსულად იკითხებოდა ლექციები კაკაესის ერთა ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ.

თავდაპირველად საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკა თავსდებოდა პატარა კარადაში, რომელიც საადგილმამყოფო კომისიის შენობაში იდგა.

1907 წლის 9 დეკემბრის საზოგადო კრებაზე დაისვა საკითხი, მეზუღეში და ძველი ზენგნების ბიბლიოთეკა (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში რომ იყო) გადასცემოდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ბიბლიოთეკისა და მეზუღეების მოწყობის გეგმა. კომისიაში აირჩიეს: ე. თაყაიშვილი, ა. სარაჯიშვილი და გ. ცეცხლაძე. კომისიამ შეიმუშავა გეგმა და კრებას წარუდგინა დასამტკიცებლად. გეგმის თანახმად, მეზუღეში ისეთ საგანგებო ორგანოს უნდა გადასცემოდა, რომელიც მოწოდებული იქნებოდა მისი დაცვა-შენახვისა და მეცნიერული მეთვალყურეობისათვის. კრებამ არ მიიღო ე. თაყაიშვილის მიერ ამ სახით წარდგენილი გეგმა და დაადგინა, რომ მეზუღეში ჯერჯერობით ისევ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელში დარჩენილიყო. მხოლოდ 1908 წლის 12 ოქტომბერს მიიღო საზოგადო კრებამ დადგენილება, რომლის თანახმადაც მეზუღეში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან რჩებოდა.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სამეზეიმო საქმეს — მატერიალური კულტურის ძეგლების ნიმუშთა მოვლა-პატრონობას და გადაჭრით სვამდა მეზუღეში ამნენის საკითხს. 1909 წლის 20 დეკემბრის კამგეობამ საზოგადო კრებას წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ხაზგასმული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მუზეუმის აშენების აუცილებლობა—„მუზეუმის აშენება შეიქმნა საზოგადოების ოცნებად და სანატრელად“, — ნათქვამი იყო მოხსენებაში.

საზოგადო კრებამ მოხსენების მოსმენისთანავე საჭიროდ ჩათვალა შესდგომოდა მუზეუმის აშენებას. ეს საერთო საქმე იყო და სამუზეუმო კომისიაში შევიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები. სიისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ კომისიაში აირჩია ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და მოვდელი კალისტრატე ცინცაძე. საერთო სამუზეუმო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი.

მუზეუმის აშენება თავისი ხარჯებით იკისრა დავით ზუბარაშვილ ძე სარაჯიშვილმა, რომელიც ყოველგვარ სასარგებლო საქმიანობაში მხარში ედგა ქართველ მოწინავე საზოგადოებას. მან ითხოვა ადგილი მუზეუმის ასაშენებლად. ამ საკითხის მოსაგვარებლად სამუზეუმო კომისიამ თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს მიმართა. ამ უკანასკნელმა ადგილის დათმობაზე უარი თქვა და მის ნაცვლად დაადგინა მუზეუმისათვის ადგილის შესაძენად მიეცათ ხუთი წლის განმავლობაში წვრილ-წვრილად 50 ათასი მანეთი.

მალე დ. სარაჯიშვილი გარდაიცვალა, მაგრამ მუზეუმის აშენება თავისი ანდერძით უზრუნველეყო. კომისიამ გადაწყვიტა მუზეუმისათვის ადგილი „ფიქრის გორაზე“ შეეძინა. მშენებლობა ბევრ სიძნელესთან იყო დაკავშირებული და ჭიანურდებოდა. სიისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ გამგეობას მიმართა წინადადებით, სამუზეუმო ექსპონატები და ბიბლიოთეკა, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკუთვნოდა, უკეთ მოვლის მიზნით, გიმნაზიის შენობაში გადაეტანათ. ეს აზრი მოიწონეს და, მართლაც, ქართული მუზეუმი გიმნაზიის შენობაში მოეწყო. როგორც ცნობილია, ამ შენობაში შემდეგ ქართული უნივერსიტეტი დაარსდა. აქვე აღმოჩნდა ს

რებული მ. ბროსეს, მ. ჯანაშვილსა და ივ. ჯავახიშვილს.

ვახუშტის გეოგრაფიული თხზულება დამყარებული სხვადასხვა სახის მასალებზე, რომელთა შორის შეიძლება გიგარჩიოთ კარტოგრაფიული, ნაბეჭდი ლიტერატურული, ხელნაწერი, ვახუშტის პირადი დაკვირვებით მოპოვებული და ზეპირი ცნობების საფუძველზე შეგროვებული მასალები.

ექვთიმე თაყაიშვილი მოითხოვდა გამოეცათ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი ძვირფასი რუკები.

როგორც ცნობილია, ვახუშტიმ ორჯერ შეადგინა საქართველოს რუკები. ერთი მთავრნი — 1735 წელს შედგენილი ატლასი, რომელიც ერთ ხანს ყაზანის უნივერსიტეტს ეკუთვნოდა, ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, მეორე — 1742-1743 წლებში შედგენილი ატლასი, — ამჟამად საქართველოს ცენტრალურ არქივში ინახება. ე. თაყაიშვილს კარგად ესმოდა ამ რუკების მნიშვნელობა და ამიტომ მოითხოვდა მათ გამოცემას.

ექვთიმე თაყაიშვილის ყოველ ნაშრომში იგრძნობა უდიდესი ერუდიცია, მასალის ცოდნა, მეცნიერული კეთილსინდისიერება. მისმა ნაშრომმა „მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის" იმთავითვე მიიპყრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება, როგორც ღრმად მეცნიერულმა და მტკაცე მნიშვნელოვანი მასალების შემცველმა ნაშრომმა. მას მაღალი შეფასება მისცა რუსეთის სამპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ და 1911 წლის 28 მარტს ავტორი საზოგადოების დიდი მედლით დაჯილდოვა. ე. თაყაიშვილის დიპლომი დასაბეღლებელი მედლით დაჯილდოების შესახებ დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივში.

საქართველოს სასტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ყოველ მომხდარ ფაქტსა და მნიშვნელოვან მოვლენას შესაბამისად ეხმაურებოდა.

როგორც ცნობილია, 1915 წელს გარდაიცვალა საქართველოს „უგვირგვინო მეფე", მხეკოვანი მწერალი, აკაკი წერეთელი. დიდი გლოვით დაიტირა ქართველმა ხალხმა თავისი საყვარელი ადამიანი. აკაკი წერეთლის გარდაცვალების მე-40 დღეს მიუძღვნა სასტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავისი ერთ-ერთი კრება. ამ კრებაზე გამოვიდა ექვთიმე თაყაიშვილი და წარმოთქვა მეტად მკრძნობიარე, ამაღელვებელი სიტყვა. აი, ეს სიტყვაც:

„აკაკი! დიდებულო მგოსანო!

აჰა, შემოკრბა შენის სიყვარულით გაერთიანებული საქართველო, ლიხთ-იმერი და ლიხთ-ამერი, ყველა შენ გგლოვობს, ყველ შენ გადიდებს, ყველა შენს შესახებ სწერს, შენს შესახებ ლაპარაკობს, ყველას სურს სიტყვით თუ კალმით გამოხატოს შენი ღვაწლი საშობლოსადმი, გაგვითვალისწინოს შენი სამსახური საესეთით დაგვიხატოს შენი სურათი, მაგრამ ამაოდ. ყველა გრძნობს, რომ ვერ უთქვამს ის, რისიც თქმა უნდოდა, ოდნავადაც ვერ დაუხატავს ის, რისიც დახატვა სურდა. როდესაც შენს სახელს ვახსენებთ ხოლმე, შენს სპეტაკ სახელთან ერთად წინ ვგეშლება დიდებული სურათი... ამ სურათში ჩაქსოვილია მთელი საქართველოს ნახევარი საუკუნის ისტორია, მისი თვითშეგნების განვითარება, ერთობის ქადაგება, მამულის სიყვარული, საუცხო პოეზია და დიდებული სალიტერატურო ენა, საუცხოოა ეს სურათი, რომელსაც ყველა გრძნობს, მაგრამ არავის არ ძალუძს სიტყვით გადმოგვაცეს, კალმით დაგვიხატოს!

„ასეთია ბედი ხალხის სულმნათისა"...

* * *

უნივერსიტეტის დაარსება საქართველოს მოწინავე საზოგადოების ოცნება იყო. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იბრძოდნენ ქართველი მოღვაწეები უნივერსიტეტის დაარსებისათვის, მაგრამ უშედეგოდ. მეფის რუსეთის მთავრობა არ ცდილობდა „პერიფერიებში" რაიმე კულტურული დაწესებულების გახსნას.

უნივერსიტეტის შექმნაზე განსაკუთრებით ბევრს ფიქრობდა ნ. მარი. 1906 წელს მან წინადადება წამოაყენა თბილისში სამეცნიერო აკადემიის გახსნისა და საქართველოს სამეცნიერო აკადემიის წესდებაც კი შეადგინა. მაგრამ ამგვარი ცდები უშედეგო იყო, ცარიზმის პირობებში ოცნება განუხორციელებელი რჩებოდა.

1916 წელს მეფის მთავრობამ გამოსცა დებულება რუსეთის იმპერიაში კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლების არარსებულ ენაზე დაარსების შესახებ. მთავრობის ეს ნაბიჯი გამოიყენეს ქართველმა პატრიოტებმა და ქართული უნივერსიტეტის გახსნა ახლო მომავლის გადადებულ ამოცანად დაისახეს. ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია, რომელმაც დაამხო ცარიზმი და მმართველობა დროებით მთავრობას გადასცა.

ქართული უნივერსიტეტის გახსნის ინიციატივა იკისრა პეტერბურგში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა. საჭირო იყო საზოგადოებრივი აზრის შექმნა უნივერსიტეტის სასარგებლოდ. სწორედ ამიტომ 1917 წლის გაზაფხულზე ივანე ჯავახიშვილი თბილისში ჩამოვიდა და ქართველი ხალხის მოწონება წარმოადგენლებთან ერთად ფართო პროპაგანდა დაუწყო უნივერსიტეტის შექმნის იდეას.

1917 წლის 12 მაისს შეიკრიბნენ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც მიზანშეწონილად ჩათვალეს, 1918 წლის პირველივე ნახევარში უნივერსიტეტის გახსნა ქ. თბილისში. კრებამ დაარსა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადო-

ება". ყველა ამ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა ექვთინე თაყაიშვილი. უნივერსიტეტის ფუსდების შესადგენად და სხვა სახის საორგანიზაციო მუშაობის ხელმძღვანელობისათვის არჩეულ იქნა კომისია, რომელშიც ივანე ჯავახიშვილთან ერთად შედიოდნენ ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ლორთქიფანიძე, მ. ბრუნინსკი და სხვ.

უნივერსიტეტის დაარსებისათვის საჭირო იყო ფულადი სახსრები. „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებამ" წარუგზავნა დაიწყეს პროპაგანდა უნივერსიტეტის სასარგებლოდ ფულადი სახსრების შეგროვებისათვის. აღნიშნულმა საზოგადოებამ დაარსა ორი კომისია — ფინანსური და აკადემიური.

1917 წლის 26 ნოემბერს აკადემიურმა კომისიამ დაადგინა, დაეარსებინათ უნივერსიტეტი ერთი ფაკულტეტით. ვარაუდობდნენ გაეხსნათ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, მათემატიკური და ბუნებისმეტყველების განყოფილებებით. ამასთანავე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილებას ექნებოდა დარგება: ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, სოციალური მეცნიერებანი და პედაგოგიკა. დეკემბრის დამლევს პრესამ გამოაქვეყნა, რომ ქართული უნივერსიტეტი იცხადება მიეღების.

1918 წლის იანვარში მოგვარებულ იქნა უნივერსიტეტთან დაკავშირებული საკითხები; აირჩიეს რექტორი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი და პროფესორთა საბჭოს მდივანი.

1918 წლის 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტი გახსნილად იქნა გამოცხადებული. ეს უდიდესი მოვლენა იყო საქართველოს სინამდვილეში. ამიერიდან ქართველ ახალგაზრდებს საშუალება ეძლეოდათ, განათლება მშობლიურ ენაზე მიეღოთ. ამასთანავე ადგილზე მოხდებოდა მეცნიერული ძალების მომზადება.

ისტორიის დარგის სტუდენტებისათვის წინასწარ იყო შედგენილი გეგმა, რომლის მიხედვითაც მათთვის უნდა წაეკითხათ შემდეგი საგნები: ქართველი ერის ისტორია, ძველი აღმოსავლეთის ისტორია, შუა და ახალი საუკუნეების ისტორია, სოციალური მეცნიერება (არქეოლოგია), ხელოვნების ისტორია და პროსემინარი სპეციალობის მიხედვით.

ეს იყო წინასწარი გეგმა, მაგრამ მისი განხორციელება არ მოხერხდა რიგ საგნებში კვალიფიციური კადრების სიმცირის გამო.

მსოფლიო ისტორიის ზოგად კურსს (კვირაში ერთ საათს) კითხულობდა ს. ავალიანი, მასვე ჰქონდა მინდობილი რუსეთის ისტორიის კურსის წაკითხვა და პროსემინარის ჩატარება თემაზე — „მიწისსაფლობელობა საქართველოში". კ. კეკელიძე საეკლესიო ისტორიას კითხულობდა, ი. ჯავახიშვილი — საქართველოს ისტორიას, სამართლის ისტორიასა და საისტორიო სემინარს. ექვთინე თაყაიშვილი არქეოლოგიას გადმოსცემდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი გულისხმიერება, რომლითაც იგი ამ საქმეს ეკიდებოდა. 1918 წლის 21 მაისს თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ ექვთინე თაყაიშვილს მიანიჭა დოქტორის ხარისხი. უკვე 1920 წლისათვის ე. თაყაიშვილი სამ ლექციას კითხულობდა კვირაში. ლექციები საქართველოს სიძველეებს შეეხებოდა. ერთი ლექცია იყო უნივერსიტეტში ახლად შემოსულთათვის და მოიცავდად: ა) შესავალს საქართველოს სიძველეებასა — ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანას ზოგადად და, კერძოდ, საქართველოში; ბ) საქართველოს ისტორიული დროის სიძველეთა ზოგად მიმოხილვას. ორი ლექცია უკვე წინათშემოსულთათვის იყო: 1. ეპიგრაფიკა, და 2. ეკლესია-მონასტრების ისტორია.

ექვთინე თაყაიშვილი მეტად მომთხოვნი ლექტორი იყო. მის პირად არქივში დაცულია პროგრამა სტუდენტების გამოცდისა საქართველოს სიძველეთა ცოდნაში. ასე მაგალითად, პირველი ოთხი სემესტრის ბოლოს სტუდენტს უნდა სცოდნოდა:

1. ისტორიის წინა დროის კულტურა საზოგადოდ. ისტორიის წინა დროის ხანა საქართველოში და საზოგადოდ კავკასიაში, ქვის საუკუნე, ბრინჯაოსა და რკინის საუკუნეები.

11. ისტორიული დრო საქართველოში. უძველესი მწერლობის ნაშთები, ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები და უძველესი წარწერები, ქართული წერთალრიცხვა.

111. საქართველოს თვალსაჩინო ეკლესია-მონასტრების მოკლე ისტორია.

ექვთინე თაყაიშვილს თავის პროგრამაში ხაზგასმული აქვს აგრეთვე ისიც, თუ რის ცოდნა მოეთხოვებოდათ სტუდენტებს მეორე ოთხი სემესტრის ბოლოს: საქართველოს ხუროთმოძღვრების ნაშთები და მათი შემკობილობა, ქანდაკება, ჩუქურთმა, ფრესკა: ეპიგრაფიკის ასომთავრული და ნუსხასხუცური ხელნაწერები და ძველი მხედრული სიგელ-გუჯრების, აგრეთვე ოქრომჭედლობის განეთარება საქართველოში.

ექვთინე თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროსაც კი არ იგიწყებდა საქართველოს სიძველეებს და მათ დაცვაზე ზრუნავდა. 1919 წლის ივლისის დამდეგს ე. თაყაიშვილს ეკლესია-მონასტრების შესწავლა დაეკისრა ისიც ხალისით შეუდგა ამ პატრიოტულ საქმეს, მაგრამ, როგორც ჩანს, შემდეგ ხანებში საქართველოს იმდროინდელ მთავრობას ვეღარ შეუწყვია ხელი ამ საქმიანობისათვის და ექვთინე იძულებული გახდა განცხადებით მიემართა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანისათვის. აი, რას წერს იგი:

რევაზ მეტრეველი
ქართული უნივერსიტეტის კარიბჭესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შარშან ზაფხულს მთავრობის დავალებით მე დავიწყე ცნობაში მოყვანა საქართველოს ეკლესია-მოსატრებისა, განძეულობის ცნობაში მოყვანა და აღწერა, მაგრამ მოვასწარი მხოლოდ ერთი ნაწილის აღწერა. აუცილებლად საჭიროა წელს ეს მუშაობა გაგრძელდეს, ვინაიდან დღევანდელი პირობების მიხედვით ეს განძეულობა თანდათან ხელიდან გვეცლება. საჭიროა მათი ფოტოგრაფიულად გადმოღება და ზომების მიღება დაცვისათვის. მე განზრახვა მაქვს ამ ზაფხულს ეს მუშაობა განვაგრძო ფოტოგრაფიის თანხლებით. ამისათვის საჭირო იქნება, სულ მცირედ, სამიცი ათასი მანეთი სამგზავროდ და ორმოცდაათი დუკინი ფოტოგრაფიული „პლატინკა“. ვთხოვ ფაკულტეტს, სამუალება მომცეს დაწყებული ფრომის გაგრძელებისა და მიიღოს მხედველობაში აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამგვარი მოგზაურობიდან ყოველთვის ჩამომაქვს მუზეუმისათვის დიდძალი ხელნაწერები და ნივთები, რომელთაც მოუვლელობით განადგურება მოელის და საჭიროებს გადარჩენ-ნას“.

აღნიშნული განცხადება დათარიღებულია 1920 წლის 20 მაისით. ასეთი დიდი გულისტკივილით და წუხილით იბრძოდა ე. თაყაიშვილი ჩვენი მატერიალური კულტურის ძეგლებისათვის. იგი ყოველ ღონეს მიმართავდა ამ საქმის წარმატებით წარმართვისათვის.

თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობის წლებში ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა საქართველოს მრავალ კუთხეში და ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. აქიერიდან ახალი ერა იწყებოდა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ფართო ასპარეზი იშლებოდა ქართული კულტურისა თუ მეცნიერების განვითარებისათვის. დადგა დრო ქართული უნივერსიტეტის გაფურჩქვნისა და აყვავებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ ჩანგლაძე

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის გაგებისათვის

ქართულ შუასაუკუნეებრივ სასტორიო წყაროთა შორის ცნობილია თამარის ისტორიკოსის თხზულების „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“, როგორც ისტორიული დოკუმენტის, დიდი მნიშვნელობა. ამასთანავე ცნობილია ისიც, რომ ყამთა მსაღლეობაში ამ ნაწარმოების მრავალი ადგილი გადამწერთა თუ უეიც მხმარებელთა მიერ წარყენილ იქნა, ამიტომაც ის ძნელად გასაგები და საკითხავი გახდა. ამ ტექსტის გარკვევასა და დაზუსტებაზე იმუშავეს ვახტანგ VI-ის „სწავლულმა კაცებმა“, გამოჩენილმა ისტორიკოსებმა: მ. ბროსემ, ე. თაყაიშვილმა, თ. ჟორდანიამ, ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, ვ. დონდუამ და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილი ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით.[1] მან ივ. ჯავახიშვილთან და კ. კეკელიძესთან ერთად დიდი ამაგი დასდო ტექსტის დაზუსტებისა და გაგების საქმეს. მოუხედავად ამისა, როგორც ალნიშნული აქვს თვით ს. ყაუხჩიშვილს „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტი კიდევ შეიცავს ზოგიერთ ბუნდოვან თუ მცდარ ადგილს.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს ის ადგილი „ისტორიათა და აზმათა“ თხზულებაში, სადაც ნათქვამია „თქმულ არს ესეცა, დაღითუ მოუწყობელ არს სიტყვა, ვითარმედ თჳსითა კელითა (ლაპარაკია თამარ მეფეზე—ვ. ჩ.) ამასცა შურებოდა რომელ მის დღისა საჯამადი მისი ფას-რაოდენ დღიე შეჯამის, კელითსაქმარი მისი განყიდის და ეგოდენ ფასი გლახაკთა აკელსაქმრის და მისცის არა სამეფოდ შემოსავალთაგან“.[2]

ამ ადგილის ჩვეულებრივი გაგება ასეთია, რომ თამარ მეფე გლახაკებს აფინანსებდა არა მარტო მიუჯეტური სახსრებით, არამედ მათ საკარგებლოდ ქველმოქმედებას ეწეოდა თავისი პირადი შრომით შექმნილი ფულითაც. იგი ხელსაქმიდან, ნაკეთობას ყიდდა და მიღებულ ფულს გლახაკებს აძლევდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ მოსაზრებას დაზუსტება ესაჭიროება. ზემოთ მოტანილი ციტატი შედგება ორი წინადადებისაგან. პირველი— „ვითარმედ თჳსითა კელითა ამასცა შურებოდა, რომელ მის დღისა საჯამადი მისი ფას-რაოდენ დღიე შეჯამის“. მეორე — „კელსაქმარი მისი განყიდის და ეგოდენ ფასი გლახაკთა აკელსაქმრის და მისცის არა სამეფოდ შემოსავალთაგან“. ამ ორ წინადადებას შორის, ეკონომიური აზრით, ლოგიკური კავშირი არ არის, რაც თავის დროზე უთუოდ იქნებოდა. რა კავშირშია თამარის მიერ თავისი ხელსაქმარის გაყიდვიდან ამოგებული ფულის გლახაკებისათვის მიცემასა და თამარ მეფის მიერ თავისი ყოველდღიური საჯამადის დაფასებას შორის?

არ არის ლოგიკური კავშირი პირველი წინადადების ორ ნაწილს შორისაც. პირველი—„ვითარმედ თჳსითა კელითა ამასცა შურებოდა“, მეორე — „რომელ მის დღისა საჯამადი მისი ფას-რაოდენ დღიე შეჯამის“.

---

1 ქართლის ცხოვრება. ტ. II, თბ. 1959.

2 „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959, გვ. 80-81.

როგორ ხსნის ამ ადგილს აკად. კ. კეკელიძე? ამას შეადგენდ გვიჩვენებს მის მიერ მოწოდებული რუსული თარგმანი. კ. კეკელიძის მიერ დადგენილ ქართულ ტექსტში ეს ადგილი იკითხება ასე: „თქმულ არს ესეცა, დაღათუ მაუწყებელ არს სიტყვაჲ, ვითარმედ თჳსითა კელითა ამასცა შურებოდა, რომელ მის დღისა საპამადი მისი დაადასსის და რაოდენი დღივ შესჭამის, კელთსაქმარსა მისსა განყიდის და ეგოდენსა ფასსა გლახაკთა აკელთსაქმრის და მისცის არა სამეფოდ შემოსავალთაგან«[1].

ეს მან რუსულად თარგმნა

Within the Georgian text, the phrase "ეს მან" is underlined in red.

შემდეგნაირად:

«передают и словами возвещают, что она оценивала ежедневную свою пищу и стоимость ее раздавала нищим, не из государственных доходов, а из того, что она выручала от продажи изготовленных ею рукодельных вещей»[2].

აკად. კ. კეკელიძის მიერ რუსული თარგმანით ამ ორ წინადადებას შორის კაფშირი დამყარებული ასე: თამარ მეფე ყოველდღიურ თავის საპამადს აფასებდა და მის ღირებულებას ურიგებდა ღატაკებს არა სამეფო შემოსავლიდან, არამედ თავისი ხელსაქმრობით დამზადებული ნივთების გაყიდვის ამონაგებიდან.

პირველ ყოვლისა, ვფიქრობთ, ეს თარგმანი დაშორებულია მის მიერვე დადგენილ ქართულ ტექსტს. რუსულ თარგმანში შემოტანილია ღირებულების ცნება. იქ ნათქვამია, რომ თამარი: Оценивала ежедневную свою пищу и стоимость ее раздавала нищим (კურსივი ჩვენია ვ. ჩ.). თამარ მეფეს არ შეეძლო ღირებულება დაეფიგვინა გლახაკებისათვის. ღირებულება არის სამეალო საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობა, რომელიც დახარჯულია ამა თუ იმ პროდუქტის წარმოებაზე. თამარს ძალიან გაუძნელდებოდა გაეკეთა საშეალო საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობა, რომელიც განეფოთებული იყო მის საპამადში. მას შედარებით ადვილად შეეძლო გაეკეთა ამ საპამადის საბაზრო ფასი.

ვფიქრობთ, რომ ქართული ტექსტიდან არ გამომდინარეობს აზრი, რომ თამარი თავისი ყოველდღიური საპამადის ფასის ოდენა თანხას ურიგებდა გლახაკებს. კ. კეკელიძის მიერ დადგენილ ქართულ ტექსტში ნათქვამია: „ვითარმედ თჳსითა კელითა ამასცა შურებოდა, მის დღისა საპამადჲ მისი დაადასსის და რაოდენი დღივ შესჭამის, კელთსაქმარსა მისსა განყიდის და ეგოდენსა ფასსა გლახაკთა აკელთსაქმრის.“ აქედან გამომდინარეობს აზრი, რომ თამარ მეფე გლახაკებს აკელსაქმრებდა იმ თანხით, რასაც ის გაყიდვიდან აშოიგებდა და არა იმ თანხის ოდენობით, რასაც მისი ყოველდღიური საპამადის ფასი შეადგენდა.

დაეუშვათ, რომ თამარის ყოველდღიური საპამადი თანამედროვე ფულად ერთეულში გამოხატული ოდენდა ათ მანეთს, ერთი კერძისა იქნებოდა სამოცდაათი მანეთი. დაეუშვათ ასევე, რომ თამარი ერთი კერძის განმაღლობაში მოასწრებდა სამი წყვილი წინდის ან ერთი საჩოხე შალის მესამედის მოქსოვას, რომელთა საბაზრო ფასი, ვთქვათ, იქნებოდა 15 ან 35 მანეთი.[4] ისმება კითხვა, თამარი რა ოდენობის თანხას ურიგებდა გლახაკებს, მისი კერძული საპამადის ფასის ოდენას, ე. ი. 70 მანეთს თუ კვირეული ხელსაქმარის გაყიდვიდან აშოგებული თანხის ოდენას, ე. ი. 15, 35 მანეთს ან 1000 მანეთს.

აკად. კ. კეკელიძის აზრით, თამარი ურიგებდა გლახაკებს თავისი საპამადის ფასის ოდენა თანხას, ე. ი. 70 მანეთს. ვფიქრობთ ქართული ტექსტიდან ეს არ გამომდინარეობს. იქ წერია: „კელთსაქმარსა მისსა განყიდის და ეგოდენსა ფასსა გლახაკთა აკელთსაქმრის“. საპამადის ფასის ოდენა თანხის დარიგება შეეძლებელი იქნებოდა ფექტიური მდგომარეობის მიხედვით ისეთ შემთხვევებში, როდესაც გაყიდვიდან ამონაგები უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე ყოველდღიური საპამადის ფასი. მაშინ ქველმოქმედის მალიტიტები ხდებოდა გაყიდვიდან მიღებული ამონაგები, წინაალმდეგ შემთხვევაში დანაკლისი უნდა დაეფარა სამეფო შემოსავლიდან. ქართული ტექსტის მიხედვით ასეთი რამ შეუძლებელია, ვინაიდან იქ ნათქვამია: „ფასსა ამონაგებ და სამეფოდ შემოსავალთაგან“. თუ ეს ამონაგები 1000 მანეთი იქნებოდა და მას მისცემდა გლახაკებს, ამ შემთხვევაშიც გამოდის, რომ თამარი გლახაკებს აძლევდა არა თავისი საპამადის ოდენა თანხას, ე. ი. 70 მან., არამედ ისეე გაყიდვიდან ამოგებული თანხის ოდენას; აკად. კ. კეკელიძის მიერ მოწოდებული ახსნა ეკონომიურად გაუმართლებელია იმიტომაც, რომ შეუძლებელი იქნებოდა ყოველ-

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, 1941, თბ. გვ. 114-115.

2 История и восхваление венценосцев. Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил действительный член Академии наук Грузинской ССР, проф. К. С. Кекелидзе. Тб., 1954, გვ. 68.

3 სულხან-საბას „სპამადი“ განმარტებული აქვს, როგორც „საპმელები“.

4 მას შეეძლო დაეშხდებია რიმე ძვირფასი ქსოვილი ან ნაქარგი, რომელსაც დიდი ფასი ექნებოდა, ვთქვათ, 1000 მანეთი, მაგრამ ამას მოუნდებოდა რამდენიმე თვე, ასე რომ დღიური შრომის ფასში გაფმოტანილი, დაახლოებით ასეთივე იქნებოდა.

ლოვის ერთმანეთს დამთხვეოდა თამარის ყოველდღიური საუბრადის ფასი და თამარის ხელსაქმრის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების თანხა.

„ისტორიათა და აზმათა“ ეს ადგილი გაუგებარია ხსენა მხრივაც. არალოგიურად ჩანს ახსნა თამარის მიერ გლახაკებისათვის დასახმარებელი თანხის ოდენობის განსაზღვრისა მისი პირადი ღიღური საუბრადის ფასით. რა შუაშია აქ თამარის პირადი ღიღური საუბრადი. თამარს შეეძლო გლახაკებისათვის დახმარება გაეწია, გარდა სამეფო შემოსავლისა თავისი პირადი ქონებიდან ან შემოსავლიდან. მაგრამ სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა მიეცა ეს დახმარება ამის მიზეზით, თუ რა ღირდა მისი ღიღური საუბრადი.

რამდენიმე სიტყვა თამარის ხელსაქმარის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების ოდენობის შესახებ. თამარის მიერ წარმოებული ხელსაქმარი მაინდამაინც ღიდი ვერ იქნებოდა. თამარი, როგორც მეფე, დატვირთული იყო სამეფო საქმეებით. ის ხანად წარმოებდა ზმირი ომები, აღლუმები. საჭირო იყო ჯარის მიღება, გასტუმრება; უნდა ჩაეტარებინა დარბაზის სხდომები. მიმდინარეობდა ქვეყნის მეურნეობრივი და კულტურული მშენებლობა, რომელსაც თამარი ხელმძღვანელობდა; შემდეგ ელჩების მიღება-გასტუმრება, მომჩივანთა მოსმენა, თავისი პირადი ოჯახის საქმეების მოწესრიგება. ამასთანავე, როგორც მისი ისტორიკოსი ამბობს, იგი იყო მორწმენე და არ აყალებდით წერილ — „ეწუხრს, ღიღეულს, სამხარს“. მას საჭიროდთდა მეფური ღირსების გართობა და დასვენება და სხვ. ამის ზეკით რომ დრო გადარჩენოდა, შეეძლო ხელსაქმარისათვის მოეხმარა. ამბობენ ეს ხელსაქმარი მაინდამაინც ღიდი ვერ იქნებოდა. ის კეკრაში ერთ საჩოხე მატყლსაც ვერ დაართავდა და მოქსოდა. სისტემატურად კი ამის ნახეკარსაც ვერ შესძლებდა. თუ გავიხსენეთ, რომ ამ ხანად ქერეკ-ობლები, დაფრიფიმლები, გლახაკები ძალზე ბევრი იყო, რომელსაც ვერ წვდებოდა საქართველოს სამეფო შემოსავლის მეათეები. იმ დროინდელი საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი კი მეტი იყო ინგილისის ან საფრანგეთის სახელმწიფო შემოსავალზე. რად გამონრჩებოდა კეკრაში თამარის მიერ მოქსოვილი 3 წყვილი ნინდა ან საჩოხე ზალის მესამეი? რამდენ გლახაკს გაწვდებოდა იგი? თამარ მეფე წელიწადში ვერ დამაშავებედა ამ მატყლს, რაც მის კარზე ყოველდღიურად ცხვარი იკვლებოდა. ამისათვის რა საჭირო იქნებოდა ალეკსანდრიიდან ეაჭართა მიერ შემოზიდული მატყლის შესყიდვა.

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ალეკსანდრიიდან მატყლი საქართველოში ნამდვილად შემოზიდებოდა დიდი ოდენობით. ამ შემოზიდვას სისტემატური ხასიათი ვერ ექნებოდა, რომ ამ ამ მეხმარებელი არ ეყოლოდა. ამასთანავე, რასაკვირველია, უსაფუძვლოდ არ არის მოხსენებული ისტორიკოსის ტექსტში საუბრადის დაფასება, ხელსაქმართა გაყიდვა და გლახაკთა დახმარება.

მოცემული სტატია წარმოდგენს ცდას „ისტორიათა და აზმათა“. ამ ბეწდოვანი ადგილის გახსნისა.[1] ვფიქრობთ, რომ აქ ლაპარაკია, გარდა სამეფო შემოსავლიდან გაწეული დაფინანსებისა, გლახაკთა ორგვარ დახმარებაზე, რომელსაც თამარ მეფე ეწევდა.

პირველი, თამარი გლახაკებს ეხმარებოდა თავისი ხელსაქმრობით, თავისი პირადი შრომით შექმნილი პროდუქტების მიცემით ნატურალურ ფორმაში. ასეთი რამ აღნიშნულია მრავალ წყაროში და ამას გადმოგვცემს თამარის მეორე ისტორიკოსიც, რომელიც წერს: „რაკამს მოიცალნის მარტოებით ყოფად, მყის აღიღის სასთუელი, გინა საკერავი და ნაშრომსა მას თჳსთა კელთასა ხუეესთა და გლახაკთა განუყოფენ თჳსითა კელითა“.[2]

თამარ მეფის ამ მეორე ისტორიკოსის ცნობა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ის ახიფერს წერს თამარის მიერ თავის საუბრადის დაფასებაზე და მისი ხელსაქმარის გაყიდვაზე. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა იმიტომ, რომ მეორე ისტორიკოსი თანამედროვეობით იყო ეზოს მოძღვარი, რომლის ფუნქციას სწორედ მეფის სანოვაგეთ მომარაგება შეადგენდა. ეზოს მოძღვრის შესახებ ვახუშტი წერს: „ამისი კელია იყო: ყოველნი სოვაგეინი, მეფის ხარჯნი და წარსავებელნი, წესნი და რიგნი დარბაზისა, მეფის ტაბლისა და სანოვაგისა, ანუ სხვათა“.[3]

როგორც ვხედავთ, ეზოს მოძღვარი განაგებდა მეფის ტაბლისა და სანოვაგის საქმეს. თუ თამარ მეფე თავისი საუბრადის ღირებულებას აკეკეედა, თავის საუბრადს აფასებდა, რამდენი დღისას ჭამდა და სხვ. ეს ზომ ყველაზე უკეთ ეზოს მოძღვარს ეცოდინებოდა.

[1] მადლობას მოვახსენებ ს.ქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ. კ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილს, ს.ქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ. კ. პროფ. პ. გუგუშვილს და პროფ. ვ. ქავთარაძეს, რომელთაც ჩემი მოსაზრება წინასწარ გავაცანი და მათ თავიანთი მსჯელობით დამიდასტურეს.

[2] **ბასილი** ეზოს მოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართული ცხოვრება, II, 1959, გვ. 147.

[3] **ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941, გვ. 16.

ვასილ ჩანგლაძე
„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“
ერთი ადგილის გაგებისათვის

სწორედ ეს ეზოს მოძღვარი ისტორიკოსი არაფერს წერს ამის შესახებ. ცხადია, „ისტორიათა და აზმათა“ იმ ხსენებულ ადგილზე თამარის პირადად საუბარდება და მის დაფასებაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი. იქ, როგორც ქვემოთ გვაქვს ნაჩვენები, ლაპარაკია გლახაკთა საპამადოსა და მის დაფასებაზე.

მეორეგვარი დახმარება იყო ასეთი: თამარი გლახაკებს ეხმარებოდა დასაქმებით: იგი შრომისუნარიან გლახაკებს სამუშაოს აძლევდა. თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ტექსტში პირდაპირადაც წერია: „... **გლახაკთა აკელესსაქმრის** და მისცის არა სამეფოდ შემოსავლითა-განნ“1 (ცურსიი ჩვენია ვ. ჩ.).

როგორ უნდა გავიგოთ ტერმინი „გლახაკთა აკელესსაქმრის? სიტყვა „აკელესსქმარი“ გვხვდება გიორგი მერჩულის შრომაში — „...რომელთავანმე უძლურებასა და კელესსქმარსა დუმილნთ...“2. ნ. ბარს „ხელოსსქმარი“ განმარტებული აქვს როგორც „**ركوديلة**“3. ნ. ჩუბინაშვილს „ხელოსსქმარი“ განმარტებული აქვს — „სამუშაო რაჲცა ხელით გაკეთდეს, „**ركوديلة**“4. ბ. საბაშვილსა და მ. ჯაბაშვილს მერჩულეს ტექსტზე დართულ ლექსიკონში „ხელოსსქმარი“ განმარტებული აქვთ როგორც „ხელით საპუშაო, ფიზიკური მუშაობა“5.

ნ. ყაუხჩიშვილის მიერ დაგენილი ტექსტის „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომისათვის დართულ ლექსიკონში „კელოსსქმარი“ განმარტებულია როგორც „ქელსქმარი“, როგორც „ხელ საქმე“ — საქმეები, საკერავები.6

ივ. ჯავახიშვილს მეუდანოვთა შესახებ ნათქვამი აქვს: „...რასაც დედამიწა აღმოაცენებდა ხოლმე, იმისაც ქმაყოფილნი იყვნენ, — ზოგი კიდევ ხელოსას მისდევდნენ და ამით ირჩენდნენ თავიანთ თავს“ („კელესსქმარი“, იქვე, 8)7. მსგავ, მეორე ადგილზე, ნათქვამი აქვს: „ხელსაქმართი თავიანთი თავი გამოეკვეთათ, თუ სამონასტერო შენობები და ეკლესიები აეგოთ?“8

ამგვარად, „კელითსქმარი“, „კელოსსქმარი“ თუ „ხელსაქმარი“ ნიშნავს ფიზიკურ მუშაობას, ხელით მუშაობას, ხელით ნაკეთობას. ქართული განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ხელსაქმარი ნიშნავს აგრეთვე „მსუბუქ საბელდ-ხელო საქმესაც“. ტერმინი „ხელსაქმე“ იხმარება სპეციფიკური აზრითაც, როგორც — „ჯრაკერეა, ქსოვა-ქარგვა“. „ხელსაქმობა—ხელსაქმის გაკეთება, ხელსაქმობს — ხელსაქმეს აკეთებს“.9

აქედან გამომდინარე „აკელესქმრის“ ნიშნავს **ხელსაქმეს აკეთებს**, გაკეთებას ვფიქრობ. თანამედროვე ლიტერატურაში იხმარება აგრეთვე ტერმინი „დასაქმება“, რაც ნიშნავს „რისაც გაკეთების დაკალბას, საქმის მიჩენას“. ეკონომიკურ მეცნიერებაში იხმარება ტერმინი „დასაქმება“, რაც ფულისსმობს მოსახლეობისათვის სამუშაოს მიჩენა, განსაკუთრებით უმუშევრებისათვის კაპიტალიზმის პირობებში. ერთმა ინგლისელმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა — ჯონ მეინარდ კეინსმა თავის ერთ-ერთ შრომას უწოდა „დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია“10.

ამნაირად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ში ხმარებული გამოთქმა — „გლახაკთა აკელესსქმრის“ უნდა წაიკითხოთ ასე: გლახაკებს ასაქმიანებდა, სამუშაოს აძლევდა. ამასთანავე, ვინაიდან „ხელსაქმეში“, გარდა საერთოდ დასაქმებისა, იგულისხმება სპეციფიკური დასაქმებაც, სახელდობრ — ჯრა-კერეა, ქარგვა-ქსოვა, რასაც იმასაც თუ დავერთავთ, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში ლაპარაკია ალექსანდრიიდან შემოზიდული მატყლის შესყიდვაზე, მაშინ გამოთქმაში—„გლახაკთა აკელესსქმრის“ უნდა ვიგულისხმოთ, რომ თამარი ამ შემოხვევაში გლახაკებს ასაქმიანებდა ქსოვით და ჯრა-კერვით.

ამგვარად, როგორც ტექსტიდან გამომდინარეობს, თამარი არა მარტო თვითონ ხელსაქმობდა, არამედ შრომისუნარიან გლახაკებსაც ახელსაქმებდა.

ისტორიანში ცნობილია გლახაკთა დახმარების მრავალი ფორმა, რომელთა შორის ძირითადია ორი.

პირველი — ძალიან გაჭირვებულებს აძლევდნენ საპმელს, ტანსაცმელს, ღვინე გასათევს, უწევდნენ სამკურნალო დახმარებას და სხვ. ეს დახმარება მათ ეძლეოდათ მუქთად, როგორც მოწყალება.

მეორე — გლახაკებს ეხმარებოდნენ დასაქმებით, რაც ნიშნავს შრომის უნარიანთათვის სამუშაოს გამოძებნას, სამუშაოს ორგანიზაციას.

---

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 81.

2 გ. მერჩული, შრომაჲ და მოღუაწეაჲ ღირსად-ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგორისისა (ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ. 1960, გვ. 137.)

3 **H. Марр, Тексты и розыскания по армянско-грузинской филологии, ტ. 7,** გვ. 87.

4 **ნ. ჩუბინაშვილი,** ქართული ლექსიკონი, თბ. 1960.

5 ჩვენი საუნჯე, ტ. I, 1960, გვ. 615.

6 იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1959, გვ. 627-628.

7 **ივ. ჯავახიშვილი,** ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თბ. 1929, გვ. 29.

8 იქვე, გვ. 30.

9 ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ. 1964.

10 Keynes J. M. The general theory of employment tnterest and money, N. I. 1936.

ეს უკანასკნელი უფრო მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რადგან ის გასაქანს არ აძლევს პროფესიულ მათხოვრობას.

გლახაკთა დახმარება ცნობილია ნებაყოფლობითი, რომლის ოდენობა და ფორმები არ არის კანონით განსაზღვრული და სახელმწიფოებრივად მოწესრიგებული, როდესაც სახელმწიფო საგანგებოდ აგროვებს საამისოდ სახსრებს და მას იყენებს გარკვეული დანიშნულებით. სახელმწიფო ამ შემთხვევაში წყაროდ გამოიყენებს სახელმწიფო ქონებას, სახელმწიფო შემოსავალს ან საგანგებოდ ამ მიზნისათვის შემოღებულ გადასახადებს.

დახმარებას ღებულობენენ შრომისუნარმოკლებულნი მთლიანად ან ნაწილობრივად. ასეთები იყვნენ ღრმად მოხუცებულნი, ბავშვები, ავადმყოფები, ობლები, ქვრივები, ინვალიდები, დაბადებით ან უბედური შემთხვევებით დაშავებულნი, ავრცელე ომის ინვალიდები.

ძველ დროში გლახაკთა დახმარებას მოწესრიგებული ხასიათი ჰქონდა. მოსეს კანონებით, მთელი წარმოების 1/10 უნდა გადადებულიყო წმინდა საქმეებზე. მესამე წლის ნაათალს აწყობდნენ ეროვნების შიგნით ლევიტებისა და ქვრივობლებისათვის, ფარდა ამისა დაბადებში წერია: „ექვს წელს სთესო ქუეყანა შენი, და შეკრიბო ნაყოფი მისგან ხოლო მეშვიდესა წელსა, მიტევება ჰყო, და დაუტკო იგი, და შეჰამენ მას გლახაკნი ნათესავისა შენისა...“1. საზოგადოებრივი ქველმოქმედებით სარგებლობა შეეძლო მხოლოდ შრომისუნარმოკლებულ გლახაკს, რომელსაც ფულის განსაზღვრული ოდენობა არ გააჩნდა.

ყურანის მიხედვით დაწესებული იყო გარკვეული ბეგარა არამქონეთა სასარგებლოდ. მათხოვრობის უფლება ეძლეოდათ მათ, რომელთაც ერთი დღის საზრდო არ მოეპოვებოდათ.

ქრისტიანობა ქადაგებდა საერთო შრომას და მიმართავდა კერძო ქველმოქმედებას. შემდგ ქრისტიანობამ მოითხოვა სახელმწიფოებრივი მონაწილეობაც ქველმოქმედებაში.

შუა საუკუნეებში ცენტრალური ხელისუფლება სუსტი იყო. ამ დროს ქველმოქმედებას აკლდა ორგანიზაციულობა. ქველმოქმედებას მისდევდნენ ცალკეული ორგანიზაციები, ეკლესიები და მონასტრები, ქალაქის დაწესებულებანი— ამქრები, გილდიები, ყოველგვარი კორპორაციები და კერძო პირებიც. ამის გამო არავინ იცოდა, ვინ რამდენს გასცემდა ან ვინ რამდენს ღებულობდა. ამის შედეგი იყო ის, რომ ვისაც ნამდვილად უჭირდა, ისინი ყურადღების გარეშე რჩებოდნენ, ხოლო პროფესიული მათხოვრები კარგად შოულობდნენ. თანდათანობით პროფესიული მათხოვრობა ისე გაიზარდა, რომ მრავალ სახელმწიფოში გამოიცა კანონები, რომლებიც მას მკაცრი სასჯელით კრძალავდნენ.

ნ.ნ. ბელიავსკაკი წერს, რომ XII საუკუნის ისლანდიაში ღატაკთა მზრუნველობა სახელმწიფოს ვალდებულებას შეადგენდა. „გრაგასის“ საკანონმდებლო კრებული ღატაკებს, რომელთაც მუშაობა არ სურდათ, უწოდებენენ მაწანწალებს, რაც მიჩნეული იყო დანაშაულებად საზოგადოების წინაშე. ღატაკთა საქმის მოწესრიგება მინდობილი ჰქონდა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მმართველობას.

„გრაგასის“ მიხედვით დადგენილი იყო სამეათედი მოსაკრებელი იმ ღატაკთა სასარგებლოდ, რომელთა შენახვა ნათესავებს არ შეეძლოთ.

ინგლისში XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან წარმოიშვა სიღარიბე და მათხოვრები. ამას მოყვა სასტიკი კანონები მათხოვრობის წინააღმდეგ, ავრცელე ვანკარგულებები ნამდვილად გაჭირვებულთა სასარგებლოდ. ამასთან ერთად შეშფოთებულ კანონები სამუშაოზე მოწყობის შესახებ.

რიჩარდ მეორეს სტატუსი (1388 წ.) გაარჩევდა შრომისუნარიანსა და არაშრომისუნარიანს. შეწყალების მოთხოვის უფლება ჰქონდა მხოლოდ არაშრომისუნარიანს. შრომისუნარიანებს აბრუნებდნენ თავიანთ სამშობლოში და ასაქმიანებდნენ. ღარიბებზე მზრუნველობა სახელმწიფოს დაეკისრა“.2

რა მდგომარეობა იყო საქართველოში? ქრისტიანული რელიგია იმთავითვე მიმართავდა ქველმოქმედებას, მაგრამ მხოლოდ შრომისუნარმოკლებულ გლახაკთა სასარგებლოდ. ამას ადასტურებს პავლე მოციქულის სტატეგი: „უკეთუ ვინმე არა უნდის საქმისა, ნუცა ჭამნ“3. აკადემ. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „პავლეს სტატეგიდან ჩანს, რომ ყველას ვისაც კი შრომა და მუშაობა შეეძლო, მოვალე იყო ემუშავა და თავისი თავი ისე გამოეკვება... დახმარების ღირსი იყო მხოლოდ უძლური, სნეული ან ბუნებით ნაკლის პატრონი“4.

გულმოდგინე შრომის სასარგებლოდ ქადაგებდა ივანე სანანისძე, რომელიც წერდა... „ვისწავეცა ბრძენთ-მოვრისა მის სოლომონის მიერ

---

1 დადგება (ბიბლია) ნაწ. I, თბ., 1887 წ., გვ. 155.

2 **Н. Н. Белявский,** (проф. Имп. Училища Правоведения)—Полицейское право, Петроград, 1915, стр. 228—238, проф. В. В. Ивановский, учебник административного права, Казань, 1911, გვ. 424—430.

3 ბ. თესალონიკელთა, III, 7-10.

4 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ქართული სამართლის ისტორია, ზოგადი მეორე, ნაკვეთი მეორე, თბ. 1929, გვ. 24.

ვასილ ჩანგლაძე

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის გაგებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმული, ვითარმედ „ბაძევდ ჯინეველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა, ვითარცა იგი მან თჳსსა ფიდიდსსა მარტჳალსა ბის იფერსისსა შებმა-ულვის გულსმოდგინედ, ვიდრემდის აღიღის და წარიღის საზრიელად თჳსსა“[1].

გრიგოლ ხანძთელის დროს გლახაკების გარკვეული ნაწილი თავს ირჩენდა „ხელსაქმრით“. როდესაც ისინი საეკლესიო და სამონასტრო შენობების მშენებლობაში დასაქმეს, მაშინ, ცხადია, ხელსაქმობას ვეღარ გასწევდნენ, ამიტომაც საერო დახმარებას მიმართეს. მონასტრებში მონაზონები თვითონ მუშაობდნენ. მონასტრებში შემდეგში უძრავი და მოძრავი ქონება შეიძინეს და ზიგნით სოგლახაკ მოსპეს. შემდეგ გამდიდრდნენ და დაქირავებული მომსახურენიც გაჩინეს. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს გამოკვლეული, მონასტრებში ნამდვილი აღდგომიცემაც გაჩაღდა. „შეჩრიოლება უსასყიდოო ალარ იყო. აზნაური ან ხელისუფალი მონასტრს მამულს ამლევდა, რომ სიკვდილის შემდეგ მონასტრის მისი სული ღვთაებისათვის შეევედრენინა. მონასტრებმა დიდძალი ქონება დაგროვეს. მამულები, სახნავი და სამოვარი ადგილები ჭრიალუფსა და სხვილუფსა საკოლელი, სახლები და ქოლგაქები, ყმები და საკუთარი ვაჭრებიც. ამას ეკრდა ამ ქონების უმეტესი ნაწილი სახელმწიფო და სხვა მრავალი გადასახადისაგან და ბეგარისაგან განთავისუფლებული იყო“[2].

ბერებმა გამდიდრების შემდეგ მუშობას თავი მიანებეს და მიწის დამუშავებაში დაქირავებული მუშები გამოიყენეს.

საქველმოქმედო სიმდიდრის მონაზონებისა და ბერების ხელში გადასვლის შემდეგ სახელმწიფო ძალუფლები შეიქმნა ეზოერა გლახაკებზე. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ბიგრატ კურაპალატმა IX საუკუნეში დაარწყა გლახაკთა დახმარება. დავით აღმაშენებლმა შიო მღვიმის მონასტრის ბერებს განუსაზღვრა დღიური ულუფა.

თამარ მეფის დროს გლახაკთა მზრუნველობას დიდად მოწესრიგებული ხასიათი ჰქონდა. თამარის მეორე ისტორიკოსი წერს: „ხოლო გლახაკთათვის განეჩინნეს სარწმენონი ზედამდგომელნი, და ყოველსა სამეფოსა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებელად ერთისა ქრთილისა მარცვლამდე“[3].

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საქმისათვის სახელმწიფოს შემნილი ჰქონდა საკმარისად რთული საგანგებო ორგანიზაცია, რომელსაც ზუსტად უნდა სცოდნოდა სახელმწიფოს შინა დაგარე შემოსავლის მეათედი და იგი გამოეყენებინა. ნამდვილად ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის. ამ ორგანიზაციას ალრიცხული უნდა ჰყოლოდა ყველა პირი, ვისაც დახმარება უნდა მიეღო. შესწავლილი უნდა ჰქონოდა მათი გაჭირვების ხარისხი. ჩინაალმდეგ შემთხვევაში ეს სახელმწიფოებრივი ღონისძიება თავის დანიშნულებას ვერ გაამართლებდა. ზოგიერთი ნაკლებად გაჭირვებული, მაგრამ დიდად მოსიბრნბული მიიღებდა ბევრად მეტს, ვიდრე ზოგიერთი დიდად გაჭირვებული, მაგრამ კეთილისნდოსიერი და მორიდებული. ზოგი კიდეე ამ საქმეს ხელობად გაიხდიდა, რასაც სახელმწიფო ეერ დაეშვებდა. თუ ქველმოქმედებას განუკითხავად გასცემდნენ სახელმწიფო, ეკლესიები, მონასტრები, ხელოსანთა კორპორაციები, კერძო პირები და ამის ზეგით მეფეები და დიდგვაროვანი შეძლებულები თავიანთი პირადი შრომის შენაძენითაც, მაშინ მწარბოგლური მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს დაანებებდა მუშაობას და მოწყალების მისაღებად გადეურეკნოდა; ეს ადვილად წარმოსადგენია ფეოდალური საზოგადოების მძიმე ეკსპლოატაციის პირობებში.

მაშინდელ სამზრუნველო ორგანიზაციას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ „სარწმენონი ზედამდგომელნი“ უნდა სცოდნოდა გლახაკთა კატეგორიები. გლახაკთა მიღო ეს მასა ერთგვაროვანი არ იყო. წყაროებში გვხვდება ტერმინები: „ობოლთა და ქვრივთა შეწყალება“, „გლახაკთა და დავრდომილთა“, „ობოლთა და მიძღოვრებულთა“[4].

„გლახაკი“ სულხან-საბას მიხედვით არის „მათხოვარი, ღარიბი — მამა-დედათ უქონელი“; „დავრდომილი — სამდედრისაგან დავლახაკებული, — პატივისაგან დავარდნილი“, „მიმძღოვრებული — ვისზედაც ძალი იმპრესს“[5]. ივ. იმნიშვილს „გლახაკი“ განმარტებული აქვს როგორც ღარიბნ.

რუსთაველს მიხედვით, ვლახაკები იყენენ მათხოვრები, რაზედაც ლაპარაკობს ვეფხისტყაოსნის შემდეგი ადგილი: „ყოველთა სწორად წყალობასა ეითა თოვლსა მოათოვდეს. ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს“[7].

აქედან ჩანს, რომ საერთოდ გლახაკები ითხოვდნენ, მათხოვრობდნენ, მაგრამ ეროდსაც წყალობა უფეად გასცეს, გლახაკებსა თავი მიანებეს მათხოვრობას.

---

[1] ი ო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე, წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოანისი (ჩვენი საუნჯე, ტ. I, 1960, თბ. გვ. 44).

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. მეორე, ნაკ. მეორე, გვ. 92-94, 97.

[3] ქართული ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 147.

[4] ქართული ცხოვრება, II, გვ. 99, 149.

[5] ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი.

[6] ოთხთაევის სიმფონია, ლექსიკონი, გვ. 149.

[7] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, 1966, თბ. სტრ. 1582.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლახაკთა წრეს მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე ინვალიდები დაბადებით ან რიიმე უბედური შემთხვევებით და ომში დაშავებულნი. ყველა ესენი ერთნაირ შემწეობას ვერ მიიღებდნენ. საჭირო იქნებოდა დახმარების სხვადასხვა კატეგორიების დადგენა.

შუა საუკუნეებში გლახაკთა რიცხვს ამრავლებდა სომარი მოქმედებები, მოუსავლიანობა და ეპიდემიები. იმხანად ფეი საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელსაც არც ქონება გააჩნდა და არც პროფესიები ეკეთა ე. წ. პლებები. ეს სიტყვას ხმაობის შეასაუკუნეებისათვის ფ. ენგელსი, ვეფხისტყაოსანში გამოყენებულია ამის შესატყვისი სიტყვა „არას მქონები", „შენ დაამდიდრე ყოველი ობოო, არასმქონები"[1]. ეს არასმქონები იყო ყველაზე უღარიბესი ნაწილი საზოგადოებისა. როგორც ენგელსი აღნიშნავს, საზოგადოების ამ ნაწილს მძიმე ბეგარა-გადასახადით დატვირთული მამულები არ ჰქონდა, რაც გლეხებსა და წვრილ ბიურგერებს ჰქონდათ. არასმქონები არსებული ოფიციალური საზოგადოების გარეშე იმყოფებოდნენ; იმდროინდელი დაწესებულებები მათ გვერდს უვლიდნენ. ამიტომ ისინი ბრძოლას ეწეოდნენ ფეოდალიზმის წინააღმდეგ ალანყებებით, მეკობრეობით; ამასთანავე ისინი თავიანთ მისწრაფებებით და ოცნებით ცდილობდნენ იმდროინდელი სინამდვილის ფარგლების გარეთ გასვლას. მაგრამ პრაქტიკაში ქმაყოფილებებიდნენ ისეთი მოთხოვნების წამოყენებით, რის განხორციელებაც მაშინდელ პირობებში შესაძლებელი იყო. ამიტომ როგორც ენგელსი წერს: „თავდასხმა ყირეთ საკუთრებაზე, ქონების განზოგადოების მოთხოვნა ქველმოქმედების ტლანქ ორგანიზაციად უნდა გადაგვარებულიყო".[2]

XII საუკუნის საქართველოში, როგორც წყაროებიდან ირკვევა, დიდი ზომით იყო ღარიბ-ღატაკთა მასა „ამას მოწმობს მეკობრეთა (ყაჩაღი, მძარცველი, ფირაფი) და გლახაკთა (მაწანწალა, მთხოვარი) სიმრავლე"[3] რომლის დიდ ნაწილს შეადგენდა გაჩანაგებული მდაბიური მოლაშქრენი, მათ სხვა გზა არ ჰქონდათ: ან უნდა ეყაჩაღნათ, ან ემთხოვრათ; როგორც ცნობილია ჩვენი ისტორიიდან, ვიორგი III-მ და თამარ მეფემ ყოველგვარი ალანყებისა და განსაკუთრებით მეკობრეების წინააღმდეგ მიიღეს სასტიკი ზომები. მაგრამ მარტო ასეთი ადმინისტრაციული ღონისძიება საკითხის გადაჭრა ვერ იქნებოდა.

ამგვარი ღრმა სოციალური მოვლენის მიმართ აუცილებელი იყო სხვა ზომების მიღებაც, აუცილებელი იყო ამ მასის გარკვეული ზომით მატერიალური უზრუნველყოფა. ამ უზრუნველყოფისათვის დაწესებული იყო ბიუჯეტური დაფინანსება მთელი სახელმწიფო შემოსავლის 10% ოდენობით. ამასვე ემსახურებოდა აგრეთვე ყოველგვარი საეკლესიო და ეკრძო ქველმოქმედება. მაგრამ ესეც საკმარისი არ იყო. გლახაკთა წრე, რომელიც დახმარებას საჭიროებდა, შედგებოდა შრომისუნარმოკლებულთა და შრომისუნარიანთაგან. შრომის უნარიანთა მთელი მასის სისტემატური მატერიალური დაკმაყოფილება ყოფილად შეუძლებელი იქნებოდა ეკონომიური თვალსაზრისით. თუ შრომისუნარიანნი სისტემატურად მიიღებდნენ უსასყიდლოდ საცხოვრებელ სამუალებებს, მაშინ ეს წრე გაფართოვდებოდა; უშრომლად შემოსავლის მიღებთა რიცხვი სწრაფად გაიზრდებოდა, დაფინანსების წყარო კი როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი ოდენობის მხრივ სწრაფად შემცირდებოდა. ვინაიდან რაც უფრო მეტი მიანებებდა თავს მეშვობას, მით უფრო სახელმწიფო შემოსავალი შემცირდებოდა და გლახაკთა რიცხვი გაიზრდებოდა და, მაშასადამე, მით უფრო ნაკლები თანხა განაწილდებოდა დახმარების მიღების მსურველთა გაზრდილ რიცხვზე. ამას, რასაკვირველია, თამარისა და ზოგიერთ დიდებულთა მიერ სულის საცხონებლად გაწეული პირადი შრომა „ხელსაქმობა" და მით მოპოვებული შემოსავალი ვერ უშველდა.

ამისათვის აუცილებელი იყო ქველმოქმედების იმ მრავალ ფორმასთან ერთად, რომლებიც იმ დროისათვის ცნობილი იყო, გამოეყენებინათ შრომისუნარიანთა დასაქმებაც, რასაც თავისი ისტორია აქვს. ხანმეორი არქიმანდრიტი წერს: „განვეგებასა ღმრთისასა ესე ჩვეულებანი აქვს, რამითა წმიდათ მათა უდაბნოთა მონასტერნი ქელითა გლახაკთითა აღაშენნეს". (ცდ გვლ. ხანძთელისაჲ. იქვე კდ-კე)[4].

შრომისუნარიანთა დასაქმება პროგრესული, წინგადადგმული ნაბიჯი მოცემული ეპოქის ეთარეებში.

იმ დროის საქართველოში მოსახლეობის მეწარმეობლური ნაწილი ინახავდა აზნაურებს, დიდებულებს, სამღვდელოებას, ბერ-მონაზვნებს, ქერეფ-ობლებს, მოხუცებულებს, დავრდომი-

---

[1] Ѳ. ენგელსი, ვეფხისტყაოსანი, 1966, თბ. სტრ. 794.

[2] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ. 1932, გვ. 50.

[3] საქართველოს ისტორია, I. 1956. თბ. გვ. 166. — ა. აფაქიძე. ნ. ბერძენიშვილი (მთავარი რედაქტორი), გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატანი, მ. ჩიტაია, გ. ხაჭაპურიძე.

[4] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია გვ. 31.

ᲒᲐᲚᲘᲜ ᲩᲘᲜᲔᲚᲐᲫᲔ

„ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘᲜ ᲨᲐᲠᲐᲒᲐᲜᲓᲔᲓᲘᲗᲐᲜᲘᲡ" ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ლებს, ინვალიდებს, ბავშვებს, სახელმწიფო აპარატის მსახურებს, მხეცრობას. თუ ამასვე დაეკისრებოდა შრომისუნარიანი ლატაკების შენახვაც, რომელთა წრე სწრაფად გაიზრდებოდა ზემოაღწერნშული მიზეზების გამო და, მაშასადამე, შემცირდებოდა მოსახლეობის მწარმოებლური ნაწილი; მაშინ როგორ შესძლებდნენ დაკით აღმშენებელი და თამარი იმ დიდ მეურნეობრივ-ეკონომიურ მშენებლობას, რომელსაც ისინი ეწეოდნენ. როგორ შესძლებდნენ ისინი გაემართათ გზები, ხიდები, სარწყავი არხები, ეკლესიები, ტაძრები, ციხე-კოშკები, სასახლეები, ეწარმოებინათ დიდი მშენებლობანი, რომ არადური ეთქვათ ისეთებზე, როგორიც არიან ბელათი, იყალთო, ვარძია და სხვ. მრავალი. იმდროინდელი ტექნიკის პირობებში ასეთი დიდი მშენებლობა მოითხოვდა კოლოსალურ მუშაძალას.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ იმ ხანის საქართველოში დიდად განვითარებული იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ტექნიკური მეცნიერების მოყვანა, შინამრეწველობა და ხელოსნური წარმოება, რაც აგრეთვე დიდი ოდენობის მუშა-ძალას საჭიროებდა.

ყოველივე ამის გაკეთება შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ თამარ მეფის პირად მფლობას, რასაკვირველია, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ეს მაგალითი და წასაბაძი ყოფილიყო სხვებისთვის, რომ მაღალწოდებასაც შრომს სამარცხვინოდ არ მიეჩნიათ და ყოველივე ამით შრომელთა სულიერკეთება აემაღლებიათ. ცხადია, რადგან თამარი თვითონ არ თაკილობდა ფიზიკურ შრომას, ის უსაქმეოდად არ დატოვებდა სხვებსაც. თამარის მეორე ისტორიკოსი წერს: „არე თჳთ უქმობდა და არც თჳსთა ყმათა აუქმებდა“[1]. ცხადია, ყველა ხედავდა და რწმუნდებოდა, რომ თამარი თუ თავის თავს არ აძლევდა ნებას უსაქმეური ყოფილიყო. ამის ნებას არც სხვებს მისცემდა.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში იმპერატორადა სიხარბაცისა და უსაქმეურობის ალმნშენელი მრავალი ტერმინი: „ლურდანი,“ „სალუნძი“, „უდები“, „უქმი“, „მეთნარი“, „მედგარი“ და სხვ. სიხარბაცისა და უსაქმეურობის ამდენი სინონიმის შემეშვაება მოწმობს ამ მოვლენისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას და მასთან ბრძოლის ინტენსიურობასაც.

ყოველივე ამის გამო „ისტორიათა და აზმათა“ ეს აღვილი, ვფიქრობთ, უნდა წაკითხულ იქნეს ასე: „თქმეულ არს ესეცა, დადაოე მოუწყობელ არს სიტყუა, ვითარმედ თჳსთა ქელითა ამასცა შერეტბოდა, ვლასაკთა აჴელსაქმრის, რომელ მის დღისა საჴამადი მისი დაადგესს და რაოდენი დღივ შესჴმის, ქელითსაქმარი მისი განყიდის და ეგზოდენ ფასი მისცის ბოლოდ მეფოდ შემოსავალთაკენ“.

ეს ადგილი უნდა გაეგიგოთ ასე: თამარი როგორც თავისი ხელით აკეთებდა საქმეებს, ასევე გლახაკებსაც ასაქმებდა, ე. ი. ხელაქმეს აკეთებინებდა. დასაქმებულ მეშუბს აძლევდა ულუფას, დღიურ საჰრდოს. მათ დღიურ საჰამადს აფასებდა წარმოების დანახარჯების პროდუქტის თვითღირებულების გაანგარიშებისათვის. ამა თუ იმ ოდენობის პროდუქტების დამზადების პერიოდში რამდენი დღისასაც შეჰამდნენ, მხედველობაში ღებულნდნენ მათი ხელსაქმარის დაყიდვიდან ამოგებული წმინდა შემოსავლის გასაანგარიშებლად. ამგვარად, დასაქმებული გლახაკები დახმარებას ღებულობდნენ არა საქეფო შემოსავლიდან, ე. ი. არა ბიუჯეტური წყაროდან, არამედ ამ წარმოებაში მათ მიერვე შექმნილი ღირებულებიდან.

ეს მით უფრო სარწმუნო უნდა იყოს, ვინაიდან X-XIII საუკუნეებში საქართველოში ფართოდ იყო გამოყენებული მონასტრებში და მის გარეშეც დაქირავებული შრომა. ეს დამაჯერებლად არის წარმოდგენილი და დასაბუთებული პროფ. პ. გუგუშვილის ვრცელ გამოკვლევაში, რომელიც მიძღვნილია ამიერკავკასიაში ამქრული ხელოსნების დაშლის საკითხისადმი[2].

თამარ მეფეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ცხადია, უნდა ეზრუნა სამუშაო ძალის პრობლემაზედაც. გლახაკთა დასაქმება, არასმქონეთა დაქირავებული მუშის მდგომარეობამდე დაყვანა ერთ-ერთ გამოსავალს წარმოადგენდა საქართველოს იმპერიისნელ ეკონომიკურ-ეკონომიიურ ვითარებაში. გარდა ამისა გლახაკთა დასაქმება ნაკარნახევი იყო არა მარტო ამ მასის სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არამედ მაღეულობისა და საერთოდ ქსოვილების მრეწველობის განვითარებისათვის ხელისშეწყობის თვალსაზრისითაც. ცხადია, მოსახლეობა ჩაცმული უნდა ყოფილიყო იმ დროის განვითარებული კულტურული დონის შესაბამისად. მე-11—12 საუკუნეების უნიკალური ძეგლები ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, მინაწერის, ბეჭდვითი ხელოვნების, მწერლობის, მუსიკის დარგში — მეტყველებენ დიდად განვითარებულ მაზეკრულ გემოვნებაზე. აშკარაა, ამ გემოვნების შესაბამისი უნდა ყოფილიყო მაშინდელი ჩაცმა-დახურვაც. ამასთანავე მას მეტნაკლებად მასობრივი ხასიათიც უნდა ჰქონებოდა. ამას მოწმობს ისტორიკოსის ცნობა: „...ზნეურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“[3].

---

[1] ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გვ. 130.

[2] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. მეხუთე, თბ. 1962, გვ. 4-116.

[3] ქართული ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ. 1942. გვ. 241.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც თამარის პირველ ისტორიკოსს აქვს მოხსენიებული, მატყლი საქართველოში შემოიზიდებოდა ალეკსანდრიიდან. თამარმა აწყო ამ მატყლის შესყიდვა და დამუშავება. საქართველოს საკუთარი მატყლი ჰქონდა, მაგრამ შალეულის მრეწველობა ჩანს იმდენად განვითარებული ყოფილა, რომ მას საკუთარი ნედლეული არ ჰყოფნიდა და შემოზიდულიც მუშავდებოდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მისი რეალიზაცია ძნელი არ ყოფილა. შალს ისეთი გასაღები ჰქონია, რომ შორიდან მოზიდული ნედლეულს ხარჯსაც ანაზღაურებდა. ცხადია, რომ ქსოვილი მზადდებოდა არა მარტო ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ ექსპორტის საგანსაც შეადგენდა. ამაზე წყაროებში მოიპოვება პირდაპირი მითითებებიც.

ამგვარად, თამარის დროს შალეულობისა და, საერთოდ, ქსოვილების წარმოება და რეალიზაცია მიმდინარეობდა არა მხოლოდ კერძო დიდვაჭართა ინიციატივით, არამედ მას, როგორც ჩანს, სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ხასიათიც ჰქონია.

მას შემდეგ, რაც ჯვაროსნულმა ომებმა დიდი დარტყმა აგემეს მუსლიმანთა და ბიზანტიის ვაჭრობას, მას შემდეგ, რაც ქართველმა ჯარებმა მრავალგზის დაამარცხეს მუსლიმანთა ჯარები მათ ტერიტორიაზე და მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ტრაპეზუნდის სამეფოც ჩამოაყალიბა, საქართველო იქცა მოწინავე სახელმწიფოად ახლო აღმოსავლეთში, ამიტომ თავისთავად ცხადია, მოთხოვნილებებიც რიგ საქონელზე უნდა გადიდებულიყო და საქართველოს საგარეო ვაჭრობა უნდა გაფართოებულიყო.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოში იმ ხანად შემიჩნეოდ მასობრივი მოხმარების საგნებით ვაჭრობის გადიდება და მწარმოებელური მოხმარების საგნებით ვაჭრობის გაფართოება. მაგალითად, იყიდებოდა სამშენებლო მასალა (ქვა, ქვიშა, კირი, ხე-ტყე), ლითონი, სახნისი, ნედლეული — მატყლი, ტყავი და სხვ. დასასრულ იყიდებოდა წარმოების საშუალება და წარმოების პირობაც, როგორც არის მიწის ნაკვეთები — მამულები, ყანები, ვენახები[1]. თუ ამასთანავე ჩვენ გავიხსენებთ იმ დროის საქართველოში დიდად განვითარებულ ქალაქურ ცხოვრებას, როგორც ეს გამოკვლეულია პროფ. შ. მესხიას მიერ[2] და ორტაღის როგორც მსხვილი საკრედიტო ორგანიზაციის არსებობას, რაც გამოკვლეული აქვს პროფ. პ. გუგუშვილს[3], ცხადია, რომ საქართველოს XII-XIII საუკუნეებს ვაჭრობის სისტემაში მომხდარი ცვლილებები თავის მხრივ მეტყველებენ იმდროინდელი საქართველოს ღრმა სოციალურ პროცესებზე[4].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ. 1907, გვ. 31-32.

[2] Ш. Месхия, Города и городской строй феодальной грузии, 1959.

[3] საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. II, 1956, გვ. 119-151.

[4] ვინაიდან ჩვენ აქ განსაზღვრული ვართ საქუთნალო სტატიის მოცულობით, ამიტომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დასკვნები იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკური ვითარების შესახებ მოცემული იქნება ცალკე სტატიის სახით — ვ. ჩ.

ალექსანდრე კუკარკინი

ჩამავალი მზის ბულვარი

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ალექსანდრე კუკარკინმა ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ დაწერა ნარკვევი ჰოლივუდზე. ნარკვევი რამდენიმე თავისაგან შედგება. „ჩამავალი მზის ბულვარი“ მათ შორის ყველაზე საინტერესოა. ამ ნაწყვეტში ნათლად ჩანს დღევანდელი ჰოლივუდის სრულყოფილი სურათი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობისას ბევრი ფილმი ვნახე, მაგრამ როცა მკითხეს, ყველაზე მეტად რომელი მოგეწონა, დაუფიქრებლად ვუპასუხე, „ბულვარი სანსეტი“-მეთქი.

„ბულვარი სანსეტი“ თავისი განმაზოგადებელი ქვეტექსტითა და ღრმა შინაგანი აზრით საკმაოდ რთული ფილმია. იგი ნათლად ხატავს დღევანდელი ჰოლივუდის სრულიაფილ სურათს.

... ჰოლივუდის მობეტონებულ მთავარ ქუჩაზე ავტომანქანები და მოტოციკლეტები მიქროიან. ქუჩაში ადამიანის ჭაპანება არ არის. ქუჩის გასწვრივ ჩარიგებული ტრობიკული მცენარეები თუ გაიელვებენ ხანდახან.

კიდრს იქით მამაკაცის ხმა ისმის: „ახლა დილის ხუთი საათია. ბულვარ სანსეტზე, ერთ ფეშენებელურ სახლში კაცი მოკლეს. სწორედ იქითკენ მიიჩქარიან პოლიციელები... სანამ გაზეთები და რადიო ქვეყანას მოატყობინებ ამ ამბავს, სკობს, ყველაფერი თვითონ გიამბოთ“.

ჰოლიციელები მდიდრული, ძველებური სახლის ეზოში შედიან. შენობის ახლოს, აუზში პირქვე გაშხლართული მამაკაცის გვამი ტივტივებს. კინოოპერატორებმა გვამს ქვემოდან, ფსკერიდან გადაუღეს სურათი. მამაკაცი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ყოფილა. „იქნებ გგონიათ, ეს კაცი რამეს წარმოადგენდა, — განაგრძობს კიდრსიქითა ხმა, — იგი მეორეხარისხოვანი მწერალი იყო და „ბ“ კლასის ფილმებისათვის ორიოდე სცენარის დაწერა მოასწრო მხოლოდ. თუმცა სკობს, ხუთი თვით დაბრუნდეთ უკან...“

... პატარა, უბრალოდ მოჭრთულ ოთახში ბოლოთას სცენს ფილმის მთავარი გმირი ჯო გალისი. ეს ის კაცია, აუზში რომ ვედო. კადრს იქით იგივე ხმა განაგრძობს: „რა ხანია უგრძოდ ეზიავრ; სცენარებს ვწერ. მაგრამ კინოსტუდიები უარს მეუბნებიან გადაღებაზე. ვერაფერი გამიგია: ან კალამი აღარ მიქრის, ანდა ჩემი სცენარები ზედმეტად ორიგინალურებია.“

ის ფაქტი, რომ მიცვალებული თავის თავგადასავალს თვითონვე გვიამბობს, არ უნდა აღვიქვათ როგორც მისტიკური ატმოსფეროს გასამუქებელი საშუალება, რადგან ფილმში არავითარ მისტიფიკაციას არა აქვს ადგილი. ეს უფრო გაშიშვლებული ხერხია. ავტორებმა თავიანთ ფილმში შეგნებულად შეიტანეს ძნელად დასაჯერებელი ელემენტი (მიცვალებულის ლაპარაკება) და ამით თითქოს გაფრთხილეს მაყურებელი: ამბავი, რომელიც თქვენს თვალწინ ხდება, ნამდვილი არ გეგონოთ, შეთხზულია, მაგრამ მთავარი ეს არ არის: კინოს სასურველები უყვარს და ამიტომ პირდაპირ მნიშვნელობას ნუ მისცემთ იმას, რასაც ეკრანზე იხილავთ. განა სულ ერთი არ არის, რა ამბავიც მოხდებოდა? მთავარია არა თვითონ ამბავი, არამედ ის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ამ ამბის იქით იმალება; მთავარია აზრი, ამ ამბიდან რომ მომდინარეობს.

ყველა მთავარი ეპიზოდი, ფინალი, მოქმედი გმირები, მრავალი სიმბოლური დეტალი, მრავალშინაარსიანი რეპლიკები — ყველაფერი ეს ფილმს განმაზოგადებელ ღღერადობას ანიჭებს. თვით სათაურიც კი სტატისტიკური ნიშნავს „ჩამავალი მზის ბულვარს“. ვინც ამ ფილმს ნახავს, ადვილად მიხვდება, რატომ დაარქვეს ავტორებმა მას ეს სახელი.

... ჯო გილისი ოთახში პოლთასა სცემდა, როცა ზარმა დაიწრიალა. იგი კარს გაუბედავად მიეახლოდა და გააღო. მის წინ ავტოკომპანიის აგენტები იდგნენ. აგენტებმა ჯოს კომპანიიდან განეადებთან გამოტანილი მანქანის მორიგი გადასახადი მოსთხოვეს. თუ არ გადიიხდი, მანქანას ჩამოგართმევთო, დაემუქრნენ. ჯო გილისი აგენტებს გამოუტყდა, ახლა ფული არა მაქვს და მანქანაც მეგობრარ ვათხოვეი. კიდევ მოვალთო, თქვეს აგენტებმა და წავიდნენ. მალე ჯო სახლიდან გამოვიდა და მშვიდად ჩაჯდა მანქანაში, რომლის განთხოვრება მას არც უფიქრია. კადრს იქით ხმა განაგრძობს: „ეარგა ხანი სტუდია „პარამაუნტ“ სცენარი ჩავაბარე. იქ ერთ პროდუსერს ვიცნობ. წავალ, მივაკითხავ, იქნებ ბედმა გამიღიმოს“.

პროდუსერი ძველ ნაცნობს გულგრილად შეხვდა:

— დრო არა მაქვს. ხუთ წუთში მიამბეთ თქვენი სცენარი.

— სცენარი ერთი ბეისბოლისტის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, — უთხრა ჯოლისმა პროდუსერს, — „ღვინით სარდაფში“ ჰქვია. მთავარი როლის შემსრულებლად ალან ლედი შეგირჩიეთ...

პროდუსერმა სასცენარო განყოფილების რედაქტორი იხმო. ოთახში შემოვიდა ახალგაზრდა ქალი, სახელად ბეტი. ქალს ჯო მოეწონება, მაგრამ სცენარის მინიც დაეწუნებს.

ჯო — მოთხარით, იქნებ ჯეიმს ჯოისი ან დოსტოევსკი გსურთ? ახლა „ქარისაგან წაღებული“[1] რომ მომეტანა, იმასაც დაიწუნებდით.

პ რ ო დ უ ს ერ — სამწუხაროდ, ბეისბოლზე ზანუკი იღება ფილმს. იქნებ ბეტი ჰატონისათვის დაგეწერათ მუსიკალური ფილმი.

ჯ ო — რაც გინდათ დამავალეთ, ოღონდ მუსიკალურ ფილმზე ნურაფერს მეტყვით. იქნებ რომელმე სცენარს დაალაგის დამატება სჭირდება ან სხვა რამე, შემიძლია დაგეხმარით!

ჯოს ყველა სამუშაოზე უარი უთხრეს. მაშინ ახალგაზრდა ქალმა პროდუსერს შეუპყრა, მანქანის ქირა მაქვს გადასახდელი და იქნებ სამსაი დოლარი მასესხოთო, მაგრამ ამაოდ...

ასე და ამგვარად, ფილმის პირველივე კადრებიდან ეცნობა მაყურებელი ჰოლივუდსა და მის კულისებს მიღმა ცხოვრებას.

ჯიუტი პროდუსერის გული რომ ვერაფრით მოიგო, ჯომ გაიფიქრა: ჯანდაბას იქით წასულა ჰოლივუდი, წავალ, ისევ ჩემს ძველ ადგილს — რეპორტიორის ადგილს დავუბრუნდები ოჰაიოში, კეთრაში ოცდათხუთმეტ დოლარს მინაც მივიღებ.

ბულვარ სანსეტზე ჯო ნაცნობ აგენტებს წააწყდება. აგენტები მანქანითვე დაიდვენებიან ჯოს. კვლის ასარეკად ჯო პირველსავე ეზოში შეუხვევს. ეზოში, ბედზე, გარაჟს მოჰკრავს თვალს. გარაჟში 1929 წლის გამოშვების ზორზოზა, გაპრიალებული როლს-როისი დგას. ჯომ სწრაფად გაიფიქრა, რა მოხდება, გარაჟის პატრონს. ჩემი მანქანისათვის ფროგბითი საგზაფი რომ ვთხოვო. გაიფიქრა და კიდევ გასწია სახლისაკენ. ბზადაზი იქაურობა მოათვალიერა: ირგვლივ უწესრიგობა სუფევდა. ნაგვით ავსებულიყო ეზო, ტენისის კორტებს მოეფეფლობა დასტყობოდათ, ბაღი გადაეთელათ, ამომშრალ აუზში გულისამრევი, მსუქანი ვირთხები დაშლიგინებდნენ. ჯო სადარბაზოს მიეახლოვდა.

ჯოს ის იყო ზღურბლზე უნდა გადაედგა ფეხი, რომ სადღაც მალლიდან ქალის მკვახე, მბრძანებელური ხმა მოესმა. ჯომ აიხედა და მეორე სართულისკენ ამაღალ ფართო კიბის მოედანზე შაგეაში ჩაცმული ქალი დალანდა: დიდი, შავი სათვალე ნახევარ სახეს უფარავდა და ამიტომაც ქალს საიდუმლო და პირქუში ეერი ჰქონდა. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ჯოს გვერდით ლაქიის შემოსავით ტანი აღიმართა. ქალმა მაღლა ასკლა უბრძანა მოსულს, თანაც საყვედურებით აავსო, რად დაიგვიანე, კუბოს ზომები როდისკა უნდა აიღოო.

ჯო მიხვდა, ამ უცნაურ სახლში იგი მეკუბოვედ მიიღეს: ოურე ქალს საყვარელი მიმეუნი მოკვდომოდა და მისი ზარ-ზეიმით დასაფლავება გადაეწყვეტა. საუბრისას ქალმა სათვალე მოიხსნა. ჯო ცნობისმოყვარეობით დააკვირდა ულამაზესი ფროილაგან დადარული ქალის სახეს და, თავისდა გასაოცრად, მუნჯი კინოს ცნობილი „ვარსკვლავი“ ნორმა დესმონდი შეიცნო.

ჯომ თავისი ვინაობა გაუმხილა. ქალმა იგი თავის კაბინეტში მიიწვია. მთელი ოთახი დიასახლისის სურათებით მოერთოდა. მაგიდაზე სქელტანიანი რვეული იდო. ნორმამ სტუმარს უთხრა, მოცალო�dა ვამს დავწერე სცენარი სალმეკაზე და თუ არ შეწუხდებით, წაიკითხეთო. ჯომ თვალი გადაავლო სცენარს, არ მოეწონა, მაგრამ

ალექსანდრე კუკარკინი

ჩამავალი მზის ბულვარი

[1] ამერიკელმა რეჟისორებმა ჯორჯ კიუკორმა, ვიქტორ ფლეშინგმა და სემ ვუდმა მარგარეტ მიტჩელის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაიღეს ფილმი (1939 წ.). ფილმში მონაწილეობდნენ სახელგანთქმული მსახიობები: ვივიენ ლი და კლარკ გეიბლი (ე. ა.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიასახლისს დაუმალა თავისი აზრი და პირიქით ურჩია, მოძებნეო კაცი, რომელიც სცენარს შეგისწორებთო. ნორმამ ჯოს სთხოვა, ეს სამე თქვენ ითავეთ ხო, რა თქმა უნდა, გასამრჯელოსაც მოკარამეეთო. ჯოსაც ეს უნდოდა, ქალი აღელვად წამოვიგო მის ანკესს! თუკი დიასახლისს აუცილებელ პირობად მიაჩნია, კეთილი, ჯო დროებით იეხოვრებს კიდეც ამ სახლში.

ჯოსთვის თითქი ფლიგელში გამოჰყვეს. ოთახმდე იგი ნორმას ერთადერთმა მსახურმა — მაქსმა მიაცილა. გზადაგზა მაქსმა ნორმა დღემონდის წარსულ დიდებაზე მოუთხრო სტუმარს. ნორმა თაყვანისმცემლებისგან ახლაც კვირაში ჩვიდმეტთასამადე წერილს იღებსო, ამბობდა მაქსი, — იყო დრო, ინდოეთის მაჰარაჯა მის სანახავად საგანგებო თვითმფრინავით ჩამოდიოდაო ამერიკაში.

ჯო მაქსს უსმენდა და თან თავის ოთახს ათვალიერებდა. მერე ერთადერთ ფანჯარას მიადგა და ბაღში გადაიხედა:

ხმა — ამ სახლში თითქოს ყველაფერი შაბერს გაენადგურებინოს... ქვეშოთ ერთი ამბით ასაფლავებენ მიიშეს. ნუთუ ნორმა დღემონდის ცხოვრება ისე დაკარიელდა, რომ მხოლოდ ამგვარი სისულელეებით ერთობა?

ისე თანდათან ყალიბდება და ხორცს ისხამს ჰოლიუდის „ჩაქმარალი ვარსკვლავის“ სახე. ყველასათვის ცნობილია, რომ ამერიკაში მსახიობის ბედი პროდუსერისა და მეწყვეი მაყურებლის სიმპათიებზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ამერიკელი კინოწარმოების ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს კინოვარსკვლავთა სწორედ ის სისტემა, ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ რომ ჩამოყალიბდა ჰოლიუდში. ამ სისტემას ჰოლიუდის მესვეურთათვის ორნაირი მოგება მოაქვს: ჯერ ერთი, მყვარალა რეკლამა „ვარსკვლავს“ დიდების შარავანდედით მოსავს, საყოველთაო აღიარებას უხვეულ და მის მიმართ მაყურებლის ინტერესს ზრდის, — აქედან გამომდინარე, უხვი სალაროს შემოსავალიც, მეორე მხრივ, კინოვარსკვლავთა კულტი საქმოსან პროდუსერებს ეხმარება, გზიდან ჩამოიცილონ „საშიში მეტოქეები“ — ნამდვილად ნიჭიერი შემოქმედი ძალები, კინოდრამატურგები და რეჟისორები.

სანამ „ვარსკვლავი“ დიდების ზენიტზეა, პრესა და რადიო დროს უქმად არ ჰკარგავს და ქვეყანას ამცნობს მსახიობის პირადი ცხოვრების უწვრილმანეს დეტალებსაც კი. „ვარსკვლავისათვის“ საგანგებოდ წერენ სცენარებს, ქმნიან როლებს. რეჟისორს მხოლოდ ერთი აზრი აამოძრავებს: რაც შეიძლება კარგად „მიართვას“ მსახიობი მაყურებელს. მაგრამ საკმარისია, „ვარსკვლავს“ ფეხი დაუცდეს — ასაკით იქნება ეს გამოწვეული, მორიგი ფილმის მარცხით თუ ამავე ამპლუაში სხვა, ბედნიერი მეტოქის გამოჩენით — რომ მას წინანდელი „შემოსავლიანობა“ დაეკარგება და ჰოლიუდის სტუდიების, ეკონომისთვის სამუდამოდ დაიკეტება.

„ბუღვარ სანსტუს“ ძირითად სუვენტად სწორედ ასეთ ბედში ჩავარდნილი მსახიობის დრამაა აღებული.

... დილით ჯო ბაჭის „ტოკატოს“ საზეიმო პანგებმა გამოაღვიძა. მაქსი უკრავდა ორღანზე... ჯომ სცენარზე მუშაობა დაიწყო. პაპიროსის კვამლში გახვეული ნორმა აღმოსავლეთის მფლობელივით მოკალთდა სავარძელში, ჯოს პირდაპირ.

ხმა — მე ფეული მეპირდებოდა, მაგრამ უფრო მეტად ამ სახლიდან თავის დაძვრენაზე ვფიქრობდი. ქალი ძე ვეფხვივით დამდევდა, მაფრთხილებდა, სცენარიდან ის ადგილები არ ამოაგდო, სადაც მე ვმონაწილეობო. მეც, სხვი-ა გზა მქონდა, უარს არ ვეუბნებოდი. განა მთვარეულთან რამეს გაგწყობ? კვირაში ორჯერ ფილმებს ვნახულობდით. ოპერატორი მაქსი იყო, ხოლო ეკრანზე ყველაზე ხშირად ვის ვხედავდით, ალბათ უთქმელადაც მიხვდებით. „ვარსკვლავი“, რა თქმა უნდა, ყოველთვის ნორმა. დღემონდი იყო... ქუჩაში ნორმა იშვიათად გამოდიოდა. გარეთ უფრო მწვავედ ვგრძნობ, ცხოვრებას როგორ ჩამოვრჩი, ამბობდა ის.

ერთხელ როგორღაც ნორმასთან თავს მოიყრიან სტუმრები — მასავით „ცვლის ფეგურები“, წარსულში მეწყი კინოს ცნობილი მოღვაწეები. ავტოკომპანიის აგენტებმა ჯოს მანქანას, როგორც იქნა, მიაკლიეს და პატრონს მიანდამინე ამ საღამოს დაესხნენ თავს. ჯოს სტუდრებისა შერცხვა და დიასახლისს ვერ აუხსნა. საქმის ვითარება, ვერც ფული სთხოვა. აგენტებმაც მანქანა ისე წაიყვანეს, ჯომ სიტყვაც ვერ დასძრა (ეს მანქანა რომ არა, ჯო ამ ქალის კლანეკებში არ ჩავარდებოდა!). როცა სტუმრებიც წავიდ-წამოვიდნენ, ნორმა ჯოს დამშვიდებას მოჰკვეა, ოღონდ ნუ იდარდეს და ჩემს როლს-როისს დაგთმობო. ჯო ბედს შეურიგდა. ამის მერე ის და ნორმა ჩასხდებოდნენ ხოლმე ამ დამამინებელ მანქანაში და სეირნობდნენ. მანქანას მაქსი მართავდა.

ნორმამ ჯოს უთხრა, ახალ წელს მარტო შენთან ერთად მინდა შევხვდეო. ორკესტრი მოიწვია, მაქსს შამპანური მოატანინა. ნორმა ოცნებას მოჰკვეა, მომავლის გეგმებს აწყობდა. მერე ჯოს სახუკრად ოქროს სათუთუნე შესთავაზა. ჯოს მოეწვენა, ამ ქალს ჩემი ყიდვა განუზრახავსო, გაბრაზდა და ქალს პირში მიახალა: „ნუთუ ერთხელაც არ გიფიქრიათ იმაზე, რომ შეიძლება საცოლე მყავდესო“.

ამ სიტყვებზე ქალი განრისხდა, ჯოს სახეში სილა შემოჰკრა და მერე თავის ოთახში გაიქცა აღელვებული. ჯომ პალტო ჩაიცვა და წავიდა. მაქსმა მდუმარედ გააყოლა თვალი მიმავალს.

ჯო მეგობრებს ესტუმრა საახალწლო სუფრაზე. აქ იგი შემთხვევით შეხვდა ბეტის — „პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაუნტის“ სასცენარო განყოფილების რედაქტორს, ბეტიმ ჯოს უთხრა, თქვენი მეორე სცენარი — „ჩაბნელებული სარკელი“ წაგიკითხე და ძალიან მომეწონა, თანაც დასძინა, განსაკუთრებით ღარიბი მასწავლებელი ქალის მართალმა სახემ ამაღელვა. დანაღელიანებელმა ჯონ ბეტის ქათინაურის ასე უპასუხა: „ნეტავ ვის სჯობდა ჩვენში მართალი და ამაღელებელი ამბავიო“.

ჯონ გუნებაზე არ იყო, მაგრამ ქალიშვილთან გასაუბრება მაინც მოახერხა და თავისდა უნებურად კიდევ მოიხმიანა მისი სინორჩინი, ყმაწვილქალური უშფალობით. ჯონ მტკიცედ გადაწყვიტა, ნორმას კლაუბეს როგორმე თავი უნდა დავალწიო‍ო, ადგა და ტელეფონით დაურეკა მაქსს, თუ შეიძლება, ჩემი ნივთები მომტანეთო. თავის მხრივ მაქსმა აცნობა, თქვენი წასვლის შემდეგ ნორმამ ვენები გადაიკრა... ჯონ უსიტყვოდ გაეშურება ბულვარ სანსეტისაკენ.

საწოლზე ხელაბშეხეეული ნორმა წევს. ჯონ სინდისი ქენჯნის: „მთელს ქალაქში თქვენ იყავით ერთადერთი ადამიანი, ვინც დახმარების ხელი გამომიწოდეთ“, — ეუბნება იგი ქალს. ეს შერიგების სიტყვები იყო. ქალი აფთარივით ჩაეშვიდა ვაჟს და თავისკენ მიიზიდავს...

ძველი სახლი მეორედ დაბადებას დღესასწაულობს. აყვავიდნა ბალი, აუზი პირამდეა ავსებს წყლით. ამ აუზში ხომ ჯოს უყვარს ბანაობა! ნორმა ბედნიერია, სჯერა, ჩემი დროც დადგა, მაგრამ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს.

ნორმამ გადაწყვიტა, თავისი ძველი მეგობარი, რეჟისორ სესილ დე მილი მოინახულოს და „სალომეას“ გადაღებაზე მოელაპარაკოს. და აი, ოცი წლის შემდეგ ნორმა კვლავ სტუდიი „პარამაუნტზეა“... სესილ დე მილს სცენარი არ მოეწონა და ის იყო თავისი აზრიც უნდა გამოეთქვა, რომ ქალის თვალებში სიხარულის ცრემლს დაინახავს (ქალს უხარია, კვლავ სტუდიაში რომ იმყოფება). რეჟისორს ნორმა შეეცოდება და რაღაცას მიკიბ-მოკიბავს. ნორმა ვერაფერს ხვდება.

გარეთ კი ნორმას ჯონ ელდება მანქანაში, მოულოდნელად ჯონ ბეტის დაინახავს. როგორც ყოველთვის, ბეტის ახლაც გიეხარდა ჯოს ნახვა. ქალი კვლავ სცენარზე ჩამოუგდებს საუბარს. ბოლოს ორივენი შეთანხმდებიან, სცენარი — „ჩაბნელებული სარკელი“ ერთად დაამუშაონ.

დე მილს მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკს ნორმა ვერ ხვდება და, გადაღებისათვის ემზადება, მთელი დღე სახის მსაჯითა და კოსმეტიკით არის გართული. ამ მკაცრი რეჟიმის წყალობით ჯოს მეტი თავისუფალი დრო აქვს. ყოველ საღამოს ის და ბეტი სცენარს ამუშავებენ. ბოლოს ქალ-ვაჟი ისე შეეჩვევა ერთმანეთს, რომ მათი მეგობრობა სიყვარულში გადაიზრდება. მაქსი ყველაფრს ხვდება. ერთხელ შინ გვიანღამით დაბრუნებულ ჯოს დახვდება და სთხოვს, შეიძინოს ნორმა, მერე თავის თავგადასავლაც უამბობს:

მ ა ქ ს ი — ნორმა თექვსმეტი წლისა იყო, როცა მე აღმოვაჩინე. იმ ხანებში კინოს სამყაროს სამი ცნობილი რეჟისორი გაწაგებდა. ესენი იყვნენ გრიფიტი, დე მილი და მაქს ფონ მაიერლინგი. დიახ, ერთ-ერთი იმ სამობავინი და ნორმას პირველი ქმარიც მე ვიყავი! რაც გამაჩნდა, ყველაფერი ამ ქალს შეეწირე...

მაგრამ უკვე გვიანაა... ნორმაც იგრძნობს მოაბოლოებულ უბედურებას და იმავე ღამით ჯიბეებს გაუჩხრეკს დაძინებულ ჯოს. ჯიბეში ნორმამ დაუთავრებელი სცენარი იპოვა, ავტორთა გვარი და სახელიც ამოიკითხა. მაშასადამე, თანაავტორი ქალი ყოფილა! ეჭვით დაკოდილი ნორმა შურის საძიებლად ემზადება.

მეორე დღეს ნორმასა და ჯოს ჩხეება მოუვათ. „როდემდე გინდა ასე იცხოვრო?! შენ ადარაფისთვის ადარ არსებობს, ყველამ დაგივიწყა, ხომ არ გგონია, წერილებს მართლა თაყვანისმცემლები გწერენ? ამ წერილებს მაქსი გიგზავნის“, — ეუბნება მოთმინებადაკარგული ჯონ ქალს, მერე თავის ნივთებს დაავლებს ხელს და მიდის.

რამდენიმე ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ასწრებს, რომ კართან ნორმა გამოჩნდება, ხელში რევოლვერი უჭირავს. გახევებული ქალი სულ რაღაც ერთი წამი უეცერის მიმავალ კაცს, მერე რევოლვერს დაუმიზნებს... ერთი, ორი, სამი... ჯოს ჩემოდანი გაუვარდა ხელიდან, ნაბიჯი აერია და აუზში პირქვე ჩავარდა...

ხ მ ა — ჩვენი ამბავიც აქედან დაიწყო. ჩემი გვამი წყლიდან ეაუშვებით ამოთარიეე, მოლზე ფრთხილად დასვენეს, დაათვალიერეს. პირდაპირ გასაოცარია, რა დიდი ყურადღებით ეპყრობიან ადამიანები მიეცალებულებს! ამასობაში ხალხიც შეგროვდა, კინოკრონიკის გადამღები ჯგუფიც მოვიდა. იქნებ ნორმა დაუსწავლი გადარჩენ (ხომ შეიძლება თქვან, ქალი აფექრის მდგომარეობაში იყოო?), მაგრამ სულ ერთია, მას ბოლოს მოუღებენ მარტო გაზეთების სათაურებიც: „ეკრანის ჩაქრარალი ვარსკვლავი“, „გუშინდელი დედოფალი“ და სხვა.

პოლიციელებს სურთ ნორმა დაკკითხონ, მაგრამ ნორმა თავის ბუდუარშია და ხმას არ იღებს. ანთებული თვალებით მიშტერებია სარკეს. ეიღაცამ ჩაილაპარაკა, კინოოპერატორები მოვიდნენო. ყურს მოჰკრავს თუ არა ამ სიტყვებს, ქალი ამაყად წამოდგება: „გადაეცით დე მილს, რომ მე მზადა ვარ“. ნორმა კიბის მოედანზე გამოდის. ქვემოთ, შემოსასვლელში ოპერატორები და გამნათებლები დგანან. აქვეა სახეგადაფფითრებული მაქსიც. ოპერატორებისა და

ალექსანდრე კუკარკინი
ჩამამალი მზის გულვარი

კინოკამერების დანახვაზე ნორმა „სალომეას“ გადაღებაზე წარმოიდგენს თავს. „სანამ გადაღებას დაიწყებდეთ, ერთი-ორი სიტყვა მთქმელი ვიქნეთო“, — სთხოვს იგი იქ მყოფთ. აი, ეს სიტყვებიც: „ვერ აგიწერთ, რა ბედნიერი ვარ... მთელი ჩემი სიცოცხლე კინოს ეკუთვნის... მისტერ ფე მილ, მე მზადა ვარ ჩემი უკანასკნელი ფართოშალანაში კაღრინათვის!“

შემცბარი ოპერატორები უსიტყვოდ, გაჭეკულნი შესაქერაზ ქალს. სიჩუმეს მოხეცი მაქსი დაარღვევს. იგი ძალას მოიკრებს და ყველებური რიხით, დინჯად ბრძანებს: „შუქი! იწყება გადაღება!“

ეკრანზე მხოლოდ ნორმას სახე ჩანს. საბრალო ქალს თავი სალომეად წარმოუდგენია, ამაყად ეშვება კიბეზე — თავისი ცხოვრების დასასრულისკენ. სახის ნაკვთები ბინდში იკარგება...

ასე მთავრდება ერთი კინოვარსკვლავის ამბავი. საინტერესო არ არის, რა ელოდება მას მომავალში — ციხე, ელექტროსკამი თუ საგიეკსულ ერთია, მისი სიცოცხლე ჩალის ფასადაც არ ეღირება. ფილმის ფინალში დიდი ოსტატობით არის ნაჩვენები სინამდვილისა და ილუზიის შეჯახების მთელი ტრაგიზმი, მასში ღრმა აზრია ჩაქსოვილი. მაყურებელი ვერც კი ამჩნევს, ნორმა დესმონდის თავგადასავალი პირადულობის ფარგლებს რომ სცილდება და განმაზოგადებელ ეღერადობას იძენს. „ჩამქრალ ვარსკვლავში“ თითქოს თავი მოუყია ყველა იმ სიკარიერესა და შემოქმედებით უძლურების, რასაც ასე ძლიერ განიცდის დღევანდელი ჰოლივუდი. ჰოლივუდი ნორმას მსგავსად მხოლოდ წარსულით სუნთქავს, ეშინია სინამდვილის; ნორმას მსგავსდ ელოდება იგი წარსული დიდების დაბრუნებას. მაგრამ ეს დიდება მართლაც რომ წარსულს ეკუთვნის უკვე და არც არასოდეს დაბრუნდება. ზემოთ, სახლის აღწერისას აღნიშნეთ, რომ „სახლში ყველაფერი თითქოს შავ ჭირს ვიენადგურებინოს“. ასევე შეიძლება ითქვას ამერიკის კინოს დედაქალაქზეც. აქედან გამომდინარეობს ფილმის სათაური: „ჩამავალი მზის ბულვარი“. ეს არა მარტო ჰოლივუდის თავადინი ქუჩა, არამედ მთელი ჰოლივუდია, რომელმაც თავისი სახელი და დიდება წარსულს ჩააბარა.

მაყურებელში რომ დამატებითი ასოციაციები გამოიწვიონ და თავიანთი ჩანაფიქრიც განახორციელონ, ფილმის ავტორებმა მხატვრულ კინემატოგრაფიაში შეეითად გამოყენებულ ხერხს მიმართეს: ჰოლივუდის ბევრი ცნობილი მსახიობი აიყარეს, ამ ფილმში თავისი თავი განესახიერებინა. მაგალითად, ნორმა დესმონდის როლი განასახიერა ამერიკის მუნჯი კინოს ცნობილმა მსახიობმა ქალმა გლორია სვენსონმა, რომელმაც კარგა ხანია დატოვა ეკრანი. გლორია სვენსონის გარდა ფილმში მონაწილეობენ „წარსულის ჩრდილები“, 20-იანი წლების უპირველესი მსახიობები (ბესტერ კიტონი და სხვები).

ფილმში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორ მთავარ მოქმედ გმირს, კინორეჟისორს სესილი დე მილ (მას განასახიერებს თვით ღრმამოხუცებული სესილი დე მილი) და მაქს ფონ მაიერლინგს. მაიერლინგის როლს ასრულებს ერიხ ფონ შტროგეიმი (საპჭოთა მაყურებელი ამ მსახიობს იცნობს ფილმიდან „შპიონაჟის ქსელი“ — ე. ა.). თუმცა ფილმში ამ ორი რეჟისორის სახე დრამატურგიულად თითქმის არ არის გახსნილი, მათი მნიშვნელობა მაინც დიდია. პირველის ნამდვილი გვარი და სახელი, მეორისა კი ადვილად მისანიშნი ფსევდონიმი და ამასთან ამერიკელი მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი სახე, ჰოლივუდის ორ მოწინააღმდეგე ძალთა შეჯახების ეოცსაფ სურათს ქმნის.

რეჟისორი სესილ დე მილი ისეთივე ხელშეუხებელი და დამახასიათებელი ნაწილია ჰოლივუდისათვის, როგორც თვით ჰოლივუდია მე-20 საუკუნის ამერიკისთვის. დე მილი ჰოლივუდთან ერთად ამოტივტივდა 1911-1915 წლებში, ჰოლივუდის განვითარების ყველა ეტაპზე იგი ცდილობდა გამატონებულთა რიგებში მდგარიყო. დღ მართლაც, დე მილი ჰოლივუდის იმ მცირერიცხოვან ელიტას ეკუთვნოდა, რომელსაც გააჩნია „ა“ კლასის გასართობი და „ავტორიტეტული“ ფილმების შესაქმნელად საჭირო ნებართვა და სახსრები. როგორც წესი, ეს ფილმები მასობრივი გამოშვების მეორეხარისხოვანსა და სტანდარტულ პროდუქციას წარმოადგენდა. დე მილის მიერ შექმნილი სამოცდაათამდე ფილმი ამერიკის კომერციული კინოს თავისებურ გზის მაჩვენებლად და ამავე დროს ბურჟუაზიულ შეხედულებათა ენციკლოპედიად გამოდგებოდა. თავის ფილმებში სესილ დე მილი ისეთ თემას ეკიდებოდა, რომელსაც ყოველთვის შეეძლო სალაროს შემოსავლის უზრუნველყოფა.

სესილ დე მილი რომ „ბულვარ სანსეტში“ გადაღებაზე დათანხმდა, ეს უპირველეს ყოვლისა, იმისაგნ იმით, რომ მას სურდა დამატებითი რეკლამა მიეღო. იგი ალბათ არც კი დაეჭვებულა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა მიენიჭებოდა მის გამოჩენას ამ ფილმში. საინტერესოა, თვით ფილმის ავტორებს თუ ჰკონდათ წინასწარგამიზნული „ბულვარ სანსეტში“ დე მილის გადაღება? ამ საკითხზე რაიმე განსაზღვრული თქმა ერთთან ძნელია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რა გონივრულად და დიდი ტაქტით არის დადგმული ეს ფილმი, მაშინ ამ კითხვას შეიძლება დადებითად უფრო ვუპასუხოთ, ვიდრე უარყოფითად.

ამ როლში დე მილზე უფრო შესაფერი მსახიობის გამოყვანა ნამდვილად გაძნელდებოდა, წარმოუდგენელი იქნებოდა აგრეთვე ერიხ ფონ შტროგეიმზე უკეთესი კანდიდატურის მოძებნაც. ფილმის ავტორებს შტროგეიმის სახით სურდათ იმ ოსტატთა სახელოვანი კოპორტი ეჩვენებინათ,

ჰოლივუდის შტამპებისა და კანონების წინააღმდეგ რომ ილაშქრებდნენ მუდამ.

ამერიკის პროგრესული კინოხელოვნება, რაც ოქმა უნდა, ჩარლი ჩაპლინის სახელთან არის დაკავშირებული. მრავალი თეთელი წლის მანძილზე ჩაპლინი მტკიცედ და უკომპრომისოდ იცავდა თავის შემოქმედებით დამოუკიდებლობას. მაგრამ ჩაპლინი, — ვინც ბოლოს და ბოლოს განდევნეს ამერიკიდან, — მაინც გამონაკლისია: მთელს მსოფლიოში მოიხეპა არაჩვეულებრივი პოპულარობა და სწორედ ეს პოპულარობა დაეხმარა მას, ბოლომდე მტკიცედ მდგარიყო. სხვები მალე იხრიდნენ ქედს არჩევანის წინაშე: ან ჰოლივუდი, ან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა მასთან. ჩაპლინი ამბობდა: ხელოვანი, „რომელიც უარს ამბობს სხვების მიერ გატკეპნილ გზაზე იაროს და რომელიც დიდი ბიზნესის მითითებებს არად მიიჩნევს, სჯობს დაემშვიდობოს წარმატებას კინოს სამყაროშიო“.

ერიხ ფონ შტროგეიმის ნათელი, მაგრამ ხანმოკლე რეჟისორული კარიერა ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს იმ უამრავ ღრამატულ ბედს შორის, რომელთაც ვერ მოითვლის ამერიკის კინოხელოვნების მატიანე. შტროგეიმს დე მილზე კი ფილმით ნაკუბი თუ ექნება გადაღებული, მაგრამ ყველი მისი ფილმი გამორჩეულ ირონიითია და სატირით, არაჩვეულებრივი პატოსსებით.

შტროგეიმის სითამამემ მაღალი საზოგადოების რისხვა გამოწვია. და როცა რეჟისორს ჰოლივუდში შეტად გავრცელებულ ეპარნი — მელოდრამაზე სატირული ფილმი „დედოფალი კელი“ უნდა შეექმნა, გადაღება შეწყდა. მიზეზი ერთი მსახიობი ქალის საჩივარი იყო. საქმე შემდეგში მდგომარეობდა: თურმე რეჟისორს ფილმში გმირი ქალის გაწკეპვლის ეპიზოდი ჩაუთავაზ. ამ ქალის როლის შემსრულებელ მსახიობს კი ეს ამბავი არ ს

ტური გადახვევის ტიპიერობასა და არატიპიერობაში როდი, რის გამოც გმირი იძულებული მასზე დაკისრებული მისია შეასრულოს. შესაძლებელია, ჰოლივუდისათვის ასეთი გადახვევა ტიპიერია, მაგრამ რაში დასჭირდათ ეს ფილმის შემქმნელებს? იქნება იმის დასადასტურებლად, რომ ჰოლივუდი ახალგაზრდა ტალანტებს რაყნის? თუ ეს ასეა, რა საჭირო იყო ასეთი დაწვრილებანება? ეს ხომ ფილმის მხატვრულ ღირსებას ჩრდილავს?

რა თქმა უნდა, ამ ნაკლმა ფილმის მთავარი აზრი ვერ მიჩქმალა, მხოლოდ ჩრდილი მიაყენა მას და ყველაზე მეტად მთავარი გმირის სახე დააზიანა. სწორედ ამ გმირის მერყეობამ და არა ტრაგიკულმა ფინალმა დაასვა ფილმს პესიმიზმის დაღი.

ფილმის არსებითი ნაკლია დამდგმელ-რეჟისორთა მიდრეკილება ეკსცენტრიკული ეფექტებისადმი. კერძოდ, უნდა მოვიხსენიოთ მიცვალებული, რომელიც თვითონ გვიამბობს თავის თავგადასავლს, აგრეთვე ის ადგილებიც, სადაც მაყურებელი პრივლეგ ეცნობა ბუღალტერსნსტუტზე მდებარე სახლსა და მის მობინადრეებს: ვეებერთელა შავსათვალიან დისასახლისსა და მდუმარე ლაქიას. იდუმალებით არის მოცული მათი საუბარი კუბოზე, დასაფლავებაზე და სხვ. ფილმში ამდაგვარი ეფექტების შეტანა მხოლოდ ნაწილობრივ არის გამართლებული, თუმცა დასახული მიზნის მისაღწევად ფილმის შემქმნელებს შეეძლოთ ჩვეულებრივი, რეალისტური ხერხები გამოეყენებინათ.

აღსანიშნავია, რომ დეტექტივს მხოლოდ ფილმის დასაწყისში ვხვდებით. სწორედ ეს ეპიზოდი ფილმის შემქმნელთა მიზანს, კერძოდ, მათ სურვილს — დასაწყისიდანვე დაინტერესონ მაყურებელი, რათა შემდეგ მთავარი, სერიოზული მასალა მიაწოდონ მას. ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლეული არ არის ფილმის სცენარის ერთ-ერთი თანაავტორის ბილი უაილდერის გულახდილი აღსარება:

„როდესაც ე. წ. „პრობლემატურ ფილმებს" ვქმნით, მუდამ უნდა გვახსოვდეს ჩვენი მაყურებლის ზეხდოცლებები და გემოვნება... სიუჟეტი სწრაფად უნდა ვითარდებოდეს. საჭიროა გავითვალისწინოთ შემოსავლის საკითხიც. ფილმის მწარმოებელ კომპანიებში შედიან აქციონერები, რომელთაც შემოსავლიდან წილის მიღება სურთ. ამრიგად, ბაზარზე რომ ძვირად ფასობდეს, უნდა შევქმნათ ისეთი ფილმები, რომელთაც წარმატება ექნებათ მაყურებლებში. ჩვენ ვერ დავუშვებთ განუსაზღვრელ საწარმოო ხარჯს მხოლოდ იმიტომ, რომ მხატვრულ საზღვარს მივაღწიოთ. პირიქით, ჩვენ ვალდებული ვართ შევიკავოთ შემოქმედებითი გულისწადილი".

მწარე აღიარებაა! ასეთივე გულისტკივილით არის გამსჭვალული „ბულვარი სანსეტიც". ეს ფილმი, მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლისა, ამერიკის ომისშემდგომი წლების კინოტიკული რეალიზმის თვალსაჩინო ნაწარმოებია.

ფილმი „ბულვარი სანსეტი" 1950 წელს შეიქმნა. მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ჰოლივუდში მდგომარეობა არ შეცვლილა.

თავის მოგონებებში ამერიკის კინოს პოპულარული მსახიობი ქალი ბეტ დევისი (სპეშუთა მაყურებელმა იგი ნახა ფილმში „ყველაფერი ევას შესახებ" — ე. ა.) წერდა: „პირდაპირ გასაოცარია, რა სიჯიუტით ცდილობენ ჰოლივუდის კინომუშაკები ყველაფერი ვარდისფრად, დაბანილ-დაკარცხნილი უჩვენონ მაყურებელს, სინამდვილე მათ არც უწერ აინტერესებდათ და არც ახლა აინტერესებთან".

„ბულვარ სანსეტის" მნიშვნელობა რომ დღესაც აქტუალურად ჟღერს, ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ჰოლივუდის უფროსი თაობის წარმომადგენელმა, შესანიშნავმა ხელოვანმა კინე ვიდორმა (ფილმ „ომი და მშვიდობა" დამდგმელი-რეჟისორი — ე. ა.) გადაწყვიტა გადაიღოს ფილმი „მოსახვევი გზაზე". ეს ფილმი მოგვითხრობს იმ რეჟისორზე, რომელიც იძულებულია გულში ჩაიკლას ყოველივე კარგის წამოწყების სურვილი და დათმობასა და სარფანობაზე წავიდეს. საბოლოოდ რეჟისორი კარგავს რწმენას საკუთარი თავისა და ხელოვნებისადმი.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში კინე ვიდორმა განაცხადა, ჩემი ახალი ფილმი მოწოდებულია მხარი დაუჭიროს იმ კინემატოგრაფისტებს, რომლებიც სამართლიანად გამოდიან ჰოლივუდის საქმოსნური ტენდენციების წინააღმდეგ და ნაცვლად თანამედროვეობის პრობლემების გადაწყვეტისა, შემოსავლიან, ბიბლიერ სიუჟეტებზე აგებულ ფილმებს ქმნიანენ. ფილმი „მოსახვევი გზაზე" უმეტესად ატარებიოგრაფიული ხასიათისაა და იმედი უნდა ვიქონიოთ (თუკი რეჟისორი ეკრანზე მის გაშვებას მოახერხებს), რომ იგი გარკვეული მოსახვევი იქნება თვით ვიდორის შემოქმედებაში, რადგან მასაც მოუძღვის გარკვეული წელილი ამ უკანასკნელ ხანებში ბიბლიერ სიუჟეტებზე აგებული, მდიდრული, კომერციული ფილმების შექმნაში.

დღევანდელი ჰოლივუდის მიერ გამოშვებულ უმეტეს ფილმებზე მხოლოდ ერთი შეიძლება აღვნიშნოთ: ჰოლივუდმა ნაკლებად საშინა თემები გამოძებნა და წარსული დღეების საკუთარი მეთოდი გაიხსენა. ერთი და იმავე ფილმის მეორედ და მესამედ გადაღების პრაქტიკა ყოველთვის არსებობდა და წარმატებითაც კეთდებოდა ეს საქმე, მაგრამ ახლა განსაკუთრებით გახშირდა. ეკრანზე გამოჩნდა „სპარტაკის" ახალი ვარიანტი. ფერგადასულ აჩრდილად კვლავ ვიიელვა „პაოკალიფსის ოთხმა მხედარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა“, რომელმაც მუნჯი კინოს წლებში დიდი წარმატება მოუტანა რუდოლფო ვალენტინოს, სესილ ფე მილმა მეორედ გადაიღო ფილმი „თი მცნება“. „ბენ-ჰურის“ შესამე დადგმა განახორციელა ულიანგ უილერმა (ჩვენს ეკრანებზე გადიოდა მისი ფილმი „რომაული არდადეგები“ — ე. ა.). ამ ფილმის პირველი ორი ვარიანტი 1907-1926 წლებში შეიქმნა. ბენ-ჰურის ეტლში ვერც ეკ მოსწერო ამერიკის კინო-თეატრების შემოკლა, რომ მას ფეხდადგეს მიჰყვა „ნოეს კიდობანი“ (1929 წელს გადადებული ფილმის გახმოვანებული ვარიანტი) და კიდევ მრავალი სხვა.

ამრიგად, მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ამკამად ჰოლივუდი წარსულით ცხოვრობს, ამ სიტყვის არა მარტო გადაატანითი, არამედ ზოგჯერ პირდაპირი მნიშვნელობითაც.

თავისი არსებობის დიდი ხნის მანძილზე ჰოლივუდმა რამდენიმე თავისებური პერიოდი გადატანა. თვითეულმა ამ პერიოდმა მსოფლიოს მრავალი ნიჭიერი მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი მისცა. მაგრამ ამასთან ერთად თითქმის ყველა პერიოდში ჰოლივუდმა იმდენი იმედგაცრუება და სიმწარე განიცადა, რაც არც ერთ სხვა ქვეყნის კინემატოგრაფიას არ განუცდია მთელი თავისი არსებობის მანძილზე.

თითქმის დაარსებიდანვე შეარქვეს ჰოლივუდს „სიზმრების ფაბრიკა“, „მითების ფაბრიკა“, „გასართობი ბიზნესი“ და ა. შ. მისი არსებობის მომდევნო წლები კი განეუფოფლადა დაკავშირებული ისეთ შემოქმედთა სახელებთან, როგორიცაა დეივდ უორკ გრიფიტი, ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი და სხვები. ამ ადამიანებმა თავიანთი შემოქმედებით დიდი გაელენა მოახდინეს მსოფლიო კინოხელოვნების განვითარებაზე. ოციან წლებში ერიხ ფონ შტროგეიმმა ჰოლივუდი ხატოვნად შეადარა „ძეხვის საჭრელ მანქანას“, თუმცა ამ მანქანის წიაღში იგივე შტროგეიმმა რამდენიმე კარგი ფილმი შექმნა. 1938 წელს თეოდორ დრაიზერი სერგეი ეიზენშტეინს წერდა: „აქაური კინოწარმოება ჩემში ზიზღს იწვევს თავისი იაფფასიანი მეწვრილმანეობით, პირფერობითა და დაბალი გემოვნებითო“. თავის დროზე ეიზენშტეინიც აღნიშნავდა „ჰოლივუდის მიხრწნილებას“. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დრაიზერიცა და ეიზენშტეინიც დიდად აფასებდნენ ამერიკული კინემატოგრაფიის ბევრ ნაწარმოებს სარეთოდ და ნაწილობრივ ოცდაათიანი წლებისას. ეიზენშტეინმა ზოგ მათგანს სავანგებო გამოკვლევაც კი მიუძღვნა.

ყველფაერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ ცნება „ჰოლივუდის“ ორნაირი გაგება თავიდანვე მკაფიოდ გამოიხატა და აკამდე უცვლელი დარჩა: ერთ მხარეზე არის კომერციული, გასართობი პროდუქცია (რომ აღარაფერი ეთქვათ აშკარა რეაქციონულ პროპაგანდისტულ ფილმებზე) და მეორე მხარეზე — ნამდვილი ხელოვნება. პირველის უპირატესობა რიცხობრივ სიმრავლეში მდგომარეობს, მეორესი — ხარისხში. ნამდვილი ხელოვნების წარმომადგენლები მუდამ თავგანწირვით იბრძოდნენ შემოქმედებითი თავისუფლებისათვის; მათი ბრძოლა არათანაბარი და განწირული იყო, მაგრამ მაინც ისინი წარმოადგენენ ამერიკის კინემატოგრაფიის მოწინავე ძალას.

ჰოლივუდს დღეს უფროო ზნრიად საყვედურობენ, ვიდრე წინათ. „ჰოლივუდი ავადაა“, — წერდა ჟურნალი „ნიუსუიკი“ 1957 წელს. „დღეს ჰოლივუდი უდიდეს კრიზისს განიცდის“, — იმეორებდა გაზეთი „ფილმ დეილი“ 1960 წლის აპრილში. ცნობილმა პუბლიცისტმა ეზრა ვუდფენმა გამოსცა წიგნი მშევრმტყველი საათურით—„ჰოლივუდის კრახისა და დაცემის 50 წელი“. ეს ის გუდენაა, რომელმაც 1950 წელს ჟურნალ „კომონ სენსში“ დაბეჭდა ოტტო მიზმეთ სვეს სტატია — „ჰოლივუდის აღორძინება“.

„დამოუკიდებელ“ კინემატოგრაფისტთა პოზიციების არნახული გაძლიერება დამადასტურებელია იმ ბრძოლის გაღრმავებისა, რომელიც ამერიკულ კინოში ათიული წლების მანძილზე მიმდინარეობდა. სწორედ ამ პოზიციების გაძლიერებაა უნდა მივიჩნიოთ ჰოლივუდის „ავადმყოფობის“ მთავარ მიზეზად (შემოქმედებითი კინომუშაკების ერთი ჯგუფი ფილმებს დამოუკიდებლად დგამდა და მათი რიცხვიც ისე გაზარდა, რომ სერიოზული საფრთხე შეექმნა უპირველესად ჰოლივუდის მწარმოებელთ საფუძველს — ყოველისშემძლე საქმისან პროდუსერებისა და კინოვარსკვლავთა შემოსაკლად სისტემას). „ავადმყოფობის“ მეორე სიმპტომად შეიძლება მივიჩნიოთ ფილმების რიცხობრივი შემცირება.

რამ გამოიწვია ჰოლივუდის, ერთი შეხედვით, გამოწრთობილი და ჩამოყალიბებული ორგანიზმის შესუსტება?

კარგა ხანი ამ კითხვაზე ერთსა და იმავეს უპასუხებდნენ: ტელევიზიამ ჰოლივუდს თითქმის ნახევარზე მეტი მაყურებელი წაართვა. მართალია, პირველ ხანებში ტელევიზორი სახლთა კონკურენციას უწევდა ჰოლივუდს. თუ 1946 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ თერთმეტ ათასი ტელევიზორი იყო, ექვსი წლის შემდეგ მათი რიცხვი თხუთმეტ მილიონამდე გაიზარდა. 1958 წლისათვის კი ორმოცდათ მილიონამდე ავიდა. 50-იან წლებში ტელევიზიამ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია არა მარტო აშშ-ში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ ამ მიზეზით მარცხი მხოლოდ ამერიკის კინემატოგრაფიამ განიცადა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჰოლივუდსა და სატე-

ალექსანდრე კუკარკინი
ჩამბალი მზის ბულვარი

ლევიზიო ინდუსტრიას კონტროლს უწევენ სხვადასხვა საფინანსო და მწარმოებელი ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან იმისათვის, რათა მეტი მაყურებელი მიიზიდონ და ამით შემოსავალიც გაიღიონ.

მაგრამ ეს ორივე სანანახობითი იმპერიები ერთი და იგივე ფრონტის — იდეოლოგიური ფრონტის — ძირითად ნაწილს წარმოადგენენ. გონებასთვის ბრძოლაში ერთიანობის აუცილებლობამ მეორე პლანზე გადასწია მოგების სურვილით შეპყრობილი ინტერესები. ორი გიგანტის ურთიერთშეგუების პოლიტიკა დაახლოებით 1955 წლიდან დაიწყო. ჰოლივუდმა ბოიკოტი შეწყვიტა და ტელევიზიიან თავისი ფილმების გაქირავება დაიწყო. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ წერდა: „ტელევიზიის შშიერი სტომაქი, — რაც ნაწილობრივ რამდენიმე ძველი სურათით იყო ამოყორილი, — მომავალში ფილმების გასაღებელ ბაზარს მნიშვნელოვნად გააფართოებესო“. კომპეტენტური ორგანოს ეს პროგნოზი გამართლდა: ჰოლივუდმა დაიწყო ფილმების გადაღება სავანგებოდ ტელევიზიისათვის. მაგრამ „შეიდობიან თანაარსებობას“ ნელ-ნელა ეთხრებოდა ძირი. უძველესი კინოსტუდია „უნივერსალი“, რომელიც რვა უდიდეს კინომონოპოლიაში შედიოდა, 1959 წელს მიაყიდეს ტელევიზიის კომპანიებთან შეთანხმებულ ფირმა „მიუზიკ კორპორეიშნს“. ჰოლივუდის სხეულზე სხვა ჭრილობებიც გაჩნდა, თუმცა ტელევიზიასთან კავშირმა მისი ფინანსური მდგომარეობა მაინც საგრძნობლად გაუმჯობესა.

ეკონომიური კრიზის საშიშროება დაძლეულ იქნა უკვე რამდენიმე წლის წინათ, მაგრამ სპორადიულ მაინც ვერ აღმოიფხვრა კრიზისის სიმპტომები: „დამოუკიდებელთა“ გაძლიერება, წარმოების შემცირება, მრავალი მაყურებლის დაკარგვა და სხვ. ეს საფრთხე წარმოიშვა მაშინ, როცა მიღიონობით ამერიკელის ოჯახში ტელევიზორის ეკრანი გაჩაღდა. ჯერ კიდევ 1947 წელს ჩარლი ჩაპლინმა აღნიშნა, რომ „ჰოლივუდი კვდება“ და რომ მისი „პროდუქციი კინემატოგრაფია კი არა (თუ ხელოვნებას ვგულისხმობთ), კილოგრტობით ერთმანეთზე დახვეული ლენტებიაო“.

როგორც ჩანს, მარტო ტელევიზიას არ მიუძღვის ბრალი დღევანდელი ამერიკული კინოს დაცემაში. ტელევიზიამ ეცადოს ნაკი დაუმატა მხოლოდ, თვით ცეცხლი კი „ერთმანეთზე დახვეულმა ლენტებმა“ წარმოქმნეს.

იმავე აზრს გამოთქვამს ცნობილი რეჟისორი ჯოზეფ ლოუზი, რომელსაც ანტიამერიკულად საქმიანობის საგამომძიებელო კომისია სდევნიდა. იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და ევროპის კინოსტუდიებში ემოღვაწეა. 1960 წელს პარიზის ეკონომ „სინემას“ ფურცლებზე ლოუზი წერდა: „ახლა ყველასთვის ცხადია, რომ ამშშ-ს კინემატოგრაფიის კრიზისისა [illegible] პრესიის მთავარი გამომწვევი მიზეზი არა მარტო ტელევიზიის სწრაფი აღმავლობა და მაყურებელთა რიცხობრივი შემცირება, არამედ უხარისხო, უშინაარსო და სიმართლესმოკლებული ფილმების გამოშვებაა“.

ამერიკის ერთ-ერთი ცნობილი რეჟისორი ჯონ კასაველტისი ეკონომ „ფილმ კალჩერში“ გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავდა, რომ ამშ-ს კინოწარმოების მდგომარეობა მანამ არ შეიცვლება, სანამ ჰოლივუდის შემოქმედ მუშაკებს უფლებას არ მისცემენ, თავიანთ ფილმებში ცხოვრებისეული პრობლემები სიმართლით ასახონო.

რატომ გაურბის ჰოლივუდი ცხოვრებას? ამერიკული კულტურის ზოგიერთი მოღვაწე ამ კითხვას უბრალო პრაქტიკულობით ხსნის: „უწუნარი“, გასართობი ფილმები უხვ შემოსავალს იძლევიან. გარდა ამისა, ჰოლივუდს კონტროლს უწევენ როგორც ოფიციალური, ასევე სხვადასხვა სახის ცენზურა და რელიგიური თუ სახოგადოებრივი ორგანიზაციები: ოცდათოზმეტიოდნენი კათოლიკეთა ლეგიონნი, ბაპტისტთა სამხრეთის კავშირი, კათოლიკე ქალთა პროფკავშირი, ადვოკატ ქალთა ეროვნული ასოციაცია და ასე გასინჯეთ, წეალგამყვანთა კავშირიც კი. საკმარისია რომელიმე მთავარმა პროტესტი ამ ბოიკოტი გამოაცხადოს, რომ ამერიკულმა კინომ ნახევარზე მეტი მაყურებელი დაკარგოს. სამხრეთის შტატების ფანატიკოსთა უკმაყოფილება რომ არ გამოიწვიოს, ჰოლივუდი არა მარტო მბარს უჭერს ანტირასისტულ თემას, არამედ თავის ფილმებში ყოველნაირად გაურბის უჩვენოს ზანგები ჩვეულებრივ, ადამიანურ პირობებში (ეჯრაში, ბარში, ქარხანაში, ოჯახში, მეგობართა წრეში და სხვ.). ზანგები ეკრანზე მხოლოდ მარკვე ან, პირიქით, ზარმაცსა და ერთგულ მსახურებს განასახიერებენ, ან გულუბრყვილო, დიდი ბავშვების როლი აქვთ დაკისრებული: მათ თითქოს სიმღერისა და ცეკვის მეტი არაფერი არ ახსოვთ.

იმავე ფაქტორებით ხსნიან ჰოლივუდის შიშს სინამდვილის მიმართ. ეშეს გარეშეა, ეს ფაქტორები პატარა როლს მაინც ასრულებენ. მაგრამ ჭეშმარიტების მარცვალი აქ ძალზე ცოტაა იმ მოვლენის ასახსნელად, რომელსაც დიდი იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს. მოხერხებული ხელებით დათესილ ამ მარცვალს შეუძლია სრულიად მოულოდნელად ნაყოფი გამოიღოს: საქმეში ჩაუხედავი ადამიანის თვალში ნაწილობრივ გამართლდეს ჰოლივუდის პოლიტიკა. ამერიკის კინოასოციაციისა და კინოპროდუსერთა ასოციაციის გამოცდილი პრობაგანდისტები განა ამ მიმართულებით არ იბრძვიან ძალდაუზოგავად? 1958 წელს ამ თრმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ბროშურა: „ამშ-ს კინემატოგრაფია“. ბროშურაში ერთი და იგივე მელოდია

ისმის: „ამერიკულ ფილმებში არ არის პოლიტიკური პრობაგანდა, ეს კი ხელს უწყობს ფილმის დამაჯერებლობას და მოწონებას. არ არის აგრეთვე დიდაქტიკური მსჯელობანი და ქადაგება, აქ ყურადღება მხოლოდ „გასართობზეა“ გამახვილებულიო“.

რეკლამის ოსტატებმა გამოიმეშავეს „თეორიული“ პლატფორმის მაგვარი რაღაც, რის საშუალებითაც ჰოლიუდი მოხერხებულად აუცილდა ვეერს ყოველივე რეალურს, ცხოვრებისეულს: „ქვეყანაზე ვერავინ უარყოფს იმის, რომ კინო კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი სიკეთეთაგანია. როგორც გართობის საშუალებამ, კინომ უზომო სიხარული, ბედნიერება და ჯანსაღი დასვენების წუთები მოუტანა მილიონობით მაყურებელს... ფილმები გამოსახვის დრამატულ ფორმას წარმოადგენენ, დრამა კი, როგორც სცენაზე, ასევე ეკრანზე, მუდამ რაღაც არაჩვეულებრივსა და განსაკუთრებულზე, ადამიანთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე სატკეფესო ამბავზე მსჯელობს“.

ასეთია ჰოლიუდის სინამდვილისაგან განდგომის „თეორიული“ დასაბუთება. ბროშურის ავტორები ბევრს ეკადნენ. მეტი დამაჯერებლობა მიეცათ თავიანთი აზრებისათვის. მათ მხოლოდ ერთხელ, იძულებითი აღსარებისას, წაფორიხლეს: „გასართობი ნიღბებით შემოსილი ფილმები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ეკთელი, ასევე ბორტი ძალების მაგივრადაც“.

სწორედ რომ შ ე ი ძ ლ ე ბ ა! ამ შემთხვევაში ვეღარ ვიტყვით, რომ კინო გასართობი საშუალებაა, რომ იგი „კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი სიკეთეთაგანია“, რომ მან მაყურებელს „უზომო სიხარული, ბედნიერება და ჯანსაღი დასვენების წუთები მოუტანა“.

თუ რომელ ძალას — ბორტსა თუ კეთილს — ემსახურება ამერიკის მასობრივი კინოპროდუქცია, ამ კითხვას არაპირდაპირი პასუხი გასცა თვით კრიზისის ჯაობში ჩაფლულმა ჰოლიუდმა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ამ ჯაობიდან თავის დასაღწევად ვერავითარმა უახლესმა ტექნიკურმა „საყრდენებმაც“ კი ვერ უშველეს ჰოლიუდს. უკანასკნელ წლებში ამერიკაში ფილმების გადაღებისა და ჩვენების ოცამდე სისტემა გამოიმეშავეს; ასეთ შორის: სინემასკოპი, სინერამა, ტოდ-აო, სუპერსკოუპი, მაგნარამა, პოლიორამა, ვისტარამა, სინე-მირაკლი (თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ყველა ესენი დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათ შორის ეზოლიდ ზოგიერთმა სისტემამ ჰპოვა გავრცელება). ჰოლიუდმა რომ თავისი პოზიციები ნაწილობრივ დათმო ტელევიზიასთან, ეს აიხსნება როგორც იდეოლოგიური, ასევე ტაქტიკური მოსაზრებითაც. ფინანსური მდგომარეობის დროებითმა გაუჯობესებამ კინოშოწარმოებლს კინემატოგრაფიის ახალი სისტემის გამოყენების საშუალება მისცა. კერძოდ, მათ შეეძლოთ გადაღოთ იმ კატეგორიის ფილმები, რომელთაგან ერთნი „ეპიკურს“, მეორენი „ზედიდას“ (სუპერკოლოს), ხოლო მესამენი კინოსპექტაკლებს უწოდებენ. ეს მასშტაბური ფილმები, როგორც წესი, ფართოფორმატიანი ან პანორამიანია. ოვითეულის ჩვენებაზე ორნახევარს, სამსა და ოთხ საათსაც გრძელდება. ფილმებში ყველაფერი გრანდიოზულია: დეკორაციები, მასიური სცენები, ომი, ქეიფი თუ დროსტარება. ასეთ ფილმებს ერთი მიზანი აქვთ: რაც შეიძლება მაგრად შეარყიოს, დაარტანოს და დააყრეოს მაყურებელი. ოვით აშშ-ში ამ კატეგორიის ფილმებს ყარგონული სახელი „ბლოკბასტერი“ შეარქვეს (მეორე მსოფლიო ომში ამერიკელი მფრინავები ძმიმე ფუგასურ ბომბებს „ბლოკბასტერებს“ უწოდებდნენ. ერთი ბომბი ვეებერთელა ყვარტლს ჰყოფნიდა ასაფეთქებლად. „ბლოკ“ — ყვარტლს ნიშნავს, „ბასტ“ — ნგრევას).

ტექნიკური თვისებურებისა და ჩვენების ხანგრძლივობის გამო ეს ფილმები ტელევიზიისთვის გამოუსადეგარია. მყეარალა რეკლამამ, სიახლემ და „სუპერკოლოსების“ შთამბეჭდავმა ზეიმურობამ თავიანთი მისია ნაწილობრივ მაინც შეასრულეს. მაყურებელთა განსაზღვრელმა კატეგორიამ ტელევიზორი მიატოვა.

მაგრამ ჰოლიუდის მიერ მიღებული ზომები უძლური აღმოჩნდა ომის შემდგომი კრიზისი დაეძლია. საგრძნობლად შემცირდა გამოშვებული ფილმების რიცხვი. 1961 წელს 187 ფილმი გამოვიდა, 1962 წელს — 143, მაშინ, როცა 1936 წელს გამოვიდა 621 და 40-იან წლებში კი 400 კინოსურათი. ფილმის გადაღებაზე უამრავი ფული იხარჯება, ამის გამო კინოთეატრებში შესასვლელი ბილეთების ფასიც არნახულად იზრდება (ერთი ბილეთი 6 დოლარამდე ღირს!). სულაც არ არის გასაკვირი, რომ ულეწეწდში ახლა ბილეთების ნახევარიც არ იყიდება. დაიკეტა ოთხასამდე კინოთეატრი, რომელთა ყოფილი მფლობელები თავიანთი კაპიტალის დაბანდებას ახლა სხვა დაწესებულებებში ამჯობინებენ.

არანაკლებ დიდ დაბრკოლებას წაეწყდა ჰოლიუდი საზღვარგარეთაც. „სუპერკოლოსების“ გადაღება სხვა ქვეყნებშიც დაიწყეს. იტალიამ კიდევ გაუწწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ სფეროში. 1962 წელს გამოშვებული 272 ფილმიდან უმრავლესობა „კოლოსალური კატეტებია“. ასე მონათლეს იტალიელებმა კინოსპექტაკლები. იტალიის კინოფილმებმა არამარტო რიცხობრივად გაუსწრეს, არამედ ჰოლიუდის მთავარი კონკურენტებიც გახდნენ როგორც კაპიტალისტურ კინობაზარზე, ასევე

ალექსანდრე კუკარკინი
ჩამპალი მზის ბულვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეპიკური“ სერიის მდიდრული ფილმების გადაღების საქმეშიც, გარდა ამისა იტალიელებმა მრავალი ამერიკელი მსახიობის გადაბირებაც მოახერხეს.

კინოსპეკტაკლთა მთავარი დამახასიათებელი ნიშნა-თვისება მდიდარი ტექნიკაა. შემთხვევითი არ არის, რომ პრესაში გამოქვეყნებული ამა თუ იმ ფილმის რეკლამის გვერდით მოხსენიებულია, თუ რამდენი დიახარჯა ფილმის გადაღებაზე. ზოგჯერ თანხა ათეულ მილიონ დოლარამდეც აღწევს. „ბენ-ჰურის“ რეჟისორი უაილერი მარხიანებით შეკიბრის მხოლოდ ერთ ეპიზოდს ექვს თვეს ღებდა, მაშინ, როცა ამ ეპიზოდმა ეკრანზე სულ რაღაც ოხუთმეტი წუთი დაიკავა. მისთვის გაღებული თანხა ორი „ნორმალური“ ფილმის გადაღებას თავისუფლად ეყოფოდა.

თუმცა ტექნიკური სიახლენი კინოხელოვნებას ცოტად თუ ბევრად ამდიდრებენ, მაგრამ, როგორც გამოცდილებიდან ჩანს, მარტო მათ ხანგრძლივი წარმატება არასოდეს მოაქვთ.

1909 წელს, როცა მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების საერთო ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის შედეგად კინოს ისტორიაშიე პირველი კრიზისი წარმოიშვა, იტალიაში თავი მიანებეს ინ დროს გავრცელებულ, ჩვეულებრივი, მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღებას და ხელი მოაკეს მრავალწლიან ფილმებზე შუშობას. ინტიკერ თუმბეზე შექმნილმა, უზარმაზარმა და მდიდრულმა ფილმებმა უამრავი მაყურებელი მიიზიდა. ბევრი ფილმი კინემატოგრაფის მატიანეში ჩაიწერა და სხვა ქვეყნების კინოწარმოებაზეც დიდი გავლენა მოახდინა. მაგრამ ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო პირველი მსოფლიო ომი, რომ ამ ფსევდოისტორიული ფილმებით გატაცება თანდათან დაცხრა: ახალმა სრულმეტრაჟიანმა ფორმამ დიდხანს ვერ დაფარა სიუჟეტის ერთფეროვნება და ოდიური სიღარიბე.

იგივე განმეორდა შემდეგშიც, კინოს განვითარების ყველა ეტაპზე. 20-იანი წლების დასასრულს კინოწარმოების დეპრესიამ ამერიკული ფირმის „უორნერ ბრაზერსის“ მესვეურები აიძულა გამოეყენებინათ მათ მიერვე შექმნილი და მრავალი წლის განმავლობაში გულმოდგინედ დადამალული პატენტი (რადგან დამატებითი ხარჯების გაღება არ სურდათ) ხმოვანი კინოს გამოგონების შესახებ. მას. შემდეგ, რაც „დიდ მუნჯი“ ალპარაკდა, ფერადი ფილმების ჯერიც დადგა (30-იანი წლების კრიზისის დროს), მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ეკონომიურმა კრიზისმა ფართო ეკრანი შემოიტანა. მაგრამ ყველა ამ სიახლეს მხოლოდ შემოსავლის დრამებით წარმატება მოჰქონდა. ასე იყო მაშინაც, როცა კინოხელოვნებაში ნამდვილი გადატრიალება — ბგაჩმოვანება მოხდა.

თანამედროვე ტექნიკის სიახლენი თავიანთი მნიშვნელობით ვერ შეედრებიან წინამორბედებს. მით უფრო რომ ფართოფორმატიანი და პანორამული ფილმები გადაღებისა და ჩვენების რთული ტექნიკით, როგორც უკვე აღენიშნეთ, აეიწროვებს და ალაზე ამცირებს საწარმოო და გამქირავებელ ბაზას. ამიტომაც, ცხადია, ისინი ნაკლებ გავრცელებას ჰპოვებენ, ვიდრე „უბრალო“ ფართო ეკრანი. ანდა პირიქით, თუ კინოსპეკტაკლების სიახლით გამოწვეული შობაუქნელება დაიკარგება, ბილეთები უფრო გაძვირდება, ამით კი მაყურებელთა დასწრება შემცირდება.

რაც შეეხება სუპერკოლოსების თემატიკას, ამ საკითხზე ბევრის თქმა არც მოგვიწევს. მათი უმრავლესობა ტარდაციული სასიყვარულო-მელოდრამატულ კინოფლეტებზეა აგებული.

კინოსპეკტაკლები თავიანთი შინაარსით სამ ძირითად ჯგუფად იყოფიან. პირველ ჯგუფს მიკუთვნებიან ბიბლიერ, მითოლოგიერსა და ანტიკურ სიუჟეტებზე აგებული ფილმები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ეპიკური“ ფილმების თანამედროვე სერიაში კვლავ პირველი რეჟისორ მერვინ ლე როის ფილმი „ვიღრე ჰხვალ“? (ეს ფილმი პირველად იტალიაში გადაიღეს, შემდეგ კი რამდენჯერმე — ჰოლივუდში). მერე ერთი მეორის მიყოლებით გამოვიდა: „ათი მცნება“, „სპარტაკი“, „ბენ-ჰური“ და კიდევ მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლაც ზორს წაგვიყვანდა. ამ სიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ძალზე გახმაურებული ფილმი „კლეოპატრა“, რომლის გადაღება ხუთ წელს მიმდინარეობდა. თუ რას წარმოადგენს ეს „ბლოკ-ბასტერი“, რომელიც ფირმა „XX საუკუნე-ფოქსს“ ორმოცი მილიონი დოლარი დაუჯდა, ნათლად გადმოგვიცქმს 1963 წელს ფილმის პრემიერის შემდეგ გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში“ გამოქვეყნებული წერილი: „როგორც იქნა, ეკრანებზე გამოვიდა ჩვენი დროისა და, შეიძლება ითქვას, ყველა დროის გახმაურებული ფილმი, რომელმაც მაყურებელთა უმრავლესობას იმედები გაუტყრა“. ელიზაბეტ ტეილორის შშვენიერმა გარეგნობამ ფილმს ვერაფერი ვერ ეშველა.

სუპერკოლოსების მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან შედარებით მრავალფეროვანი, მაგრამ ნაკლები რაოდენობით გამოშვებული — სათავგადასავლო, ომის თემაზე შექმნილი ფილმები. თუმცა ამ ფილმებშიც იგრძნობა ძველი სიუჟეტების გადამეორება. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „ამბოხება პაუნტზე“. ამ ფილმს საფუძვლად დაედო 30-იან წლებში გადაღებული ერთ-ერთი ფილმის სიუჟეტი (საბჭოთა კავშირში იგი გადიოდა სახელწოდებით „მეამბოხეთა ხომალდი“ ცნობილი მსახიობის ჩარლზ ლოტონის მონაწილეობით — ე. ა.).

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ბროდვეის პიესების, მეტწილად მუსიკალური პიესების ეკრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზაცია. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ გახმაურებულ ორიგინალურებთან შედარებით ფილმები მუდამ დაბალხარისხოვანი გამოდიოდა. საბჭოთა მაყურებელი იცნობს ასეთ მუსიკალურ ფილმებს: „ოლაჰომასა“ და „შვიდი ძმის შვიდ საცოლეს“. გამონაკლისს წარმოადგენს მოსკოვის მესამე საერთაშორისო კინოფესტივალზე ნაჩვენები „ვესტსაიდის ისტორია“, რომელიც 1962 წელს არის გადაღებული. თუმცა ეკრანიზაცია დაბალხარისხოვანი იყო იმ პოპულარულ მუსიკალურ დრამასთან შედარებით, რომელსაც სამი წლის განმავლობაში უჩვენებდნენ, იგი მაინც კინემატოგრაფიულად საინტერესო და თამამად გადაწყვეტილი ფილმია; ამაში კი დიდი დამსახურება მიუძღვის ჯერომ რობინსის ორიგინალურ ქორეოგრაფიას.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ „სუპერკოლოსებს“ იგივე ნიშან-თვისება ახასიათებს, რაც ამერიკული კინოს ყველა პროდუქციას; კერძოდ, სინამდვილისგან განდგომა. მხოლოდ „ვესტსაიდის ისტორიაში“ თუ შეეხებიან ისეთ ადგილებს, სადაც მელოდრამატული, სენტიმენტალური და საკმაოდ მოძველებული კოლიზიების ველვდით ანტირასისტულ პრობლემებზეც არის ლაპარაკი (სხვათა შორის, ეს ფილმი „დამოუკიდებელმა“ პროდუსერმა რობერტ უაიზმა გადაიღო).

რამდენადაც სუპერკოლოსების თემატიკა არაფრით არ განსხვავდება პოლიუდის სხვა ჩვეულებრივი პროდუქციისაგან, ამიტომ ერთადერთ ძირითად ელემენტად რჩება ამ ფილმების ტექნიკური მხარე, რომელიც უზრუნველყოფს მათ დროებით წარმატებას მაყურებელში. ამერიკის კინოსთვის წარმატება ბევრჯერ მოუპოვებია კინოხელოვნების იმ საუკეთესო ქმნილებებს, სადაც ასახული იყო ნამდვილი, ცხოვრებიდან აღებული საკირბოროტო საკითხები.

ჰოლიუდის კომერციულ ფილმებს მაყურებლის გართობა ევალება, ამისათვის კი იძულებულია შემმნას გამოგონებული სამყარო, რომელიც მიზნად დაისახავს მაყურებლის მოწყვეტას „მწარე სინამდვილისაგან“. სწორედ ამ პოზიციის მანკიერებამ მიიყვანა ჰოლიუდი ხანგრძლივ კრიზისამდე. ეს კრიზისი უპირველესად იდეის კრიზისია, შემდეგ კი — ეკონომიური, რის გადალახვაც შესაძლებელი იქნებოდა კონკურენტებთან ბრძოლის ამა თუ იმ გზით.

ფილმებში გასართობი მასალის უკმარობა შესამჩნევი გახდა სხვა ქვეყნების ბურჟუაზიული კინემატოგრაფისტებისათვისაც. მაყურებლებზე რომ ზემოქმედება მოეხდინათ, ისინი ახალი გზის ძებნას შეუდგნენ. ამ გზამ კინემატოგრაფისტები ე. წ. ფრანგულ „ახალ ტალღამდე“ და სხვა ევროპულ მიმდინარეობამდე მიიყვანა. თანამედროვე დასავლეთის კინოში წარმოქმნილი ეს თავისებური განხეთქილება ხაზს უსვამს ჰოლიუდის უსუსურობას.

რა თქმა უნდა, უხეში შეცდომა იქნებოდა, ყველა ზემოთქმულის საფუძველზე უარგვეყო ჰოლიუდის მნიშვნელობა დღევანდელ იდეურ ბრძოლაში. მისი ფილმებით გამოწვეული „ღვთიური თავისუფლების გრძნობა“ რეალური ცხოვრებიდან (როგორც ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტი და კინოკრიტიკოსი ჟილბერტ სელდესი ამბობს), ატარებს სავსებით ნათელსა და არც მთლად ღვთიურ სარჩულს.

რათა გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს ამერიკული კინოს იდეოლოგიური სარჩული, საჭიროა გამოშკარავდეს მისი დამახასიათებელი თუნდ პატარა ნიშნებიც, რომლებიც თანდათანობით ჩამოყალიბდნენ ხანგრძლივი და რთული განვითარების პროცესში.

თარგმნა **ელზა ახვლედიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სეზონი —

ანდრო ჟორდანია

ფიქრები ქართულ ფეხბურთზე

მწერალი არა ვარ. დამიწერია სხვადასხვა ხასიათის განმარტებითი ბარათი და ანგარიში. ჩანაწერებიც მაქვს. ეს ჩანაწერები ძირითადად ჩემს პრაქტიკულ საქმიანობას ეხება. ჟურნალგაზეთების ფურცლებზეც გამოჩენილა ხშირად ჩემი მოსაზრებანი განვლილ ან მომავალ სეზონზე. მომიცია ინტერვიუც. ისინი საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს: „ანდრო ჟორდანიამ განაცხადა...“ ამიტომ ინტერვიუს მუდამ გაკვირბოდი, განსაკუთრებით სეზონის დასაწყისში, თუმცა თავს მაინც ვერ ვაღწევდი, რადგან ჩემთვის გასაგები იყო ჟურნალისტთა და გულშემატკივართა ცნობისმოყვარეობა, მათ აინტერესებდათ რას ამბობდა, ან როგორი იქნებოდა მომავალ სეზონში მათი გუნდი.

ახალ სეზონს ყოველი გუნდი იმედით ხვდება. იმედით ხვდება გულშემატკივარიც. კარგად ნთქვამ და იმედიან სიტყვას მაინც საქმე სჯობია. სიტყვა საქმეს ვერასოდეს ვერ შეცვლის. ამით იმის თქმა როდი მინდა, თითქოს მკითხველის ცნობისმოყვარეობას არასოდეს არ უნდა გავუწიოთ ანგარიში. ჩვენ ფეხბურთს ხომ სწორედ ამ „მკითხველებისათვის“ ვთამაშობთ! ისინი ზამთარში ხარბად კითხულობენ ფეხბურთზე დაწერილ ყოველ სტრიქონს, ნამდვილი ამბებითა და საფეხბურთო ჭორებით იკვებებიან, ხოლო გაზაფხულობით ყიეინით აყრიებენ სტადიონის ტრიბუნებს!

წინდაწინ ლაპარაკი მუდამ მიჭირდა, ჯერ საქმის გაკეთებას ვამჯობინებდი, ხოლო სეზონის ბოლოს... სეზონის ბოლს კი განვლილ სეზონზე ლაპარაკი ან ზედმეტად, ან თავის ქებად მიმაჩნდა. ჩემს მიერ ძუნწად გამოთქმულ მოსაზრებებს ჟურნალისტები გადაბრუნებდნენ, იმასაც მომაწერდნენ ხოლმე, რაც მე არასოდეს მიფიქრია და რასაც თვითონ ფიქრობდნენ. მე მათ არ ვადანაშაულებ. თუ ანდრო ჟორდანია ჯიუტი კაცია და სიტყვა გაზით უნდა ამოაძრო, სხვა გამოსავალი არ არის, მკითხველს რას ეუბნები!

მე ფეხბურთის თამაში დიდი ხნის წინათ დავიწყე. ნახევარი საუკუნე არც ისე მცირე დროა! მას შემდეგ მე მხოლოდ ფეხბურთითი ვსუნთქავ და ჩემი ცხოვრება დაკავშირებულია ფეხბურთთან. ჯერ მე ვთამაშობდი, მერე კი ვცდილობდი, თვით შემეწყო ხელი და სხვას დავხმარებოდი. ბევრი რამ მინახავს — ბევრი საფეხბურთო კოლექტივი, ფეხბურთელი, ხელმძღვანელი, გულშემატკივარი... ეს შთაბეჭდილებები, შეხვედრები, ტკბილი და მწარე წუთები იმდენი იყო, რომ მათი აღწერა და ქაღალდზე გადატანა თითქმის შეუძლებელია. ბევრი რამ უკვე აღარ მახსოვს. და რომც გამხსენებოდა, ალბათ, არც მოგითხრობდით. ბოლოს და ბოლოს, იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რამდენ ხანს შევძლებ თხრობას და რამდენ ხანს გამძლებს მკითხველი. მე მგონი, მთავარი მაინც ის არის, რომ ჩემმა ნაფიქრმა რაიმე შემატოს საფეხბურთო ხელოვნებას, ხელი შეუწყოს ქართული ფეხბურთის განვითარებას. რატომ არ მიმაჩნდა სიტყვა საქმედ? არა, მე ასე არ მითქვამს, არ მითქვამს, რომ სიტყვაც საქმე არ არის-მეთქი. სწორად ნთქვამ სიტყვას დიდი საქმის გაკეთება შეუძლია. მაგრამ აღრე უფრო პრაქტიკულ მუშაობას ვარჩევდი. უბრალოდ იმიტომ, რომ ბუნებით პრაქტიკოსი ვარ და ყოველთვის მეგონა და ახლაც მგონია, რომ პრაქტიკული მუშაობა

ფეხბურთში ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თეორიული სტატიების წერა.

ახლა პრაქტიკულ საქმიანობას გარკვეული მიზეზების გამო ჩამოვცილდი, მაგრამ კალამს ხელი ამიტაშ როდი მოვიდე. თეორიული სახელმძღვანელოს ან ფეხბურთის ისტორიის დაწერას არ ვპირებ. ეს საქმე ისტორიკოსებისა და თეორეტიკოსებისათვის დამითმია, ჩემზე უკეთ გაუძღვებიან! მე მკითხველს მინდა მხოლოდ ჩემი ფიქრები გავუზიარო ქართული ფეხბურთის წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე. ნუ მისაყვედურებენ, ესა თუ ის დეტალი რომ გამომპრჩეს. ამ წიგნის დასაწერად მე ხომ არქივებში არ მიმუშავია, და როცა ფეხბურთის ტექნიკისა და ტაქტიკის საკითხებს შევეხები, თეორეტიკოსობას მაშინაც ნურავინ დამწამებს.

2

1922-1924 წლებში თბილისში ორი ძლიერი გუნდი იყო: არმიული კლუბის გუნდი და ქართული დივიზიის გუნდი. 1925 წლამდე არმიული კლუბის გუნდი უფრო ძლიერად თამაშობდა და სჯობნდა ქართული დივიზიის გუნდს. ამ გუნდში იყვნენ გამოცდილი, უკვე ასაკოვანი ფეხბურთელები: ბ. სკოლზნეკი, ლ. ფრეი, ვ. შიბოლდაევი, ნ. ლარიონოვი, ნ. კრავენკო, ი. ინოფმსკი, ვ. შერშოვი, გ. თედეევი, ნ. დერნინკო, ნ. გოლოკოვი, ბ. კულეგსკი და სხვები. ქართული დივიზიის გუნდის წევრებს, მართალია, აკლდათ გამოცდილება, მაგრამ სამაგიეროდ ფაცალებით ახალგაზრდები იყვნენ: გ. მახათაძე, ნ. ამბოკაძე, ვ. ამბოკაძე, ზუბაღეევი, ე. ფრეიძე, ლ. ხოტივარი, არუტიუნეფ, ვ. ბეროზაშვილი, ი. გაგეთა, ნ. სანაშვილი, ს. იმნაძე, ა. ჟორდანია. 1925 წლიდან ძალთა შეფარდება ქართული დივიზიის გუნდის სასარგებლოდ შეიცვალა.

1925 წელს „დინამოს" სპორტულ საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც იმავე წლიდან გახდა უძლიერესი არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოსა და ამიერკავკასიაში. „დინამოს" ჰქონდა საკუთარი სტადიონი, სპორტული ინვენტარი, ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო, რომ ფეხბურთელებს თამაშის კლასი აემაღლებინათ. ჩვენ ნამდვილი, ინტენსიური წვრთნა დავიწყეთ. ძალიან ბევრს ვვარჯიშობდით — დღეში 6-8 სათს. „დინამოს" საზოგადოებამ ჩაუყარა საფუძველი დიდ ფეხბურთს, იმ ფეხბურთს, რომელსაც დღეს ვხედავთ.

სად და როგორ იზრდებოდნენ ფეხბურთელები თბილისში?

„დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის შექმნამდე ქალაქში იყო მრავალი მოედანი, ცარიელი, სწორი მინდვრები, სადაც თამაშობდნენ დილიდან დღიმამბამდე, ზოგჯერ ნახევრად სიბნელეშიც. ქალაქი მაშინ პატარა იყო და საფეხბურთო მოედნების ნაკლებობას არ ვგრძნობდით. ახლა ვიტყვი, გვქონდა სათამაშო მოედნები, მაგრამ ბურთებისა და ბუცების ნაკლებობას განვიცდიდით. ვთამაშობდით, სანამ არ მოგვწყენდებოდა და ისე არ დაღამდებოდა, რომ ბურთს კი არა, ერთმანეთს ძლივს ვხედავდით.

არც ერთი „ამხანაგური" თამაში არა გვქონდა, ყველა მატჩი სერიოზული და პრინციპული იყო. მერე რა ბიუკი თამაშობდნენ — მართლა ოქრო ბიუკი! მათი უმრავლესობა უკვალოდ გაჰქრა. რადგან არ არსებობდა ისეთი გუნდი, სადაც ისინი ითამაშებდნენ და ნამდვილ ოსტატობას აჩვენებდნენ.

მახსოვს, პირველად ბუცები რომ შეგვიკეთრეს, ჩვენს სახარულს საზღვარი არ ჰქონდა! მოსკოვში პირველად ვითამაშეთ 1923 წელს. შეჯიბრი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ფეხბურთელთა გუნდებს შორის ტარდებოდა. ქართული დივიზიის გუნდმა იმ წელს პირველობა მოიპოვა. ამ გუნდში ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა თამაშობდა. შედარებით უკეთესი პირობები გვქონდა. სპორტული ინვენტარით გვამარაგებდნენ და თითო „ბუხანკა" პოს გვაძლევდნენ, ეს იმ დროს პატარა ამბავი კი არ იყო.

1925 წლისთვის თბილისში რამდენიმე ძლიერი გუნდი იყო. მათ შორის უნდა ალინიშნოს არსენალის რაიონის გუნდი, სადაც გაიზარდნენ ძლიერი ფეხბურთელები: მ. ასლამაზოვი, ვორონოვი და სხვები; აგრეთვე ფეხბურთელთა გუნდი ყოფილი სამხედრო ტაძრის უბანში (სადაც ახლა მინისტრთა საბჭოს შენობაა). აქ თამაშობდნენ ბაადოევი, მ. გასპაროვი, ვაჩნაძე და სხვები. ეს გუნდები ფეხბურთელთა ინიციატივით ყალიბდებოდა და ამ გუნდების მოთამაშენი ჭეშმარიტი ენთუზიასტები იყვნენ, უანგაროდ და უსაზღვროდ უყვარდათ ფეხბურთი და მთელს ძალასა და უნარს აქსოდნენ ყოველ ვარჯიშში, ყოველ თამაშში. მახსოვს, თამაშმდე ორი-სამი საათით ადრე თავს მოვიყრიდით ზოლეზე, ჩვენთან ერთად მეგობრულად ისხდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენიც. ქეული შეხვედრებიდან მოსაგონარი ბევრი გვქონდა. მერე იწყებოდა თამაში და მერე როგორი თამაში! გაჩნდნენ ეგრეთწოდებული „ეელური" გუნდები დიდებში. ყოველ საფეხბურთო მინდორსე ორ-ორი, სამ-სამი გუნდი ვარჯიშობდა. ჩვენ გუნდი ბათუმის ეუჩაზე ვეყავდა. იქ სათამაშო მოედანი გვქონდა და ბუნდს „ბერკეტი" ერქვა. ეს სახელი გუნდს ერთმა გულშემატკივარმა, უფაზო ეასომ დაარქვა. ჩვენს თამაშს არასოდეს არ დაკლდებოდა და ვარჯიშსაც კი ესწრებოდა, ძალიან ვუყვარდით ჩვენი გუნდის ბიუკები.

ანდრო ჟორდანია

ფიქრები ქართულ ფეხბურთზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვითხრა, გუნდს „ბერკუტი“ დავარქვათო და ჩვენც დავთანხმდით.

ერთხელ სათამაშოდ ყოფილი სამხედრო ტაძრის უბნის ერთ-ერთი გუნდი მოვიწვიეთ. თამაში ჩვენი მოწინააღმდეგეების სასარგებლოდ წარიმართა და როცა ანგარიში გახდა 2:1, დროც ამოიწურა. მაგრამ მსაჯმა (იგი ჩვენი რაიონიდან იყო) არ დაამთავრა თამაში. მალე ანგარიში გახდა 3:2 ჩვენს სასარგებლოდ და მსაჯიც მხოლოდ მაშინ ჩაჰბერა სასტვენს. მოწინააღმდეგეებმა კამათი დიაწყეს, ჩვენ კი ვთხოვეთ თამაში გაგვეგრძელებინა, მაგრამ გაწაწყენებული სტუმრები აღარ დაგვყაბულდნენ. გამოიარეთ, რომ თითქმის სამი საათი გვეთამაშნა.

ვარჯიშს ვიწყებდით, როგორც მოგვიხერხდებოდა. ხან დილით, ხან საღამოს, როცა თავისუფალი დრო გვქონდა. დიდუბეში იყო ფეხბურთელი ბ. შადრანი. იგი ძალიან კარგად თამაშობდა, გამოირჩეოდა ბურთის კარგი ტარებით, ბრწყინვალე დარტყმებით და გადაცემებით. ყველა ცდილობდა მიებაძა ამ ჩინებული ოსტატისათვის. ჩვენ აღფრთოვანებულნი ვიყავით მეკარე გ. ჩხიკვაძის თამაშითაც. ასეთ მეკარეს დღეს იშვიათად შეხვდებით.

1925 წლიდან, როცა „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ჩამოყალიბდა, ვთამაშობდით სხვა ქალაქების — ხარკოვის, კიევის, როსტოვის, მოსკოვის, ლენინგრადის, ნიკოლაევის გუნდებთან. ჩვენც ჩავდიოდით და ისინიც გვეწვიოდნენ ხოლმე. ასეთმა კავშირმა, მეგობრულმა სპორტულმა შეჯიბრებებმა ჩვენც და ჩვენს მომძეგებსაც ბევრი რამ შეგვძინა. ჩვენი ფეხბურთი ფეხზე მტკიცედ 1926 წლიდან დადგა. მე მხედველობაში მაქვს ფეხბურთის განვითარება რუსეთბელიკის დედაქალაქში, რომელსაც ქვეყანის საფეხბურთო ცხოვრებაში უსაოთოდ წამყვანი ადგილი უნდა სჭეროდა და სპორტის ამ სახეობის საერთო დონის გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

იმავე ხანებში კარგი გუნდები იყო ჩამოყალიბებული ბათუმსა და ფოთში. ბათუმმა ქართული ფეხბურთის მისცა რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი, ისეთებზე ახლაც არ იტყოდნენ უარს: მეკარეები ა. პოპკოვი და იოსკიმიდი, ნახევარმცველი ნ. ანეკინი, მარცხენა გარემარბი რ. ფალავანდიშვილი, ცენტრალური მცველი ბ. ფროლოვი, მცველი კ. ბეხლეველიდი... ქალაქ ფოთში აღიზარდნენ ჩინებული ოსტატები: გარემარბი ი. მიქაიე, ნახევარმცველი გ. ხორავა, გ. ჯორბენაძე, გ. გაგუა და გ. ანთაძე, ქართული ფეხბურთის ვარსკვლავი ბ. პაიჭაძე!

3.

ამქამად ისეთი ფეხბურთელებით ვერ დაიტრაბახებენ ვერც ბათუმსა და ვერც ფოთში. ახალგაზრდებს აღზრდა უნდათ.

ჩვენ არა გვაქვს უფლება, სხვა რესპუბლიკებიდან ბიდან მოწვეული ფეხბურთელებით ვეიმაყოთ. პირიქით, ჩვენთვის სასიხარულო იყო, როცა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების ძლიერ გუნდებში თამაშობდნენ საქართველოს აღზრდილი ფეხბურთელები: ნ. სიმონიანი, ვ. სანაია, მ. პირიევი, ბ. ჩიტაია, ი. ვარდიანიდი, მ. ბონდარენკო, ა. ზაზრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს, 1926 წელს მიმიწვიეს „დინამოს“ საზოგადოებაში და შემომთავაზეს გუნდის გადახალისება. მე იმ დროს თბილისის უნივერსიტეტის გუნდში ვთამაშობდი და ამხანაგებმა კაპიტნად ამირჩიეს. გუნდი „დინამოს“ საზოგადოებას 1924 წლიდანვე ჰყავდა, მაგრამ ეს გუნდი მოსსტებდა. „დინამოს“ საზოგადოებაში, როგორც უნივერსიტეტის გუნდის კაპიტანს, მითხრეს, გუნდი უნდა გავაძლიერო. ვარჯიშის დროს ეს წინადადება ამხანაგებს გავაცანი და მათი თანხმობაც მივიღე. ასე მოიყარეს თავი „დინამოს“ საზოგადოებაში ძლიერმა ფეხბურთელებმა. აქვე მინდა გავაცნოთ ამ გუნდის პიონერები, მისი პირველი შემადგენლობა: გ. ბაგდოევი, ნ. ბლანკმანი, ა. გონელი, ვ. ცომაია, ვ. ამმოკაძე, ა. გალპერინი, გ. ქსენოფონტოვი, გ. თედეევი, კ. პარასტაევი, ა. ჟორდანია, ბ. კულეკეი და სხვები. ამ შემადგენლობით თამაშობა გუნდმა 1927 წლამდე, ხოლო ამ წლიდან მოვიდა ახალი ცალი და გუნდი ასე გადახალისდა: დ. ცომაია, ა. დიაკოვი, ნ. ჭოიაკა, ა. ფოჩხუა, ნ. ანიკინი, გ. ქებადე, ე. ფრუძეკ, ბ. გასპაროვი, გ. ვაჩნაძე, ს. ფედოროვი. კვლავ თამაშობდნენ გუნდში გ. ბაგდოევი, ნ. ბლანკმანი, ვ. ცომაია, ა. ჟორდანია და სხვები.

„დინამოს“ გუნდი დიდი ფეხბურთის სარბიელზე უკვე 1926 წლიდან გავიდა და მრავალი ქალაქის გუნდებს აწვნევინა დამარცხების სიმწარეები. ზშირად ვეწვეოდით ხოლმე მოსკოვს, ლენინგრადს, ხარკოვს, კიევს, როსტოვს. გამოცდილების ურთიერთგაზიარება ჩვენც გვამდიდრებდა და იმ ქალაქების გუნდებსაც. 1928 წლიდან ჩვენი გუნდი უკვე საკმაოდ ძლიერად თამაშობდა. პირველ სპარტაკიადაზე, მოსკოვში, ამიერკავკასიის ნაკრებმა, რომლის ძირითად ბირთვს ჩვენი გუნდი შეადგენდა, მესამე ადგილი დაისაკუთრა, ნახევარფინალში დაძაბული ბრძოლის შემდეგ წაეგეთ უკრაინის გუნდთან 0:1. სპარტაკიადაზე ჩვენი გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: ა. პოპკოვი, ა. ფოჩხუა, გ. კორობკოვი (ბაქოდან) ნ. ანიკინი, ე. ფრუძეკ, ა. ჟორდანია, ნ. გნეზდოვი (ბაქოდან), ვ. ოფრკინა, გ. ვაჩნაძე, სოროკინი (ბაქოდან), ნ. ჭოიაკა და სხვები. სოროკინის, გნეზდოვისა და კოროტკოვის გარდა ყველანი თბილისის „დინამოდან“ იყვნენ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის „დინამო“ იყო საუკეთესო გუნდი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაშიც. თუმცა მე უკვე აღვნიშნე, რომ თავიდანვე თბილისს კონკურენციას უწევდნენ ბათუმისა და ფოთის გუნდები, მოგვიანებით სოხუმისა და ქუთაისისა.

1936 წელს თბილისის „დინამომ“ მკვიცი ადგილი დაიკავა საბჭოთა ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში და მას შემდეგ ჩემპიონობის თიფოზიანი ქმის უცვლელი პრეტენდენტია.

სასინტერესოა ის გარემოება, რომ ძველად „დინამოს“ გუნდში კარგი ტრადიცია იყო: ფეხბურთელები თვითონვე ზრუნავდნენ ფეხბურთის პოპულარიზაციისათვის და ეხმარებოდნენ კიდეც უმცროს ამხანაგებს ოსტატობის ამაღლებაში. გარდა „დინამოს“ პირველი გუნდისა, რომელიც ჩამოყალიბებული იყო თვით სპორტული საზოგადოების ინიციატივით, არსებობდა აგრეთვე მეორე და მესამე გუნდებიც. მათზე ზრუნავდა არა სპორტული საზოგადოება, არა ფედერაცია ან გარეშე პირი, არამედ „დინამოს“ პირველი გუნდის ფეხბურთელები. მეორე და მესამე „დინამო“ შეიქმნა პირველი გუნდის სპორტსმენთა ინიციატივით. მახსოვს, რამდენი დრო და ენერგია შეუღლეიათ ჩვენს ბიჭებს იმისათვის, რომ მეორე და მესამე „დინამოში“ აღეზარდათ ტაკვის ბურთის ოსტატები. ჩვენ ვედოლობდით აგვემაღლებინა ჩვენი უმცროსი თაობის თამაშის კლასი, ჩვენ ისინი გვიყვარდა, როგორც უმცროსი ძმები, არ ვიშურებდით მათთვის არაფერს, ვეხმარებოდით მატერიალურად ხელმოკლე ჯაპუკებს, ვეკლიდით ობლებს, ვეცდილობდით მათს გაზრდას არა მხოლოდ ფეხბურთელად, არამედ კარგ ადამიანად, ვეხმარებოდით სწავლაში. მტკიცე და დიდი იყო ჩვენი სიყვარული, უანგარო, ძმური და კაცური.

ამ დიდ სიყვარულს არ შეიძლებოდა კარგი ნაყოფი არ გამოეღო, ურთიერთდახმარება, გამოცდილების გაზიარება ხელს უწყობდა იმას, რომ „დინამოში“ აღიზრდნენ შესანიშნავი ოსტატები: ჩინებული მეკარე ი. კასრაძე, ა. ფოროსოვი. (ასეთ მეკარეს ხომ იშვიათად ნახავს კაცი!), შ. ზაგეულიძე, მ. ასლანაზოვი, ა. ჯოჩიკალოვი, მ. მინაევი, მ. ბერძენიშვილი, ბ. ბერძენიშვილი, კ. პარასტაევი, ს. ფედოროვი და სხვები... ამათგან მრავალი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატებში.

არ მინდა ვუსაყვედურო ჩვენს დღევანდელ ოსტატებს, იქნება მათი ბრალიც არ იყოს, მათ ხომ უბრალოდ დროც აღარ რჩებათ თავისუფალი, რომ იფიქრონ ახალგაზრდა თაობის დახმარებაზე! მაგრამ მაინც გული მტკივა, როცა ვიცი, რომ ბევრ ჯაპუკ ფეხბურთელს ჩვენი აღიარებული სპორტსმენები მხოლოდ მაშინ ეცნობიან, როცა თავიანთი გუნდის შემადგენლობაში ნახავენ. დასანანი კია! ფეხბურთელებს, რომელნიც თამაშობენ და ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში არიან, გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ბავშვებისათვის, ვიდრე მათს მწვრთნელს, რომელმაც ერთბაშად რამდენიმე ათეული ბავშვი უნდა აღზარ-

ანდრო ჟორდანია
ფიქრები ქართულ ფეხბურთზე

დოს. ამიტომაც ხდება, რომ ბავშვთა და ჯაბუკთა გუნდებში ფეხბურთელთა მომზადება ნიველირებულია, ყველას ერთნაირად და ერთსა და იმავეს ასწავლიან. შეიძლებოდა კი, თითოეული ოსტატისთვის დაგვეკალკულირებინა შეფობა რამდენიმე ბავშვზე, რათა მომავალი თაობის აღზრდას უფრო სხვა ხასიათი მისცემოდა. ცხადია, მაგალითად, მ. მესხსა და ს. მეტრეველს თავიანთი ხელწერა აქვთ და თითოეულ მათგანს თავისებური ნიჭი და განუმეორებელი გაკვეთილი შეუძლია ჩაუტაროს ბავშვებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ფეხბურთელები ისე არიან გადაბეერთულნი, რომ თავისუფალი დროის გამონახვა ძნელია. მიუხედავად ამისა, ფრიგი არ იქნებოდა ინდივიდუალური ვარჯიშები ისე დაგეგეგმა, რომ ფეხბურთელებს თავიანთ ჯგუფებთან ვარჯიშში. ასეთი ვარჯიში, ეფიქრობ, ნაყოფიერი იქნებოდა. ჯერ ერთი, ფეხბურთელები მეტი ინტერესით და პასუხისმგებლობით იარჯიშებდნენ (თავს ვინ დაზოგავს, როცა თაყვანისმცემლები გარს ახვევია?), ბავშვებიც ბევრს შეიძენდნენ. მიუხედავად ინტერესიობისა, სპორტსმენს ვარჯიში აღარ დაემსგავსებოდა მძიმე სამუშაოს და სიამოვნებას მიანიჭებდა!

5

გაზეთის გაყვითლებულ ფურცლებს ბევრი თბილი სიტყვა შემოუნახავს კიდევ ერთ ქარცოულ გუნდზე — თბილისის „სპარტაკზე". ვფიქრობ, ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ეს გუნდი. საიდან გაჩნდა თბილისს „სპარტაკი", როგორ მიაღწია მან ფეხბურთის უმაღლეს ლიგას, როგორ აღზარდა ტყვეს ბურთის ცნობილი ოსტატები? გუნდი შეიქმნა მანამდე სრულიად უცნობ ფეხბურთელთა ბაზაზე. სანამ ისინი ჩრდილში იდგნენ, დიდი სპორტული მიღწევებით არ ბრწყინავდნენ, მათ ჭკნოდათ ზრდისა და დავაკაცების საშუალება. შეიძლება პარადოქსად მოგეჩვენოთ, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, რომ სანამ „სპარტაკი" „ბ" კლასში იყო, გუნდის ხელმძღვანელობა კარგად გრძნობდა თავს. ორი წლის განმავლობაში, როცა მეორე ლიგაში თამაშობდნენ, მათთან არავინ მოსულა, თავი არავის შეუწუხებია, დახმარება არ შეუთავაზებია, მაგრამ, სამაგიროდ, ჩვენთვის ხელიც არავის შეუშლია. მე ვამბობ „ბედნიერად" - „მეთქი, ამიტომ, რომ მაშინ მე მწვრთნელად ვმუშაობდი ამ გუნდში. მაგრამ მეორე წელს მოხდა „უბედურება": „სპარტაკმა" შესანიშნავად ჩაატარა ტურნირი (გახსოვთ 40 ქულა 20 თამაშიდან?), პირველი ადგილი აიღო და „ა" კლასის მკვიდრი გახდა. მაშინ კი დაიწყო!.. სად იყვნენ ეს სად არა, გამოჩნდა ათასი მზრუნველი, მრჩეველი, შემმოწმებელი! და, ბოლოს, შედეგი ის იყო, რომ გუნდიდან შეიდი ფეხბურთელი გადაიყვანეს „დინამოში"! თბილისის „დინამოს" ყველა მათგანი არ გამოუყენებია, სამაგიეროდ „სპარტაკი" დაიშალა! ძნელია ახლა ლაპარაკი ყველაფერზე, მაგრამ მაინც არ შემიძლია ერთი სასაცილო ისტორია არ გიამბოთ. ამ გადაწყვეტილების შესახებ მე მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა ხელში მომაჩერეს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ტარგა-კომიკური დადგენილება: „თბილისის „დინამოსა" და „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდების გაძლიერების მიზნით მომავალ სეზონში თბილისის „სპარტაკიდან" გადაყვანილ იქნან „დინამოში" შემდეგი ფეხბურთელები..." ჩამოთვლილი იყო გვარები და მეტი არაფერი!..

— კი მაგრამ, თუ ლაპარაკია ორივე გუნდის გაძლიერებაზე, მაშინ რატომ ფიქრობთ, რომ ეს ფეხბურთელები ჩვენ ხელს გვიშლიდნენ?

მაგრამ ჩემს რეპლიკას არავინ ყურადღება არ მიაქცია და ასეთი „ხელმძღვანელობის" წყალობით „ა" კლასში დავკარგეთ პერსპექტიული ახალგაზრდული კოლექტივი. თავისი არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში თბილისის „სპარტაკმა" თბილისის „დინამოს", მოსკოვის „სპარტაკს" და კიევის „დინამოს" მისცა ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ მ. პირაკეი, კ. გაგნიძე, ნ. გაგნიძე, ა. კლაძე, ა. კოტრიკაძე, ხერეიძე, ზ. კალოევი, გ. გრამატიკოპულო და სხვები. მაგრამ დღეს თბილისის „სპარტაკი" არც ერთ ფეხბურთელს არ ზრდის, იმიტომ რომ აღარ არსებობს!

მე ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ამ მწარე გაკვეთილის დავიწყება არ შეიძლება. თბილისის „დინამოში" ფეხბურთელთა გადმოყვანა ისე უნდა ხდებოდეს, რომ სხვა გუნდის მომავალს ძირი არ ეთხრებოდეს!

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

უ თ ო

მოთხრობა

„ვენესუელის პოლიციამ ვერ მიაკვლია ჭურდების ბანდას, რომელმაც 50 კილომეტრი რკინიგზის რელსი თავისი შპალებიანად მოიპარა...“

გაზეთებიდან

უ ცნ ო ბ ი

უცნობი მავრიკის პალმების ხეივანს გამოეცდა, რკინიგზის ქვემაყარილთან წამით შეყოვნდა (სან-ფერნანდოდან მომავალი სატარგო მატარებლის ვასელას დაელოდა), მერე იდუმალი მზერა მიმოავლო კაკაოს პლანტაციებს და მეპარეს ფარდულში შეკედა.

მეისრეს არ ეძინა.

— თქვენ კარაკასის შტატიდან ბრძანდებით?

— დიახ, ბატონო.

— ეს თქვენი წინაპარი გადმოსახლდა მარგარიტას კუნძულიდან ორინიკოს დელტაში?

— დიახ, ბატონო.

— ეროვნებით კრეოლი?

— ნახევრად.

— მამათქვენი მეჩექმე იყო.

— არა ბატონო, მეჩექმე ბიძა გახლდათ.

— აჰა, მამათქვენი მალუპოში ნალბანდობდა, მერე ჭიანქვეულებმომეუბნე ნადირობდა მერიღის კორდილერებში.

— სრული სიმართლეა.

— სან-ფერნანდოში იზრდებოდით.

— დიახ, ბატონო.

— უნიფობის გამო გაგრიცხეს სკოლიდან.

— სამუთბში ასე ჩანს, ბატონო, სინამდვილეში უხეშობისთვის მომშორეს.

— ?

— ზედამხედველი ხიდიდან გადაგაგდე.

— ღირსი ყოფილხართ, მერე ყური არ აგიწიათ ამ ზედამხედველისა?

— უნდოდა, მაგრამ ვეღარ შეძლო, ბატონო.

— გაიქეცით?

— სად გავიქცეოდი, მაგრამ ზედამხედველი წყლიდან არ ამოსულა, ორინიკოს რეაკბილიანმა ნიანგმა დაგლეჯა.

— მერე „სტანდარდ ოილ ოფ ნიუ-ჯერსის“ კომპანიაში მუშაობდით მენავთედ?

— დიახ, ბატონო, შეუს კონიაკის ბოთლში მენზინი ჩავუსხი და გამომაგდეს.

— თუ გახსოვთ, კაბრუტას ხულიგანმომთვინიერებელთა რაზმიდან რიღისათვის მოგიშორეს?

— ძალზმა მიკბინა.

— ამჟამად „კრეოლვეი ხახადის“ კინცერნში მუშაობთ მეისრედ?

— დიახ ბატონო, სან-ფერნანდო-კაბრუტას ხაზზე.

— კეთილი...

უცნობი ფანჯარასთან მივიდა, მერე ნახევრად შემოტრიალდა და ყრუ ხმით იკითხა:

— უთო გაქვთ?

— ორი.

— ორი?

— ნახშირისა და ელექტრონის.

— მიჩვენეთ.

მეისრემ ფარდა გადასწია და უცნობს ორივე უთო წინ დაუდო.

— მითხარით, რას ეწოდება უთო?

— საგანს, რომელიც მეორე საგანს აუთოებს, ან უფრო სწორად აუთოებინებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოუ გინახავთ ადამიანი, რომელსაც უთო ერქვა?

— არ მინახავს.

— გკონიათ შემთხვევა მამაკაცისთვის „უთო“ გეწოდებინათ?

— როგორი მამაკაცისთვის?

— ვთქვათ, შუახნის, ღიპიანი მამაკაცისთვის, რომელიც დღეში რვა ბოთლ ანანასის წვენს სვამს და პირში სიგარას ყოველთვის მარცხნივ ირჩის.

— და ცოტა თავჭარიანია...

— დიახ.

— ცოტა მეციც.

— დიახ.

— და არც ერთი საყვარელი არა ყავს.

— დიახ.

— და ხელქვეითებს ხანდახან მამის საფლავს უხსენებს...

— დიახ.

— „კრეილვეი ხახადოს“ მეპატრონეა, ჩემი უფროსი — პაპასიდო.

— დიახ, მიპასუხეთ, გკონიათ შემთხვევა ადამიანისთვის „უთო“ გეწოდებინათ?

— მჭონდა, და ეგ იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში. პაპასიდოსთანა ბრიყვებს მე ჩვეულებრივად ვეძახი „კაკაოს“, „ლანინს“, „ბატს“, „კუზუკს“, „აფურსაც“ კი, მაგრამ, მაშინ რატომღაც „უთო“ კუზოდ.

— ისმენდა ვინმე?

— ალბათ. მოიწონა პაპასიდოს ახალი სახელი და რამდენჯერმე დავუძახე, მერე კიბეზე ჩასვლისას ამოვძახე, ეზოში გამოვედი და ვყვიროდი. „შენ კაცი კი არა, უთო ხარ, უთო!“ კანტორის მუშები იცინოდნენ.

უცნობი კვლავ მივიდა ფანჯარასთან, კვლავ ნახევრად შემოტრიალდა და კვლავ ყრუ ხმით თქვა:

— დამალვას აზრი არა აქვს, თქვენ ხართ მასენთო გულაჩო, მეისრე. თქვენ გუშინ, ნაშუადღევის ოთხ საათზე, შეხვედით პაპასიდოს კაბინეტში და საათნახევრისაკენ საქმითა საუბრის შემდეგ კონცერნის პატრონს „უთო“ უწოდეთ.

— სწორია.

უცნობმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და მეისრეს რემინგტონზე დაბეჭდილი ნაცრისფერი ქაღალდი გაუწოდა.

— თქვენთან გამომაბანეს, ძლივს მოგაკენით, ეს ოხერი, სამჯერ ჩაეუარე ამ ფარდულს, მითხრეს, ბარბანძოში უნდა ჩამოხდიდეო, მე სანაგოში ჩავსულვარ, იქიდან ფეხით ამოვედი.

მეისრე მასენთო გულაჩომ ქაღალდი გაშალა.

„ბრძანება № 16

კანტორის რწმუნებაში შემავალ რკინიგზის მოსამსახურეთა შორის უხეშობის აღმოფხვრის მიზნით ვბრძანებ: მეისრე მასენთო გულაჩო მოიხსნას სამსახურიდან კანტორის ზოგი მოხელისადმი უგულისყურო დამოკიდებულების გამო, რაც გამოიხატება მათი ნამდვილი სახელის არცოდნაში, მეისრე მასენთო გულაჩოს მიმართ — კრეილვეი ხახადოს შეფი, ხელმოწერილია პასიდო)

ასული დედანთან სწორია: ფითურინო.

— მაშ ასე, — ჩაილაპარაკა მასენთომ, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ არ ესიამოვნა ბრძანების შინაარსი.

— რას იზამთ, ხდება, — ანუგეშა უცნობმა.

— კი მაგრამ, თქვენ ვინ ბრძანდებით? — ცალყბად კკითხა ყოფილმა მეისრემ სტუმარს და სკამზე მიუთითა.

— მე კარაკასის უნივერსიტეტში მინდა ვისწავლო, პაპასიდოს კომპანიაში სტაჟის გულისთვის შიგრიცად ვმუშაობ.

მასენთოს მეტი არაფერი უკითხავს. კიდევ ერთხელ ჩაიკითხა ავის მაუწყებელი ქაღალდი, ორლოს სტარეონებიდან უმწეოდ მოჩანადა ხეადინდელი დღე: უმუშევრობა, შიმშილი, სასოწარკვეთილება, მიუსაფრობა და ბოლოს, ვინ იცის, იქნებ თვითმკვლელობაც.

— მე წავალ ახლა, — თქვა უცნობმა, — ხელი მომიწერეთ.

მასენთომ საკმაოდ ულაზათოდ მოაწერა ხელი; ეს ბუნებრივი იყო მისი მდგომარეობის კაკასათვის.

უცნობი ფანჯარის მოშორდა, გასვლისას უთოს ბაღაბედ და გაუბედავი ღიმილით იკითხა:

— რომელი უთო უწოდეთ შეფს, ნასშირის თუ ელექტრონის?

მასენთო გულაჩოს ხუმრობის თავი აღარ ქქონდა.

სან-ფერნანდო პატარა ქალაქი არ არის, კაბრუტა კი პატარა ქალაქია. სან-ფერნანდოდან კაბრუტამდე ორმოცდაათი კილომეტრია. სწორედ ეს ორმოცდაათი კილომეტრი იწვევს გაუთავებელ კამათს სან-ფერნანდოდან კაბრუტამდე სამანქანო გზით და რკინიგზით მოსიარულეთა შორის, რადგანაც ყოველგვარი სახის ავტომანქანა სან-ფერნანდოდან კაბრუტამდე, სულ ცოტა, 185 კილომეტრს ითვლის. რკინიგზა 19... წლის დასაწყისში გაიიგზავნა. რითაც დიდად ასიამოვნეს სან-ფერნანდოსა და კაბრუტას პატივცემულ მცხოვრებნი. რადგანაც კაბრუტა პატარა ქალაქია, ხოლო სან-ფერნანდო—დიდი, მატარებელი სან-ფერნანდოდან კაბრუტასკენ ღამეში სამჯერ მიდის, ხოლო უკან ღამეში ერთხელ ბრუნდება. დღისით მოძრაობა წყდება. მატარებლები სან-ფერნანდოში დგანან, მეისრეები კი ჯიხურებში წვანან და ისვენებენ. დღისით, რკინიგზის გასწვრივ, ჩაპაროს ბუჩქებს შორის ძროხები ბალახობენ. რკინიგზაზე უშიშრად დაბბიგებენ ყველაზე უიმედო ყრუებიც კი. მთიციან, სან-ფერნანდო კაბრუტას ხაზი ღამის ხაზია, დღისით კი მატარებლები სან-ფერნანდოში დგანან.

სწორედ ამ ხაზზე დღეკვანდლამდე მეისრედ მუშაობდა მასენთო გულაჩო, რომელმაც რკინიგზის პატრონს პაპასიდოს რატომღაც „უთო“ უწოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ ა ტ ო მ?..

— შეიძლება?

პაპასიდომ ცისფრადშეღებილ ჭერს თვალი მოაშორა.

— მე მასენთო გულაჩო გასლაგართ.

— ეს არაფერს ცვლის, ვინმე ხომ უნდა ყოფილიყო მასენთო გულაჩო.

— მე თქვენი მეისრე ვარ.

— მე მეისრე არა მჭირდება, თქვენ რკინიგზის მეისრე იქნებით და ისიც სან-ფერნანდო-კაბრუტას ხაზზე.

პაპასიდოს ეს ერთადერთი რკინიგზის ხაზი გაჰნდა.

19.. წლის დასაწყისში იგი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა რკინიგზის მშენებლობას და საკმაო ავტორიტეტიც მოიპოვა. მერე, როცა დარწმუნდა, რომ მის მიერ შექმნილი ერთადერთი ხაზი ორი ქალაქის საიციოცსლო არტერია იყო და ახალგაზრდა ინჟინერს საბაჟო შემოსავალი საკვდილამდე ლაღად აცხოვრდა, პაპასიდომაც ერთბაშად აიღო ხელი თავის გიგანტურ გეგმებზე და რკინიგზის პატრონის უპრეტენზიო პროფესიას დამორჩილდა. პაპასიდოს ცოლი არ შეურთავს და, რა თქმა უნდა, ეალოთებიის არავითარი მიზეზი არ ჰქონია, მაგრამ პაპასიდო მაინც სვამდა და უფრო ხშირად მარტოდმარტო. პაპასიდო მხოლოდ მაშინ სვამდა, როცა მოწყენილებოდა. ჩვეულებრივად, ადამიანებს მაშინ სწყინდებათ ხოლმე, როცა მარტენი არიან. პაპასიდო არ წერდა ლექსებს, პაპასიდოს არ ჰყავდა მეგობრები. პაპასიდო განიერ, მოკლე ბაზეაოს იცვამდა და საოცრად ჰგავდა ჰ. ბიდლტრუპის ერთი ნახატი-ხუმრობის პერსონაჟს.

პაპასიდომ გაზეთი გაშალა და მალე სრულიად დაავიწყდა, რომ მის ოთახში იმყოფებოდა მეისრე, მასენთო გულაჩო. მეისრეს კი სრულებითაც არ ავიწყდებოდა, რომ თავისი პირდაპირი უფროსისს კაბინეტში იყო. როგორც ჩანდა, გაზეთში საინტერესო არაფერი ეწერა, რადგანაც რკინიგზის მფლობელმა იგი უსაღისოდ გვერდზე გადასდო და ძლივს მოწვდა ვეტერალატორს მაგიდის კუთხეში.

— ცხელა, — დაასკვნა პაპასიდომ.

მეისრეს საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს, რადგანაც მართლა ცხელოდა.

— სოფელი ბარბანძო, — თქვა მასენთო გულაჩომ.

— რა თქვით?

— არაფერი, სოფელი ბარბანძო...

— თქვენ გინდოდათ გეთქვათ, რომ სოფელ ბარბანძოში მუშაობთ მეისრედ?

— დიახ.

— მერედა იცით, რომ სოფელ ბარბანძოში ოდესღაც დინოზაურები ცხოვრობდნენ და იქ კირქვის ქანებზე ახლაც შემორჩა მათი ნაკვალევი?

— ვიცი.

— კაცმა რომ თქვას, მე არც კი მჯერა, რომ ეს დინოზაურის ნაკვალევია, თქვენ გჯერათ?

მეისრემ არაფერი უპასუხა.

— ბარბანძო, იცით, რას ნიშნავს ბარბანძო? — დევის ბანს, თქვენს სოფელში ოდესღაც დევები ცხოვრობდნენ, იცით?

— ვიცი.

— კაცმა რომ თქვას, მე არც კი მჯერა, რომ თქვენს სოფელში ოდესღაც დევები ცხოვრობდნენ, თქვენ გჯერათ?

მეისრემ არაფერი უპასუხა.

— ბარბანძო... — განაგრძო რკინიგზის პატრონმა, — თქვენი სოფლიდან მირანდამ ოცდახუთი კომლი გაასახლა, იცით?

— ვიცი.

— კაცმა რომ თქვას, მე არც კი მჯერა, რომ თქვენი სოფლიდან მირანდა ოცდახუთ კომლს გაასახლებდა. განა ცოტა იყო სხვა სოფლები?

მეისრემ არაფერი უპასუხა.

— ცხელა, — თქვა პაპასიდომ. იგი ამჯერადაც მარტალი იყო.

— მე საქმეზე მოვედი, — დაიწყო მეისრემ, — ორნინიკოს ხიდთან ლინდაგია გამოსაცვლელი. საკმაოდ გაცვდა, იქ მატარებელი უხვევს და რელსი ცალ მხარეს ცვდება. ჯერჯერობით საშიში არ არის, ცოტა ხანს კიდევ ივარგებს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

— რას არა სტკივა თავი?

— სიფრთხილეს.

მერე სიჩუმე ჩამოწვა. მეისრე ფიქრობდა გაცვეთილ რელსზე, რომელსაც თუ არ გამოცვლიდნენ, მატარებელი ხიდიდან გადავარდებოდა. მეისრე ხედავდა მდინარის ხეობაში პერპენდიკულარულად მდგარ მატარებელს. მეისრეს მდინარის ღრიალი და დედების წვიელ-კივილი ესმოდა.

„სიფრთხილეს თავი არა სტკივა", — ამ სიტყვებმა ვაიტაცეს პაპასიდო. ერთხელ, როდესაც იგი ჯერ კიდევ პატარა იყო, მამამ სან-ფერნანდოდან მანავიში წაიყვანა. მოსამზევეთან მამამ (იგი კარაკაცელი ფერმერი იყო და შაქრის ჭარლის აწ გადაშენებული ჯიშის აღდგენისათვის ერთხელ მირანდას მადლობაც კი მიეღო) შეიღი ცხენიდან ჩამოსვა და ხრამის კიდეზე ფეხით გაატარა: „სიფრთხილეს თავი არა სტკივა", — უთხრა მამამ მაშინ შვილს. და ეგერ, ამდენი ხნის შემდეგ, რკინიგზის პატრონს, ინჟინერ პაპასიდოს მის ოთახში შემოსულმა მეისრემ მამის სიტყვები გაუმეორა. მამის სიტყვებმა პაპასიდოს, რა თქმა უნდა, მამა მოაგონა. ვინ იცის, საით წაავიდოდა მოგონებათა ჯრმელი ჯაჭვი, რომ კაბინეტში მდივანი გოგონა არ შემოსულიყო და შეფისთვის შინ წასვლის ნებართვა არ ეთხოვა.

პაპასიდომ მოიხედა ძალიან გადაღლილი პირუტყვის თვალებით და ახლაღა შეამჩნია, რომ მის წინ იდგა მეისრე მასენთო გულაჩო.

რევაზ მიშველაძე
ოთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ ფიქრობთ, მდივანი სიმართლეს ამბობს?

მეისრემ მხრები აიჩეჩა.

— კაცმა რომ თქვა, მე არა მჯერა, რომ მდივანი ქალები ოდესმე სიმართლეს გეტყვიან, — თქვენ გკვრავთ?

მეისრემ არაფერი უპასუხა.

„ნეტავ რა უნდა, შემოვლენ და წასვლა არ აგინდებიათ", — ვაიფიქრა პაპასიდომ. თქმით კი სრულიად სხვა რამე თქვა.

— კუბურ სიგარას ამჯობინებთ თუ არგენტინულს? — და მეისრემ რომ არაფერი უპასუხა, პაპასიდომ უხერხულობის გასაფანტავად თვითონ დაასკვნა:

— არგენტინული ამ ბოლო დროს ძალიან სჩრდილავს. კაცმა რომ თქვას, არა მჯერა, რომ არგენტინული სიგარა ნამდვილად არგენტინულია, თქვენ გკვრავთ?

— მე საკმეზე მოვედი, — დრო იხელთა მეისრემ, — ორინეიკოს ხიდთან...

— დაიცადეთ, კვრომელი ხიდია?

— ბარბანძოსთან.

— ვიცი, ვიცი. იმ ხიდის აშენებისას სამუშაოთა მწარმოებლობა ყალბი ბეტონი შემოგვაპარა. არ მეგონა, მატარებლის დაწოლას თუ გაუძლებდა, მაგრამ ჯერჯერობით უძლეს. ლოუკესი... ოდესღაც კარგი მეგობრები ვიყავით. ამ ამბის შემდეგ მალე დავშორდით ერთმანეთს, ბეტონი კი დარჩა და დარჩა... — იცნობთ ლოუკესს?

მეისრემ არაფერი უპასუხა.

— ამბობენ, ახლა კარაკასში მკურნალობსო. ლოუკს რა მოარჩენს. იგი ახლა მესამეჯერ გაგიყვდა და მესამეჯერ გადაურჩა სასამართლოს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მე არც კი მჯერა, რომ ლოუკესი ნამდვილი ეიღა. თქვენ გჯერათ?

— მე საქმეზე მოვედი, — მერამდენედ დაიწყო მეისრემ, — ორინეიკოს ხიდთან მატარებელი უხვევს და რელსი ცალ მხარეზე ცვდება. ჯერჯერობით სამში არ არის, ცოტა ხანს კიდევ ივარგებს...

— რელსის გაცვეთაზე გამახსენეთ, გახსოვს კალეზრაზს ავარია? ასეთი საშინელება არ მინახავს. კაცმა რომ თქვას, არ მჯერა, რომ ის ავარიაა...

— უთო! — იყვირა უცებ მეისრემ.

— რა ბრძანეთ?

— უთო!

— მერედა, რომელი უთო? კაცმა რომ თქვას, მე არც კი მჯერა, რომ უთოს ამ წუთში ჩვენთვის გადაწყვეტა მნიშვნელობა ჰქონდეს.

— უთო!

— ეს მე მეძახით უთოს?!

— დიახ!

პაპასიდოს გაეცინა.

— კაცმა რომ თქვას, მე არც კი მჯერა, რომ უთოს მიწოდებთ. თქვენ გჯერათ, რომ შეიძლება ადამიანი უთო იყოს?

მასსნონო გულაჩრამ სამნიელი ღრიალი მორთო. იგი ოთხმაგ შეუფარაღებელმა მემანქანემ ძლიერ გაამოიყვანა „ეროელფი ხახადოს" შეფის კაბინეტიდან.

— შენ კაცი ეი არა, უთო ხარ, უთო! პაპასიდო ოდა მწარედ იცინოდა.

კაცმა რომ თქვას, მას უკვე სჯეროდა, რომ „უთო" უწოდეს.

●

მასენთო გულაჩრო მოხსენეს! ეს ამბავი ელვასავით არ მოსდებია ქალაქს, რადგანაც მასენთო გულაჩრის იქ ძალიან ცოტა ნაცნობი ჰყავდა. ბოლოს და ბოლოს იგი მხოლოდ რკინიგზის მეისრე იყო.

...ჭრიგინობოლეზს მესამე პარტია კრიმანკეული ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ, როცა მასენთომ ჯიხურის კარი ფრთხილად გამოიკეტა და სან-ფერნანდოს გზას დაადგა.

არ ნნელოდა.

ქანდაკებებს ჰგავდნენ სიცხისაგან გათანგული კაუჩუკის ხეები და მოხსნილი მეისრეს ეწეულებოდა, რომ დედამიწა ჩვეულებრივზე უფრო ნელა ბრუნავდა.

შეაგზაზე გაფფორებით მიაღინიალებდნენ მანქანებს თავზეხელაღებული მძღოლები და საოცარი სიმშვიდით ღეტავდნენ „ზახიუქსის" უსინთლოთა საზოგადოების მიერ გამოშვებულ „ბიუსის" ტიპის რეზინს.

ბამბის პლანტაციის მუშებს მოსავალი პირწმინდად აეღოთ და შინ მსიარული სტეგენთ ბრუნდებოდნენ.

ამ სტგენს ყარგად იცნობდა გულაჩრო, იგი ბევრ რაშეს აგოროებდა ყოფილ რკინიგზელს.

მასენთო მიდიოდა და ფიქრობდა:

„ზეალ ალბათ სხვა მეისრეს დანიშნავენ, იგი იქნება სამუშაოს ძებნით ბამაშარეული კოლუმბიელი, ან პატიმრობიდან გამოქცეული პარაგვაელი, მაღალი, აწოწილი გაუთლელი, თავეკარიელი მთიელი. შეაღებს ჯიხურის კარს და მაშინვე ბაირაღეს მოძებნის. მატარებლის გამოწრნმადე თვალსაც არ მოხუკავს. გასაღებს ვერ იპოვის, ჩაის ვერ აიღუღებს, რადგანაც ჯიხურის ნათურა გადამწვარია და ხელში კარგა ხანს უნდა ათამაშო, რომ აინთოს... და რაც მთავარია, არ ეცოდინება, რომ ხიდთან რელსია გამოსაცვლელი, თორემ შეიძლება მატარებელი გადავარდეს".

კაკაოს მოედანზე კაბრუტელ ჯამბაზს ხალხი შეეროვებინა და მაიმუნს ალაგრებდა. ოთხთვალას წინა, მარცხენა თვალზე მობმული მაიმუნი ჭკვიანურად შეპყურებდა პატრონს და ნაღვლიანი თვალებით ძალიან ჰგავდა ადამიანს.

მასენთო მიდიოდა და ფიქრობდა:

„პაპასიდო რკინიგზის პატრონია. მისი საბაჟო შემოსავალი თვეში 1500 ბოლივარს შეადგენს. მე კი ექვსი ღედიშობიერა შვილის პატრონი ვარ და თვეში ოცდათხუთმეტ სენტიმის მისდიდნენ. მე სხვაგანაც ვიშოვი ოცდათხუთმეტ სენტიმის თვეში, მუშობა შემიძლია და მოყვარს. მაგრამ პაპასიდოს თუ რკინიგზა არ ექნა, ერთ სენტიმისაც არავინ მისცემს. მაშინ იგი ჩემზე უფრო საცოდავი კაცი იქნება და ერთი ლუკმა პურისთვის თანაბრა გახდება, მოიკლა ვენესუელამ თუნდაც მილიონჯერ უწოდოს „უთო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწინთო გულაჩოს საათივით აწყობილი ფიქრი ბარბანძოს სამეცენტნოდან მომავალმა მთვრალმა გაა-წყვეტინა. მთვრალი საკმაოდ თანაბარი ზიგზაგით მოდიოდა, ოღონდ ეს იყო, მოშლილი სასხლავივით ხშირად იკეცებოდა და შუალედებში სატივან სან-ძოვა-ვინებასაც აბრუნებდა. მთვრალი მიუტევებელი გულგრილობით ღანძღავდა საკუთარ ცოლს: „ოიუტი ძრხსაა, არ სჯერა, რომ პატიოსან, მშრომელ ლოთს ხელფასზე თერმეტანარ დაქვითვას ადებენ და გა-ნასვრეული ხელფასიდან გეგმით გაუთვალიწინებ-ელი ლუდის ფულიც კი არ რჩებაო“.

მასწინთო გულაჩოს დანაბავზე ლოთი შეჩერდა. ბოოეკენით დაარერდა მომავალს და სანამ ყოფილმა მეისრემ არ ჩაიაბა, წარიიეკ არ შეუხოია.

გზაჯვარედინთან მასწინთო დიდანს ელოდა ავ-ტობუს და მერე სან-ფერნანდოსკენ მიმავალი ექს-კურსანტების მხიარულ მანქანას გაპქეკა.

...ლოთი ისევ იმ ადგილას იდგა და საკუთარ ცოლს დაუსწრებლად შავ დღეს აყენებდა.

თ ა ვ ი

ქალაქის თავს ღონისძიებათა მომფიქრებელი კო-მისიის სხდომა ჰქონდა.

ღონისძიებათა მომფიქრებელი კომისიის სხდომა ჩვეულებრივი სხდომისაგან იმით განსხვავდება, რომ იქ აზრს არ გამოთქვამენ, არ კამათობენ და, აქედან გამომდინარე, არც იციანან. კომისიის წევრები სხე-დან და ვრთად ფიქრობენ. ამასობაში კი, ქალაქის თავი თავის ადგილს ზის და ყურადღებით ათვალი-ერებს დაფიქრებულ სახეებს.

...ქალაქის თავი ჩვეულებრივად არაფერზე არ ფიქრობდა და რაგანაც არაფერზე არ ფიქრობდა, ხანდახან ისე სწრაფად ჩააქნევდა ხოლმე თავს მუხ-ლებისაკენ, რომ კაცი იფიქრებდა, თვითმფრინავი ჰაერ-ის ორმოში ჩავრდაო.

ქალაქის თავს ძალიან უყვარდა ძიება და ისე სძაგდა ერთფერფერება, რომ ცრემლი ერეოდა, როცა ყოველ დილით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, იძულებული ხდებოდა ტანსი ჩაეცვა. მას სიამღვრე უყ-ვარდა და სიარულს ხათრით სიამოვნებით დაუშვებ-და ყველაზე სულელურ ექსპერიმენტსაც კი, რისთ-ვისაც ხელქვეითნი, ჭკუის დარიგების ნაცვლად, მხო-ლოდ ახალ ანეგდოტს გამოუქვამდნენ და მძღოლე-ბის საშუალებით საკმაოდ სწრაფად აკრცელებდნენ ხალხში.

სან-ფერნანდოს ყველაზე ძლევამოსილი მოქალა-ქე ყოფილი მწყემსი იყო და საუბარში ხშირად ხმა-რობდა ყველაზე ბრაცვი მწყემსის გამოთქმებს. თანაც ქალაქის თავს ნამწყემსრობიდან ერთი ისეთი ცუდი ზნე დასჩრედა, რაზეც თვით ნახევრად ევოლუციულ-მა მწყემსებმაც კი დიდი ხანია უარი თქვეს — ქა-ლაქის თავი სვამდა. უბედურება იმაში იყო, რომ ქალაქის თავი ზომაზე მეტად მშიშარა გასულდა და სიფხიზლეში იმეცნი სისულელე ჩაედინა, რომ მარ-ტო ცოცხლების კი არა, მკვდრებისაც ეშინოდა და შიშის გასაფანტ-ეკვადაც სვამდა. სვამდა სწორედ მა-შინ, როცა მიკაპ მეტ-ნაკლები მნიშვნელობის და-რიგებებს ელოდნენ, როცა სტუმრები უნდა მიეღო, როცა სიტყვა უნდა ეთქვა, ან ქალაქის ცენტრში გე-ნერალ მირანდას ძეგლის დადგმა-არდადგმის საკი-თხი გადაეწყვიტა. ხელქვეითნი ისე მიეჩვივნენ ამას, რომ შეზარხოშებული უფროსის მხიარულ გამოხედვას სრულიად ნორმალურ მდგომარეობად თვლიდნენ და მთვრალი მაშინ ეგონათ, როცა სრულიად ფხიზე-ლი იყო.

საკითხთა მომფიქრებელი კომისიის სხდომა კარ-გა ხნის დაწყებული იყო, როცა ქალაქის თავის კაბი-ნეტში როგორღაც აღმოჩნდა „კრეოლური ხასადოს“ ყოფილი მეისრე მასწინთო გულაჩო.

საკითხთა მომფიქრებელი კომისიის წევრებმა თა-ვი აიღეს და შემოსულს შეხედეს, მერე მასწინთო გუ-ლაჩოს მზერას გაპყყნენ, ქალაქის თავს შეხედეს და რადგანაც ქალაქის მეუფე თვლემდა, ისევ სტუმარს მიაჩერდნენ.

სტუმარმა ჩაახველა.

როგორ თუ სხდომის დროს ჩემს კაბინეტში უცო-ხო კაცი შემოვიდაო, ქალაქის თავმა ისტერიული ყვირილი ატეხა.

— თქვენ აქ საიდან, თქვე!!!

უეცრად იგრძნო სან-ფერნანდოს თავმა, რომ ყვირილი არ ეკადრებოდა. პირზე სიბრაზისაგან მომ-დგარი ქაფი მოიწმინდა, სტუმარს მიუახლოვდა და ღიმილითი ჰკითხა:

— მითხარით, აქ საიდან გაჩნდით?

მასწინთო გულაჩომ მორცხვად ჩაიღიმა და ფან-ჯარაზე მიუთითა.

ქალაქის თავი ფანჯარასთან მივიდა. მეოთხე სარ-თულიდან კარგა ხანს დასცქეროდა თავზე ქალაქის დეპარტამენტის ეზოში ზეზეურად მძინარე პოლი-ციელს. მერე შემობრუნდა, ხელები გაშალა, აღტაკ-ებული იერით მიუახლოვდა მასწინთო გულაჩოს და ხელი მაგრად ჩამოართვა.

— ყოჩაღ, მომიღოცავს!

მერე ისევ ფანჯარასთან მივიდა და გადაიხედა.

— მე ბინის საკითხზე არ მოფუოვარ, — დაი-წყო მასწინთომ, —არც სამსახურის საქმეზე, არც სხვა რაიმე პირადი ანგარიში მამეფდენებს თქვენს შეწუხე-ბას, ამიტომ გთხოვთ მომისმინონთ.

ქალაქის თავი სმენად იქცა.

— „კრეოლური ხასადოს“ კომპანია, მოგეხსენე-ბათ, ჩვენი უწყების გამგებლობაში ერთადერთი ტკა-ნიეზრის მაგისტრალია სან-ფერნანდო კაბრუტას ხაზზე. მოგეხსენებათ აგრეთვე ამ ხაზის უდიდესი მნიშვნე-

რ ე ვ ა ზ ზ ი ე ბ ა ე ბ ი
უ თ ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა როგორც ჩვენთვის, ასევე სან-ფერნანდოსა და კაბრუტას შორის მიმოსვლის ნორმალიზაციისათვის.

— ჩემო კარგო, — შეუწუხა ქალაქ სან-ფერნანდოს თავი, — მოგეხსენებაა, ჩვენი ქალაქის ფინანსური მდგომარეობა. ახლა ჩვენ უკიდურეს გაჭირვებაში გავიგიცდით. ზაერის ჯარხლის მოსავალი წყალდიდობამ ვანაადგურა, ხოლო ქოქოსინის დასახლების სახელდახელო ბინები მიწისძვრამ მოანგრია. ჩვენ ხომ არ ვიცოდით, რომ ზაერის ჯარხლის მოსავალი არ მოვიდოდა, ამიტომაც საწყობები წინასწარ დავაცარიელეთ. ასე რომ, იქნება ერთი ხუთი წელიც მოგვემინა, ჰა?

— რკინიგზის ხაზი საფრთხეშია.

— მე რა ვქნა, მე შემინელია დაგიმიოთ ერთი შპალი საკუთარი ფონდიდან.

— ეს საქმეს არ უშველის, საჭიროა რკინიგზის ხაზი მოლიანად, ორმიედაათი კილომეტრის სიგრძეზე, აიყაროს და ახალი გაკეთდეს.

— გაგიჟდით? ბოლოს და ბოლოს რკინიგზა თვითმიზანი ხომ არ არის?

— მე ჩემი სახელით არ მოვსულვარ!

— მომისმინეთ, მე ყოფილი მწყემსი ვარ, თქვენი აქ მოსვლა თვითმიზანი ხომ არ იყო?

— თვითმიზანი რა შუაშია, მე დელეგაციის სახელით მოვედი.

— რომელი დელეგაციის?

— „კრეილეი ხახადოს“ მეპატრონემ პაპასიდომ და ჩვენ, მისმა მუშებმა, გადაგწყვიტეთ, ძველის ნაცვლად ახალი რკინიგზა გავიყვანოთ.

— მერე, ვინ გიშლიათ, დელეგაცია თვითმიზანი ხომ არ არის?

— თქვენი დახმარება გვინდა.

— გაიგეთ, ქალაქს სახსრები არა აქვს, ჩვენ ჩამორჩენილ ქალაქებს ვეხმარებით.

— თქვენ ვერ გამიგიეთ, ჩვენ ფულს რიდი მოვითხოვთ, ჩვენ სახსრები გვაქვს და კიდეც ავაშენებთ ახალ რკინიგზას.

საკითხთა მომფიქრებელი კომისიის წევრებმა ყურები ცქვიტეს.

— თქვენგან ერთი ბოლიავრიც არ გვინდა, ოღონდ დაგვეხმარეთ.

—ბოლოს და ბოლოს ეს დახმარება თვითმიზანი ხომ არ არის?! — ცრემლი შეერია ხმაში ქალაქის თავს.

— აი რა, ჩვენს კომპანიას საშუალება აქვს ახალი რკინიგზა გაიიკვანოს, მაგრამ ახალი რკინიგზა ძველის ადგილს უნდა გაკეთდეს, ძველი რკინიგზის დაშლისა და აღებისათვის კი სახსრები არა გვაქვს.

— აკი ფულს არ მოგთხოვთო? — ისევ შეშინდა ქალაქის თავი.

— არა, ფულს არ გთხოვთ, ოღონდ გაიკეთ ბანკარულება, რათა ხვალ ქალაქის საზოგადოებამ მოაწყოს ერთდღიანი ლაშქრობა სან-ფერნანდო-კაბრუტას რკინიგზის ხაზის ასაღებად.

ქალაქის თავმა სიხარულისაგან ტაში შემოკრა. მერე უეცრად მოიღუშა და იუპიტერის ქანდაკების გამომტყვეველება მიიღო.

— ერთდღიანი ლაშქრობა თვითმიზანი ხომ არ მოდის?

საკითხთა მომფიქრებელი კომისიის წევრებმა დაუმტკიცეს შეფა, ერთდღიანი ლაშქრობა არაფითარ შემოხვევაში არ იქნება თვითმიზანი.

— როდის უნდა მოვაწყოთ ლაშქრობა რკინიგზის ასაღებად? — იკითხა ქალაქის თავმა.

— ხვალ დილითვე, გამთენიისას, როცა სან-ფერნანდოდან კაბრუტასკენ უკანასკნელი მატარებელი გავა.

— რატომ მაინცდამაინც ხვალ?

ქალაქის თავმა თავი გააქნია. მტკაცე გადაწყვეტილებით წამოდგა და ოთახში ისე გაიარ-გამოიარა, რომ მისი ნაბიჯები იფიქრებდა, ეტყობა მოაზროვნე ადამიანია და რაღაც ურთულეს საკითხს შეეჯიდებიაო.

სიჩუმე ჩამოვარდა. მასენთო გულაჩო გაშრა. საკითხთა მომფიქრებელი კომისიის წევრებში აკა-იქ ქვითინი გაისმა.

— ხვალ აჯობებდა, — დაიწყო მოხსენიმა მეიარემ, — მერე „მუჩუკუჩის“ დღესასწაული ასლოდდება, ხალხი ვერ მოიცლის.

ქალაქის თავი სდუმდა.

— დღესასწაულის წინა დღეებში დაჯილდოებები წავა. თქვენთვისაც კარგი იყო.

ქალაქის თავი სდუმდა.

— ხალხის ძალა კლდეს გაანგრევს. კაბრუტას მოქალაქენი ხვალისათვის არიან გაფრთხილებულნი, ისინი თუ ხვალ გამოვლენ, ჩვენი ქალაქი რად უნდა ჩამორჩეს?

ქალაქის თავი სდუმდა.

— თქვენს სასელს არასოდეს დაივიწყებენ, ვინ იცის, იქნებ ძეგლიც კი აგიგონ, ძველი რკინიგზის დანგრევასა და ასლის აშენებაში ხელშეწყობისათვის.

ქალაქის თავმა ტკრს მოაშორა თვალები, ეიოღიმა, მასენთო გულაჩოს მხარეზე გადადო ხელი და ოხერით თქვა:

— ა, ვითომ? ძეგლი, მე მგონი, არ არის საჭირო, რა ვიცი... ა?

— როგორ გეკადრებათ, ეს უკვე ხალხის საქმეა, — დაბეჯითებით უთხრა მასენთომ.

ქალაქის თავი მოიხიბლა. იგი ხედავდა საღღესასწაულო მიტინგებზე თვითრად აფრიალებულ ბაირაღებს და ბაირაღებზე ამოჭარგულ მის არათვითმიზნურად გაღიმებულ სახეს. ხედავდა ოქრისფერი ბრინჯაოს მონუმენტს და ათასვეარ პატარა მედალიონს ქალაქის თავის მოაზროვნე თავის გამოსახულებით. და ყოველივე ამისთვის საჭირო იყო მხოლოდ ერთდღიანი ლაშქრობა. ქალაქის თავი კი მაინც ყოყმანობდა: ყოყმანობდა, რადგანაც, ბოლოსდაბოლოს, იგი ქალაქის თავი იყო და სხვებთან მოუთათბირებლად საკითხს არ გადაწყვეტდა. თანაც ახლა საპასუხოდ არ ეეკალა, საფარძელი გემრიელად მოკალთვებული, ოფლების ნაზი თვალით შესაცქერაოდა თავისი ძეგლების უშველებელ ტყეს, სან-ფერნანდოს სახურავებზე ატორტმანებულს.

მასენთო გულაჩომ კაბინეტი დატოვა და კიბეზე ჩასვლისას მღიგანს ქალაქის თავის ბინის მისამართი ჰკითხა.

მოხსნილ მეისრეს რატომღაც პირველ ზარზეკვე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღელ კარი და რატომღაც თავაზიანად უთხრეს, ცოტა ხანს დაელოდეთ, ქალაქის თავის მეუღლე ახლავე მიგიგდებთო.

ქალაქის თავს შეუხედავი, მაგრამ ჭკვიანი მეუღლე ყავდა.

— ქალბატონო, მე მგონი, ეჭვი არ შეგეპარებათ შენს კეთილ განზრახვაში, — დაიწყო მასენთომ.

— რაში?

— ქალბატონო, თქვენი მეუღლე, ესე იგი ჩვენი ქალაქის თავი, შეცდომას უშვებს.

— რა შეცდომას?

— გადაუწყვეტია, ერთდღიანი ლაშქრობა მოაწყოს სან-ფერნანდო-კაბრუტას რკინიგზაზე.

— მერედა, რა არის ამაში ცუდი?

— საქმე ისაა, რომ ის ხაზი გამოცვლას არ საჭიროებს.

— თქვენ საიდან იცით?

— ვიცი.

— ესე იგი, თქვენ იცით და ქალაქის თავმა, რომელსაც გამჭვანებისთვის ამოთხრილი ორმოების რაოდენობასაც კი ყოველდღიურად მოახსენებენ, არ იცის?

— როგორც ჩანს.

— თქვენ რატომ აძლევთ თქვენს თავს ამდენ უფლებას? თქვენ, ქალაქის თავი თქვენი თავი ხომ არ გგონიათ?!

— სამართლიანობის სახელით მოგიწოდებთ, — დაუშალეთ თქვენს ქმარს ერთდღიანი ლაშქრობის მოწყობა.

— თქვენ შეშლილი ხართ, ბატონო ჩემო. თქვენ ღირსიც არა ხართ გყავდეთ ისეთი ქალაქის თავი, რომელიც დღედაღამ ქალაქის კეთილმოწყობაზე ფიქრობს.

— ლაშქრობა მაინც არ არის საჭირო:

— საჭირო კი არა, აუცილებელია!

— რაკი არ იშლით, ის მაინც სთხოვეთ, ხვალ არ მოაწყოს ლაშქრობა, რა საჩქაროა, მე ვაპირებ ეს საკითხი ზემდგომ ინსტანციებს მივახსენო.

— ჩემმა ქმარმა ზემდგომი ინსტანციების გზა თქვენზე უკეთ იცის.

— თქვენ და თქვენი მეუღლე უმჯობესია, — ბაბუები ყოფილხართ, თქვენ გაგაბრიყვეს, დაბეზღეს, — თებით მოგითხოვ, — ვადადებინოთ ერთდღიანი ლაშქრობა.

ქალაქის თავის მეუღლეს სიბრაზისგან ქუთუთოები დაუწეწიოდა და ცხვირის ნესტოები გაუფართოდა. მას ძალიან უნდოდა ისტერიული კივილით გაეგდო გარეთ ეს თავხედი კაცი, მაგრამ ყელსამოწოლილი ბოღმა უკანვე ჩაიბრუნა და სტუმარს კარებზე ნასვლრადთავაზიანად მიუთითა:

— კარები, გადადადებინებ, მიბრძანდით.

...და მთელი ძალით მიუჯახუნა კარი გასულს. შემბორუნებულმა სასწრაფოდ აიღო ყურმილი და ქალაქის თავს კატეგორიულად მოსთხოვა ერთდღიანი ლაშქრობა აუცილებლად ხვალვე მოეწყო.

მასენთომ გულაჩო კი კვლავ ქალაქის თავის კაბინეტში დაბრუნდა (ამჯამად უკვე კარიდან).

— ესე იგი, ხვალ ერთდღიან ლაშქრობას ვაწყობთ, ხომ? — ჰკითხა ქალაქის თავმა შემოსულს.

— დიახ, სამშბამათს.

— მე მგონი, ეს გონივრული უნდა იყოს... — და საკითხთა მომფიქრებელი კომისიის წევრებმა კიდევ ერთხელ რომ დაედასტურეს „დელეგაციის წარმომადგენლის“ წინადადების გონივრულობა, ქალაქის თავმა ღილაკს თითი დაჭირა და ერთად შემოსულ ცხრა თანამშემწეს უბრძანა:

— გაფრთხილეთ მთელი ქალაქი, ადგილობრივი ორგანიზაციების ოფიციალურები და პროფკავშირის აგენტები, კინცერნების ხელმძღვანელები და კოლეგიების რეკტორები, ხვალ, როგორც ერთი, გავდივართ სან-ფერნანდო-კაბრუტას რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე, რკინიგზის ასაყოფ სამუშაოებთან დაკავშირებით. აწარმოეთ სასტიკი აღრიცხვა. ბანკს დაურეკეთ, დღეს ხელფასები არ დაარიგონ.

საკითხთა მომფიქრებელი კომისის წევრებმა ქალაქის თავის კაბინეტი დატოვეს — საკითხი უკვე მოფიქრებული იყო.

გახარებული მასენთო გულაჩო მამინვე კაბრუტასკენ გაემართა და დაახლოებით ასეთივე საუბარი ჰქონდა კაბრუტას ქალაქის თავთანაც (იმ განსხვავებით, რომ კაბრუტას მმართველი უფრო დამყოლი და უფასო ღონისძიებებზე არანერმალურად შეყვარებული უფროსი აღმოჩნდა).

ს ა ქ მ ე

მაგრიკიის პალმაზე თავდაღმადაკიდებული სინდიოფალა (სინდიოფალებს, საერთოდ, თავდაღმადაკიდებულებს სძინავთ) გამთენიისას ორკესტრის ხმამ გამოაღვიძა. რკინიგზის ხაზზე ლაღად მოაბიჯებდა ტრანსკავი-ბერლეიბუსების თხუთმეტკაციანი სასუელ ორკესტრი და თავგამოდებით უკრავდა. ორკესტრს წინ მოუძღოდა მჩიარულთა და ასაზრიანთა კლუბის გამგე. მას მარჯვენა ცერი თავს ზემოთ აეშვირა.

„ჩვენ ყველა დავასწარით!“ — ფიქრობდა კლუბის გამგე. კლუბის გამგე უსაზღვროდ მედნიერი იყო.

როცა ორკესტრის ხმაში უცხო ჭრიამული და ბარნიჩების წკრიალი შეერია, სინდიოფალა ხიდან ჩამოხტა და იქაურობას გაეცალა. სინდიოფალას როდი ეშინოდა; მას უბრალოდ, დამტვრეული ჰანგის მოსმენა არ შეეძლო.

სან-ფერნანდო-კაბრუტას ხაზი ლაშქრობის მონაწილეებით აივსო.

რევაზ მიშველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რაც მალე მოერჩები, მით მალე წაგალთ შინ“,— წამდაუწუმ იმეორებდა მუხედოს მარცვლისოდენა ტკბილვეზიერის სერიული გამოშვების ქარხნის წუნმდებელი და რკინიგზაზე ასკინკილით გარბოდა.

წერაქვს ხელში სტაციონდნენ ერთმანეთს კულინარული სასწავლებლის ტორის ფაკულტეტის სალმის (დასწრებული) სწავლების სტუდენტები.

სამმეტრიან შპალებს წინდის ჩხირებივით ათამაშებდნენ ფიზკულტურის საზოგადოება — „ბიზნისს“ კეტებიანი მუშაკები.

რკინიგზის ხაზის აყრის დაჩქარების მიზნით, სწრაფად გაიშალა ზეიგიბრება. სან-ფერნანდოს ცალობორძალად ველოსიპედისტთა ნაკრებმა გუნდმა შეკიბრებაში გამოიწვია კაბრუტის სპარფიუშერიო კოლონის უწლოვანი პატიმრები.

საქმე ცეცხლად დაინთო.

აყრილი რელსები თვალღისსამხამებაში მიპქონდათ ჯარითის მოპოლების მონოპოლისტური გაერთიანების მანქანების მეტალურგიული ქარხნებისაკენ (რელსებს იქ მაშინვე გადაადნობდნენ, რომ მოამზადონ ახალი რელსები ჩამოესხათ). ლაშქრობის ადგილზე თვით ქალაქის თავიც მოვიდა. მან დინჯად აიღო წერაქვი და ასევე დინჯად ჭკიფსა მარკალაკარწახეულ ფოტორეპორტიორს:

— სურათის გადაღება თვითმიზანი ხომ არ გამოდის?

ქალაქის თავის მოსცალა მეზიგით გაგარდა სან-ფერნანდოდ-კაბრუტას ხაზზე. ლაშქრობის მონაწილეებს რწმენა შეემატათ, ენერგიის საოცარი მოზღვავება იგრძნეს. „თავი ჩვენთანაა!“ — რეკდნენ რკინას შეჯიდეულ მოქალაქეთა თანაბარაჩქარებული გულები.

ნატურალისტტა მხატვარი ძლივს ასწრებდა შრომის პროცესის ჩაბატგვას. რკინიგზა სწრაფად მოკლდებოდა.

ოპერის ბრიგადა ორად იყო გაყოფილი. ერთნი მუშაობდნენ, მეორენი მეერთდნენ. როცა ორივე ჩხარე დაიღლებოდა, ფუნქციები იცვლებოდა; ახლა მეორენი რელსებს ჭყრიდნენ და პირველნი მეერთდნენ.

●

მასვლითი გულაჩო ლაშქრობაზე არ გამოჩ[illegible]ადდა.

დილის ათ საათზე მან გაზეთი „ულტიმას ნოტიასი“ იყიდა და კაფეში შევიდა.

კაფე „კაფინოს“ პატრონი დაბალი, გამ[illegible]დარი, გრძელხელებიანი მამაკაცი, უეშეტრობას უჩიოდა.

— თქვენ ხომ არ გიგიჟდით!? — ყურში ჩასძახა ყოფილმა მეისრემ „კაფინოს“ პატრონს.

მან უარყოფითად უპასუხა.

— თავი ხომ არ მოგძოუფლებიათ?! — კვლავ კკითხა მასენთო გულაჩომ.

„კაფინოს“ პატრონმა დაბეჯითებით განაცხადა, თავი, რა თქმა უნდა, არ მომძოუფლიაო.

— თქვენ სად უნდა იყოთ ასლა?

გრძელხელებიანმა მამაკაცმა შეკითხვა ვერ გაიგო.

— იქ, სან-ფერნანდო-კაბრუტას ხაზზე, ჩვენი ძმები ოფლს ღვრიან, მთელი ქალაქი ლაშქრობაზეა გასული. ეს კი, ეს მირანდას ნაშვერი, ეს ბრაზილიური კაუუკი და პარაგვაული ღორი, თავის სამიკიტნოში ზის და მუშტარს ელოდება!

— მე... მე... არ ვიცოდი! არ გამაფრთხილეს. მე... ახლავე, — ხელისა და ცბის კანკალით თქვა „კაფინოს“ მამამ, ელვისსისწრაფით ჩაიცვა, სარდაფში უმბარი წერაქვი მოძებნა, ქმარში გაიჩეჩა და როცა დარაბებს კეტავდა, თითქმის ტირილით უთხრა მზეს მიფიცხებულ გულაჩოს:

— მე ბრაზილიური კაუუკი და პარაგვაული ღორი არ გახლავართ. მე ამას დღესვე დავამტკიცებ ჩემი ალალი მარჯვენით. მე მზოლოდ დამავიწყდა, რომ დღეს ლაშქრობა იყო!

მოხსნილმა მეისრემ ფიმილით გასვდა მოსახვევში ძუნძუნით გაუჩინარებულ მიკიტანს და ისევ გაზეთს ჩაუღრმავდა.

გაზეთში ეწერა: „ყველაზე ძვირადღირებული პუნქტუაციური შეცდომა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაუშვეს 1962 წლის ნოემბერში: იმის გამო, რომ გრაფამი გამორჩათ დეფიზი, იძულებული გახდნენ კენედის კონცხიდან ვენერასაკენ გაშვებული კოსმოსური რაკეტა აეფეთქებინათ. რაკეტა კი 18 მილიონი დოლარი ღირდა“.

ზ ა რ ი

სად იყო ამ დროს პაპასიდო, „კრეიტვეი ხახადოს“ შეფი?

პაპასიდო სამსახურში ჩვეულებრივად თერმეტ საათზე მობრძანდა. კაბინეტში ჩაიკეტა და დიდხანს კითხულობდა თანამშრომელთა განცხადებებს შვებულებაში გასვლის, ალიმენტზე უარის თქმის, საფეიერის მოლარეთა თვითნებობის (ერთ-ერთ მოლარეს მოზრდილისათვის საბავშვო ბილეთი მიუყიდია და კუპეში თანამგზავრ ქალს მოულოდნელად აღმოუჩენია, რომ მის წინ მჯდომი მთვლემარე მამაკაცი ბავშვი კი არა, მოზრდილი იყო) და სხვათა შესახებ.

როცა ფოსტის დაცნობას მორჩა, პაპასიდომ მდივანი ქალი იხმო.

— საქმე კარგად მიდის, უფროსო, — აღფრთოვანებით შეაგება ლამაზმა მდივანმა შეფს.

— თქვენ გჯერათ? — ყრუდ ჰკითხა პაპასიდომ.

— დიახ, რკინიგზის ორი მესამედი უკვე აყარეს. ჯერჯერობით სან-ფერნანდოელები სჯობნიან. კაბრუტას ასაბვევთან ციცაბო აღმართია და ორი საათი მოუწევნენ ვგვრაბიდან რელსების დასაბანას.

— რის გამოტანას? — დაინტერესდა რკინიგზის პატრონი.

— რელსების.

— რომელი რელსების, გვირაბში რელსებს რა უნდოდ?

— დიახ, ძალიან გაუკვირდათ, კაბრუტელებს სიბნელეში მოუხდათ მუშაობა, ეს-ეს არის, ცნობა მიეცეთო, გვირაბი გაუთავებელუფლებითაო.

პაპასიდოს მეტი აღარაფერი უკითხავს. მან დანჯრის რაფაზე ყვითელი პეპელა შენიშნა და გადაწყვიტა დაეჭირა. თუმცა მაშინვე გადაფიქრა და სწორადაც მოიქცა. რაში უნდა გამოდგომოდა მისი მდგომარეობის კაცს პეპლით?!

●

შუადღე გადასული იქნებოდა, როცა ლაშქრობის ადგილზე კოშინით მოვარდა სახეგაფითრებული ღამიანი კაცი, რომელიც დღეში ათ ბოთლ „ანანასის წყენს“ სვამდა და სიგარას პირში ყოველთვის მარცხნივ ირიდა.

მან მაქსიმალურ სისწრაფით გაირბინა ნარკინგზელი და შპალებზე დასრილ სპორტსაზოგადოება „ბიზონის“ წარმომადგენელს ეცა:

— რას აკეთებთ??

— რაც შემიძლია ვმუშაობ, მე მეონი, უქმად არ ვდგავარ, გახედე, აი ის რელსები, ხიდთან, სულ ჩვენ ავყარეთ.

„ბიზონის“ წარმომადგენელმა პაპასიდოს გაფითრებულ სახეს და ჯიუტად მოკუმულ ტუჩებს რომ შეხედა, გალირფვულ „ორამკითხს“ ჯიუტ შეუტია.

— შენ თავი ხომ არ მოგიულებია? ხომ ხედავ, რკინიგზის აყრა სადაცაა დამთავრდება. იქნებ გავაჩერეთიყვითი, ა? როგორც კაბრუტაზ შრომა-გასწორების კოლონიის პატიმრები გაიპარნენ. თუმცა... მალე ქალაქის თავი მოვა და წასალისების ფურცლებს დაგვირიგებს.

პაპასიდო ასლა კულინარული ინსტიტუტის ბრიგადას მივარდა:

— შეაჩერეთ აყრა!

— პატივცემულო, უთხარი რამე, — საშველად მოიხმო უზარმაზარმა სტუდენტმა თავისი ჩია მასწავლებელი.

ჩია მასწავლებელი შემთხვევის ადგილს მიუახლოვდა.

— რა იყო, რობერტინო?

— ხელს გვიშლის, პატივცემულო.

— რა ენებავთ, სინიორ?

— შეაჩერეთ! მომეცით ნიჩაბი!

— მოითმინეთო, გეთაყვა, — პედაგოგიურად გამართულებულ ხერხს მიმართა მასწავლებელმა, — ასე როგორ შეიძლება, თქვენ ახლა რა? მო... მოხვიდით. რობერტინომ კი ძლივს ჩაიდო ნიჩაბი რაში? ხე... ხელში. დაისვენეთ, თქვენი რიგიც რას იზამს? მო... მოვა, სად სართ აქამდე?

— შეაჩერეთ! შეაჩერეთ! შეაჩერეთ!

ბლოდა სახემოქცეული პაპასიდო, მაგრამ მისი ბრძოლა არავის ეყურებოდა. ერთნი ფიქრობდნენ, რომ მსუქანი ჯენტლმენი სუმრობდა, მეორენი ფიქრობდნენ, რომ იგი კაბრუტელი მსტყავარი იყო და შეკიბრეულნი ხელის შეშლას ცდილობდა, რათა თავიანთნები წინ გაეშვა. მესამენი ფიქრობდნენ, რომ მოქალაქეს მზეს დაარტყა, მეოთხეთა აზრით, პაპასიდო მზოლოდ დეზერტირობდა.

პაპასიდო მალე დარწმუნდა, რომ წინ ვერ აღუდგებოდა ლაშქრობის ენთუზიაზმს (ერთ ადგილას ჭანჭოკებით სავსე კალათა აკიდიეს მხარზე და აიძულეს მანქანამდე მიეტანა), ამიტომ პოლიციის დეპარტამენტისაკენ გაიქცა. „სამმაბათი სანიტარული დღეა“, — იუწყებოდა პოლიციის შენობის კარებზე გაკრული უფიმფონოდ გაფორმებული წარწერა.

... როცა „კრედეი ხახადის“ აკანკალებულმა შეფმა ქალაქის თავს ყველაფერი გააგებინა, ხაღამოსრვა საათი იყო და გრანდიოზული ლაშქრობის ადგილას კაცი ვერავინ აღარ ჭაპანებდა. ვალმოხდილი მოქალაქენი შინაარსიანად ისვენებდნენ თავიანთ ორსამოთახიან ბინებში. რაც შეეხება სან-ფერნანდო-კაბრუტას ხაზს, პაპასიდოს საკუთარ რკინიგზას, — იგი უკვე აღარ არსებობდა.

— მე ვფიქრობ, ამ ფაქტის გახმაურება არ ღირს, — თქვა ქალაქის თავმა.

— თქვენ გჯერთ? — ჰკითხა ნახევრად შემლილმა პაპასიდომ.

— ქალაქის მერის ავტორიტეტის საქმეა. მაინც არ დაგიჯერებენ. მაგრამ თუ მოხდა და დარწმუნდნენ თქვენს სიმართლეში, ისინი აღარასოდეს არავითარ საზოგადოებრივ ღონისძიებაში არ მიიღებენ მონაწილეობას.

— კი მაგრამ მე? მე რა მეშველება?

— სხვა ბიზნესს ეწიეთ, რკინიგზა თვითმიზანი ხომ არ იყო? — დაიამედა ქალაქის თავმა.

„კრედეი ხახადის“ ურკინიგზო პატრონს „თავის“ უკანასკნელი სიტყვები არ გაუგონია, იგი ერთბაშად მოეშვა, სავარძელზე თავდაყრილ დამეხო დროს არ აქვითინებულიყო, თითზე იკბინა.

პაპასიდომ მაინც მიმართა პოლიციას.

გულისხმიერმა პოლიციამ კი ორი თვის ამაოძებნის შემდეგ ოფიციალურად გამოაცხადა:

„ვენსუელის პოლიციამ ვერ მოაკვლია ქურდების ბანდას, რომელმაც ორმოცდაათი კილომეტრი რკინიგზის რელსი შპალებიანად მოიპარა“.

... საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ პაპასიდომ მალე დატოვა მშობლიური ქალაქი. სან-ფერნანდო მისთვის ფიდი იარა იყო და ვემეშვის რჩვეული, კარაკასის შტატში გადავიდა. იქ, რკინიგზის ხაზზე მეისრედ მოეწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ გორგინი

არის ერთი ანეგდოტი:

„ავადმყოფი მიდის ექიმთან, მას შეხვეული აქვს ფეხი.

— რა გტკივათ? — ეკითხება ექიმი.

— თავი, — პასუხობს ავადმყოფი.

— მაშ რა უნდა სახვევს ფეხზე?

— ჩამიცურდა“...

ერთხელ ეს ანეგდოტი ერთ ჩემ ნაცნობთან სტუმრად ყოფნისას მოვყევი. მთხოვეს რამე სასაცილო მომეყოლა, ჰოდა, მოვყევი. ყველას გაეცინა. მხოლოდ ჩემს პირდაპირ მჯდომმა მოხუცმა უცნაურად შემომხედა, ჩაფიქრდა, ჩემსკენ გადმოიწია და მითხრა:

— მაპატიეთ, მე ალბათ ვერ მივხვდი... რა სტკიოდა ავადმყოფს?

— თავი.

— მაშინ რა უნდოდა სახვევს ფეხზე?

— ჩამოუცურდა.

— აჰა, — ნაღვლიანად თქვა მოხუცმა და რატომღაც ამოიოხრა. შემდეგ ისევე ჩაფიქრდა.

— ვერ გამიგია, — მითხრა რამდენიმე წუთის შემდეგ, — ვერ გავიგე იუმორი — ... მოდით, ლოგიკურად ვიმსჯელოთ: ავადმყოფს ხომ თავი სტკიოდა?

— დიახ.

— მაშ, რატომ ედო სახვევი ფეხზე?

— ჩამოუცურდა.

— უცნაურია, — წარმოსთქვა მოხუცმა და წამოდგა.

მოხუცი ფანჯარასთან მივიდა. დიდხანს ეწეოდა პაპიროსს და სიბნელეში უხმოდ იცქირებოდა. მე ჩაის ვსვამდი. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ფანჯარას მოცილდა, გვერდით მომიჯდა და ჩუმად მითხრა:

— გინდა მომკალით და, ანეგდოტი ვერ გავიგე. თუ კაცს თავი სტკიოდა, რაღა ეშმაკად შეიხვია ფეხი?

— ფეხი არც შეუხვევია, — ვუთხარი, — თავი შეიხვია.

— აბა საიდან გაჩნდა სახვევი ფეხზე

— ჩამოუცურდა...

მოხუცი წამოდგა, მცდელი თვალებით შემომხედა და უცებ გადაჭრით მითხრა:

— გავიდეთ აქედან. მოსალაპარაკებელი მაქვს!

ჩვენ ჰოლში გავედით.

— მომისმინეთ, — მითხრა მან და მხარზე ხელები დამადო, — ეს მართლა სასაცილო ანეგდოტია თუ ხუმრობთ?

— ჩემი აზრით, სასაცილოა.

— სახელდობრ, სად არის აქ იუმორი?

— არ ვიცი, სასაცილოა და მეტი არაფერი.

— იქნებ თქვენ რაიმე დეტალი გამოგრჩათ?

— რა დეტალი?

— დავუშვათ, ავადმყოფი ცალფეხა იყო.

— ვითომ რატომ?

— თუ დავუშვებთ, რომ სახვევი მართლა ჩამოუცურდა, მაშინ ის მთელ ტანს უნდა ჩამოჰყოლოდა და ორივე ფეხზე შემოხვეოდა... იქნებ ის ცალფეხა ინვალიდი იყო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, — გადაჭრით უარვყავი მისი ცარაუდი, — ავადყოფს ორივე ფეხი ჰქონდა.

— მაშინ, საიდან გაჩნდა სახვევი ფეხზე?

— ჩამოუცურდა, — წავიბურტყუნე მე.

მან ცივი ოფლი მოიწმინდა.

— იქნებ ექიმი რაბინოვიჩი იყო? — მოულოდნელად მკითხა.

— რა გაგებით ამბობთ ამას? — ვერ მივხვდი.

— რა გაგებითაც შეიძლება რაბინოვიჩი იყოს... რა თქმა უნდა, სასაცილო გაგებით.

— არა, — მოვჭერი სიტყვა, — ამ გაგებით ის რაბინოვიჩი არ ყოფილა...

— აბა ვინ იყო?

— არ ვიცი. შეიძლება ინგლისელი ან ყირგიზი...

— რატომ ყირგიზი?

— იმიტომ რომ დედა და მამა ყირგიზი ჰყავდა.

— აჰა?! — თითქოს რაღაცას მიხვდაო, ისე წამოიძახა მოხუცმა, — თუ მშობლები ყირგიზები იყვნენ, მაშინ, რა თქმა უნდა...

— დიდებულია, — გამეხარდა, — ბოლოს და ბოლოს ყველაფერს მივხვდით...

— მე ვერ მივხვდი. რა სტკიოდა ავადმყოფს.

— კარგად იყავით, — ვუთხარი, ბალტო ჩავიცვი და შინ წავედი.

ღამის პირველ საათზე ჩემი ტელეფონი აწკრიალდა.

— ანეგდოტის თაობაზე გირეკავთ, — მოისმა ყურმილში მოხუცის ხმა, — ვერ დამძინია. ის დაწყეველილი ფეხი თავიდან არ ამომდის. ხომ არის აქ იუმორი?

— რა თქმა უნდა, — დავეთანხმე.

— მეც ვიცი, ყეყეჩი ხომ არა ვარ. განათლება მაქვს... ანეგდოტი ცოლს მოვუყევი, სიცილით მოკვდა. ვერ გავიგე კი, რა აცინებდა... არ ვიცი, რა ვქნა.

— დაიძინეთ, — ვუთხარი და ყურმილი დავდე.

მეორე საღამოს დამირეკა.

— მე აქ ამხანაგებთან, სპეციალისტებთან, ვითათბირე, — მითხრა მოხუცმა, — ყველა ამტკიცებს, სახვევი ვერ ჩამოცურდებოდაო.

— ჭირსაც წაუღია ეს სახვევი! — ბრაზმორეულმა ვიყვირე, — არ ჩამოუცურდებოდა და ნუ ჩამოუცურდებოდა, რა გინდათ ჩემგან?!

— მინდა ამ საკითხში გავერკვე, — გულმოსულად მითხრა, — ეს ჩემთვის პრინციპული საქმეა... მე ხომ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვმუშაობ. მოვალე ვარ გონებამახვილი ვიყო...

ყურმილი დავაგდე. ამის შემდეგ ის რამდენიმე დღის განმავლობაში მირეკავდა, შინაც მესტუმრა.

მე ვლანძღავდი, ვაგინებდი, ვაბიაბრუებდი, მაგრამ უშედეგოდ.

არც კი სწყინდა. მიამტი, ნათელი თვალებით შემომცქეროდა და ბურტყუნებდა:

— გაიგეთ, ეს ჩემთვის აუცილებელია... მე ხომ საზღვარგარეთ ხშირად დავდივარ. უნდა მქონდეს იუშორის გრძნობა.

მაშინ გადავწყვიტე მასზე მოთხრობა დამეწერა.

დამეწერა კაცზე, რომელსაც იუმორის გრძნობა არ გაჩნდა, კაცზე, რომელსაც უნდოდა, სასაცილოს საიდუმლო კანონები გამრავლების ტაბულასავით დაელაგებინა.

ჩემი მოთხრობა ერთ-ერთი ჟურნალის სატირის განყოფილებაში მივიტანე: განყოფილების რედაქტორმა დიდხანს გულიანად იცინა.

— აი ყეყეჩი, — მითხრა, — ნუთუ ასეთებიც არიან?

— კი, თავად შამხვდა.

— დავბეჭდავთ, დავბეჭდავთ, — შემდეგ ხელი გადამხვია და ზედ ყურთან წამიჩურჩულა: — მე ხომ მეტყვი საიდუმლოდ: მაინც რა სტკიოდა ავადმყოფს?

— თავი, — ძლივს ამოვილუღლუღე.

— აბა, სახვევს ფეხზე რაღა უნდოდა?

მივხვდი: საეჭვო იყო, ჩემს მოთხრობას დღის სინათლე ღირსებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ყისკრის“ ფოსტიდან

დავით გოგოჭური

«ადვილ ნუ იტყვით»

გაზეთ „თბილისში“ (1967 წლის № 207) გამოქვეყნდა პროფ. გ. ზარდალიშვილის **წერილი** სათაურით: „ბევრით ვჭობიერ სხვასაო“. წერილის ავტორს სადაოდ გაუხდია ერთი ცნობილი ხალხური ლექსის ვარიანტის სისწორე და სადაურობა. აი, ეს სადაო ვარიანტიც:

თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ,
ბევრით ვჭობიერ სხვასაო (კახსაო),
ფეხს დაკერავ, გადაფრინდები
ბახტრიონის გალავანსაო.

წერილის ავტორს უხერხულად მიაჩნია ლექსში „მაგრამ“ და „სხვასაო“ (ან „კახსაო“) სტაკვების ხმარება და აღნიშნავს, უეჭველია, ლექსს ეს ვარიანტი სწორი არ არისო.

პროფ. გ. ზარდალიშვილი შემდეგ მიუთითებს მეორე ვარიანტზე („თუში ვარ მემატაური. ბევრით ვჭობიერ სხვასაო“) და დასძენს: „მემეტაური გვაკი უკანა ფეხა იყოს, თუმცა ამ გვარისანი მთათუშეთში ალარ არიან და ამიტომ ლექსის ეს ვარიანტიც ერთგვარ ეჭვს იწვევს“. შემდეგ წერილის ავტორს მოჰყავს ამავე ლექსის ვაჟა-ფშაველასეული ვარიანტი, სადაც თუშს მაგიერ გოგოლური (ფშაველი) იხსენება. ამის შემდეგ პროფ. გ. ზარდალიშვილი ვაჟა-ფშაველას ფანტაზიით შექმნილ „ბახტრიონის“ გმირებზე მიუთითებს და დაასკვნის: „მაშასადამე, თუ პოემის ფშაველი გმირები პოეტის მიერ არის მოგონილი, მაშინ ლექსის ვარიანტი გოგოლაურის შესახებაც, არასწორად უნდა ჩაითვალოს“.

რისთვის ჩაიდინა ვაჟა-ფშაველამ ეს „არასისწორე“, ნუთუ იმისთვის, რომ ბახტრიონში თუშის მიერ ჩადენილი გმირობა ფშაველი გოგოლაურისათვის მიეკუთვნებინა? მაშ, როგორდა მოხდა, რომ იმავე ვაჟას მიერ თუში ზეზვაა გმირობა, პროფ. გ. ზარდალიშვილისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „შესანიშნავად არის დახასიათებული“, თუმცა ყველი ზეპირსიტყვიერი მასალა როდი იძლეოდა ამის უფლებას.

პროფ. გ. ზარდალიშვილის წერილი არ არის საკითხის ღრმა ცოდნის ნაყოფი. ტენდენციური ინფორმატორთა წყალობით მკითხველი შეცდომაში შეჰყავს, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, ზეპირი ჭორებით იკამათო და ისიც ვაჟას წინააღმდეგ.

ფაქტები კი, აი, რაზე მეტყველებენ: ის ვარიანტი, რომელსაც ვაჟა-ფშაველი ასახელებს და რომელშიც გოგოლაური იხსენიება, „პოეტის მიერ“ კი არ „არის მოგონილი“, როგორც ეს პროფ. გ. ზარდალიშვილს ჰგონია, არამედ იდრეგე არსებობდა. ვაჟა-ფშაველ. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა ი. ჭავჭავაძეს 1871 წელს გ. ჯორჯაძისაგან ჩაუწერია ეს ვარიანტი და იგი ახლაც ინახება ფოლკლორის არქივის 3. უმაკაშვილისეულ კოლექციაში. ილიას შემდეგ იგივე ვარიანტი აღ. ყაზბეგს გამოუქვეყნებია 1885 წლის „ივერიაში“ (№ 8). მარტო 1888 წლის „ივერიაში“ ორჯერ გამოქვეყნდა ეს ვარიანტი: ჯერ ფ. ხიზანიშვილის მიერ (№ 144), ხოლო შემდეგ ნ. ურბნელმა დაუთოო იგი ერთერთ წერილ (№ 228). ამაზე ძველი დათარიღებული ვარიანტები ცნობილი არ არის და, ეფიქრობთ, არც იქნება. ყველა მათგანში კი მხოლოდ გოგოლაური გვხვდება და არა სხვა ვინმე. მაშ, რატომღა თქვა ეს წერილის ავტორი მას ვაჟა-ფშაველას გამოგონილად, როცა იგი ვაჟა-ფშაველამ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ — 1914 წელს გამოიყენა?

ამის შემდეგ ვის დავეჯეროთ? ილიას, ყაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგს, ვაჟას — სამივეს ერთად თუ პროფ. ზარდალიშვილსა და მის ტენდენციურ ინფორმატორებს?!

განა შეიძლება დღევანდელი მეტყველის „აზრის“ მიხედვით ვასწოროთ სამასწლოვანი ხალხური პოეტური გადმოცემები, მით უმეტეს ეშესქვეშ დავაყენოთ ვაჟა-ფშაველას სპეტაკი და სანიმუშო ფოლკლორისტული მოღვაწეობა!

ცხადია, ეს თავდაპირველი ტექსტი კი არ უნდა ჩაითვალოს არასწორად, არამედ პროფ. გ. ზარდალიშვილის წერილში წამოყენებული მოსაზრებანი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მიერ წერილში მოტანილი არც ერთი ლექსი არ არის თუშური წარმოშობისა, თუმცა ისინი შეიძლება თუშებს ეხებოდნენ. ვერც წერილის ავტორს და ვერც მის მთხრობელებს ვერ ვუუგოთ ლექსში ჩაწერებული სიტყვა „მემეტაურის“ მნიშვნელობა და ეს ტექსტიც „სიეტვოდ“ მიუჩნეიეთ, ვინაიდან ასეთი გვარი თუშეთში არ არსებობსო(?). მემეტაური **მეტიდან** ნაწარმოებია და **მემეტე** ხევსურულად სხვებზე მეტი გმირობა-ვაჟკაცობის გამომჩენ მეომარს ნიშნავს. („.. მითხოს მემეტედ ჯდებოდა“, იხ. აკ. შანთიე, — ხალხ. პოეზია. გვ. 13). ასე რომ, ამ ხევსურული წარმოშობის ლექსში სტრიქონი — „თუში ვარ მემეტაური“ — ხევსურულად ნიშნავს: თუში ვარ სხვებზე უკეთესი, და აქ საეჭეო არაფერია.

სადაო ლექსის ყველა ვარიანტში (მათ შორის პროფ. გ. ზარდალიშვილის მიერ დაწუნებულსა და მიწონებულშიც) გვხვდება სიტყვა „ტალავარი“. ეს სიტყვა სტრიქონის ბოლოსა დგას, სარითმოა (ტალავარი, გალავანი) და ამიტომ ივარაუდება, რომ იგი შექმნისთანავე თან ახლდა ამ ლექსს. ტალავარი ხევსურულად ტანსაცმელს ნიშნავს. ახლა კი პროფ. გ. ზარდალიშვილი გვიმტკიცებს იმას, რაც დღემდე არც ერთ ენათმეცნიერს არ შეუნიშნავს, — ტალავარი (თუ ალავარი) თუშური სიტყვაო. ვინ მოახსენა პროფ. გ. ზარდალიშვილს, რომ ფშაველებმა არ იციან და არ მღერიან ამ ლექსს. ალბა მოეცინჯოთ ძველი პრესა და პოეზიის კრებულები! სწორედ ფშავშია იგი ყველაზე მეტად პოპულარული და მრავალ ვარიანტად გავრცელებული.

და ბოლოს, ვისთვის ან რისთვისაა საჭირო ყველაფერი ის, რაზედაც პროფ. გ. ზარდალიშვილი ირჯება? განა რა მნიშვნელობა აქვს გალავანზე გოგოლური გადახტა, ხოშარული თუ გაფრინდაფული? ისტორიული ფაქტი ხომ ის არის, რომ ისინი ყველა გადაფრინდნენ გალავანზე და ბახტრიონის ციხე მტრებისაგან გაწმინდეს!

პროფ. გ. ზარდალიშვილის მთხრობელ-კონსულტანტობა კი იმის გვაგონებს, რასაც დიდი ვაჟა „თავისი ფანტაზიის ნაცოდვილარის ხალხისთვის მისაკუთრებას“ უწოდებდა.

„ადვილ ნუ იტყვით!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲙᲘᲡᲐ ᲛᲔᲠᲩᲘᲓᲐᲜ

ᲐᲨᲨ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲘ ᲔᲣᲬᲘᲜᲘᲗ

ცნობილმა ზანგმა მომღერალმა ეოზეფინა ბეიკერმა, რომელიც ამჟამად საფრანგეთის ქვეშევრდომია, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ პარიზში უარი უთხრა ბეიკერს განეახლებინა მისთვის ვიზა შტატებში წასასვლელად. ეოზეფინა ბეიკერი ყოველთვის იბრძოდა და იბრძვის ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგებისათვის. მან ომვილი სხვადასხვა ეროვნების 8 უპატრონო თეთრკანიანი და შავკანიანი ბავშვი. მისი ოჯახი ინტერნაციონალიზმის ერთერთი საუკეთესო ნიმუშია. საელჩოს უარს საფუძვლად დაედო ბეიკერის აქტიური მონაწილეობა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში და მისი მოგზაურობა კუბასა და მექსიკაში.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲗᲐᲜ

„ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲐᲗᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲣᲐᲠᲖᲠᲝᲑᲐ“

ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲨᲘ, „კომეტერის გალერეაში“ მოეწყო პროგრესული მხატვრის ეგონ პოსელის გამოფენა. გაზეთი „ბლინკფიუერის“ კორესპონდენტთან საუბარში პოსელმა განაცხადა: „მე დავიბადე 1921 წ. მუშის ოჯახში. ვსწავლობდი დურგლობას, საღამოობით დავდიოდი სამხატვრო კურსებზე. მერე ომში გამიწვიეს. ვიყავი მძიმედ დაჭრილი, ომმა ბევრი მწუხარება მომაყენა და უდაოდ თავიხი კვალი დაჩინა ჩემს შემოქმედებას. არასოდეს ვისურვებდი მის განმეორებას. ჩემი ნახატებით მინდა გამოვხატო ომის უაზრობა“.

უახლოეს ხანში მხატვრის გამოფენა მოეწყობა პარიზში, შემდეგ ლონდონში.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ᲐᲪᲣᲢᲐᲒᲐᲛᲐᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

თითქმის 700 წიგნი და 2.000 მოთხრობა განიხილა აკუტაგაგას პრემიის ეიურომ და გადაწყვიტა პრემია მიენიჭებინათ ოკინაველ მწერალ ტაკეუხირო ოსიროს მოთხრობისათვის „კოკტელ-პარტი“.

ადგილობრივი ინტელიგენტი, რომელიც ძალზე კარგ ურთიერთობაშია ამერიკის ადმინისტრაციასთან, მიწვეულია კოკტეილზე. საღამო მეტად მხიარულ და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს. ამერიკელები გულთბილ დამოკიდებულებას იჩენენ იაპონელების მიმართ. მაგრამ როდესაც ინტელიგენტი შინ დაბრუნდება, შეიტყობს, რომ მისი მოსწავლე ქალიშვილი გაუპატიურა ამერიკელმა ჯარისკაცმა. მშობლები ჩივიან, თუმცა კარგად იციან, რომ ჯარისკაცი ამერიკის მთავრობას ემსახურება და მას პასუხს არავინ მოსთხოვს.

ოკინავას დაბრუნება, რომელიც ამერიკელებმა თავიანთ სამხედრო ბაზად აქციეს, იაპონელებისათვის დიდი და მტკივნეული საკითხია. ეიურის წევრმა, უხუცესმა იაპონელმა მწერალმა იასუნარ კავაბატამ განაცხადა: „ვინაიდან გადწყვეტილება უკვე სისრულეშია მოყვანილი, უნდა გამოვტყდე, ეიურიზე დიდი გავლენა მოახდინა იმ გარემოებამაც, რომ მოთხრობა ოკინავას ეძღვნება. მოხარული ვარ, რომ ავტორმა მაღალი ლიტერატურული ჯილდო მიიღო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერამიკის სამოგზაროები

სიტყვა „ფაენსის“ (ქალაქ ფაენცაში) წარმოშობის ისტორია დაკავშირებულია კერამიკის წარმოების უძველეს ცენტრთან, იტალიის ქალაქ ფაენცთან.

ამ ქალაქში 130 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ეწყობა საბჭოტერო კერამიკის საერთაშორისო კონკურსი.

მომდინარე წელს კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრებიდან ეიერიმ ფინანსურ შეარჩია 29 სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი 287 ნამუშევარი. მათ შორის პრემიერებულია: ედუარდ შაპალის (შვეიცარია), მარიო ტერეცის (იტალია), ცოლ-ბროზის (საბერძნეთი), ელენე კოლმეიროს (ესპანეთი), პიეტრ ვეისსა, პიერ კოულოს (ბელგია) ნამუშევრები.

„ბაბგალიანიშუფლე, ცეცხლო!“

ცნობილი იტალიელი მწერლის მარიო სპინელას ახალი წიგნის „ბაგგიანიშუფლე, ცეცხლო!“ გარშემო იტალიაში ძალიან დიდი დისკუსია გაიმართა. დაობდნენ იმაზეც, თუ რომელი ჟანრისათვის მიეკუთვნებინათ ეს ნაწარმოები. თვითონ ავტორმა განაცხადა: „მე დავწერე პამფლეტი იმ ნეოკაპიტალისტურ საზოგადოებაზე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ“.

სპინელას ნაწარმოებში თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება წარმოდგენილია ფსიქიატრიული საავადმყოფოს სახით, სადაც გაბოუენებულია ტექნიკის და მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები. ყოველ „ავადმყოფს“ პალატაში უდგას ძვირფასი ავეჯი, ტელევიზორი, ფუფუფუნების საგნები, მაგრამ ადამიანებს არ შეუძლიათ თავი დაადწიონ ამ ძვირფას საგიჟეთს. ისინი მარტონი არიან, არც ნაცნობი პყავთ და არც მეგობარი. ადამიანები არ იცნობენ ერთმანეთს. დღეში რამდენჯერმე გამოჩნდებიან „ექიმები“ წამლებითა და ცდილობენ „ავადმყოფების“ განკურნვას. ერთ-ერთი „ავადმყოფი“ განაცხადებს, რომ ის სავსებით ჯანსაღია და მოითხოვს შინ გაშვებას. „როგორ, განა თქვენ აქ ცუდად ხართ? აქ არის ყველაფერი, რაც სჭირდება ცივილიზებულ ადამიანს!“— პასუხობს ექიმი. წიგნის მთავარი გმირი ეძებს გამოსავალს, მაგრამ ვერ პოულობს მას, ბოლოსდაბოლოს წაუკიდებს ცეცხლს საავადმყოფოს და თვითონაც იღუპება...

მილანის ახალგაზრდულმა თეატრმა „ტეატრო პოპულარე ვიჯანტეზმ“ (სახალხო მოძრაობი თეატრი) მოაწყო ცნობილ თანამედროვე მხატვრებისაგან საჩუქრად მიღებული ნახატებისა და ქანდაკებების გაყიდვა. 140 ნახატსა და ქანდაკებას შორის იყო პაბლო პიკასოს 6 გრავიურა. ეს პატარა, მოხეტიალე თეატრი ძალუნ ხშირად განიცდის ფინანსურ კრახს. თანმა, ზოგმელიც თეატრმა სურათების გაყიდვით აიღო. ცოტა ხნით მაინც გამოაკეთებს მის მდგომარეობას.

მხატვრები ოქტომბერზე

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით პოლონეთის მინისტრთა საბჭოსა და სამხატვრო საქმეთა მიერ გამოცხადებულ კონკურსზე საუკეთესო გრაფიკული ნამუშევრებისათვის პოლონეთის ყოველი მხრიდან ეიერიმ მიიღო 899 ნამუშევარი.

საუკეთესო ნამუშევრებისათვის ორი მთავარი პრემია მიენიჭა სტეფან გარვატოვსკის (ვარშავა) ნახატებისათვის „ლენინი და ჯარისკაცები“ და რომან ოპალეკის (ვარშავა) ლითოგრაფიისათვის „ეს არის ჩვენი სამოსლოო და გადამწყვეტი ბრძოლა“.

კონკურსზე წარმოდგენილი სამუშევრებიდან ოთხს მიენიჭა მეორე პრემია. ხოლო მედლებით დაჯილდოებული დანარჩენი ნამუშევრები გამოფენილ იქნა ვარშავაში, მხატვართა სახლში.

ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით ვარშავის მხატვართა კავშირმა მოაწყო დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 39 მხატვრის ნამუშევარი. ნამუშევრების უმრავლესობა მიძღვნილია ლენინისადმი. გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში ასახულია აგრეთვე როგორც პოლონეთის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა მეორე მსოფლიო ომში, ასევე თანამედროვე ცხოვრების ეპიზოდები. მაგალითად, მხატვარმა ვესლავ შიმბორსკიმ წარმოადგინა ნამუშევრები „კოსმონავტი ლეონოვი“ და „ვოსტოკ-1“.

ლუვრის ახალ შენაძენთა გამოფენა

პარიზში, „ორანაუერის“ გალერეაში, გაიხსნა ლუვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირის მუზეუმის მიერ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე შეძენილ ნამუშევართა გამოფენა. გამოფენამ გააოცა მნახველები, რადგან, საფრანგეთში გავრცელებული აზრის თანახმად, ფრანგული მუზეუმები დაინტერესებული არ არიან ახალი ნამუშევრების შეძენით და საზღვარგარეთის მუზეუმებს მიაყოლეს ისეთი ნახატები, როგორიცაა პიკასოს „ცეცხლი“ ან სეზანის „მობაღავენი“. აღმოჩნდა, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ლუვრს შეუძენია ცერამ კოლექციონერებისაგან ისეთი ექსპონატები, როგორიცაა გოგენის „ავგუსტორერეტი“, სეზანის „მაგდალინა“, ვან გოგის, მანეს და სხვათა ნამუშევრები.

●

„შორს ვიეტნამისაგან!“

საფრანგეთის კინემატოგრაფისტთა დიდმა ჯგუფმა ინგლისის, დანიის და ამერიკის შეერთებული შტატების კინემატოგრაფისტებთან ერთად სოლიდარობა გამოუცხადეს გმირ ვიეტნამელ ხალხს და საზოგადოებრივ საწყისებზე გადაიღეს ამაღელვებელი ფილმი „შორს ვიეტნამისაგან!“ ფილმში მონაწილეობს 150 კაცი, მათ შორის კრის მარკერი, კლოდ ლელუში, აგნეს ვარდი, ან

№ 248 ᲐᲛᲘᲜᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ

ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐᲞ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236